ნანა იოსელიანი, სოფიო ქებურია

# ხელოვნება

## მასწავლებლის წიგნი




გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
სამინისტროს მიერ 2020 წელს.

სულაკაურის გამომცემლობა

ხელოვნება 8
მასწავლებლის წიგნი
თბილისი, 2020

ავტორები: **ნანა იოსელიანი, სოფიო ქებურია**

რედაქტორი **ელენე ბერიაშვილი**
დიზაინერი **ია მახათაძე**
ტექნიკური დიზაინერი **გიორგი ლომსაძე**

© სულაკაურის გამომცემლობა, 2020
ყველა უფლება დაცულია

შპს „სულაკაურის გამომცემლობა“
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-30-613-6

ART 8
Teacher’s Book

© Sulakauri Publishing, 2020
all rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

## სარჩევი

წინასიტყვაობა .......... 5
თემატური ბლოკები .......... 6
რეფლექსია .......... 7
ციფრული წყაროები და რესურსები .......... 8
შეფასება .......... 9
რეკომენდაციები .......... 12
საბაზო საფეხურის სტანდარტი .......... 13
ცნობარი .......... 23

თემატური ბლოკი 1: საზოგადოება და ხელოვნება (16+2 სთ) .......... 24
თემატური ბლოკის მატრიცა .......... 25
დავალებების მატრიცა 1/1 (გაკვეთილები 1-4) .......... 28
მეთოდური რეკომენდაციები კომპლექსური დავალებებისთვის .......... 37
დავალებების მატრიცა 1/2 (გაკვეთილები 5-7)C .......... 40
მეთოდური რეკომენდაციები კომპლექსური დავალებებისთვის .......... 45, 51
დავალებების მატრიცა 1/3 (გაკვეთილები 8-12) .......... 53
მეთოდური რეკომენდაციები კომპლექსური დავალებებისთვის .......... 58
დავალებების მატრიცა 1/4 (გაკვეთილები 13-15) .......... 62
მეთოდური რეკომენდაციები კომპლექსური დავალებებისთვის .......... 74

თემატური ბლოკი 2: ადამიანი ხელოვნებაში (18+2 სთ) .......... 78
თემატური ბლოკის მატრიცა .......... 79
დავალებების მატრიცა 2/1 (გაკვეთილები 1-5) .......... 82
მეთოდური რეკომენდაციები კომპლექსური დავალებებისთვის .......... 97

დავალებების მატრიცა 2/2 (გაკვეთილები 6-7) ........ 101
მეთოდური რეკომენდაციები კომპლექსური დავალებებისთვის ........ 103
დავალებების მატრიცა 2/3 (გაკვეთილები 8-10) ........ 106
მეთოდური რეკომენდაციები კომპლექსური დავალებებისთვის ........ 110
დავალებების მატრიცა 2/4 (გაკვეთილები 11-14) ........ 113
მეთოდური რეკომენდაციები კომპლექსური დავალებებისთვის ........ 119
დავალებების მატრიცა 2/5 (გაკვეთილი 15) ........ 127
მეთოდური რეკომენდაციები კომპლექსური დავალებებისთვის ........ 128
დავალებების მატრიცა 2/6 (გაკვეთილი 16) ........ 131
მეთოდური რეკომენდაციები კომპლექსური დავალებებისთვის ........ 133

თემატური ბლოკი 3: გარემო და ხელოვნება (10+2 სთ) ........ 137
თემატური ბლოკის მატრიცა ........ 138
დავალებების მატრიცა 3/1 (გაკვეთილები 1-4) ........ 141
მეთოდური რეკომენდაციები კომპლექსური დავალებებისთვის ........ 148
დავალებების მატრიცა 3/2 (გაკვეთილები 5-8). ........ 152
მეთოდური რეკომენდაციები კომპლექსური დავალებებისთვის ........ 159
შემაჯამებელი ტესტი ........ 163

დანართი ........ 171
ლექსიკონი ........ 206

# წინასიტყვაობა

## შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს საბაზო საფეხურის VII კლასის სახელმძღვანელოს გაგრძელებას.

VIII კლასის სახელმძღვანელო აგებულია პრაქტიკული სამუშაოსა და შესაბამისი თეორიული მასალისა და ისტორიული ცნობების ლოგიკურ მონაცვლეობაზე. კაცობრიობის ისტორიული გამოცდილების ცოდნა დაეხმარება მოსწავლეს:

- დაინახოს სხვა ეპოქებთან თავისი დროის მსგავსება-განსხვავებები და გააცნობიეროს საკუთარი ეპოქისა და გარემოს თავისებურებები სხვა ეპოქების თავისებურებების ანალიზის მეშვეობით;
- შეიმეცნოს საკუთარი თავი სხვა ეპოქების ხელოვანთა შემოქმედების ანალიზის გზით;

შემოთავაზებული მასალა გაღრმავებულ ხასიათს ატარებს. პრაქტიკული აქტივობები და პროექტები შემოთავაზებულია მზარდი სირთულის მიხედვით. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ცოდნის დაკავშირებას მოსწავლის შემოქმედებით საქმიანობასთან.

თემატური ბლოკები იძლევა მოსახერხებელ შესაძლებლობას, დავანახოთ მოსწავლეებს, თუ რა იყო მნიშვნელოვანი ამა თუ იმ ეპოქაში. მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გაცნობიერება მოსწავლეებში ავითარებს ლოგიკას. ყოველი თემატური ბლოკი მოიცავს სხვადასხვა ეპოქიდან აღებულ საკვანძო მაგალითებს, მაგრამ გარკვეული პერიოდები უფრო ვრცლად და საფუძვლიანადაა განხილული, ვიდრე დანარჩენები.

## სახელმძღვანელოს სტრუქტურა

VIII კლასის სახელმძღვანელოს კომპლექტი შედგება:
მასწავლებლის წიგნი;
მოსწავლის წიგნი;

**მასწავლებლის წიგნი:**

- სარჩევი
- შესავალი
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება საბაზო საფეხურის სტანდარტი
- თემატური ბლოკებისა და დავალებების მატრიცები
- დანართი (შეფასების სქემები)
- ლექსიკონი

## თემატური ბლოკები

ტექსტი თემატურად დაჯგუფებულია თავებად.

თითოეული თემატური ბლოკის დასაწყისში ჩამოწერილია საკვანძო კითხვები, რომლებიც მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს შერჩევით, გაკვეთილის საჭიროებიდან გამომდინარე. თემის ამოწურვის დროისთვის, ყველა ამ კითხვაზე მოსწავლეს ექნება ცოდნით გამყარებული პასუხი, რაც მათ ჩამოუყალიბებს მკვიდრ წარმოდგენებს სამყაროს შესახებ.

თემატური ბლოკის ფარგლებში, ტექსტი დაყოფილია გაკვეთილებად (თავებად და ქვეთავებად). მასწავლებელს შეუძლია თავად განსაზღვროს, თუ რა მოცულობის ტექსტის წაკითხვა დაავალოს მოსწავლეებს, სად გაწყვიტოს, სად შეასვენოს, რომელი თავი დაავალოს შინ წასაკითხად, სად ჩართოს პრაქტიკული აქტივობები და სხვა.

ვინაიდან ერთი და იგივე საკითხი შეიძლება განვიხილოთ სხვადასხვა კუთხით, თემატურ ბლოკებს შორის ხდება გადაძახილი. ეს ეხება როგორ ტექსტს, ისე დავალებებს. ზოგჯერ ერთი თემატური ბლოკის ტექსტი ან დავალება შეიცავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს სხვა თემატური ბლოკებით გათვალისწინებული მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაში.

თემები შერჩეულია ეროვნული სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

სახელმძღვანელო მოიცავს 3 თემას. ისინი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ 3 თემატურ ბლოკს, რომლებიც ერთმანეთის ლოგიკური გაგრძელებაა:

1. თემატური ბლოკი „საზოგადოება და ხელოვნება“ სახელმძღვანელოში წარმოდგენილია სასწავლო თემით „ხელოვნება საზოგადოების სამსახურში“.
2. თემატური ბლოკი „ადამიანი ხელოვნებაში“ სახელმძღვანელოში წარმოდგენილია სასწავლო თემით „ადამიანი სამყაროს ცენტრში“.
3. თემატური ბლოკი „გარემო და ხელოვნება“ სახელმძღვანელოში წარმოდგენილია სასწავლო თემით „სამყარო ჩვენ გარშემო“.

სამი თემატური ბლოკიდან ყოველი შეიცავს თემატური ბლოკის მატრიცას, რომელშიც მოცემულია კონკრეტულ ბლოკთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია. თემატური ბლოკის მატრიცას ახლავს დავალებების მატრიცები, სადაც მოცემულია კონკრეტული ბლოკის ფარგლებში შესასწავლ საკითხებსა და გაკვეთილებთან, ასევე კომპლექსურ პროექტებთან დაკავშირებული დამიზნებული, დაწვრილებითი ინფორმაცია. დავალებების მატრიცები (მოსწავლის წიგნის შესაბამისად), დაჯგუფებულია ერთი საერთო თემით გაერთიანებულ გაკვეთილებად. მასწავლებლისთვის საორიენტაციოდ, დავალების ყოველ მატრიცას ახლავს გაკვეთილების გამაერთიანებელი თემის სათაური, რომელიც არ არის ასახული მოსწავლის წიგნში: მაგ: გაკვეთილები 1 - 4, გამაერთიანებელი თემა: „ხელოვნება დროის სარკე“. დავალებების მატრიცებში გაკვეთილების ნუმერაცია და სათაურები შეესაბამება მოსწავლის წიგნში გაკვეილების ნუმერაციასა და სათაურებს.

## დავალებები და პროექტები

სახელმძღვანელოში პრაქტიკული აქტივობების რაოდენობა და მათზე გათვლილი დრო აღემატება წლის განმავლობაში საგნისთვის გამოყოფილი საათების ლიმიტს. მრავალფეროვანი აქტივობებიდან მასწავლებელს შეუძლია შეარჩიოს კონკრეტული, ან გაანაწილოს აქტივობები მოსწავლეთა შესაძლებლობების მიხედვით. ნაწილი შეუძლია დაავალოს შინ, დამოუკიდებლად შესასრულებლად.

ყოველი მოსწავლის მიერ დავალების დამოუკიდებლად შესასრულებელი ნაწილი ერთი დადებული აგურია საბოლოო მიზნის მისაღწევად.

ერთგვაროვანი, მაგრამ სხვადასხვა ტიპის დავალებების კლასში განაწილება სასარგებლოა იმ თვალსაზრისით, რომ მოსწავლეები ერთმანეთის სამუშაოზე დაკვირვებით მივლენ დასკვნამდე – მიზნამდე შესაძლებელია სხვადასხვა გზით მისვლა.

პირველი თავიდან მოყოლებული, პრაქტიკული აქტივობები დაგეგმილია ისე, რომ ყოველი მათგანი ხელს უწყობდეს შემაჯამებელი კომპლექსური პროექტებისთვის ეტაპობრივად მზადებას.

თითოეული თავის დასასრულს მოსწავლეები წარადგენენ საბოლოო პროექტს, რომელიც გახდება შემაჯამებელი შეფასების საგანი. ხშირ შემთხვევაში, პროექტზე მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს თავის შესწავლის პარალელურად;

ყველა პროექტი შეიცავს როგორც დამოუკიდებელ, ასევე ჯგუფურად შესასრულებელ სამუშაოს. პროექტზე მუშაობის ასეთი ფორმა გამოუმუშავებს მოსწავლეს ჯგუფის წინაშე პასუხებლობის გრძნობას. ასწავლის საკუთარი წილი სამუშაოს კეთებისას ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებას და საერთო ნამუშევრის შედეგზე ორიენტირებას.

სახელმძღვანელოში შემოთავაზებული პროექტები მოიცავს შემეცნებით, კვლევით და შემოქმედებით საქმიანობას: კვლევა, დებატები, შემოქმედებითი ნამუშევარი, და სხვა. ყოველი პროექტი ითვალისწინებს ამა თუ იმ სახით საზოგადოების წინაშე წარდგენას (გამოფენა, აქცია, პრეზენტაცია, მოხსენება).

პროექტებზე ჯგუფური მუშაობის დროს ფუნქციების გონივრულად გადანაწილება სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს თანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებს – მისცემს ძლიერი მხარეების გამოვლენის საშუალებას და განუვითარებს სუსტ მხარეებს. ყოველი პროექტის დასასრულს მოსწავლეები დაწერენ რეფლექსიას (შეავსებენ რეფლექსიის კითხვარს. იხ.: დანართში).

## რეფლექსია

თვითანალიზი უკიდურესად სასარგებლოა იმისთვის, რომ მოსწავლემ შეძლოს: საკუთარი შესაძლებლობების ობიექტურად შეფასება, დაფიქრება საკუთარ შემოქმედებით პროცესზე, სუსტი და ძლიერი მხარეების გაცნობიერება, სისუსტეების გასაუმჯობესებლად სტრატეგიების დასახვა, საკუთარი თავის უკეთ შეცნობა. ამისთვის სასურველია, მასწავლებელმა სთხოვოს მოსწავლეებს შემოქმედებითი დღიურის წარმოება.

სახატავ რვეულში/უბის წიგნაკში მოსწავლე იხატავს, იწერს, აგროვებს: ჩანახატებს, ესკიზებს, იდეებს, ნამუშევრის შესრულების გეგმას (სტრატეგია, მასალა, ეტაპები...), კვლევის შედეგებს, ხელოვნების ნაწარმოებისგან მიღებულ შთაბეჭდილებებს, ინიშნავს ხელოვნების ნაწარმოების, ეპოქისა და ხელოვანის შესახებ მისთვის საინტერესო ინფორმაციას, გაჩენილ კითხვებსა და მათზე პასუხებს, ავსებს ხელოვნების ნაწარმოების ანალიზის, ინტერპრეტაციისა და შეფასების შევსებულ კითხვარებს, ტექნიკებისა და პროცედურების აღწერას (ხელოვანის ერთგვარი „რეცეპტების“ წიგნაკი), ტერმინებსა და მათ განმარტებებს, ექსპერიმენტების წინასწარ ვარაუდებსა და შედეგებს, რეფლექსიის კითხვარზე პასუხებს, აკრავს საკუთარი ნამუშევრების ფოტოებს, შეფასების ფურცლებს და სხვ. ეს მასალა დაეხმარება მოსწავლეს განვითარებასა და თვითშეფასებაში.

## ციფრული წყაროები და რესურსები

ვინაიდან ქართულენოვანი ინტერნეტსივრცე ჯერ კიდევ ძალიან მწირია და მოსწავლეებს ინფორმაციის მოძიება უწევთ არააკადემიურ პუბლიკაციებში, სახელმძღვანელო შეძლებისდაგვარად დავტვირთეთ სანდო, ქართულ და უცხოენოვან აკადემიურ სამეცნიერო წყაროებზე დაყრდნობით მოპოვებული ინფორმაციით. მასწავლებლის წიგნში მითითებულია გადამოწმებული ინტერნეტბმულები, რომლებითაც სარგებლობა შეეძლება როგორც მასწავლებელს, ასევე მოსწავლეებსაც.

ციფრული ტექნოლოგიებისა და სხვა რესურსების გამოყენების მხრივ, სახელმძღვანელოში შემოთავაზებულია მრავალფეროვანი დავალებები, იქნება ეს ვიდეოჩვენება, პრეზენტაციის მომზადება, ელექტრონული პორტფოლიოს შექმნა პირადი და საერთო საკლასო ბლოგების სახით, ციფრული ნამუშევრის შექმნა, ანიმაციის შექმნა და სხვ. პერიოდულად, ყოველი თემის დასრულებისას, Google Arts & Culture-ის ვებ-გვერდზე მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ ფავორიტების ალბომი (საკუთარი გალერეა) ბმულზე:

https://artsandculture.google.com

სასურველია, პირველივე გაკვეთილზე, მასწავლებელმა დაავალოს მოსწავლეებს, შექმნან საკუთარი ელექტრონული პორტფოლიო ვებგვერდის ან ბლოგის სახით, რომელზეც წლის მანძილზე განათავსებენ საკუთარ ნამუშევრებს (ტექსტებსა და ნამუშევრების ფოტოებს):

www.blogspot.com

www.wordpress.com

www.weebly.com

მძიმე ფაილები, ვთქვათ, ცოწერცოინტ პრეზენტაციები და ანიმაციები, მოსწავლეებს შეუძლიათ ატვირთონ ვებგვერდებზე და შემდეგ, ატვირთული პრეზენტაციის ბმული მიუთითონ საკუთარ და კლასის ბლოგებზე.

ვებგვერდების ჩამონათვალი:

https://en.ppt-online.org

https://www.slideshare.net

ქართულენოვანი ინტერაქტიული ტესტები და ქუიზები იხ.:

https://bit.ly/2Mi5SmT

საკუთარი კოლექციის ან მოსწავლეების ნამუშევრების ვირტუალური საგამოფენო სივრცის შექმნა:

https://www.artsteps.com

**რეკომენდებული წყაროები:**


- ე. ჰ. გომბრიხი, ხელოვნების ამბავი, ლოგოს პრესი, 2012
- მსოფლიო ხელოვნება, ნ. მაჭარაშვილი, ნ. სილაგაძე, მერიდიანი, 2010
- ხელოვნების ისტორია (XVI-XVII საუკუნეების ევროპა), მ. სთოქსთედი, მ. ვ. ქოთრენი, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, 2018წ.
- ხელოვნების ისტორია (XVIII საუკუნიდან დღემდე), მ. სთოქსთედი, მ. ვ. ქოთრენი, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, 2018წ.
- ნინო ჭიჭინაძე, სახვითი ხელოვნების ისტორიის ვიდეოლექციების ქრონოლოგიური ციკლი:

https://bit.ly/2XmtAEJ

- ხელოვანთა ნამუშევრები და მათ შესახებ სტატიები იხ.:

https://artchive.ru/artists

- სახვითი ხელოვნების ციფრული ბაზა:

https://www.wga.hu/

ონლაინ სასკოლო ენციკლოპედიური ლექსიკონების აქტიური ბმულები:

- მსოფლიო კულტურა და ხელოვნება:

http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=index&d=47

- ხელოვნება, მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, შემდგ. ნ. მაჭარაშვილი, თბ., მერიდიანი, 2004 წ.:

http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=index&d=7

**შეფასება**

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების, ისევე როგორც მთელი სასწავლო პროცესის, საბოლოო მიზანია მოსწავლის, როგორც პიროვნების:

- შემოქმედებითი პოტენციალის გამჟღავნება
- ემოციური და სულიერი განვითარება
- სოციალური უნარების გააქტიურება
- ესთეტიკური აღზრდა
- დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის გაღვივება
- სწავლის ხარისხზე ზრუნვა
- წინარე ცოდნის დადგენა
- ახალი ცოდნის სამივე კატეგორიის (დეკლარატიულის, პროცედურულისა და პირობისეულის) ათვისებისა და უნარ-ჩვევების კონსტრუირების გამოყენების უნარების მონიტორინგი
- მოსწავლის მიერ ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის უნარი და მასწავლებლის დახმარებით, პროგრესის ხელშემწყობი ნაბიჯების გადადგმა.

VIII კლასში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები.

ერთი და იმავე მკვიდრი წარმოდგენის ჩამოყალიბებისთვის სახელმძღვანელოში შემოთავაზებულია სხვადასხვა სირთულის რამდენიმე აქტივობა, რომლებიც მასწავლებელს მისცემს დიფერენცირების საშუალებას. განსხვავებული უნარების მქონე მოსწავლეებს უნდა დაევალოთ ისეთი ამოცანის შესრულება, რომელსაც ისინი, გაუმკლავდებიან გარკვეული ძალისხმევისა და მასწავლებლის დახმარების შედეგად. მნიშვნელოვანია, კონკურენცია მიმდინარეობდეს არა მოსწავლეებს შორის, არამედ მოსწავლისა საკუთარ თავთან. მიზანი, რომელსაც მასწავლებელი კონკრეტულ მოსწავლეს დაუსახავს, უნდა შეესაბამებოდეს მის შესაძლებლობებს. პროგრესით მიღებული სიხარულის განცდა მოსწავლეების შემოქმედებითი უნარების სტიმულირების, მათი მოტივირების საუკეთესო საშუალებაა. **მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს მოსწავლის პროგრესზე და არა ნამუშევრის შესრულების დონეზე.** შემაჯამებელი დავალებების საშუალებით მასწავლებელსა და მოსწავლეს შეუძლიათ შეამოწმონ და შეაფასონ მოსწავლეთა მიერ სირთულეების დაძლევის ფაქტორი, მასალის ათვისებისა და შეძენილი უნარების ხარისხი. თემასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი სააზროვნო თუ შემაჯამებელი შეკითხვა ასევე დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეთა მიღწევების შეფასებაში.

თვითშეფასების გარდა, განმავითარებელი შეფასების ეფექტური საშუალებაა ურთიერთშეფასება. მეგობრის სწავლის პროცესზე დაკვირვება მოსწავლეს განუვითარებს პასუხისმგებლობას საკუთარი სწავლის პროცესის მიმართ, ჩამოუყალიბებს საკუთარი მიზნის გააზრებისა და თვითრეგულირების უნარს. ეს ერთგვარი როლური თამაშია, როდესაც უკუკავშირი გაიცემა არა მასწავლებლის, არამედ თანატოლის მიერ. ურთიერთშეფასებისას მოსწავლეები ეჩვევიან კრიტიკული აზრის პოზიტიურად, კორექტულად გამოთქმას. მათთვის გასაგები ხდება შეფასების კრიტერიუმები, რაც სხვა დროს დაეხმარება საკუთარი ნამუშევრის ობიექტურად შეფასებაში. იზრდება მოტივაცია, ხალისი და ჩართულობა.

სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია სტანდარტის შედეგების ორივე მიმართულება, რომელთა ინდექსები მეორდება სამივე თემატურ ბლოკში, რაც მასწავლებელს აძლევს საშუალებას სხვადასხვა თემის ფარგლებში რამდენჯერმე შეაფასოს თითოეული მოსწავლე ერთი და იმავე ინდექსის მიხედვით. სახელმძღვანელოში მოცემულია კონკრეტულ დავალებასთან მიმართებაში დაზუსტებული ინდექსის მოთხოვნები.

დანართში მოცემულია სხვადასხვა ტიპის დავალების შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები. ცხადია, მასწავლებელი ყველა დავალებას არ აფასებს. ის თავად შეარჩევს, რომელი დავალება შეაფასოს **განმსაზღვრელით**, რომელი – **განმავითარებლით** და რომელი ჩათვალოს უბრალოდ სავარჯიშოდ.

***მასწავლებელს შეუძლია რუბრიკების დესკრიპტორებს შეუცვალოს პირის ნიშანი და გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების კომენტარებად.**

როდესაც შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს ვაფასებთ იმავე დავალების მიხედვით, როგორც სხვებს, ოღონდ განსხვავებული, დიფერენცირებული კრიტერიუმებით, ეს ხშირად იწვევს მოსწავლეების მხრიდან უხერხულ შეკითხვებს. ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ, დავალების რამდენიმე ვარიანტის შეთავაზება. მასწავლებელი თავად განსაზღვრავს, რომელი ვარიანტი შესთავაზოს შშმ და სსსმ მოსწავლეს. რაც შეეხება შეფასების სქემებს, ისინი იძლევა ვარირების საშუალებას. იმისათვის, რომ სსსმ და შშმ მოსწავლეებს ჰქონდეთ წარმატებული შეფასების მიღების თანაბარი შანსი, მასწავლებელმა უნდა მიმართოს შესაბამის გზებს. მაგალითად, მეტყველების პრობლემების მქონე მოსწავლეებს მასწავლებელმა უნდა შესთავაზოს საკუთარი აზრის წერილობით გამოხატვის საშუალება. შშმ მოსწავლეს დისკუსიაში ჩასაბმელად მასწავლებელმა უნდა დაუსვას შეკითხვა, ეთანხმება თუ არა მეგობრების მიერ გამოთქმულ აზრს, ან რომელ ვარაუდს ეთანხმება. ასეთ შემთხვევაში, მოსწავლე შიშისა და სირცხვილის გრძნობის გარეშე ჩაებმება დისკუსიაში. მასწავლებელმა არ მოსთხოვოს ვრცელი მსჯელობა, არამედ მისცეს საკუთარი, დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვის შესაძლებლობა.

შშმ მოსწავლის პრობლემის სპეციფიკიდან გამომდინარე, დიფერენცირება უნდა მოხდეს სხვადასხვა გზით: შშმ მოსწავლეებს დაევალოთ ტექსტიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოწერა 2-3 წინადადების სახით; ტექსტის ნაწილის წაკითხვა; დავალების შესასრულებლად მიეცეს მეტი დრო; ინსტრუქცია მიეცეს ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად; მიეცეს გამარტივებული ინსტრუქცია; დავალების შესრულებისას მოხდეს მისი დაწყვილება სხვა მოსწავლესთან, ვისთანაც ის თავს მშვიდად და მოხერხებულად გრძნობს; შემაჯამებელი ტესტის ნაცვლად დაევალოს პრაქტიკული სამუშაოს შესრულება ან პირიქით; შეფასდეს გამარტივებული კრიტერიუმების მიხედვით;

**ამონარიდი საქართველოს კანონიდან, თანასწორობის დაცვის, დისკრიმინაციისა და დისკრედიტაციული ელემენტების პრინციპების შესახებ:**

„დისკრიმინაციად მიიჩნევა ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად“.

„დისკრიმინაციად არ მიიჩნევა ნებისმიერი განსხვავება, დაუშვებლობა და უპირატესობა განსაზღვრულ სამუშაოსთან, საქმიანობასთან ან სფეროსთან დაკავშირებით, რომელიც სპეციფიკურ მოთხოვნებს ემყარება“.

გარდატეხის ასაკში მყოფი მოზარდები განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან და მძაფრად აღიქვამენ მათ მიმართ დამოკიდებულების ნებისმიერ, თუნდაც სხვისთვის შეუმჩნეველ ნიუანსებს, ისეთებსაც კი, რასად ადრე ნორმად მიიჩნევდნენ. მოსწავლეთა ქცევის, გამონათქვამებისა თუ ნამუშევრების კომენტირებისას მასწავლებელს მართებს განსაკუთრებული სიფრთხილე, რათა მოსწავლეებმა დავალებების სირთულის მიხედვით განაწილება, შენიშვნა, საყვედური თუ რაიმე სახის შეფასება არ აღიქვან დამამცირებლად. ვინაიდან ხელოვნება არ არის ზუსტი მეცნიერება, ყველა ადამიანს აქვს უფლება ხელოვნების ნაწარმოების შეფასებისას იხელმძღვანელოს საკუთარი ემოციებით, შთაბეჭდილებებითა და გემოვნებით. სასურველია, მასწავლებელმა არ გაამახვილოს ყურადღება მისთვის მიუღებელ გამონათქვამს, მცდარ შეფასებასა თუ ნამუშევარზე. ნებისმიერი შენიშვნა დაიწყოს შექებით, რომელსაც მოსდევს საქმიანი კომენტარი (მაგ.: ძალიან საინტერესო აზრია/ნამუშევარია, მაგრამ ხომ არ აჯობებდა...).

კლასში მოსწავლეებს შორის თანასწორობის დაცვისა და ერთმანეთის მიმართ დისკრიმინაციული ქცევის თავიდან ასარიდებლად, სასურველია მასწავლებელმა დაიცვას სწორი ბალანსი სხვადასხვა ინტერესის, უნარისა და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისთვის დავალების მიცემის, გამოკითხვის, მათი საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფისა თუ შეფასების დროს. მასწავლებელმა უნდა აგრძნობინოს მოსწავლეებს, რომ ყოველი მათგანი უნიკალურია სწორედ მისი მონაცემების, მისი შეხედულებებისა და უნარების გამო და ამის მტკიცებად სწორედ ხელოვანთა ნამუშევრები დაიხმაროს.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სხვადასხვა ეპოქის, კულტურის, რწმენის, სქესისა და ასაკის ხელოვანების ნამუშევრები ნათელი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ განსხვავებული და უნიკალურია და სწორედ ამიტომ დასაფასებელი ყოველი მათგანის ქმნილება, რა ხერხითაც არ უნდა იყოს იგი შესრულებული. ამ მასალაზე დაყრდნობით, მასწავლებელს შეეძლება პერიოდულად მოსწავლეთა ყურადღება გაამახვილოს იმაზე, რომ ადამიანის მიერ შექმნილი სამყარო სწორედ იმიტომაა ასეთი საინტერესო, მრავალფეროვანი, მოულოდნელი და ცვალებადი, რომ ჩვენ ერთმანეთისგან განვსხვავდებით გარეგნობით, ხასიათით, შეხედულებებითა და ინტერესებით. ყოველ ჩვენგანს, ნებით თუ უნებურად, შეგვაქვს ჩვენი წვლილი ამ სამყაროს განვითარებაში. ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ გარემოში ვიცხოვრებთ. გარემოზე ზრუნვა კი ერთმანეთზე ზრუნვით უნდა დავიწყოთ.

## რეკომენდაციები:

**მოტივაცია**

სასურველია, მასწავლებელმა პერიოდულად გადაუღოს კლასს ფოტოები სამუშაო პროცესში და მათი ნებართვით ატვირთოს ისინი საკუთარ ბლოგზე. ეს სტიმულს აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაებან სამუშაოში და ფოტოს გადასაღებად ხელსაყრელი ვითარება შექმნან. ისინი ხშირად აჩვენებენ ბლოგს მშობლებსა და ახლობლებს და ძალიან ამაყობენ იქ ატვირთული საკუთარი ნამუშევრებითაც და მუშაობის პროცესში გადაღებული ფოტოებით.

**გაკვეთილის მსვლელობასთან დაკავშირებით:**

სახელმძღვანელოში მოწოდებული მასალა დაყოფილია გაკვეთილებად (თავებად და ქვეთავებად). სასურველია, მასწავლებელმა სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტის გარკვეული მონაკვეთის წაკითხვა მოსწავლეებს დაავალოს საშინაო დავალებად (ვთქვათ, ნიშანთა სისტემის სქემით). მომდევნო გაკვეთილზე, კითხვების მეშვეობით დაადგინოს, თუ რა გაიგეს მოსწავლეებმა წაკითხული ტექსტიდან, უპასუხოს მათ შეკითხვებს. ამდენად, საკლასო დრო სრულიად გამოთავისუფლდება პრაქტიკული აქტივობებისთვის. ეს სისტემა ეხება სახელმძღვანელოს ყველა ნაწილს. აქტივობების აღწერა განთავსებულია როგორც უშუალოდ ქვეთავებში, ასევე თითოეული თემატური ბლოკის ბოლოს. ტექსტში ჩართულია შეკითხვები და დავალებები, რომლებიც მოსწავლეთა ყურადღებას გაამახვილებს საკვანძო ინფორმაციის მიმართ.

**დროის ორგანიზება:**

სასურველია, დროის მოგების მიზნით, სახელმძღვანელოს ტექსტის კითხვა მოსწავლეებს დაევალოთ სახლში წასაკითხად.

გაკვეთილის პირველი 5-10 წუთი ეთმობა თეორიულ ნაწილს, რომელიც შეიძლება მოიცავდეს თემის განხილვას ან მოსწავლეების გამოკითხვას, განვლილი მასალის გამეორებას, წინარე ცოდნის გააქტიურებას, მოსწავლეთა შეკითხვებზე პასუხებსა თუ ხანმოკლე დისკუსიებს. გაკვეთილის შემდეგი ნაწილი კი ეთმობა პრაქტიკული აქტივობის შესრულებას.

სასურველია, გაკვეთილის დაწყებამდე, მასწავლებელმა დაფაზე ჩამოწეროს აქტივობის შესასრულებელი ინსტრუქციის ეტაპები, შესასწავლი ტერმინები, სადისკუსიო შეკითხვები და სხვა საჭირო ინფორმაცია.

**შემოქმედებითი დღიურის წარმოება:**

შემოქმედებით დღიურში მოსწავლე სამახსოვროდ ჩაიწერს ახალ ტერმინებს, სახელებს, ჩაინიშნავს საშინაო დავალებებს, მომდევნო გაკვეთილისთვის მოსატან მასალას, ექსკურსიებზე ჩაინიშნავს შთაბეჭდილებებს, გააკეთებს ჩანახატებს; ჩაწერს საკუთარ მოსაზრებებს, გაჩენილ შეკითხვებს, წერით დავალებებს მოცემულ თემაზე, დაწერს პასუხებს შემაჯამებელ კითხვებზე. ეს დაეხმარება მოსწავლეებს დაიმახსოვრონ და შეაფასონ ნანახი თუ შესწავლილი; მიაჩვევს მათ წერილობით აზრების გამოხატვას და ორგანიზებულობას.

**ილუსტრაციებთან დაკავშირებით:**

იმის გამო, რომ მცირე ზომის ილუსტრაცია ძნელი აღსაქმელია, ვამჯობინეთ მოსწავლის სახელმძღვანელოში მათი ზომა გაგვეზარდა. ამის გამო გაიზარდა ერთი გაკვეთილის მოცულობა - ზოგიერთი 4 განშლას მოიცავს. რაც მთავარია, ტექსტის ოდენობა მერვეკლასელი მოსწავლისთვის სავსებით დასაძლევია. ამიტომ, გაკვეთილის გვერდების რაოდენობამ არ უნდა შეგაშინოთ.

**სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება**
**საბაზო საფეხურის სტანდარტი**

**შესავალი**

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
გ) მეთოდიკური ორიენტირები;
დ) შეფასება.

საგან „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების" ფარგლებში მოსწავლე შეისწავლის ხელოვნებას, როგორც თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალებას. ის აცნობიერებს სამყაროს, როგორც მრავალფეროვანი გრძნობებისა და იდეების წყაროს, რომელიც შეუძლია შემოქმედებითად ასახოს ნამუშევრებში.

სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე გაეცნობა ქართული და მსოფლიო, ძველი და ახალი ხელოვნების ცნობილ ნიმუშებს და ხალხურ შემოქმედებას; მათი შექმნისა და შეფასების განსხვავებულ ისტორიულ, კულტურულ, სოციალურ და სხვა კონტექსტებს; გამოიკვლევს მათ როლს საზოგადოების ცხოვრებაში.

სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას სხვადასხვა შემოქმედებით პროექტში; შექმნის სხვადასხვა დარგისა და ჟანრის ნამუშევრებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების, ხერხების, მასალის, ტექნიკის გამოყენებით.

**ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები**

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- მოსწავლეს გაუღვივოს ინტერესი ხელოვნების მიმართ;
- მოსწავლემ გაიაზროს საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალი, განივითაროს თვითგამოხატვის მრავალფეროვანი გზების ძიებისა და გამოყენების უნარი;
- მოსწავლეს განუვითაროს ხელოვნების ნიმუშებზე, საკუთარ და სხვის ნამუშევრებზე აზრის კორექტულად გამოთქმის, მსჯელობისა და ინტერპრეტაციის უნარი;
- ხელი შეუწყოს მოსწავლეს, ჩამოყალიბდეს საკუთარი მსოფლმხედველობისა და აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის მქონე პიროვნებად ეროვნული და მსოფლიო კულტურის გაცნობის გზით.

ამ მიზნებზე მუშაობით სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

**ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი**

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას, რა უნდა შეეძლოს საბაზო საფეხურის მოსწავლეს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ფარგლებში.

სტანდარტის შედეგები ჯგუფდება ორ მიმართულებად:

- **შემოქმედებითობა და პრაქტიკა -** გულისხმობს საკუთარი შთაბეჭდილებებისა და გამოცდილების საფუძველზე მხატვრული ნამუშევრების შექმნას, მათი საშუალებით საკუთარი იდეების, ემოციებისა და განწყობების გამოხატვას.
  სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლემ უნდა გამოიყენოს შემდეგი მასალა, იარაღი, პროცესი, პროცედურა: ფანქარი, პასტელი, ფლომასტერი, გუაში, აკვარელი, ტემპერა, აკრილი, ტუში, მელანი, ნახშირი, სანგინა, ფერადი ცარცები, ფერადი ქაღალდი, მუყაო, ქსოვილი, ძაფი, თოკი, მავთული,

პლასტილინი, თიხა, სხვა მასალა (ტრადიციული და არატრადიციული, ბუნებრივი და ხელოვნური), ფუნჯი, მაკრატელი, წებო, სადურგლო, სამეთუნეო, საქსოვი, სამკერვალო იარაღი და სხვა. დაჭრა, დაწებება, ამოკაწვრა, ღუნვა, გრეხვა, დაწვნა, ქარგვა, ქსოვა, კერვა, ხეზე კვეთა და სხვა.

- **ხელოვნების აღქმა კონტექსტში** - გულისხმობს სხვადასხვა დარგის, ჟანრის, ეპოქის/ კულტურის/ მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების ნიმუშების ანალიზს, ინტერპრეტაციასა და შეფასებას.

**სტანდარტის შინაარსი** განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებების, თემატური ბლოკების სახით.

**ცნებების** სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ცნებები შედეგებთან ერთად უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებში. ეს კონტექსტები **სავალდებულო თემატური ბლოკების** (VII-IX კლასებში) და **სავალდებულო თემების** (X კლასში) სახითაა წარმოდგენილი.

**მკვიდრი წარმოდგენები -** თითოეულ ცნებას ახლავს მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც შემოსაზღვრავს ცნების მოცულობას და აზუსტებს, რა უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მოსწავლეს ამ ცნებასთან მიმართებით საფეხურის ბოლოს.

**სტანდარტის შედეგების ინდექსების განმარტება**

საბაზო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ.,**ს.გ. საბ. 1.:**

**„ს.გ.“** – მიუთითებს საგანს „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება”;

**„საბ.“** – მიუთითებს საბაზო საფეხურს;

„**1**“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

| **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტის შედეგები (VII-X კლასები)** | | |
|---|---|---|
| **შედეგების ინდექსები** | **მიმართულება: შემოქმედებითობა და პრაქტიკა** | **სამიზნე ცნებები და ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები** |
| | მოსწავლემ უნდა შეძლოს: | |
| **ს.გ.საბ.1.** | ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისათვის, მიზნის შესაბამისად მრავალ-ფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენება; | **სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) (შედეგები: 1, 2, 3, 4)**<br>• ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი ხელოვნების ელემენტებს და პრინციპებს;<br>• სახვითი ხელოვნების ენას ვიყენებთ არა მხოლოდ ნამუშევრის შექმნისას, არამედ ხელოვნების ნიმუშების ანალიზის, ინტერპრეტაციის და შეფასებისას. |
| **ს.გ.საბ.2.** | ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი. | **სახვითი ხელოვნების ტექნიკა (შედეგები: 1, 2, 3, 4)**<br>• ხელოვანი, მასალას და ტექნიკას ირჩევს მხატვრული ჩანაფიქრის, შემოქმედებითი ამოცანის შესაბამისად;<br>• კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა, იცვლებოდა და ჩნდებოდა ხელოვნების ახალი ფორმები, მასალა და ტექნიკა.<br><br>**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები (შედეგები: 1,2, 3, 4)** |

<table>
<tr><td></td><td>მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში</td><td rowspan="4">• ხელოვნება ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახით გვხვდება;<br>• ხელოვნების ნიმუშები სხვადასხვა მიზნითა და დანიშნულებით იქმნება;<br>• ხელოვნების დარგებად დაყოფას გამოყენებული მასალა, ტექნიკა ან დანიშნულება განაპირობებს;<br>• თითოეული დარგისთვის სახვითი ხელოვნების რომელიმე გამომსახველობითი საშუალება თუ ხერხია მეტად დამახასიათებელი;<br>• სახვითი ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით.<br>• ხელოვნების დარგებს და ჟანრებს განვითარების თავისი ისტორია აქვს.<br><br>სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები (შედეგები: 1, 2, 3, 4)<br>• ყველა ეპოქის, კულტურის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნებას აქვს თავისი მახასიათებელი, რომელსაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს;<br>• ხელოვნებაში მიმდინარე ცვლილებები (ხელოვნების დანიშნულება, მისდამი დამოკიდებულება, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, ტექნიკა, მასალა, იარაღი, დარგები, ფორმები და სხვ.) პირდაპირ კავშირშია კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარე ცვლილებებთან (მსოფლმხედველობა, ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია და სხვ.);<br>• სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს ურთიერთ ზეგავლენა;<br>• ხელოვნების საშუალებით სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის შესახებ ბევრი რამის გაგება შეიძლება.</td></tr>
<tr><td></td><td>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</td></tr>
<tr><td>ს.გ.საბ.3.</td><td>ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზი (მხატ-ვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები, ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა, დარგი, ჟანრი, ავტორი), ინტერპრეტაცია და შეფასება;</td></tr>
<tr><td>ს.გ.საბ.4.</td><td>სხვადასხვა ეპოქის, კულტურის და სტილის ნამუშევრების ამოცნობა და ერთმანეთთან შედარება ისტორიული, რელიგიური, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.</td></tr>
</table>

**ცნებები**

**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებები და ხერხები**

**სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები)** (მაგ.: **ხაზი:** სხვადასხვა ტიპის, კონტური, შტრიხი; **ფერი** ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, კონტრასტული, მონათესავე, ფერის გრადაცია, ნახევარტონები შუქ-ჩრდილი, განათება; **ფორმა:** ბრტყელი და მოცულობითი (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული უტრირებული, სტილიზებული და სხვ.); ფაქტურა; ფონი.

**სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები)** (მაგ.: კომპოზიციური განაწილება, წონასწორობა, ნაყში (pattern) (ელემენტების განმეორებადობა), რიტმი, ძირითადის გამოყოფა, აქცენტი, სიმეტრია-ასიმეტრია, სტატიკა-დინამიკა, კონტრასტი, მასშტაბი, თანაფარდობა, პროპორცია/დისპროპორცია, პერსპექტივა (ხაზოვანი და ჰაეროვანი, სივრცე), ხედვის წერტილი, კოლორიტი).

**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები** (**დარგები** - მაგ.: ფერწერა (დაზგური, მინიატურა, მონუმენტური - ფრესკა, მოზაიკა, ვიტრაჟი, გრაფიტი), გრაფიკა (დაზგური, ბეჭდვითი), ქანდაკება, ჭედურობა, არქიტექტურა დიზაინი, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება და სხვ.; **ჟანრები** - მაგ: ნატურმორტი, პორტრეტი, პეიზაჟი ყოფითი, ისტორიული და სხვ.).

**სახვითი ხელოვნების ტექნიკა** (მაგ.: ფერწერა, გრაფიკა და მათი ტექნიკები, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი მოზაიკა, მონოტიპია, მოდელირება, კონსტრუირება, ციფრული ტექნოლოგიები).

**სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების** (მაგ., პრეისტორია, ძველი ცივილიზაციები, ანტიკური ხანა, შუა საუკუნეები, აღორძინება, XVII-XIX საუკუნეები, მოდერნიზმი თანამედროვე ხელოვნება და სხვ.) **სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები.**

**სავალდებულო თემატური ბლოკები**
საბაზო საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა-სწავლება წარიმართება შემდეგნაირად:

- VII-IX კლასებში სწავლა-სწავლება წარიმართება სამი ძირითადი თემატური ბლოკის ფარგლებში თითოეულ კლასში (VII, VIII, IX) მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ სამივე თემატური ბლოკის შესაბამისი მასალა;
- X კლასში სწავლა-სწავლება წარიმართება ერთი ძირითადი თემატური ბლოკის - ,,საქართველოს ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების ჭრილში“ ფარგლებში, რომელიც მოიცავს 7 სავალდებულო სასწავლო თემას. ამ თემების კონტექსტში განიხილება მსოფლიო და საქართველოს ხელოვნება უძველესი დროიდან დღემდე.

**VII-IX კლასები:**

**თემატური ბლოკი: გარემო და ხელოვნება**

სარეკომენდაციო თემები: გარემო - ადამიანის ინტერესის ობიექტი; გარემოს ზეგავლენა ადამიანზე და ადამიანის ზეგავლენა გარემოზე; ხელოვნება ჩვენ გარშემო (ხელოვნების დარგები და ჟანრები); სამყაროს მრავალფეროვანი ასახვის გზები - სტილები, მიმდინარეობები, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები ტექნიკური პროგრესის გავლენა ხელოვნებაზე; გამოსახვის ახალი საშუალებების ძიება.

**თემატური ბლოკი: ადამიანი ხელოვნებაში**

სარეკომენდაციო თემები: ადამიანის გამოსახულება და რწმენა-წარმოდგენები; ხელოვნება - პიროვნული რეალიზების საშუალება; მე - კულტურის ნაწილი; თვითგამოხატვა, ემოციები, გრძნობები, იდეები შეხედულებები, წარმოდგენები; თვითგამოხატვის თანამედროვე ფორმები.

**თემატური ბლოკი: საზოგადოება და ხელოვნება**

სარეკომენდაციო თემები: ხელოვნება - ისტორიული მეხსიერება, რას და როგორ გვიყვება ხელოვნება კულტურული მემკვიდრეობა; ყოფითი და ესთეტიკური დანიშნულება, ხელოვნება - საჭიროება თუ ფუფუნება; ხელოვნება - ზემოქმედების საშუალება (მონუმენტური ხელოვნება, პლაკატი, რეკლამა, ქუჩის მხატვრობა, ხელოვნება, როგორც აქცია და სხვ.).

**X კლასი:**

**თემატური ბლოკი: საქართველოს ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების ჭრილში**

სასწავლო თემები:
1. პრეისტორიული ეპოქის ხელოვნება;
2. ძველი ცივილიზაციების ხელოვნება და ბრინჯაოს ხანის საქართველო;
3. ანტიკური პერიოდის მსოფლიოსა და საქართველოს ხელოვნება;
4. შუა საუკუნეების ქრისტიანული და ისლამური სამყაროს ხელოვნება და საქართველო;
5. აღორძინების ეპოქა და თანადროული ქართული ხელოვნება;
6. XVII-XIX სს. ხელოვნება და საქართველო;
7. მოდერნიზმი და თანამედროვე ხელოვნება მსოფლიოსა და საქართველოში.

**საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები**

საფეხურებრივი საკვანძო კითხვები სტანდარტის ცნებებს აკავშირებს შედეგებთან.

- რა არის ხელოვნება?
- რატომ ქმნიან ადამიანები ხელოვნების ნიმუშებს?
- როგორ და რატომ იცვლებოდა ხელოვნების დანიშნულება?
- როგორ ზემოქმედებს ხელოვნება ადამიანზე და საზოგადოების ცხოვრებაზე?
- როგორ გავლენას ახდენს ხელოვნებაზე საზოგადოების მოთხოვნები და ინტერესები?
- რა შეგვიძლია გადმოვცეთ და გავიგოთ ხელოვნების ნიმუშების მეშვეობით?
- რატომ ვსწავლობ სახვით და გამოყენებით ხელოვნებას?
- რისთვის და როგორ ვიყენებ სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს, ტექნიკას, მასალას და იარაღს?

**გ) მეთოდიკური ორიენტირები**

სტანდარტის ამ ნაწილში განსაზღვრულია, თუ რა პრინციპების საფუძველზე უნდა წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი. ასევე, მოცემულია მოკლე ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს კონკრეტული სასწავლო ერთეულის – თემის სწავლა-სწავლება.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლის მოტივირებას და შინაგანი ძალისხმევის გააქტიურებას.
ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.
დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას).
ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეს არ მოეთხოვება მაღალმხატვრული ღირებულების ნამუშევრების შე-ქმნა. ერთმანეთისგან უნდა გაირჩეს „ნიჭი" და „შემოქმედებითობა". შემოქმედებითი ნამუშევარი/პროდუქტი თვითგამოხატვის თვითრეალიზების საშუალებაა, თუმცა უფრო ხშირად, ამ თვალსაზრისით, თავად შექმნის პროცესია უფრო მნიშვნელოვანი, ანუ, კვლევის, აღმოჩენის, ექსპერიმენტირების პროცესი – რომელსაც უდიდესი ღირებულება აქვს - და არა პროდუქტი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თანამედროვე მასალას, ტექნიკას, ტექნოლოგიას (მათ შორის, ციფრულს) და პროცედურას, რომლებიც მოსწავლემ შეიძლება აქტიურად გამოიყენოს მომავალში და ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მოსწავლე ასევე უნდა დაეუფლოს შემოქმედებითი და საორგანიზაციო საქმიანობის დაგეგმვისა და მისი განხორციელების უნარებს სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით; განუვითარდეს სოციალური, საკომუნიკაციო და გუნდური მუშაობის უნარები.

კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის მიზნით უნდა მოეწყოს ექსკურსიები მუზეუმებში, გალერეებში, ისტორიულ ძეგლებზე, შეხვედრები ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან და სხვა. მოსწავლემ მონაწილეობა უნდა მიიღოს საკლასო და სასკოლო გამოფენებში, სპექტაკლებში, აქციებში, ზეიმებსა და სხვა ღონისძიებებში; დახმარება უნდა გაუწიოს უმცროსკლასელებს ზეიმების გაფორმებაში, ინვენტარის შეკეთებაში, კლასის მოწყობაში და სხვა.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

| | |
|---|---|
| კრიტიკული აზროვნება | • ფაქტების, წარმოდგენების, მოსაზრებების კრიტიკულად განხილვა და გაანალიზება;<br>• შეკითხვების ჩამოყალიბება და მათზე პასუხის ძიება;<br>• არგუმენტირებულად მსჯელობა, ანუ საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება შესაფერისი არგუმენტების, მაგალითების მოყვანით;<br>• გონივრული არჩევანის გაკეთება და მისი (არჩევანის) დასაბუთება. |
| თანამშრომლობა | • სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს;<br>• მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად;<br>• განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა;<br>• რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით. |
| ეთიკა | • ეთიკური ნორმების დაცვა;<br>• სოლიდარობის განცდა;<br>• ემპათია;<br>• განსხვავებულობის მიმღებლობა;<br>• საკუთარ სოციალურ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება. |
| კვლევა | • კვლევითი ამოცანის, კვლევის პროცედურების, მონაცემების მოპოვების გზებისა და აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა; სათანადო რესურსების შერჩევა;<br>• კვლევის ჩატარება, მონაცემების აღრიცხვა და სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა/ ორგანიზება;<br>• მონაცემების ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა; კვლევის შედეგების შეფასება;<br>• კვლევითი სამუშაოების ჩატარების დროს ეთიკისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა. |
| სწავლის სწავლა დამოუკიდებლად საქმიანობა | • აქტივობის/დავალების ღირებულების განსაზღვრა - მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძენს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას;<br>• აქტივობის/დავალების დაგეგმვა - (მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის;<br>• სწავლის პროცესის მონიტორინგი - დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა;<br>• სოციოემოციური მართვა - ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროებისამებრ, დახმარების თხოვნა, საკუთარ თავში სიძნელეთა გადალახვის რესურსების პოვნა; შეცდომების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და წინსვლის წყაროდ გამოყენება;<br>• ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტურად გამოყენება. |
| პასუხისმგებლობა | • სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება;<br>• სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება;<br>• საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე პასუხისმგებლობის აღება. |

| | |
|---|---|
| ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება | • ქსელური ძიება (მაგ., სხვადასხვა დროისა და კულტურის ხელოვნების ნიმუშების, ხელოვანების შემოქმედების და სხვ. შესახებ ინფორმაციის მოძიება ანალიზის, ინტერპრეტაციისა და შეფასების მიზნით);<br>• Google Arts & Culture-ის საშუალებით საკუთარი გალერეის შექმნა.<br>• ნამუშევრების შექმნა, დამუშავება კომპიუტერული სახატავი /გრაფიკული პროგრამების გამოყენებით;<br>• ვებგვერდის/ბლოგის შექმნა და სასწავლო პროცესის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტის, ვებგვერდზე/ ბლოგზე განთავსება;<br>• ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ., Word, PowerPoint) სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექსტების დასამუშავებლად. |
| წიგნიერება | • ზეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირებისა და წარდგენა-გაზიარების უნარი. |

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

**სტრატეგიების მოდელირება:** მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამაღლა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმლები მასალა და მისთ.).

**წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე -** მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

**შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე -** მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად) მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

**წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები**

ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურებრივი საგნობრივი სტანდარტები განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს (რა უნდა შეეძლოს და რა უნდა იცოდეს მოსწავლეს). მათზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს.

წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სავალდებულო სასწავლო თემების/თემატური ბლოკების საშუალებით სასწავლო თემა/თემატური ბლოკი წამოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის ნაწილების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. რამდენადაც შედეგებზე

გასვლა და სამიზნე ცნებების (და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების) დაუფლება საგნი სწავლების გრძელვადიან მიზნებს წარმოადგენს, **თითოეული თემის/თემატური ბლოკის ფარგლებში სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს**. მაშასადამე, სასწავლო თემების/თემატური ბლოკების ცვლით შეიცვლება კონტექსტები, მაგრამ არ შეიცვლება სწავლის მიზნები, რომლებიც სტანდარტი შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახითაა ფორმულირებული (შედეგი და სამიზნე ცნება თავისთავად არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

**სასწავლო თემის დასაგეგმად გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:**

**სასწავლო თემა/თემატური ბლოკი**

სასწავლო თემა/თემატური ბლოკი წარმოადგენს კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის/თემატური ბლოკის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.

**თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**

თემატური მკვიდრი წარმოდგენების ფუნქციაა მოსწავლეს წარმოდგენა შეუქმნას შესასწავლი თემის კონტურებზე (თემატურ მკვიდრ წარმოდგენები თვისობრივად განსხვავდება სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებისგან).

**შედეგები, სამიზნე ცნებები და ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**

შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები პასუხს სცემს შეკითხვას - რა გრძელვადიანი მიზნით ვასწავლით მოსწავლეს თემას.

**საგნობრივი საკითხები და ქვეცნებები**

**საკითხები და ქვეცნებები** გამომდინარეობენ სამიზნე ცნებებიდან. მათი სწავლება თვითმიზანს არ წარმოადგენს. საგნობრივი საკითხების და ქვეცნებების საშუალებით ხდება იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად რაზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ სამიზნე ცნებების დასაუფლებლად და სტანდარტის შედეგებზე გასასვლელად. მათზე დაყრდნობით ხდება, ასევე, კომპლექსური დავალების პირობის განსაზღვრა, რომელიც მოსწავლეს სამიზნე ცნებისა და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში ეხმარება.

**კომპლექსური დავალება**

კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში. კომპლექსური დავალება (მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სტრუქტურულ ერთეულებთან - საკითხი, ქვეცნება, საკვანძო შეკითხვა, შეფასების კრიტერიუმი) თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს.

**საკვანძო შეკითხვები**

თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და პასუხს სცემს შეკითხვას - რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? მათი ფუნქციაა:

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;
- სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;
- თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

| აქტივობები და რესურსები |
| --- |
| თემატური მატრიცაში აქტივობები და სასწავლო რესურსები შეირჩევა იმისთვის, რათა მოსწავლეს გაუადვილდეს კომპლექსური დავალებაზე მუშაობა, რომლის შესრულებაც თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს. |
| **შეფასების ინდიკატორები** |
| შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. |

**როგორ აიგება სასწავლო თემა?**

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული და გრძელვადიან მიზნებს განასახიერებენ.

შუალედური მოკლევადიანი მიზნის როლს თემატურ გეგმაში **კომპლექსური დავალება** და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულები **საკითხი**, **ქვეცნებები**, **საკვანძო კითხვები** და **შეფასების ინდიკატორები** ასრულებენ.

თემის ფარგლებში ასევე გამოიყოფა **თემატური მკვიდრი წარმოდგენები.** მათი ფუნქციაა მოსწავლეს წარმოდგენა შეუქმნას შესასწავლი თემის კონტურებზე.

**სასწავლო თემის აგების ბიჯები**

| |
| --- |
| ნაბიჯი 1. **თემატური მკვიდრი წარმოდგენების განსაზღვრა** |
| ნაბიჯი 2. **თემის ფარგლებში დასამუშავებელი სამიზნე ცნებების შესაბამისი საკითხების/ ქვეცნებების განსაზღვრა** |
| ნაბიჯი 3. **საგნობრივი საკითხისა და სამიზნე ცნებების შესაბამისი კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის განსაზღვრა** |
| ნაბიჯი 4. **კომპლექსური დავალების შესაბამისი საკვანძო შეკითხვის/შეკითხვების დასმა და შეფასების კრიტერიუმის შერჩევა** |
| ნაბიჯი 5. **აქტივობებისა და რესურსების შერჩევა, რომელიც მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებაში დაეხმარება** |

**დ) შეფასება**

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და

წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის  გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის.

**შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება**

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად შეფასების რუბრიკა, ანუ კრიტერიუმების ბადე გამოიყენება.

მოსწავლეს თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ ევალება შემაჯამებელი დავალების შესრულება. შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

**ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის**

ქვემოთ შემოთავაზებულია ტიპობრივ დავალებათა ფართო არჩევანი. შემაჯამებელი შეფასებისათვის მასწავლებელი და/ან მოსწავლე შეარჩევს დავალების სასურველ ტიპს/ტიპებს:

- პრაქტიკული სამუშაო - ნამუშევრის შექმნა;
- გამოფენა;
- პროექტი;
- მოხსენება-რეფერატი;
- ნამუშევრის წარდგენა;
- გარკვეული ეპოქის, ხელოვნების ნიმუშის და სხვ. ანალიზი;
- სააზროვნო უნარების შემოწმებაზე ორიენტირებული ტესტი;
- და სხვ.

**მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი შემაჯამებელი დავალება**

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- დავალების შეფასების რუბრიკა, შეფასების ინდიკატორების გარდა, უნდა ეფუძნებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლ უნარებსა და ღირებულებებს;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე.

**შეფასების რუბრიკის შესაძლო ფორმა**

| **კლასი**<br>**მოსწავლის სახელი, გვარი** | | |
|---|---|---|
| **თემა** | | |
| **დავალების პირობა** | | |
| **შეფასების კრიტერიუმები** | **ქულები** | **კომენტარი** |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |

## ცნობარი:

ძირითადი ტერმინები და მათი განმარტება:

**ხელოვნების დარგები და სახეობები:**

**მხატვრობა:**

**ფერწერა** – მონუმენტური ფერწერა (ფრესკა, მოზაიკა), დაზგური ფერწერა, მინიატიურა, ხატწერა.

**გრაფიკა:** დაზგური გრაფიკა, ბეჭდური გრაფიკა;

**ქანდაკება** – სხვადასხვა მასალისაგან გამოსახულების ძერწვისა და კვეთის ხელოვნება;

**ქანდაკების სახეობები:**

მრგვალი ქანდაკება, რელიეფი (ბარელიეფი, ჰორელიეფი);

**არქიტექტურა** – საკულტო, თავდაცვითი, ადმინისტრაციული, სამოქალაქო, ინდუსტრიული, მემორიალური, ლანდშაფტის;

**დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგები:** ყველა დარგი, რომელიც ქმნის დიზაინით გამორჩეულ საყოფაცხორებო დანიშნულების ნაკეთობებს – ავეჯს, ქსოვილებს, ჭურჭელს, იარაღს, ტანსაცმელს, სხვადასხვა სახის მოსართავებს და სხვ.

**სახვითი ხელოვნების ჟანრები:**

**პორტრეტი** – ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის გამოსახულება

**პეიზაჟი** – გარემოს ხედი

ურბანული პეიზაჟი – ქალაქის ხედი

მარინა – ზღვის ხედი

ვედუტა – XVII ს-ის ვენეციაში პოპულარული ურბანული პეიზაჟი

**ნატურმორტი** – უსულო საგნების ამსახველი ჟანრი

ვანიტასი – ნატურმორტის სახეობა ამაოებაზე მიმანიშნებელი ატრიბუტებით

**ყოფითი** – ყოველდღიური ყოფის ამსახველი ჟანრი

ბოდეგონესი – XVII ს-ში პოპულარული, დუქნებისა და უბრალო ადამიანების სადღლობის სცენები

**ისტორიული** – ისტორიული პირებისა და მოვლენების ამსახველი ჟანრი

ბატალური – ბრძოლის ამსახველი ჟანრი

რელიგიური – რელიგიური სიუჟეტებისა და პერსონაჟების ამსახველი ჟანრი

მითოლოგიური – მითოლოგიური სიუჟეტებისა და პერსონაჟების ამსახველი ჟანრი

**სახვითი ხელოვნების ძირითადი საშუალებები (ელემენტები):**

ხაზი, ფერი, ფორმა (სიბრტყობრივი და მოცულობითი), ფონისა და გამოსახულების ურთიერთ-მიმართება, შუქ-ჩრდილი, ფაქტურა.

**სახვითი ხელოვნების ძირითადი ხერხები (პრინციპები):**

კომპოზიცია, წონასწორობა, სიმეტრია/ასიმეტრია, აქცენტი, რიტმი, კონტრასტი, პერსპექტივა (ჰაეროვანი, ხაზოვანი), რაკურსი, სტატიკა/დინამიკა, ჰარმონია, პროპორცია/დისპროპორცია, მასშტაბი, ორნამენტი.

## თემატური ბლოკი: საზოგადოება და ხელოვნება (16+2 სთ)

*თავების მიმდევრობა მოსწავლის წიგნში:*


სასწავლო თემა: ხელოვნება საზოგადოების სამსახურში ........7

1. თანამედროვე საზოგადოების გამოწვევები ........8
2. ხელოვნება პოლიტიკის სამსახურში ........ 10
3. ხელოვნება ომის წინააღმდეგ ........ 18
4. ხელოვნება სოციალურ პრობლემებზე ........ 26
5. ხელოვნება რელიგიის სამსახურში ........ 34
6. ახალი სახვითი ენა ........ 40
7. ქრისტიანული საქართველო ........ 52
8. ისლამური ხელოვნება ........ 62
9. მხატვრობა ........ 68
10. სპარსული კერამიკა ........ 76
11. ხელოვნება განათლების სამსახურში (კალიგრაფია) ........ 78
12. მინიატურა ........ 80
13. ქრისტიანული საკულტო არქიტექტურა ........ 90
14. დასავლეთ ევროპის საკულტო არქიტექტურა ........ 100
15. რელიგიური დეკორი ........ 108

# თემატური ბლოკი 1: საზოგადოება და ხელოვნება

<table>
<tr><td colspan="4">თემა: ხელოვნება საზოგადოების სამსახურში     საათების სავარაუდო რაოდენობა: 16სთ + 2სთ</td></tr>
<tr><td colspan="4">თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:</td></tr>
<tr><td colspan="4">
• სახვითი ხელოვნება არავერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმაა;<br>
• ხელოვნების ნაწარმოებებით შეიძლება ბევრი რამ გავიგოთ სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის საზოგადოებების შესახებ.<br>
• ხელოვნების ნიმუშის იერსახეზე გავლენას ახდენს ისტორიული ვითარება, პოლიტიკური წყობა, სოციალური მდგომარეობა, რელიგია და ტრადიციები.<br>
• სხვადასხვა ეპოქაში ხელოვნება ემსახურება პოლიტიკას, რელიგიას და ხალხის სოციალურ მოთხოვნილებებს ასახავს.<br>
• მხატვრული ენის (სახვითი საშუალებებისა და ხერხების) საშუალებით ხელოვნება მოგვითხრობს, როგორი იყო საზოგადოება ამა თუ იმ ეპოქაში.<br>
• ისტორიული ეპოქების ცვლილებამ შეცვალა მხატვრული ხერხები, რადგან გაჩნდა ახალი მასალები, ტექნოლოგიები და შემოქმედებითი იდეები.<br>
• ხელოვნებას საზოგადოების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია.<br>
• ხელოვნების ნიმუშის საშუალებით შემიძლია გადმოვცე რაიმე მოვლენისადმი საკუთარი დამოკიდებულება.<br>
• ადრეული ეპოქების მხატვრული გამოცდილების ცოდნა გამომადგება საკუთარი შემოქმედებითი არჩევანის გაკეთებაში.
</td></tr>
<tr><td colspan="4">თემატური ბლოკის ფარგლებში დასამუშავებელი თემები და ქვეთემები:</td></tr>
<tr><td colspan="4">
1. ხელოვნების ნაწარმოების განხილვა ისტორიულ-რელიგიურ-სოციალურ კონტექსტში<br>
2. სახვითი ხელოვნების ჟანრები (ისტორიული, ბატალური, რელიგიური, ყოფითი) და მათი იდეოლოგიური ფუნქცია<br>
3. აგიტაცია-პროპაგანდა ხელოვნებაში<br>
4. ეპოქა (შუა საუკუნეები) და მისი ხელოვნების მახასიათებლები<br>
5. ქრისტიანული და ისლამური საკულტო არქიტექტურა და მისი დეკორი
</td></tr>
<tr><td>სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:</td><td>საკითხი და ქვეცნებები:</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები:</td><td>კომპლექსური დავალებები (ტიპები):</td></tr>
<tr>
<td>სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები):<br>• ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი ხელოვნების ელემენტებს და პრინციპებს;<br>• სახვითი ხელოვნების ენას ვიყენებთ არა მხოლოდ ნამუშევრის შექმნისას, არამედ ხელოვნების ნიმუშებზე შთაბეჭდილებების იდეების, აზრის გამოთქმისას;</td>
<td>საშუალებები (ელემენტები): (ფერი: კონტრასტული; ხაზი; ფონისა და გამოსახულების ურთიერთ-მიმართება).<br><br>ხერხები (პრინციპები): (სტატიკა-დინამიკა, კონტრასტი,</td>
<td>• რა შეიძლება გავიგოთ სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის საზოგადოებების შესახებ ხელოვნების საშუალებით?<br>• რა ფაქტორები ახდენს გავლენას ხელოვნების ნიმუშის იერსახეზე?</td>
<td>კვლევა <u>(მასწავლებლის არჩევანით):</u><br>• სხვადასხვა ეპოქის ნამუშევრების მოძიება, თემატურად დახარისხება, ციფრულ ალბომად ორგანიზება, მოხსენების მომზადება; ფოტორეპორტაჟი;<br><br>ნამუშევრის ანალიზი <u>(სავალდებულო):</u><br><br>• სხვადასხვა ეპოქის ერთსა და იმავე თემაზე შესრულებული ნამუშევრების</td>
</tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| **სახვითი ხელოვნების ტექნიკა:**<br>• ხელოვანი, მასალას და ტექნიკას ირჩევს მხატვრული ჩანაფიქრის მიხედვით.<br>• კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა, იცვლებოდა და ჩნდებოდა ხელოვნების ახალი ფორმები, მასალა და ტექნიკა<br><br>**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები:**<br>• ხელოვნება ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახით გვხვდება;<br>• ხელოვნების ნიმუშები სხვადასხვა მიზნითა და დანიშნულებით იქმნება;<br>• ხელოვნების დარგებად დაყოფას გამოყენებული მასალა, ტექნიკა ან დანიშნულება განაპირობებს;<br>• თითოეული დარგისთვის სახვითი ხელოვნების რომელიმე გამომსახველობითი საშუალება თუ ხერხია მეტად დამახასიათებელი;<br>• სახვითი ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით.<br><br>**სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები:**<br>• ყველა ეპოქის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნებას აქვს თავისი მახასიათებელი, რომელსაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს;<br>• ხელოვნებაში მიმდინარე ცვლილებები (ხელოვნების დანიშნულება, მისდამი დამოკიდებულება, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, ტექნიკა, მასალა, იარაღი, დარგები, ფორმები და სხვ.) პირდაპირ კავშირშია კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარე ცვლილებებთან (მსოფლმხედველობა, ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია და სხვ.); | კოლორიტი, აქცენტი; ორნამენტი, დისპროპორცია, ჰარმონია).<br><br>**დარგები:** მხატვრობა – ხატწერა, ფრესკა, ვიტრაჟი, გრაფიტი, მინიატურა, გრაფიკა; ქანდაკება; ფოტოგრაფია; ციფრული მედია.<br><br>**ჟანრები:**<br>ისტორიული, რელიგიური, ყოფითი.<br><br>**ტექნიკა:**<br>ხატვა, ფრესკა, ძერწვა, ციფრული მედია, ფოტოგრაფია.<br><br>**ეპოქა/კულტურა/ მიმდინარეობა/ სტილი და შესაბამისი ხელოვნების ნიმუშები:**<br>სხვადასხვა; შუა საუკუნეების ისლამური და ქრისტიანული ხელოვნება. | • რა მხატვრული ხერხებით გვიამბობს ხელოვნება ამბავს?<br>• რას ემსახურება ხელოვნება სხვადასხვა ეპოქაში?<br>• რით განსხვავდება სხვადასხვა დროის საზოგადოების მიერ შექმნილი ხელოვნება ერთმანეთისგან?<br>• რა როლი აქვს ხელოვნებას საზოგადოების ცხოვრებაში?<br>• რა როლი აქვს საზოგადოებას ხელოვნების ფორმირებაში?<br>• როგორ შეიძლება გადმოვცეთ რაიმე მოვლენისადმი საკუთარი დამოკიდებულება ხელოვნების ნიმუშის საშუალებით?<br>• რაში გამოგვადგება დღეს ადრეული ეპოქების მხატვრული გამოცდილების ცოდნა?<br>• როგორ იყენებენ ადამიანები ხელოვნებას თვითგამოხატვისთვის? | შედარებითი ანალიზი, ინტერპრეტაცია და შეფასება.<br>• ეპოქების, მხატვრული ენის შედარებითი **T** სქემების შედგენა;<br><br>**პრაქტიკული სამუშაო:**<br><u>(მასწავლებლის არჩევანით):</u><br><br>• სააგიტაციო პლაკატი<br>• ტექსტის ილუსტრირება<br>• ჭედური რელიეფი<br>• ძერწვა<br>• კალიგრაფიული ნამუშევარი<br>• ორნამენტი (არაბესკა)<br>• ფრესკის იმიტაციის შექმნა<br>• ვიტრაჟის იმიტაციის შექმნა<br><br>**კომპლექსური პროექტები:**<br>• ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები თანატოლების მხარდამჭერი აქციისთვის პოსტერების შექმნა;<br>ან<br>• პოსტერი: „მე მინდა შევცვალო“.<br><br>• ხელოვნებით მოზარდი თაობის პრობლემებისადმი პოზიციის გამოხატვა <u>(მასწავლებლის არჩევანით).</u><br><br>• აფორიზმების ციფრული და ქაღალდის წიგნი (ილუსტრაცია, კალიგრაფია, საზედაო ასოებისა და ჩარჩოების ორნამენტით გაფორმება, რელიეფური ან მოზაიკური ყდა). (ინდივიდუალური და ჯგუფური სამუშაო) <u>(სავალდებულო)</u> |

| | | | |
|---|---|---|---|
| • სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს ურთიერთ ზეგავლენა; ხელოვნების საშუალებით სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის შესახებ ბევრი რამის გაგება შეიძლება | | | • პროექტი „ტაძარი“ (სავალდებულო). ბიზანტიური, ქართული, რომანული და გოთიკური ტაძრების ფასადების სამგანზომილებიანი მოდელების შექმნა და გაფორმება შესაბამისი დეკორით (მასალის ფაქტურა, გარგულიები, ვიტრაჟი, ჩუქურთმა და სხვ). |
| **შეფასების კრიტერიუმები თემატური ბლოკისთვის – „ხელოვნება საზოგადოების სამსახურში“:** | | | |

**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**
**სახვითი ხელოვნების ტექნიკა:**

- შეარჩევს ხელოვნების სასურველ ფორმას (მაგალითად, პოსტერი, მაკეტი და სხვ.), იყენებს შესაბამის მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, ხერხებს, მასალას და ტექნიკას საკუთარი ჩანაფიქრის, დამოკიდებულების უკეთ გადმოსაცემად ამა თუ იმ მოვლენის, ფაქტის, მიმართ **(ს.გ.საბ.1, 2, 4);**
- ქმნის ნამუშევარს სხვადასხვა მხატვრულ სტილში (მაგ.: სქემატური, სტილიზებული), ჩანაფიქრის შესაბამისად ირჩევს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, ხერხებს, მასალას, ტექნიკას **(ს.გ.საბ.1,2);**
- ნამუშევარში იყენებს იმ მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს, რომელსაც შერჩეულ ეპოქასა ან კულტურაში იყენებდნენ ადამიანზე ზემოქმედების მოსახდენად (მასშტაბი, პროპორცია, კონტრასტი, ძირითადის გამოყოფა და სხვ.) **(ს.გ.საბ.1, 4);**

**სხვადასხვა ეპოქის/მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები**
**ახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები:**

- აანალიზებს რომელიმე ეპოქის ან კულტურის ხელოვნების ნიმუშს და მსჯელობს, რა ინფორმაცია მიიღო მისი მეშვეობით **(ს.გ.საბ.3);**
- აანალიზებს ხელოვნების საზოგადოებაზე ზემოქმედების ფორმებს და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებს **(ს.გ.საბ.3, 4);**
- მსჯელობს ხელოვნებაზე, როგორც საზოგადოების თვითგამოხატვის საშუალებაზე, მოჰყავს რამდენიმე მაგალითი **(ს.გ.საბ.3, 4);**
- მსჯელობს კულტურის/კულტურების ან ეპოქების ურთიერთგავლენაზე რამდენიმე მაგალითის საფუძველზე **(ს.გ.საბ.4);**
- ადარებს ორ ეპოქას ან კულტურას საზოგადოებაზე ზემოქმედების საშუალებების მიხედვით **(ს.გ.საბ.4).**

დავალებების მატრიცა 1/1

<table>
<tr><td>გაკვეთილები 1 - 4</td><td colspan="2">გამაერთიანებელი თემა: ხელოვნება – დროის სარკე</td></tr>
<tr><td>საკითხი და ქვეცნებები</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები</td><td>კომპლექსური დავალებები</td></tr>
<tr><td>ელემენტები:<br>ხაზი, ფერი, ფორმა, ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება.<br><br>პრინციპები: კომპოზიციური განაწილება, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი, თანაფარდობა, მასშტაბი, ხედვის წერტილი.<br><br>დარგები:<br>გრაფიკა (დაზგური, ბეჭდვითი), გრაფიტი.<br><br>სახვითი ხელოვნების ტექნიკა:<br>გრაფიკა, ციფრული ტექნოლოგიები.</td><td>• როგორ ასახავს ხელოვნება პოლიტიკურ ვითარებას?<br>• რა მხატვრული ხერხებით გამოხატავენ ხელოვანები პროტესტს ომის წინააღმდეგ?<br>• რა ინფორმაცია შეიძლება მივიღო ხელოვნების ნიმუშებით სხვადასხვა დროისა და ქვეყნის საზოგადოებაში ომისადმი დამოკიდებულების შესახებ?<br>• როგორ არის ჩაბმული ხელოვნება აგიტაციისა და პროპაგანდის საქმეში?<br>• რა შინაარსის მოწოდებებს ასახავენ პლაკატები?<br>• რა სახვით საშუალებებსა და ხერხებს იყენებს სააგიტაციო პლაკატი?<br>• რა ხერხებით გვიჩვენებს ხელოვნება საზოგადოების სატკივარს?<br>• როგორ შეუძლია ხელოვნებას საზოგადოების სასიკეთოდ შეცვალოს ვითარება?<br>• როგორ შეიძლება გადმოვცე საზოგადოების პრობლემებისადმი საკუთარი დამოკიდებულება ხელოვნების საშუალებით?</td><td>• ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები თანატოლების მხარდამჭერი აქციისთვის „ჩვენ გვინდა მშვიდობა“ პლაკატების შექმნა.<br><br>• ნახატის, აპლიკაციის, ფოტომონტაჟის ან ციფრული კოლაჟის ხერხით მოზარდი თაობის გამოწვევების შესახებ პლაკატის შექმნა.</td></tr>
<tr><td colspan="2">1. თანამედროვე საზოგადოების გამოწვევები<br><br>შესავალი საუბარი (ეპოქების მოკლე მიმოხილვა წინარე ცოდნის გააქტიურებისთვის):<br><br>პრეისტორიული ხელოვნება გვიამბობს, რომ ადამიანის მთავარი ემოციური შთაბეჭდილება ცხოველს უკავშირდება. პირველყოფილი ადამიანისთვის ცხოველი მეტოქეც იყო და საკვებიც. ის საათობით აკვირდებოდა ნადირს და გამოქვაბულის კედლებზე ხატავდა. ასე მოაღწია ჩვენამდე ლასკოს, ალტამირასა და სხვა გამოქვაბულების პალეოლითურმა მხატვრობამ.<br>ტასილი-ნ'აჯერის კედლის ნახატები გვამცნობენ, რომ ადამიანმა უკვე ცხოველი მოიშინაურა, სანადირო და სოფლის მეურნეობის იარაღები გამოიგონა, მაგიური რიტუალები დააწესა.<br>ძველი შუამდინარეთის ხელოვნება მეფეს განადიდებს;<br>ძველი ეგვიპტისა – საიქიო ცხოვრებას ეძღვნება. მის კულტურაზე სამარხები და სულის მოსახსენებელი ტაძრები გვიამბობენ;<br>ძველი საბერძნეთის ხელოვნება დემოკრატიული ქალაქ-სახელმწიფოს მოქალაქის იდეალს ამკვიდრებს;</td><td></td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| **რომისა** – რესპუბლიკისა და იმპერიის სამხედრო ინტერესებს ემსახურება; რომის საზოგადოებაზე აკვედუკები, ამფითეატრები, ტრიუმფალური თაღები, მდიდრული ვილები და აბანოები გვიამბობენ.<br>**შუა საუკუნეების ხელოვნება**, უმეტესწილად, რელიგიურია. შუა საუკუნეებმა შემოგვინახეს ციხე-სიმაგრეები, კათედრალები, მეჩეთები.<br>**აღორძინების (რენესანსი) ხანაში** გაჩნდა კერძო პირთა მდიდრული სასახლეები, ე.წ. პალაცოები.<br>**ბაროკო** კი გარემოსაც გადასწვდა და ბუნება კოხტად გაკრეჭილი ბუჩქებით, შადრევნებითა და პარკებით მოალამაზა.<br>**არადემოკრატიულ, ტოტალიტარულ სახელმწიფოებში**, სადაც მთავარ დამკვეთად ხელისუფლება გვევლინება, იქმნება გრანდიოზული, მონუმენტური ადმინისტრაციული შენობები.<br>თითოეული ეპოქა თავისი გამოკვეთილი ინტერესებით გამოირჩევა. ხელოვნება, როგორც დროის სარკე, ამ ინტერესების გამომხატველია.<br>ხელოვნება ხან პოლიტიკის სამსახურშია, ხან – რელიგიის, ხან – კომერციის, ხანაც – გართობისა და დასვენების. საზოგადოება ქმნის ხელოვნებას, ხოლო ხელოვნება ქმნის იმ გარემოს, რომელშიც საზოგადოება ცხოვრობს.<br><br>• **დისკუსია:**<br>დისკუსიის მიზანია, მოსწავლეები მივიდნენ დასკვნამდე, რომ:<br>ხელოვნება არის საზოგადოების სახვითი რეაქცია მიმდინარე პროცესებზე.<br>საზოგადოების მსოფლმხედველობა აისახება თანადროულ ხელოვნებაში, ხოლო ხელოვნება ამ იდეების გავრცელება-დამკვიდრებას ემსახურება.<br><br>სადისკუსიო შეკითხვები:<br>✓ როგორია დღევანდელი საზოგადოება?<br>✓ როგორ გესმით გამოთქმა – „ხელოვნება საზოგადოების სარკეა“?<br>✓ რა განსაზღვრავს ხელოვნების ნაწარმოების შინაარსს?<br>✓ რას და როგორ გვიამბობს ხელოვნება საზოგადოებისა და მისი პრობლემების შესახებ?<br>✓ დააკვირდი ლე კორბუზიესა და როტკოს ტაძრებს. რა მიგანიშნებს, რომ ისინი მე-20 საუკუნის ქმნილებებია?<br>*საკმარისია, მოსწავლეებმა შეამჩნიონ, რომ ლე კორბუზიესა და მარკ როტკოს ტაძრებს უჩვეულო, არატრადიციული ფორმები აქვთ.<br>✓ როგორ წარმოგიდგენია საქართველოს საკულტო არქიტექტურა თანამედროვე შეხედულებების, მასალებისა და ტექნოლოგიების გათვალისწინებით?<br>*თანამედროვე საკულტო არქიტექტურის ინტერიერის დეკორში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით იხ. ვიდეო:<br>ციფრული პროექცია მონრეალის ნოტრ-დამის (კანადა) ბაზილიკაში:<br>https://www.youtube.com/watch?v=FV3XdOda3zM | |

## 2. ხელოვნება პოლიტიკის სამსახურში

მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, თუ რა და რა სახით დგას ხელოვნება პოლიტიკის სამსახურში. ქანდაკება იქნება ეს, არქიტექტურული ნაგებობა თუ ფრჩხილისოდენა მონეტა, ყველაფერი შეიძლება სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურებოდეს.

დამატებითი საილუსტრაციო მასალა ტრიუმფალური თაღებისთვის და კოლონებისთვის დაანახებს მოსწავლეებს საერთო დამპყრობლურ სულისკვეთებას რომისა და ნაპოლეონის იმპერიებს შორის (რომაული: ტიტუსის, ადრიანეს, სეპტიმიუს სევერუსის თაღები; მარკუს ავრელიუსის კოლონა რომში; ნაპოლეონის დროინდელი: პარიზის ტრიუმფალური თაღი, კარუზელის თაღი, კოლონა ვანდომის მოედანზე).

როდესაც ხელოვნების დამკვეთი სახელმწიფოა, არსებული პოლიტიკური იდეების დამკვიდრებისთვის ხელოვნება სხვადასხვა ეპოქაში მსგავსი მხატვრული ხერხებით სარგებლობს (პერსონაჟების პოზები, ჟესტიკულაცია და სხვ; ფიდიასისეული, „ოლიმპოელი ზევსის“ ქანდაკებისა და ენგრისეული, „ნაპოლეონის პორტრეტის“ შედარება; ნიკეს ანტიკური ქანდაკების, დელაკრუას „თავისუფლება ბარიკადებზე“ და მუხინას ქანდაკების „მუშა და კოლმეურნე“ პოზებისა და ჟესტიკულაციის შედარება). მოსწავლეები გააცნობიერებენ, რომ ეს პოზები და ჟესტიკულაცია ოდითგან დამკვიდრდა და უკვე სტერეოტიპულად იქცა.

შენიშვნა:

„ჯანსაღ სხეულში ჯანსაღ სულთან“ დაკავშირებულ შეკითხვაზე: „დღევანდელი გადასახედიდან, რამდენად სწორად მიგაჩნია ეს მიდგომა?“ მსჯელობისას, მნიშვნელოვანია, მოსწავლეები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ძველი საბერძნეთის ეს მიდგომა საფრთხეს უქმნიდა მათ, ვინც ამ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებდა.

მოსწავლეებს უნდა განუმარტოთ, რომ ეს პროპაგანდისტული დევიზი ემსახურებოდა მოქალაქეებში განათლებისა და ფიზიკური სრულყოფისკენ სწრაფვის დამკვიდრებას, რათა ომში თუ ოლიმპიურ შეჯიბრში მათ საკუთარი ქალაქ-პოლისის ღირსება დაეცვათ. ეს პოსტულატი შეიცავს მცდარ საზრისს. ისტორიამ დაგვანახა, რომ ადამიანის გონიერება და კეთილშობილება ფიზიკურ მონაცემებზე არ არის დამოკიდებული.

*პერგამონის საკურთხევლის ფოტოზე გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს ფრთოსანი ფიგურა გამოსახულია რელიეფის მარჯვენა კიდეში, მაღლა აწეული ხელით.

*მომდევნო თავებში მოსწავლეები კვლავ მიუბრუნდებიან ხელოვნებაში პოზისა და ჟესტიკულაციის მნიშვნელობას, ქვეტექსტს. მოცემული დისკუსია დაეხმარება მოსწავლეებს, მომავალ თავებში უკეთ გაიაზრონ მათი მნიშვნელობა. წლის საბოლოო პროექტის („ტოლერანტული ქალაქი“) მომზადებისას მათ მოუწევთ სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ამსახველ „უბანში“ თითო კოსტიუმირებული პერსონაჟის ჩასმა. პოზისა და ჟესტიკულაციის მნიშვნელობის ცოდნა დაეხმარება მოსწავლეებს სახასიათო პერსონაჟის შექმნაში).

- **მსჯელობა პოსტერების (პლაკატების) გარშემო:**
  - ✓ რით განსხვავდება სააგიტაციო პლაკატები (პოსტერები) სარეკლამო პლაკატებისგან?
  - ✓ ვინ არის ამ მოწოდების სამიზნე აუდიტორია?
  - ✓ მოახდენს თუ არა იგი ეფექტს მნახველზე?
  - ✓ რა მხატვრული საშუალებები და ხერხები გამოიყენა ავტორმა მიზნის მისაღწევად?
  - ✓ რას ნიშნავს აგიტაცია?
  - ✓ რას ნიშნავს პროპაგანდა?

**პასუხები:**

სააგიტაციო პლაკატის მიზანია, საზოგადოება დაარწმუნოს პოლიტიკური პოზიციის სისწორეში, დაიყოლიოს ხალხის ფართო მასები, გახადოს თავის თანამოაზრედ. ამ შემთხვევაში სამიზნე აუდიტორია არის ამომრჩეველი.

სარეკლამო პლაკატის მიზანია, ფართო მასებს მოაწონოს ესა თუ ის კომერციული პროდუქცია, აქციოს ადამიანები ამ პროდუქციის მომხმარებლად, მყიდველად.

საგიტაციო პლაკატებში ჩანს შემდეგი გამომსახველობითი ხერხების გამოყენება: **ჟესტიკულაცია** (წინ გაშვერილი ხელით, ლიდერის, წინამძღოლის ჟესტიკულაცია), **მასშტაბი** (მსხვილი ფიგურები), **ფერები** (კონტრასტული, მკვეთრი, შორიდანვე ადვილად შესამჩნევი), **ფორმა** (მსხვილი, განზოგადებული, დეტალიზაციის გარეშე, რათა გამოსახულება შორიდან კარგად აღიქმებოდეს), **ტექსტის შინაარსი** (მოწოდება - მოკლე, ლაკონური, ტევადი, გასაგები), **ტექსტის ზომა** – მსხვილი, შორიდან ადვილად აღსაქმელი) **რაკურსი** (ფიგურას ქვემოდან ვხედავთ, ის ზემოდან დაგვცქერის, ჩვენზე დომინირებს).

**აგიტაცია** – სიტყვიერი, ბეჭდვითი ან სახვითი ხერხით საზოგადოების პოლიტიკურ ცნობიერებაზე ზეგავლენის მოხდენის, აგიტატორის სასარგებლოდ მისი დარწმუნების მცდელობა.
**პროპაგანდა** – საზოგადოების შეხედულებებზე სიტყვიერად, ლოზუნგით, სახვითი საშუალებებით იდეური ზეწოლა. პროპაგანდა საზოგადოებას აწვდის მხოლოდ პოლიტიკურად მომგებიან, არასრულ ინფორმაციას.

- **კვლევა:**
  პლაკატის გამომსახველობითი ხერხების – კონტრასტული და მონათესავე ფერებისა და მათი თვისებების შესწავლა. ფერის ბორბალზე კონტრასტული წყვილებისა და მონათესავე ფერების გარშემო მსჯელობა; ფერებით ექსპერიმენტირება.

ფერის ბორბალი: https://copicmarkertutorials.com/wp-content/uploads/2015/08/complimentary-color-wheel.jpg

- **პლაკატის წარწერების და შრიფტის მახასიათებლების შესწავლა.**
  მოსწავლეები მსჯელობენ შრიფტის შესაბამისობაზე პლაკატის მოთხოვნებთან.

*კვლევის მიზანია, მოსწავლეებმა, ილუსტრაციებსა და საკუთარ ექსპერიმენტებზე დაკვირვების შედეგად, აღმოაჩინონ მსგავსებები (კონტრასტული ფერები, მსხვილი და განზოგადებული ფორმები, მსხვილი, მკაფიო შრიფტით შესრულებული მოკლე წარწერა და სხვ.)

ამისათვის მოსწავლეებს შეუძლიათ ამოჭრან რამდენიმე ასო სხვადასხვა ფერის ფერადი ფურცლებიდან, ვთქვათ, ნარინჯისფერი ასოები (ერთი პატარა ზომის, მეორე - დიდი ზომის) და დაადონ ისინი მონაცვლეობით კონტრასტული ფერის (ლურჯ) ფურცელს, შემდეგ კი მონათესავე ფერის (წითელ ან ყვითელ) ფურცელს და იმსჯელონ, რომელ ფონზე ჩანს ასო უფრო მკაფიოდ; რომელი ზომის ასო (დიდი თუ პატარა) ჩანს უკეთ მოცემული ფერის ფონზე.

- **პრაქტიკული სამუშაო:**
  გადაუღე ქუჩაში გამოკრულ პლაკატებსა და ბანერებს ფოტოები და ატვირთე შენს ბლოგზე. გაუზიარე კოლექციის ელექტრონული ალბომი მეგობრებს. იმსჯელეთ, რომელი უფრო იქცევს ყურადღებას და რა სახვითი ხერხებით არის მიღწეული ეს ეფექტი. (ინდივიდუალური სამუშაო, საშინაო დავალება).

- კომპიუტერის სახატავი პროგრამის მეშვეობით შექმენი ციფრული პოსტერი, რომელშიც გაითვალისწინებ წარწერის ზომის, ფერის, გამოსახულებისა და ფონის ფერის ურთიერთშეხამებას ისე, რომ ლოზუნგი შორი მანძილიდან იკითხებოდეს. ატვირთე საკუთარ ბლოგზე და გაუზიარე მეგობრებს. (ინდივიდუალური სამუშაო)

## 3. ხელოვნება ომის წინააღმდეგ

- მსჯელობა:
  - ✓ რას ასახავს ისტორიული ჟანრი?
  - ✓ რას ასახავს ბატალური ჟანრი?
  - ✓ ილუსტრაციებიდან რომელია ბატალური ჟანრის?
  - ✓ ომის მიმართ რა დამოკიდებულებას ასახავენ ხელოვანები?
  - ✓ რომელ მათგანში ჩანს პროტესტი, ხოლო რომელი – უბრალოდ გვიამბობს ომის ფაქტის შესახებ?
  - ✓ რომელი პერიოდის ნამუშევრები გამოხატავენ პროტესტს ომის წინააღმდეგ?
  - ✓ რა მხატვრული ხერხებით განსხვავდება XIX-XX საუკუნის ომის თემაზე შექმნილი ნამუშევრები წინამორბედი ეპოქების ამავე თემაზე შექმნილი ნამუშევრებისგან?
  - ✓ რა მხატვრული საშუალებებითა და ხერხებით აკეთებს ფრანსისკო გოია აქცენტს გულადი მეამბოხის ფიგურაზე?
  - ✓ შეადარე პიკასოს „ჟლეტა კორეაში“ გოიას ფერწერულ ტილოს. რა მხატვრული ხერხებით განსხვავდება ან წააგავს პიკასოს სურათი გოიას ნამუშევარს? რომელმა იმოქმედა შენზე ყველაზე მძაფრად?
  - ✓ გაიხსენე ნახატი, ფილმი ან ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც რუსეთ-საქართველოს ომს ეძღვნება (აფხაზეთისა და ოსეთის). რა შთაბეჭდილება მოახდინა მან შენზე?

პასუხები:

- ✓ **ისტორიული ჟანრი** ასახავს ისტორიულ ფაქტს, ხოლო **ბატალური** – ისტორიული ჟანრის ქვეჟანრია, რომელიც ასახავს ბრძოლის, საომარი მოქმედების სცენას.

- ✓ სახელმძღვანელოში მოცემული ილუსტრაციებიდან ბატალურ ჟანრს განეკუთვნება შემდეგი ნამუშევრები:

  ალექსანდრე მაკედონელის ბრძოლა დარიუსთან, პომპეის მოზაიკა, ძვ.წ. I ს.;

  პაოლო უჩელო, „სან რომანოს ბრძოლა“, 1432 წ.;

  სპარსული მინიატიურა, XIII ს.;

  ნიკო ფიროსმანი, „რუსეთ-იაპონიის ომი“, 1906 წ.

- ✓ სხვადასხვა ეპოქის ნამუშევარში ჩანს ომისადმი სხვადასხვა დამოკიდებულება. ადრეული ნამუშევრები გვიამბობენ ომის ფაქტის შესახებ, განადიდებენ სამხედრო გამარჯვებას, გვიანდელებში ჩანს შეურიგებელი დამოკიდებულება ომის მიმართ.
- ✓ ხელოვნების ნიმუშის იერსახეზე გავლენას ახდენს ეპოქის ხასიათი. ისტორიული ეპოქების ცვლილებამ შეცვალა მხატვრული ენა, რადგან გაჩნდა ახალი შემოქმედებითი იდეები.

| | |
|---|---|
| ✓ ხელოვანები სხვადასხვა მხატვრული საშუალებებით გამოხატავენ პროტესტს ომის წინააღმდეგ. XX ს-ის ხელოვნება ომის დაგმობისთვის სარგებლობს ისეთი მხატვრული ხერხებით, როგორიცაა დეფორმაცია, უტრირება, მასშტაბის რღვევა და სხვა.<br>✓ ფრანსისკო გოია გულადი მეომრის ფიგურაზე ყურადღებას გვიმახვილებს განათებით, პოზით, ფერით. გოიას ნამუშევარში კონტრასტული განათება დრამატულ ეფექტს ქმნის, პაბლო პიკასოს ნამუშევრებში დეფორმაცია ომის დამანგრეველი შედეგების ამსახველია.<br><br><u>დამატებითი საილუსტრაციო მასალა ბატალური ჟანრისთვის:</u><br>ქადეშის ბრძოლა, რელიეფი, ძველი ეგვიპტე<br>https://editorial01.shutterstock.com/wm-preview-1500/5850732hz/13575f1c/art-archaeology-various-shutterstock-editorial-5850732hz.jpg<br><br>თემურლენგის ბრძოლა ეგვიპტელებთან, სპარსული მინიატიურა, 1515 წ.<br>https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/3/36/Behzad_timur_egyptian.jpg<br><br>ლეონარდო და ვინჩის დაკარგული ნამუშევრის „ანგიარის ბრძოლა“ რუბენსისეული ასლი, 1603 წ.<br>https://en.wikipedia.org/wiki/Battle_of_Anghiari#/media/File:Peter_Paul_Ruben's_copy_of_the_lost_Battle_of_Anghiari.jpg<br><br>ჯორჯო ვაზარი, ფრესკა „მარჩიანოს ბრძოლა“, 1570 წ.<br>https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/thumb/b/ba/Giorgio_Vasari_-_The_battle_of_Marciano_in_Val_di_Chiana_-_Google_Art_Project.jpg/800px-Giorgio_Vasari_-_The_battle_of_Marciano_in_Val_di_Chiana_-_Google_Art_Project.jpg<br><br>ანრი რუსო, „ომი“, 1894 წ.<br>https://commons.wikimedia.org/wiki/File:Henri_Rousseau_-_La_guerre.jpg<br><br>**შენიშვნა:** (მოსწავლის სახელმძღვანელო, გვ. 22) განთქმულმა ფრანგმა მოგზაურმა და ფოტოხელოვანმა, მარკ რიბუმ, XX საუკუნის 60-იან წლებში ავღანეთში გაჩაღებული ომისადმი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა ფოტოთი, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ ანგრევს ომი ყველაზე ფაქიზს, გასაფრთხილებელს – ბავშვობას და მისი სახით მომავალს.<br><br>სახელმძღვანელოში დასმულ შეკითხვაზე „როგორ ფიქრობ, რა შეცვალა ომმა ავღანელი ბავშვების ცხოვრებაში?“ სავარაუდო პასუხი: ის, რომ ფოტოზე ასახულ ბიჭუნა სათამაშოს ნაცვლად იარაღით თამაშობს, იმის მაჩვენებელია, თუ როგორ შეცვალა მშვიდობიანი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება, ინტერესები, შეხედულებები ქვეყნის საომარმა სიტუაციამ.<br><br>მოსწავლეები უნდა მივიდნენ დასკვნამდე, რომ როგორც სახვითი, ისე გამოყენებითი ხელოვნება მყისიერად და მწვავედ რეაგირებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე. სასურველია, მასწავლებელმა ავღანეთის ისტორიასთან დაკავშირებულ ილუსტრაციებზე მოსწავლეთა მსჯელობა წარმართოს ომის დაგმობის მიმართულებით და მათი ყურადღება გაამახვილოს იმაზე, რომ როგორც ბავშვების ყოფაში ჩაანაცვლა ომმა სათამაშოები საბრძოლო იარაღით, ასევე შეცვალა დამანგრეველმა მოვლენამ ავღანური ხალიჩების ნატიფი ორნამენტი საბრძოლო ტექნიკისა და იარაღის გამოსახულებებით. | |

მარკ რიბუს ომის თემაზე შექმნილი სხვა ფოტოები:
https://plohoy-zyalt.livejournal.com/380696.html

http://marcriboud.com/en/countries/afghanistan/

დამატებითი საილუსტრაციო მასალა ავღანური ხალიჩებისთვის:
ძველი:
https://bit.ly/3eJSXGF

თანამედროვე:
https://www.artsy.net/article/artsy-editorial-lessons-afghan-women-weave-modern-war-ancient-tradition

https://www.warrug.com/warrugs/styles.php?idr=286

https://n.pr/3eCYnTz

https://dygtyjqp7pi0m.cloudfront.net/i/26011/23356848_1.jpg?v=8D2DD7043A936E0

- **პრაქტიკული სამუშაო, ციფრული კოლაჟი** (ინდივიდუალური სამუშაო, საშინაო დავალება) (იხ. მოსწ. სახელმძღვანელო, გვ. 24)

მოცემული აქტივობით მოსწავლეები გააცნობიერებენ, რომ ომთან დაკავშირებული გამოსახულების ფრაგმენტის სხვა, თუნდაც ყველაზე მშვიდობიანი, მყუდრო ატმოსფეროს ამსახველ სურათში ჩართვა სრულებით ცვლის ნაწარმოების შინაარსს; ისწავლიან ციფრული გამოსახულების დამუშავებას, რაც მათ დაეხმარებათ შემაჯამებელი კომპლექსური დავალების შესრულებაში.

**ციფრული ნამუშევრის შესრულება და ატვირთვა ინტერნეტში:**
კომპიუტერის სახატავ პროგრამაში **„Paint“** შექმენი კოლაჟი:
1. ამოირჩიე ნებისმიერი ფერწერული ნამუშევარი, რომელიც მშვიდ, მყუდრო გარემოს ასახავს.
2. მეორე ნამუშევრად გამოიყენე ვასილი ვერეშჩაგინის სურათის „ომის აპოთეოზი“ დეტალი თავის ქალებით, (ბმული: https://en.wikipedia.org/wiki/The_Apotheosis_of_War#/media/File:Apotheosis.jpg) ფუნქციით **(Free form selection)** ფაქიზად ამოჭერი თავის ქალების გორა.
3. შეინახე ამოჭრილი დეტალი ფუნქციით **(Copy)**.
4. გახსენი ახალ ფანჯარაში პირველი სურათი და ფუნქციით **(Paste)** სასურველ ადგილას დაადე მას ამოჭრილი და შენახული დეტალი. დეტალს რომ თეთრი ფონი მოხსნა, დააწკაპე ფუნქციაზე გამჭვირვალე არჩევანი **(Transparent selection)**.
5. დაიმახსოვრე ნამუშევარი.
6. მოუფიქრე შენს კოლაჟს სათაური.
7. გაუზიარე კოლაჟი მეგობრებს.
8. იმსჯელეთ, თუ რა შინაარსი შეიძინა პირვანდელმა სურათმა, რა აზრს გამოხატავს, რა გრძნობას აღძრავს იგი. მოიფიქრეთ, კიდევ რა თემაზე შეიძლება ციფრული კოლაჟის ტექნიკით ნამუშევრის შექმნა. გაუზიარეთ ერთმანეთს ციფრული კოლაჟის კომპიუტერულ პროგრამაში აწყობისას მიღებული გამოცდილება. შეკრიბეთ ერთმანეთის ნამუშევრები საერთო ელექტრონულ ალბომში. ამობეჭდილი ნამუშევრები შეგიძლიათ გამოიყენოთ აქციაზე „ჩვენ გვინდა მშვიდობა“.

საშინაო დავალების სხვა ვარიანტები:

- მოიძიე სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ომის თემაზე შექმნილი ფერწერული ნამუშევრები. ჩამოაყალიბე წერილობით, ომის მიმართ რა დამოკიდებულებას ასახავენ ხელოვანები? რომელი პერიოდის ნამუშევრები გამოხატავენ პროტესტს ომის წინააღმდეგ?
  ან:
- მოიძიე თანამედროვე ქართველი მხატვრის, გაგოშას 2008 წლის ომის თემაზე შექმნილი გრაფიტი. რომელი მხატვრის ნამუშევარს გაგონებს ის? (პაბლო პიკასოს „გერნიკა“).
  რა მხატვრული ხერხებით გამოხატა მხატვარმა თავისი პროტესტი?

## 4. ხელოვნება სოციალურ პრობლემებზე

შენიშვნა:

ბრეიგელის ნამუშევარზე "ბრმები" მსჯელობისას, მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა ფიზიკური სიბრმავე არ მიიჩნიონ ნაკლად, მანკიერებად, ამიტომ სიბრმავეზე მხოლოდ მეტაფორულად იმსჯელონ. მითუმეტეს, რომ მათეს სახარებაში ვკითხულობთ (15, 14): „მოეშვით მათ: ბრმები არიან და ბრმებისვე წინამძღოლნი; ხოლო თუ ბრმა წინ უძღვის ბრმას, ორივენი ორმოში ჩაცვივდებიან“, ქრისტე ფარისევლებს გულისხმობს და არა ფიზიკურად მხედველობადაქვეითებულ ადამიანებს.

- დისკუსია:
  - ✓ რა არის გროტესკი, კარიკატურა, სატირა? რას ნიშნავს გაზვიადება მხატვრობაში? (პასუხები იხ: მოსწავლის სახელმძღვანელო, გვ. 27)
  - ✓ შეგხვედრია გროტესკი ან კარიკატურა თანამედროვე ცხოვრებაში (მაგ., გაზეთებში)?
  - ✓ როგორ ფიქრობ, დაძლია თანამედროვე საზოგადოებამ მსგავსი პრობლემები თუ ისინი კვლავ აქტუალურია?
  - ✓ რა ფუნქცია აქვს ხელოვნებას ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში?
  - ✓ რა გზით შეუძლია ხელოვანს მონაწილეობა ადამიანთა სოციალური პრობლემების მოგვარებაში?
  - ✓ რა გზით შეუძლია ხელოვნებას საკუთარი წვლილის შეტანა ეკოლოგიური პრობლემების მოგვარების საკითხში?

* სასურველია, გაკვეთილთან დაკავშირებული განსხვავებული დარგებისა და ჟანრების ილუსტრაციების განხილვისას მოსწავლეებმა მიაქციონ ყურადღება ნაწარმოებებში გამოყენებულ მხატვრულ საშუალებებსა და ხერხებს. ასევე, გამოთქვან ვარაუდი, თუ რა შესაძლო ტექნიკითაა შესრულებული ესა თუ ის ნამუშევარი. მაგ. მიტჰილას ტრადიციული მხატვრობის შესახებ შესაძლოა დაისვას შეკითხვა:
„რა თავისებურება გამოარჩევს მიტჰილას ტრადიციულ მხატვრობას?“
პასუხი: მკვეთრი, კაშკაშა ფერები, მკაფიო კონტურები, კომპოზიცია მთლიანად ავსებს სასურათე სივრცეს, ფონიც და გამოსახულებებიც მთლიანად შევსებულია ორნამენტული ნახატით. მასალა – ბუნებრივი საღებავები.
და:
„როგორ დაახასიათებდით პაველ კუჩინსკის ნამუშევრებს მათში გამოყენებული მხატვრული ხერხებისა და საშუალებების კუთხით?“
პასუხი: მიუხედავად იმისა, რომ კუჩინსკის ნამუშევრებში გამოყენებულია შუქ-ჩრდილი, მოცულობა, პერსპექტივა, ტონალური გრადაცია, ისინი მაინც პლაკატურია. ნამუშევრები შესრულებულია ფერადი ფანქრებით.

- **მსჯელობა:**
  თანამედროვე საზოგადოების სოციალური პრობლემებისადმი მიძღვნილი ნაწარმოებების განხილვა.

შეკითხვები მსჯელობისთვის:
- ✓ რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს სოციალური ქსელების აქტიურ მოხმარებას?
- ✓ შენ რაში გეხმარება და რაში გიშლის ხელს სოციალური ქსელებით სარგებლობა?
- ✓ რა ფუნქცია აქვს ხელოვნებას ქვეყნის, საზოგადოების, ცალკეული ადამიანის ცხოვრებაში?
- ✓ რას უნდა ემსახურებოდეს ხელოვნება, რას უნდა ემსახურებოდეს ხელოვანი – საკუთარ შემოქმედებით ინტერესებს თუ საზოგადოების მოთხოვნებს?
- ✓ რამდენად შეუძლია ხელოვნებას შეცვალოს საზოგადოების ცხოვრების პირობები?

<u>რესურსები ხელოვნების ნაწარმოებებში ასახული საზოგადოების სოციალური პრობლემების შესახებ სასაუბროდ:</u>
პოლონელი მხატვრის, პაველ კუჩინსკის სატირული ნამუშევრები:
https://www.adme.ru/tvorchestvo-hudozhniki/polskij-hudozhnik-v-svoih-kartinah-oblichaet-poroki-obschestvakotorye-my-privykli-ne-zamechat-1727165/

ილია რეპინი, „ბურლაკები ვოლგაზე“, 1873 წ.
https://bit.ly/3dnj99r

ვასილი პეროვი, „ტროიკა“, 1866 წ.
https://arts-dnevnik.ru/hudozhniki-peredvizhniki/

ალექსანდრე მრევლიშვილი, „სოფლის სასამართლო“, 1893 წ.
https://bit.ly/2XHxfvK

ალექსანდრე მრევლიშვილი„დაბალი ღობე“
https://burusi.files.wordpress.com/2009/10/p10301891.jpg

ნიკო ფიროსმანი, „უშვილო მდიდარი და ღარიბი ქალი შვილებით“
https://bit.ly/3clsEVt

ბენკსი, 2019 წ.
https://anticap.files.wordpress.com/2010/08/spare_change.jpg
https://bit.ly/3clFB1D

**პრაქტიკული სამუშაო:** (საშინაო დავალებები)

- დახატე გროტესკული სცენა სკოლის ცხოვრებიდან. (ინდივიდუალური სამუშაო)
- **ნახატი:** შექმენი ნამუშევარი, რომელშიც გამოხატავ შენს დამოკიდებულებას თანამედროვე პრობლემებისადმი. თავად გადაწყვიტე, რომელი დარგი, ჟანრი, მასალა და ტექნიკა მოუხდება შენს სათქმელს. (ინდივიდუალური სამუშაო)

- **ფოტორეპორტაჟი:** მოიმარჯვე ფოტოაპარატი და გადაიღე ის, რაც შენთვის მიუღებელია, ის რასაც გინდა სხვებმა ყურადღება მიაქციონ. დაურთე ფოტოებს წარწერები. შენი და მეგობრების ფოტოები ატვირთეთ საერთო ალბომში და გამოაქვეყნეთ სოციალურ ქსელში. (დამოუკიდებელი სამუშაო, საშინაო დავალება)

მეთოდური რეკომენდაციები კომპლექსური დავალებებისთვის:

კომპლექსური დავალება 1:
**ნახატის, აპლიკაციის, ფოტომონტაჟის ან ციფრული კოლაჟის ხერხით შექმნილი პლაკატი მოზარდი თაობის გამოწვევების შესახებ.**

დავალების პირობა:
გაუზიარეთ ერთმანეთს, რა გაღელვებთ, რის შეცვლას ან გაუმჯობესებას ისურვებდით იმისთვის, რომ უკეთ ისწავლოთ, უსაფრთხოდ იგრძნოთ თავი, შეძლოთ საკუთარი შესაძლებლობების განვითარება და თქვენი საქმიანობა საზოგადოების სასიკეთოდ მიმართოთ.

- განსაზღვრეთ, ვინ არის თქვენი მოწოდების სამიზნე აუდიტორია,
- ჩამოწერეთ პუნქტებად თქვენი წინადადებები.
- ჩამოაყალიბეთ მოწოდებები მოკლე ლოზუნგებად.
- დაინაწილეთ ლოზუნგები;
- განსაზღვრეთ წარწერის ზომა და ფერი;
- განსაზღვრეთ გამოსახულებისა და წარწერის ფერში, ზომასა და მასშტაბში შეხამება;
- განსაზღვრეთ გამოსახულებისა და წარწერის ფონთან შეხამება.
- რა ხერხები გახდის შენს მოწოდებას უფრო ეფექტურს:
  ჭრელი თუ ორ-სამ ფერში გადაწყვეტილი?
  კონტრასტული თუ მონათესავე ფერები?
  გრძელი, დაწვრილებითი განმარტება თუ მოკლე ლოზუნგი?
  ერთნაირი ზომის ფორმატებზე დახატეთ სააგიტაციო პლაკატები.
- ლოზუნგები დაწერეთ მსხვილი და მკაფიო ასოებით (შრიფტით).
- სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით გააკარით პლაკატები წინასწარ განსაზღვრულ ადგილებში.

კომპლექსური დავალება 2:
**ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები თანატოლების მხარდამჭერი აქციისთვის პლაკატების შექმნა:**

მასალა:
დიდი ზომის ფორმატები
სქელი მარკერები
სახაზავები
უბრალო ფანქრები
წებო

საღებავები
ფუნჯები
დამატებით მასალას მოსწავლეები შეარჩევენ ჩანაფიქრის თანახმად.

<u>**დავალების პირობა:**</u>
მოიფიქრეთ, რითი შეგიძლიათ თანადგომა გამოხატოთ რთულ პირობებში მცხოვრები თანატოლების მიმართ.

მოსწავლეები დაგეგმავენ ღონისძიებას, რომელზეც მოწვეულ მონაწილეებს წინასწარ, პლაკატების მეშვეობით ამცნობენ, თუ რას ეძღვნება ღონისძიება, რა მოეთხოვება ღონისძიებაზე მოსულ საზოგადოებას.

ამისთვის, მოსწავლეებმა უნდა დაგეგმონ, თუ რა სახით შეუძლიათ თანატოლების მხარდაჭერა: შეარჩიონ კონკრეტული სკოლა; განსაზღვრონ, რა სახის დახმარება იქნება იმ ბავშვებისთვის სასიხარულო (მაგ. შეიძლება შეგროვდეს საინტერესო საკითხავი ან სახელოვნებო წიგნები, შემოქმედებითი საქმიანობისთვის საჭირო მასალა, სუვენირები და სხვა).

პლაკატები უნდა დამზადდეს და გაიკრას ღონისძიებამდე ერთი კვირით ადრე. პლაკატები შეიძლება იყოს:
1. **ინფორმაციული** ეპატიჟება და ამცნობს მნახველებს სად, როდის და რა შინაარსის ღონისძიება ჩატარდება.
2. **არსებული ვითარების ამსახველი** – ამცნობს მნახველებს, თუ ვის და რატომ სჭირდება მხარდაჭერა;
3. **სააგიტაციო** მოწოდების შემცველი – მოუწოდებს მომავალ მაყურებელსა თუ მონაწილეს კონკრეტული ქმედებისკენ (მაგ. „აჩუქე საყვარელი წიგნი უცნობ მეგობარს“).

მოსწავლეები მოაწყობენ აქციას, რომელზეც სააგიტაციო და ინფორმაციული მოწოდების შემცველი, საკუთარი ხელით დამზადებული პლაკატების მეშვეობით მოიზიდავენ, გააცნობენ მოხალისეებს პრობლემას და მათი მონაწილეობით განახორციელებენ თავიანთ ჩანაფიქრს.

**რესურსები:**

ვიდეო გაკვეთილი გოიას ნაწარმოების „1808 წლის 3 მაისი“ შესახებ, ავტორი ანა კლდიაშვილი:
https://www.youtube.com/watch?v=2R9C9Bbw-eQ&fbclid=IwAR0R-xel53qzAe5ZyirpArthTHTb5UvbECdXHcswB2ADxagDha2H-WzKuEk

ბატალური ჟანრი:
https://www.reddit.com/r/BattlePaintings/

**პოსტერები:**
პროპაგანდისტული, სხვადასხვა ქვეყნის:
https://www.smashingmagazine.com/2010/06/100-years-of-propaganda-the-good-the-bad-and-the-ugly/
საბჭოთა: http://www.ekaterinburg.arbitr.ru/node/17386
ჩინური: https://chineseposters.net/gallery/
ნაცისტური: https://www.bytwerk.com/gpa/posters2.htm

შეფასების კრიტერიუმები:

**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**
**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**

- შეარჩევს და იყენებს პოსტერისთვის შესაბამის მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, ხერხებს (მასშტაბი, პროპორცია, კონტრასტი, ძირითადის გამოყოფა და სხვ.) მასალას და ტექნიკას საკუთარი ჩანაფიქრის, დამოკიდებულების უკეთ გადმოსაცემად ამა თუ იმ მოვლენის, ფაქტის, მიმართ **(ს.გ.საბ.1, 2, 4);**

**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**
**სხვადასხვა ეპოქის/მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები**

- აანალიზებს საზოგადოებაზე ხელოვნების ზემოქმედების ფორმებს და მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს **(ს.გ.საბ.3, 4);**
- მსჯელობს ხელოვნებაზე, როგორც საზოგადოების თვითგამოხატვის საშუალებაზე, მოჰყავს რამდენიმე მაგალითი **(ს.გ.საბ.3, 4);**
- ადარებს ორ ეპოქას ან კულტურას საზოგადოებაზე ზემოქმედების საშუალებების მიხედვით **(ს.გ.საბ.4).**

დამატებითი ინფორმაცია კომპლექსური დავალებების შეფასების შესახებ:

1. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები თანატოლების მხარდამჭერი პლაკატების შექმნა;
2. ნახატის, აპლიკაციის, ფოტომონტაჟის ან ციფრული კოლაჟის ხერხით შექმენით პლაკატი თქვენი თაობის გამოწვევების შესახებ.

*ორივე ნამუშევარი შეფასდება 10 ქულით:

- ნამუშევარში ჩანს შემოქმედებითი მიდგომა და ორიგინალური აზროვნება. (2 ქულა)
- სახვითი საშუალებები და ხერხები შერჩეულია ჩანაფიქრის შესაბამისად (მკვეთრი, კონტრასტული, ინტენსიური ფერები; მსხვილი შრიფტი და ა.შ.) და აღწევს სასურველ ეფექტს. (2 ქულა)
- დაცულია ტექსტის, გამოსახულებისა და ცარიელი სივრცის თანაფარდობა. (1 ქულა)
- მასალა შერჩეულია ჩანაფიქრის შესაბამისად. (1 ქულა)
- იდეა გადმოცემულია ნათლად და მოკლედ. (1 ქულა)
- დახარჯულია მაქსიმალური ძალისხმევა. (2 ქულა)
- დაცულია დროის ლიმიტი (1 ქულა)

დავალებების მატრიცა 1/2

<table>
<tr><td>გაკვეთილები 5 - 7</td><td colspan="2">გამაერთიანებელი თემა: ხელოვნება და რელიგია</td></tr>
<tr><td>საკითხი და ქვეცნებები</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები</td><td>კომპლექსური დავალებები</td></tr>
<tr><td>ელემენტები:<br>ხაზი, ფერი, ფორმა, ფონი<br><br>პრინციპები:<br>პროპორცია, მასშტაბი, რაკურსი<br><br>დარგები:<br>მხატვრობა (ფრესკა, ხატწერა)<br><br>ჟანრები:<br>რელიგიური<br><br>სახვითი ხელოვნების ტექნიკა:<br>ფრესკა<br><br>ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა:<br>შუა საუკუნეების ბიზანტია და საქართველო</td><td>• რა შეიძლება მომხდარიყო ხელოვნებაში ისეთი მძლავრი ისტორიულ-კულტურულ-რელიგიური გარდატეხის შედეგად, როგორიც იყო ქრისტიანული რელიგიის გაჩენა?<br>• რატომ დასჭირდათ ქრისტიანებს სიმბოლური ენის შემუშავება?<br>• რა სიმბოლოებს ვიყენებთ თანამედროვე ცხოვრებაში?<br>• რას ნიშნავს პირობითი სახვითი ენა და რით განსხვავდება ის რეალისტურისგან?<br>• რით განსხვავდება ერთმანეთისგან ხატი და სურათი?<br>• რა განსხვავებაა ანტიკური და ქრისტიანული ხელოვნების მახასიათებლებს შორის?<br>• რა იყო შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნების ძირითადი მხატვრული მახასიათებლები და რამ განაპირობა ისინი?</td><td rowspan="2">შედარებითი ანალიზი:<br>4 პუნქტის მიხედვით შეადარე ერთმანეთს მოცემული ნაწარმოებები:<br>1. ხელოვნების რომელი დარგისა და ჟანრის ნიმუშებია წარმოდგენილი? რა არის მათი საერთო და განმასხვავებელი მხატვრული ნიშნები? რომელი სახვითი საშუალებები და სახვითი ხერხებია მათში გამოყენებული აზრისა და იდეის გამოსახატად?<br>2. რომელი მათგანია შესრულებული იკონოგრაფიული კანონიკის გათვალისწინებით და რომელია რეალისტური?<br>3. იმსჯელე, რამ განაპირობა ნიმუშებს შორის სხვაობა.</td></tr>
<tr><td colspan="2">5. ხელოვნება რელიგიის სამსახურში (ქრისტიანული სამყარო)<br><br>სახელმძღვანელოს ამ თავის მიზანია, მოსწავლეებმა გააცნობიერონ, თუ რამდენად მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან ხელოვნება და რელიგია. საზოგადოების რწმენა აისახება ხელოვნებაში, ხოლო ხელოვნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ რელიგიური წარმოდგენების გავრცელება-დამკვიდრების საქმეში. რელიგიური სიუჟეტები ყველა დროის ხელოვანებისთვის იდეების, თემების, ახალი გამომსახველი ხერხებისა და ფორმების ძიების უშრეტი წყაროა, რელიგიისთვის კი ხილული სიუჟეტები რწმენის დამკვიდრებისა და გავრცელების, მისი იდეოლოგიის, ძალაუფლების განმტკიცების საშუალებაა.<br>მოსწავლეები შეისწავლიან სხვადასხვა ეპოქაში (ანტიკური და ქრისტიანული შუა საუკუნეების) განსხვავებული მხატვრული ხერხების შემუშავების ისტორიულ-რელიგიური მიზეზებს და შეძლებენ ამ სახვითი ხერხების მიხედვით ეპოქის ხელოვნების ნაწარმოების ამოცნობას. ამასთანავე, დაეუფლებიან პირობით მხატვრულ ხერხებს.<br>მოსწავლეები შეისწავლიან რელიგიური ჟანრის ნამუშევრებს. რეალურ ცხოვრებაში, ტაძარში შესვლისას, ისინი შეძლებენ ფრესკებსა თუ ხატებზე სიუჟეტის ამოცნობას.</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| **შესავალი:**<br>რას ნიშნავს რელიგია?<br>პალეოლითის ხანის ადამიანმა, რომელსაც მხეცების გარდა ჭექა-ქუხილის, ქარიშხლის და სხვა ბუნებრივი მოვლენების ეშინოდა, თავის დასაცავად და წარმატებული ნადირობისთვის მაგიური რიტუალების ჩატარება დაიწყო. ასე ჩამოყალიბდა „ზებუნებრივი ძალების" გულის მოსალბობად სხვადასხვა საკულტო წეს-ჩვეულება, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო რელიგია. მაშ, რას გულისხმობს რელიგია?<br>მასწავლებელი ჩამოწერს დაფაზე მოსწავლეების მიერ ჩამოთვლილ კომპონენტებს, სავარაუდოდ: რწმენის ობიექტი (ღმერთი ან ღმერთები), მოძღვრება, წმინდა წიგნი (მითები, ბიბლია, ყურანი, თალმუდი და სხვ.), ნაგებობა (ტაძარი, ეკლესია, მეჩეთი, სინაგოგა და სხვ.), კულტის მსახური (ქურუმი, მღვდელი, რაბინი და სხვ.).<br>შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წაიკითხონ სახელმძღვანელოში რელიგიის განმარტება (პირველი აბზაცი, სადაც რელიგიის განმარტება მოცემულია გამარტივებულად, ასაკისთვის შესაფერისად) და შეადარონ დაფაზე ჩამოწერილ საკუთარ ვარაუდებს.<br><br>• **მსჯელობა (საკლასო აქტივობა):**<br>კითხვები მსჯელობისთვის:<br>✓ რა იცით ქრისტიანობის გაჩენის, გავრცელებისა და დამკვიდრების შესახებ?<br>✓ რა შედეგი მოყვა რომის იმპერიის ნგრევას?<br>✓ რა შეიძლება მომხდარიყო ხელოვნებაში ასეთი მძლავრი ისტორიულ-კულტურულ-რელიგიური გარდატეხის შედეგად?<br>✓ რა სახვითი საშუალებებითა (ელემენტებით) და ხერხებით (პრინციპებით) სარგებლობს სახვითი ენა?<br>✓ მათგან რომლებს იყენებს ანტიკური ხანა (რეალისტურს)? ქრისტიანული ხატწერა და ფრესკა (პირობითს)?<br>✓ რა ეწოდება სახვით ხელოვნებაში მითების ამსახველ ჟანრს? (მითოლოგიური)<br><br>**6. ახალი სახვითი ენა**<br><br>**წინარე ცოდნის გააქტიურება:**<br>✓ რა იცით ძველი საბერძნეთისა და რომის მითების შესახებ?<br>✓ რა ეწოდება სახვით ხელოვნებაში მითების ამსახველ ჟანრს? (მითოლოგიური)<br>მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს მითოლოგიური ჟანრის რამდენიმე სურათს და სთხოვს მათ, გაიხსენონ მათთვის ნაცნობი მითური პერსონაჟები.<br>✓ გაიხსენეთ, რა სახვითი საშუალებებითა (ელემენტებით) და ხერხებით (პრინციპებით) სარგებლობს სახვითი ენა?<br>**პასუხი:**<br>სახვითი საშუალებებია: ხაზი, ფერი, ფორმა, მოცულობა, შუქ-ჩრდილი, ტონი, ფაქტურა, ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება.<br>სახვითი ხერხებია: წონასწორობა, სიმეტრია/ასიმეტრია, სტატიკა/დინამიკა, პროპორცია/დისპროპორცია, მასშტაბი, პერსპექტივა, ჰარმონია, კონტრასტი, რიტმი, ორნამენტი.<br>მასწავლებელი ჩამოწერს მათ დაფაზე ორ მწკრივად.<br><br>მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს, რა სახვითი საშუალებებითა და ხერხებით სარგებლობს სხვადასხვა ეპოქის ხელოვნება.<br>მოსწავლეები შევადარებენ ერთმანეთს ანტიკურ და ქრისტიანულ სახვით ენას. | დაასაბუთე შენი მოსაზრება.<br>4. გამოხატე საკუთარი დამოკიდებულება, რომელი უფრო მოგწონს და რატომ? |

<u>დამატებითი საილუსტრაციო მასალა მითოლოგიური ჟანრისთვის:</u>
სანდრო ბოტიჩელი, „ვენერას დაბადება“, 1484-1486 წწ, რენესანსი
https://en.wikipedia.org/wiki/The_Birth_of_Venus#/media/File:Sandro_Botticelli_-_La_nascita_di_Venere_-_Google_Art_Project_-_edited.jpg

პიტერ პაულ რუბენსი, „პერსევსი და ანდრომედა“, 1622 წ, ბაროკო
https://bit.ly/3eFb68s

ნიკოლა პუსენი, „პარნასი“, 1632 წ, კლასიციზმი
https://en.wikipedia.org/wiki/Parnassus_(Poussin)#/media/File:El_Parnaso_(Poussin).jpg

გუსტავ მორო, „ოიდიპოსი და სფინქსი“, 1864 წ, სიმბოლიზმი
https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/c/c4/Oedipus_and_the_Sphinx_1864.jpg

ოდილონ რედონი, „მუზა პეგასით“, 1900 წ, სიმბოლიზმი
https://commons.wikimedia.org/wiki/File:Odilon_Redon_002.jpg

ანტიკური ხანის მითოლოგიამ საფუძველი ჩაუყარა ევროპულ კულტურას. შუა საუკუნეების შემდგომ, აღორძინების ხანიდან მოყოლებული, ბერძნული მითოლოგია ევროპული კულტურის განუყოფელი ნაწილია. სხვადასხვა დარგის ხელოვანები დღემდე მიმართავენ მითებს.

მოსწავლეები ადგენენ, დაფაზე ჩამოწერილი სახვითი საშუალებებიდან და ხერხებიდან, რომლები დაინახეს მოცემულ ილუსტრაციებზე. მასწავლებელი მარკერით გაუსვამს ხაზს შესაბამის საშუალებებსა და ხერხებს (მოცულობა, შუქ-ჩრდილი, ტონალური გრადაცია. პროპორცია, პერსპექტივა/ უკუპერსპექტივა და სხვა).

*<u>შენიშვნა</u>: მოსწავლეებთან ჯერ არ ყოფილა საუბარი უკუპერსპექტივაზე. ვრცლად და სიღრმისეულად ამაზე საუბარი იქნება სხვა თავში, მაგრამ შესაძლებელია მოსწავლეებს წინასწარ ჩავაწვეთოთ ამ ხერხის არსებობა და ნიმუშებით ვაჩვენოთ, რომ სწორი პერსპექტივისგან განსხვავებით, უკუპერსპექტივის შემთხვევაში, საგნები სიღრმეში კი არ მცირდება, არამედ ფართოვდება. ხედვის წერტილი იგულისხმება სურათის გარეთ (მაყურებელი) და არა სურათის სიბრტყეზე. (იხ. მოსწავლის წიგნში გვ. 42, გვ. 277)

<u>საილუსტრაციო მასალა რომაული კატაკომბების მხატვრობის ნიმუშებით:</u>

http://www.vatican.va/roman_curia/pontifical_commissions/archeo/inglese/documents/rc_com_archeo_doc_20011010_cataccrist_en.html

https://holidaygid.ru/wp-content/uploads/2014/08/sconosciuto.jpg

https://i.pinimg.com/originals/ea/8b/d2/ea8bd2f592e1f113920c3cac7c2aaeaf.jpg

https://planetofhotels.com/sites/default/files/attracrions/katakomby_priscilly.jpg

სან-ვიტალეს ეკლესიის მოზაიკა, VI ს., რავენა:

https://i.pinimg.com/originals/e5/98/b8/e598b82b24f0f1af2b2151cc40ea7e97.jpg

*<u>მინიშნება მოცემულ ბმულთან დაკავშირებით:</u> კრავი თავად ქრისტეს სიმბოლოცაა. კრავი იმ უმანკო მსხვერპლს განასახიერებს, რომელიც ქრისტემ ადამიანების სულის ხსნისთვის გაიღო.

| | |
|---|---|
| **შეკითხვა:**<br>რა გავლენა მოახდინა ანტიკურმა ხელოვნებამ ადრექრისტიანულ ხელოვნებაზე? რომ არა მინაწერი, რით გაარჩევდი, რომელია ანტიკური ღმერთის ჰერმესის ქანდაკება და რომელია ქრისტესი?<br><br>ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, სახელმძღვანელოში მოყვანილი ილუსტრაციების გარდა, სასურველია მოსწავლეებმა დაათვალიერონ დამატებითი საილუსტრაციო მასალა ანტიკურ და ადრექრისტიანულ ხელოვნებაში მსგავსი გამოსახულებებისა:<br><br>ბერძნული არქაული კუროსის, ე.წ. „მოსხოფოროსის“ (ხბოს მატარებლის) ქანდაკება, როგორც კიდევ ერთი წარმართული ნიმუში: https://en.wikipedia.org/wiki/Moschophoros#/media/File:ACMA_Moschophoros.jpg<br><br>გალა პლაციდიას მავზოლეუმის მოზაიკა „ქრისტე მწყემსი კეთილი“, V ს., რავენა (როგორც კიდევ ერთი ქრისტიანული ნიმუში) https://bit.ly/2TZbJlk<br><br>**პასუხი:**<br>მოსწავლეები დააკვირდებიან და აღმოაჩენენ, რომ ანტიკური წარმართული ფიგურები შიშვლები არიან, ხოლო ქრისტე შემოსილია. ისინი გააცნობიერებენ, რომ ერთი მხრივ, ადრექრისტიანულ ხელოვნებაში თავს იჩენს წარმართული ხელოვნების გავლენა, მეორე მხრივ კი, ქრისტიანობა ამ გავლენას მალევე დაძლევს და ახლებურ სახვით ენას შეიმუშავებს.<br><br>**შეკითხვა:**<br>✓ რას უნდა ნიშნავდეს მწყემსთან ქრისტეს შედარების მეტაფორა?<br>**პასუხი:**<br>ამ მეტაფორაში იგულისხმება, რომ ქრისტე, როგორც კეთილი მწყემსი, ზრუნავს თავის მიმდევრებზე („მე ვარ მწყემსი კეთილი: კეთილი მწყემსი თავის სულს დადებს ცხვრებისთვის.“ იოანეს სახარება, 10.11)<br><br>• **დისკუსია სიმბოლოების თემაზე:**<br>✓ რატომ დასჭირდათ ქრისტიანებს სიმბოლური ენის შემუშავება?<br>✓ რა სიმბოლოებს ვიყენებთ თანამედროვე ცხოვრებაში?<br>✓ რატომ უნდა ვიცოდეთ სიმბოლოების სახვითი ენა?<br>✓ სადმე გინახავს მსგავსი ან სხვა სიმბოლოები?<br>შესაძლოა, მოსწავლეებმა გაიხსენონ ის სიმბოლოები, რომელთაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდებიან – მაგ., საგზაო ნიშნები და სხვა. ისინი გააცნობიერებენ, რომ სიმბოლოების ცოდნა დღეს აუცილებელია ჩვენივე უსაფრთხოებისთვის. ასევე, წარმართულ რომში დევნილი ქრისტიანები სიმბოლოების მეშვეობით ერთმანეთს ატყობინებდნენ, რომ ესა თუ ის ადგილი მათთვის უსაფრთხო იყო.<br><br>**შეკითხვა:**<br>✓ რა ეწოდება სახვით ხელოვნებაში ქრისტიანული პერსონაჟებისა და სცენების ამსახველ ჟანრს? (რელიგიური)<br>✓ რას ნიშნავს იკონოგრაფია? | |

**პასუხი:**

ქრისტიანულ ხელოვნებაში ახალი რელიგიური მსოფლმხედველობის შესაბამისი წესები ყალიბდება. ამ სახვით კანონთა ერთობლიობას **იკონოგრაფია** (ბერძნ. ხატის, გამოსახულების წერა) ეწოდება. ხატი არა ერთი ხელოვანის, არამედ ქრისტეს მოძღვრების, ღვთისმეტყველთა მიერ შემუშავებული და ეკლესიის მიერ დაკანონებული მსოფლმხედველობის მხატვრულ ფორმაში მოქცევას გულისხმობს. ხატზე გამოსახული წმინდანი ჩვენს გვერდით მოარული მეზობელი, ნაცნობი ან ნათესავი კი არ არის, არამედ ადამიანი იმ სრულყოფილი სახით, როგორადაც ის ღმერთმა ჩაიფიქრა. ხატზე გამოსახულებას არ აქვს ჩრდილები, რადგან ის თავად ასხივებს ღვთაებრივ ნათელს, თავადაა სინათლის წყარო. ხატმა უნდა დაგვანახოს მიწიერზე ამაღლებული და მარადიული. სწორედ ამით განსხვავდება ის ყოფითი ჟანრის სურათისგანაც და კონკრეტული პიროვნების პორტრეტისგანაც. ქრისტიანული იკონოგრაფია ადგენს სიუჟეტური კომპოზიციების შემოკლებულ და ვრცელ რედაქციებს, ქრისტესა და წმინდანთა გამოსახულებების გარეგნულ ნიშნებს, სამოსის ფერებს, პოზებსა და ატრიბუტებს. ჟესტიკულაცია კურთხევას, ლოცვას, ვედრებას, სინანულს გამოხატავს. ამის გარეშე წმინდანს ვერ ამოიცნობ, ეს ხომ პორტრეტი არ არის, ქრისტესა და წმინდანთა გარეგნობა არსადაა აღწერილი. ხატმწერები ნატურიდან არ მუშაობდნენ და ცოცხალ მოდელზე დაკვირვებით არ ხატავდნენ. არაამქვეყნიურის, ზეციურის, ღვთაებრივის გადმოსაცემად იკონოგრაფია ხორციელის უგულვებელყოფას და მის სანაცვლოდ, სულიერის ხაზგასმას ესწრაფვის.

- **დავალება:**

დააკვირდი ილუსტრაციებს და იმსჯელე ნაწარმოებებში გამოყენებულ მხატვრულ ხერხებზე.

<u>საილუსტრაციო მასალის ბმულები:</u>

ჰაგია სოფია, მოზაიკა, IX ს.
http://phanthi.vn/images/image/H6_resize%282%29.jpg

მენოლოგიონის ხელნაწერის მინიატურა, X ს.
https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/b/b1/Menologion_of_Basil_001.jpg

ჰოსიოს ლუკასის ეკლესია, წმ. მარკოზი, მოზაიკა, XI ს.
https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/9/97/Hosios_Loukas_%28narthex%29_-_Ceiling%2C_2nd_arch_%28S.Mark%29_02.jpg

ჰოსიოს ლუკასის ეკლესია, „ფერხთა ბანა“, მოზაიკა, XI ს.
https://enacademic.com/pictures/enwiki/79/Osios_Loukas_1.jpg

სპილოს ძვლის რელიეფი, ჯვარცმა, XI ს.,
https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/5/59/CLUNY-Ivoire_crucifixion_Venise_1.JPG

ოქრიდა, “ხარება”, XIV ს-ის ხატი
https://i.pinimg.com/originals/2a/a4/18/2aa41861f8a85a76fe4c63f4a8e8d8cd.jpg

**პასუხი:**

მოსწავლეები დააკვირდებიან ილუსტრაციებს და დაადგენენ მათში გამოყენებულ სახვით საშუალებებსა და ხერხებს: ფორმა გადმოცემულია არა მოცულობითად, შუქ-ჩრდილითა და ტონალური გრადაციით, არამედ ხაზებით, ფონი არის განყენებული (ხშირად ოქროსფერი) ფერის, დარღვეულია ფიგურათა პროპორციები, დარღვეულია მათი მასშტაბური შეფარდება ფონზე გამოსახულ შენობებთან, დარღვეულია პერსპექტივა.

მასწავლებელი სხვა ფერის მარკერით/ცარცით ხაზს გაუსვამს დაფაზე ჩამოწერილ, შესაბამის სახვით საშუალებებსა და ხერხებს (ხაზი, სიბრტყობრივი ფორმა, ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება. სიმეტრია, დისპროპორცია, უკუპერსპექტივა*, მასშტაბების აღრევა).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეაჯამონ მათი დაკვირვების შედეგები: როგორია პირობითი სახვითი ენა და რით განსხვავდება ის რეალისტურისგან?

*უკუპერსპექტივასთან დაკავშირებული ინფორმაცია იხ. მოსწ. წიგნი, გვ. 277.

- **პრაქტიკული აქტივობა:** (ჯგუფური)
  დაიყავით ჯგუფებად, მოიფიქრეთ და დახატეთ თქვენი სკოლის საგნობრივი კაბინეტების სიმბოლური ნიშნები.

- **საშინაო დავალება:** (მასწავლებლის არჩევანით)
  მარტივად, პირობითი გამოსახულებებით დახატე ლიტერატურული ნაწარმოების რამდენიმე ილუსტრაცია. იმსჯელე, რა საშუალებით შეასრულე ნამუშევარი? რა ხერხები გამოიყენე? გასაგებია თუ არა შენ მიერ დახატული სიუჟეტი მეგობრებისთვის?

- **ნაწარმოების ანალიზი:** (მოსწავლის სახელმძღვანელო, გვ.. 44-45 საკლასო, ზეპირი)
  <u>დავალების პირობა:</u>
  განიხილე ნაწარმოები მოცემული პუნქტების მიხედვით:
  1. აღწერა (აღწერე, რას ხედავ)
  2. ანალიზი (როგორ არის ნაწარმოებში გამოყენებული სახვითი საშუალებები და ხერხები)
  3. ინტერპრეტაცია (რაშია ნაწარმოების მთავარი აზრი)
  4. შეფასება (რატომ არის ეს ნაწარმოები ღირებული)

**მითითებები კომპლექსური დავალებისთვის:**

- **შედარებითი ანალიზი:** (ინდივიდუალური, წერითი დავალება)
  <u>დავალების პირობა:</u>
  გამოიყენე მოცემული ილუსტრაციები და 4 პუნქტის მიხედვით შეადარე ერთმანეთს მოცემული ნაწარმოებები:

1. ხელოვნების რომელი დარგისა და ჟანრის ნიმუშებია წარმოდგენილი?
რა არის მათი საერთო და განმასხვავებელი მხატვრული ნიშნები?
რომელი სახვითი საშუალებები და სახვითი ხერხებია მათში გამოყენებული აზრისა და იდეის გამოსახატად?
2. რომელი მათგანია შესრულებული იკონოგრაფიული კანონიკის გათვალისწინებით და რომელი რეალისტური ხერხებით?
3. იმსჯელე, რამ განაპირობა ნიმუშებს შორის სხვაობა. დაასაბუთე შენი მოსაზრება.
4. გამოხატე საკუთარი დამოკიდებულება, რომელი უფრო მოგწონს და რატომ?

შედარებისთვის მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს მისცეს ერთსა და იმავე თემაზე შექმნილი ნებისმიერი ბიზანტიური და რენესანსული „წყვილი". ორი სხვადასხვა სავარაუდო ვარიანტი იხ.: მოსწავლის სახელმძღვანელოში (გვ.44-47), ქვემოთ მოყვანილ ბმულებზე და დანართში.

* შემაჯამებელი წერისთვის მასწავლებელმა დანართის შესაბამისი გვერდები უნდა ამობეჭდოს ფერადად.

- მოსწავლეები ადარებენ რომაულ ფრესკებს ქრისტიანულ ხატებსა და ფრესკებს.
- მოსწავლეები ადარებენ ერთსა და იმავე სიუჟეტზე შესრულებულ, შუა საუკუნეების ქრისტიანულ ხატებსა და ფრესკებს აღორძინების ხანის დაზგური ფერწერისა და ფრესკულ ნიმუშებს.

<u>საილუსტრაციო მასალის ბმულები:</u>


VI ს., სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერი. ენკაუსტიკა
http://community.fansshare.com/pic110/w/baptismal-font-at-st-bartholomew-s-church--li--ge/1200/28676_encaustic_virgin.jpg


ვლადიმირის ხატი, XII ს., ტემპერა
https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/1/14/Vladimirskaya_ikona.jpg


ხატმწერი თეოფანე ბერძენი, დონის ღვთისმშობელი, XIV ს., ტემპერა
https://i.pinimg.com/originals/2b/3f/ea/2b3fea204914868986291e680d2dc6b0.jpg


რაფაელ სანციო, XV-XVI ს., ზეთი
https://i.pinimg.com/originals/04/73/a0/0473a04abff4f1474a5f56873cb9450f.jpg


რაფაელ სანციო, კოუპერის მადონა, XV-XVI ს., ზეთი
https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/a/af/Raphael_-_The_Small_Cowper_Madonna_-_Google_Art_Project.jpg


პიტერ პაულ რუბენსი, XVII ს., ზეთი
https://bit.ly/2TZ2YaL


ქრისტე პანტოკრატორი (ყოვლისმპყრობელი), სინას მთა, VI ს., ენკაუსტიკა
https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/4/4a/Spas_vsederzhitel_sinay.jpg


ქრისტე პანტოკრატორი, კვიპროსი, XII ს, ტემპერა
https://i.pinimg.com/originals/0e/4d/63/0e4d634c8bce8d4e5ee091cf23315db0.jpg


ჯოვანი ბელინი, XV-XVI ს., ზეთი
https://bit.ly/2XPDMVI


რაფაელ სანციო, XVI ს., ზეთი
https://tr.wikipedia.org/wiki/Kutsayan_%C4%B0sa_(Rafael)#/media/Dosya:CristoRaffaello.jpg

- **პრაქტიკული დავალება** (ინდივიდუალური):

დახატე ორი, 2-3 ფიგურიანი კომპოზიცია: ერთი რეალისტური, მეორე - პირობითი სახვითი ხერხებით.

1. საგნებს შორის დაიცავი მასშტაბური თანაფარდობა. შუქ-ჩრდილითა და ტონალური გრადაციით გადმოეცი საგნების მოცულობა.
2. საგნებს შორის დაარღვიე მასშტაბური თანაფარდობა. საგნების ფორმა გადმოეცი სიბრტყობრივად, კონტურული ხაზების მეშვეობით.

- **საშინაო დავალება:**

ანტიკური ხანის და შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნების დამახასიათებელი ნიშნების შედარებითი T სქემის შედგენა:

შეადგინე ანტიკური და ქრისტიანული ხელოვნების პრინციპული სხვაობების, სახვითი საშუალებებისა და ხერხების შედარებითი ცხრილი. მომდევნო გაკვეთილებზე განაგრძე სქემის შევსება.

<u>სქემის შევსებული, სავარაუდო ნიმუში:</u>

| ანტიკური ხანის ხელოვნება | შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება |
|---|---|
| პოლითეიზმი ანუ მრავალღმერთიანობა | მონოთეიზმი ანუ ერთღმერთიანობა |
| სულისა და სხეულის თანაბარმნიშვნელოვანება | სულიერების უპირატესობა მიწიერზე |
| ხელოვნების ნაწარმოებების დამკვეთი, ძირითადად, არის წარჩინებულთა ფენა | ხელოვნების ნაწარმოებების დამკვეთი, ძირითადად, არის ეკლესია |
| მიწიერი, ხორციელი | ზეციური, ღვთაებრივი |
| სინამდვილის ამსახველი რეალისტური სახვითი ხერხები:<br>• შუქ-ჩრდილით, ტონალური გრადაციით გადმოცემული მოცულობითი ფორმები<br>• რეალური ფონი<br>• სწორი პროპორციები<br>• სწორი მასშტაბური თანაფარდობა ადამიანების ფიგურებსა და არქიტექტურულ თუ ბუნებრივ ფონს შორის<br>• ხაზოვანი პერსპექტივის ნიშნები | იკონოგრაფიით დაკანონებული სიმბოლური, პირობითი სახვითი ენა:<br>• ხაზებით გადმოცემული სიბრტყობრივი ფორმები<br>• პირობითი ფონი (ხშირად ოქროსფერი)<br>• დარღვეული პროპორციები<br>• ადამიანთა ფიგურებს შორის დარღვეული მასშტაბები ღვთაებრივ იერარქიას გადმოსცემს. ფონზე ნაგებობები თუ პეიზაჟი პირობითია<br>• უკუპერსპექტივა |
| მრგვალი ქანდაკებების სიუხვე | მრგვალი ქანდაკება მხოლოდ დასავლეთქრისტიანულ ქვეყნებში იქმნება. IX ს-დან აღმოსავლეთქრისტიანულ ქვეყნებში ქანდაკება მხოლოდ რელიეფის სახით განაგრძობს არსებობას |
| რომში მოზაკას იატაკის (იშვიათად კედლის) მომცრო ფართობები ეკავა | ბიზანტიაში მოზაიკა ტაძრების ინტერიერის ყველაზე მნიშვნელოვან სიმბოლურ ადგილებს იკავებს და მონუმენტურ საკულტო ხელოვნებად იქცევა |

## 7. ქრისტიანული საქართველო

**შეკითხვები:**

- ✓ რას ნიშნავს ფრესკა? (სველ ბათქაშზე ტემპერას საღებავებით შესრულებული, მონუმენტური მხატვრობის ერთ-ერთი ტექნიკა)
- ✓ გაიხსენე, რომელ ტაძარში ხარ ნამყოფი?
- ✓ რით არის ის გამორჩეული?
- ✓ ამკობს თუ არა მას ფრესკები?
- ✓ რა არის გამოსახული ფრესკებზე?
- ✓ გესმის მათი შინაარსი?

**პასუხები:**

სახელმძღვანელოს (გვ. 54) დასმულ შეკითხვაზე: მთავარანგელოზებს ჩვილი იესოსკენ გაშვერილ ხელში ჯვრის გამოსახულებიანი სფეროები უკავიათ. მოიძიე ჯვრის ამგვარი გამოსახულების მნიშვნელობა. რისი სიმბოლოა გორაკზე აღმართული ჯვარი? რას გვატყობინებს მთავარანგელოზების ეს ჟესტი და დამწუხრებული გამომეტყველება? მოსწავლეებმა უნდა დაინახონ, რომ სფეროში ჯვარი გამოსახულია სამკუთხედზე, რაც გოლგოთას სიმბოლოა.

**დამატებითი ცნობა პალეოლოგოსურ აღორძინებასთან დაკავშირებით:**

პალეოლოგოსები ბიზანტიის უკანასკნელი და ყველაზე ხანგრძლივად მმართველი სამეფო დინასტია, 2 საუკუნის განმავლობაში განაგებდა იმპერიას: 1261 წლიდან კონსტანტინოპოლის დაცემამდე. პალეოლოგოსების მმართველობის ხანას ემთხვევა ბიზანტიის კულტურის უკანასკნელი აღზევება, რომელიც ცნობილია პალეოლოგოსური აღორძინების სახელით. ვინაიდან დასავლეთ საქართველო ამ დროს ინარჩუნებდა მჭიდრო კავშირს ბიზანტიასთან, დასავლეთ საქართველოს მონუმენტური მხატვრობის არაერთი ძეგლი იზიარებს ამ ეპოქის ტენდენციას. ქართული და ბერძნული წარწერების თანახმად, სამეგრელოს მთავრის, ვამეყ დადიანის (1384-1396 წწ.) ბრძანებით წალენჯიხის ტაძარი მოუხატავს კონსტანტინოპოლიდან მოწვეულ მხატვარს კირ მანუელ ევგენიკოსს. ეს ფრესკები XIV ს-ის დასასრულის კონსტანტინოპოლის სკოლის ერთადერთი, ზუსტად დათარიღებული და მხატვრის მიერ ხელმოწერილი ნიმუშია.

**პრაქტიკული დავალება**

- **ჭედური რელიეფის იმიტაცია** (იხ. სახელმძღვანელოში (გვ. 58-59) (საკლასო, წყვილებში):

მოსწავლეებს შეეძლებათ ჭედური რელიეფის იმიტაციის ხერხით გაუკეთონ დეკორაციული ჩარჩო ფრესკის იმიტაციით შექმნილ ნამუშევარს. გარდა ამისა, შეეძლებათ ამ პრაქტიკული აქტივობების შესრულების დროს მიღებული გამოცდილების, ცოდნისა და უნარების გამოყენება მომდევნო თავებში (ვთქვათ, როდესაც გააკეთებენ აფორიზმების წიგნს (თავი: ხელოვნება განათლების სამსახურში), უკვე ეცოდინებათ, როგორ გაუკეთონ წიგნს ჭედური ყდის იმიტაცია).

- **ხატის რეპროდუქციის გაფორმება:**

* ხატის რეპროდუქციის გაფორმების დავალება სახელმძღვანელოში არ არის, რადგან ეს დამატებითი აქტივობაა, მასწავლებლის სურვილის მიხედვით ჩასატარებელი.

<u>მასალა</u>:
ხატის მომცრო რეპროდუქცია; მუყაო; მაკრატელი; წებო პვა; ფუნჯი; გუაშის საღებავი (მათ შორის, ოქროსფერი); ასანთი ან გრძელტარიანი სანთებელა ნაპირების მოსაწვავად.

თხელ ქაღალდზე დაბეჭდილი ხატების რეპროდუქციები ადვილად ცვდება და იჭმუჭნება.

თანამედროვე ქართველმა მხატვარმა ქეთევან მატაბელმა ასეთი ხერხი მოიფიქრა – სქელი მუყაოს სხვადასხვა ზომის ნაჭრებს ერთმანეთზე აწებებს („დაძველების“ მიზნით შეიძლება ნაპირების ოდნავ მოწვაც). მუყაოს ნაჭრებს საღებავის ფენით ფარავს, ოქროსფერი საღებავით გაქუცული ბზინვარების ეფექტს აძლევს და ზემოდან ქაღალდის ხატს აწებებს. მოიფიქრე შენებური ხერხი და შენც გაუხანგრძლივე სიცოცხლე რეპროდუქციას.
ხატს უკნიდან გაუკეთე სადგამი ან საკიდი.



ქეთევან მატაბელის ნამუშევარი

- **დავალება**: ციფრული ალბომი

შუა საუკუნეების ქართული ტაძრებისა და ეკლესიების, მათი მოხატულობის ფოტოფიქსაცია და ციფრული ალბომის შექმნა.

ინტერნეტსივრცე ძალიან მწირად წარმოაჩენს ინფორმაციას ქართული ფრესკების შესახებ და მათ ფოტოებს. საქართველოში არ მოიძებნება დასახლებული ადგილი, სულ პატარა ეკლესია რომ არ იდგეს. ზოგი ნანგრევებადაა ქცეული, ზოგი კარგად შემონახული. ზოგი მოხატული, ზოგიც თეთრად გადაღებილი. ყოველი მათგანი, რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს, ჩვენი ისტორია, ჩვენი საგანძურია.

არ დაიზარო, შემოუნახე მათი იერსახე ისტორიას – აღნუსხე ფოტოზე შენს მახლობლად მდებარე ძველი თუ ახალი, მთელი თუ დანგრეული ეკლესია და მისი მოხატულობა. გადაუღე ფოტოები ექსტერიერსაც და ინტერიერსაც. შექმენი ქართული ტაძრის/ტაძრებისა და მოხატულობის ციფრული გალერეა. გააზიარე ფოტოები მოკლე აღწერით ინტერნეტის სივრცეში.
*ამ დავალების შესასრულებლად სასურველია მოეწყოს ექსკურსია ახლომდებარე ეკლესიაში. შესაძლებელია, ექსკურსია მოეწყოს მოგვიანებით, როდესაც მოსწავლეები შეისწავლიან ქრისტიანულ საკულტო არქიტექტურას.
*ციფრული ალბომის შესაქმნელად ფოტოების გადაღების გარდა, ექსკურსიის დროს მოსწავლეებმა უნდა შეავსონ ფორმა:

*ექსკურსიაზე შესავსები ფორმა იხ. დანართში
(სასურველია, ჩანახატების გასაკეთებელი გრაფები ამობეჭდვამდე გაიზარდოს)

**მითითებები კომპლექსური დავალებისთვის:**

**ტემპერას დამზადება და ფრესკის იმიტაციის ხატვა.**

ამ დავალების შესასრულებლად საჭიროა, მოსწავლეები გაეცნონ „შობის“ სიუჟეტს და შეარჩიონ რომელიმე ეპიზოდი. ასევე, შესაძლებელია მოიძიონ და შეარჩიონ რომელიმე სხვა ბიბლიური სიუჟეტი და დახატონ ამ სიუჟეტის ამსახველი ერთერთი სცენა.

დავალების ამოცანაა, ნამუშევარი შესრულდეს შუა საუკუნეების ფრესკებისთვის დამახასიათებელი გამომსახველობითი თავისებურებების (სიბრტყობრიობა, პირობითობა და სხვა) გათვალისწინებით.

მართალია, ნამუშევრის ზომას მოსწავლეები თავად შეარჩევენ, სასურველია, იგი იყოს არა უმცირეს A3 ფორმატის ზომისა. თუ წინასწარი ესკიზები შედარებით მცირე ზომის ფურცელზე შესრულდება, მოსწავლეებს მათი დიდ ფორმატზე გადატანა ბადის დახმარებით შეეძლებათ:

ესკიზზე, უბრალო ფანქრით, მკრთალად უნდა დაიხატოს თანაბარ კვადრატებად დაყოფილი ბადე. ასეთივე ბადე (მასშტაბის გათვალისწინებით) დაიხატება წინასწარ მომზადებულ დიდი ზომის მუყაოზეც. ესკიზის კონტურული გამოსახულების უჯრებში მოქცეული მონაკვეთები გადაიხატება დიდ ფორმატზე, შესაბამის უჯრებში.

იმისთვის, რომ მუყაოზე შესრულებულ ნამუშევარს ფრესკის ფაქტურა მიეცეს, მუყაო წინასწარ უნდა დაიგრუნტოს ცარცის ფხვნილისა და წყალნარევი პვა წებოს ნაზავით (რეცეპტი იხ. მოსწავლის წიგნში).

ნამუშევრის თაბაშირმუყაოზე შესრულების შემთხვევაში, თაბაშირმუყაოს ნაჭერს ერთი მხრიდან უნდა მოეცალოს ქაღალდის ფენა. ამისთვის დასველებული ქაღალდის ფენა თითებით, ღრუბლით ან ზუმფარით უნდა მოცილდეს თაბაშირის ფენას ისე, რომ ზედაპირი არ დაიჩხაპნოს. თუმცა, შესაძლოა ნაჩხაპნებმა ნამუშევარს სიძველის ეფექტი მიანიჭონ.

(ტემპერას რეცეპტი იხ. მოსწავლის სახელმძღვანელოში (გვ. 60-61)

**დავალების პირობა:**

1. თაბაშირმუყაოს ნაჭერზე ან სპეციალური ხსნარით დაგრუნტულ მუყაოზე დახატე კომპოზიცია „შობის“ თემაზე, რომელიც ფრესკის ტექნიკის შთაბეჭდილებას შექმნის.
   გაითვალისწინე შუა საუკუნეების ფრესკის გამომსახველობითი თავისებურებები (სიბრტყობრიობა, ხაზობრიობა, პირობითობა, უკუპერსპექტივა და სხვა).
2. სცადე ერთი ნახატის სველ ზედაპირზე (fresco) დახატვა
3. მეორესი კი გამშრალ გრუნტზე (secco) და შეადარე ერთმანეთს მიღებული შედეგი.

*მასწავლებელს შეუძლია შეზღუდული შესაძლებლობის მოსწავლეებს შესთავაზოს რომელიმე მარტივი ფრესკის ასლის ან მისი ინტერპრეტაციის დახატვა.

**რესურსები:**

<u>შემაჯამებელი წერისთვის</u>

*ორივე ილუსტრაცია დაიდოს ეკრანზე გვერდიგვერდ, ან ამოიბეჭდოს ფერადად. (ბმულები იხ. მატრიცის შემდეგ).

„ეგვიპტედ ლტოლვა“

სიუჟეტი: იოსებს გამოეცხადა ანგელოზი და გააფრთხილა, რომ ჩვილ იესოს მეფე ჰეროდესაგან საფრთხე ელოდა. ამიტომ ისინი დაუყოვნებლივ უნდა გაქცეულიყვნენ ეგვიპტეში, დროებით, ვიდრე საფრთხე ჩაივლიდა. იოსები ასეც მოიქცა. ოჯახი ეგვიპტეში გაემგზავრა. როდესაც მათ ეგვიპტეს მიაღწიეს, წარმართულ ტაძრებში კერპები წაქცეულან. (სიუჟეტის შესახებ დაწვრილებით იხ.: http://orthodoxy.ge/tserili/zosime/2_13-23.htm)

შესადარებელი ნიმუშები:
დეჩანი, კოსოვო (სერბეთი), XIV ს-ის ფრესკა
https://cdn11.bigcommerce.com/s-30c33/images/stencil/1280x1280/products/2926/3004/Egypt__00452.1449092264.jpg?c=2&imbypass=on
და:
ვიტორე კარპაჩო, დაზგური ფერწერა, 1515 წ.
https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/5/5b/Vittore_Carpaccio_-_Fuga_in_Egitto_%28Washington%29.jpg

მეორე ვარიანტი:
„იერუსალიმად შესვლა“
სიუჟეტი: იესო ქრისტე ხშირად დადიოდა იერუსალიმში, მაგრამ ლაზარეს აღდგომის შემდგომ, როგორც სიკვდილის დამმარცხებელს, ხალხი საზეიმო შეძახილებითა და გალობით შეხვდა. მას წინ უგებდნენ ხის ტოტებს, იხდიდნენ და უფენდნენ სამოსელს.
(სიუჟეტის შესახებ დაწვრილებით იხ.: http://www.orthodoxy.ge/tserili/zosime/21_1-17.htm
შესადარებელი ნიმუშები:
მოზაიკა, კაპელა პალატინა, პალერმო, სიცილია, XII ს.
https://img.over-blog-kiwi.com/0/97/67/31/20170409/ob_4c0b5d_2088750508.jpg
და:
ჰანს ჰოლბეინი (უფროსი), 1501
https://sammlung.staedelmuseum.de/images/2709/hans-holbein-d-ae-entry-jerusalem-hm17--thumb-xl.jpg

დამატებითი რესურსები:
ერნსტ გომბრიხი, ხელოვნების ამბავი, ლოგოს პრესი, 2012 წ.
https://bit.ly/2TZ3R3d
კიტი მაჩაბელი, X-XII სს-ის სახვითი ხელოვნება:
http://www.bu.org.ge/x1135?lang=geo

მსოფლიო ხელოვნება, ნანა მაჭარაშვილი, ნინო სილაგაძე. „მერიდიანი“, თბ., 2010:

ნინო ხუნდაძე, ქართული მხატვრობის განვითარების შესახებ...:
https://naec.ge/uploads/postData/Jurnal/N14/NAEC-Journal-14-8.pdf

საქართველოს ეკლესია-მონასტრებისა და მათი მხატვრობის შესახებ:
http://saunje.ge/index.php?option=com_content&view=article&id=11&Itemid=3&lang=ru

შეფასების კრიტერიუმები:

**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**
**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**

- ნამუშევარში იყენებს იმ მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს, რომელსაც შერჩეულ ეპოქასა ან კულტურაში იყენებდნენ (ფორმა, ფერი, ხაზი, მასშტაბი, პროპორცია და სხვ.) **(ს.გ.საბ.1, 4);**
- ქმნის ნამუშევარს სხვადასხვა მხატვრულ სტილში (მაგ.: სქემატური, სტილიზებული, მოცულობითი), ჩანაფიქრის შესაბამისად ირჩევს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, ხერხებს, მასალას, ტექნიკას **(ს.გ.საბ.1,2);**

სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები

**სხვადასხვა ეპოქის/მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები**

- აანალიზებს რომელიმე ეპოქის ან კულტურის ხელოვნების ნიმუშს და მსჯელობს, რა ინფორმაცია მიიღო მისი მეშვეობით **(ს.გ.საბ.3);**
- აანალიზებს ხელოვნების საზოგადოებაზე ზემოქმედების ფორმებს და მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს **(ს.გ.საბ.3, 4);**
- მსჯელობს ხელოვნებაზე, როგორც საზოგადოების თვითგამოხატვის საშუალებაზე, მოჰყავს რამდენიმე მაგალითი **(ს.გ.საბ.3, 4);**
- მსჯელობს ეპოქების ურთიერთგავლენაზე რამდენიმე მაგალითის საფუძველზე **(ს.გ.საბ.4);**
- ადარებს ორ ეპოქას ან კულტურას საზოგადოებაზე ზემოქმედების საშუალებების მიხედვით **(ს.გ.საბ.4).**

დამატებითი ინფორმაცია კომპლექსური დავალებების შეფასების შესახებ:

ფრესკის იმიტაციის შექმნა (10 ქულა):

- კომპოზიციის შინაარსი შეესაბამება დავალების პირობას (2 ქულა);
- გაითვალისწინა შუა საუკუნეების ფრესკის გამომსახველობითი თავისებურებები (სიბრტყობრიობა, ხაზობრიობა, პირობითობა და სხვა)(3 ქულა).;
- საკუთარი ხელით დაამზადა საღებავები (2 ქულა);
- გააზრებულად და შემოქმედებითად გამოიყენა ფრესკის ტექნიკა (3 ქულა);

შედარებითი ანალიზი:

- მოსწავლე განასხვავებს და აანალიზებს სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების სახასიათო ნიშნებს; ასახელებს მათ გამომწვევ მიზეზებს, განიხილავს მათ რელიგიურ/კულტურულ კონტექსტში.

*(დანართში მოცემულია შედარებითი ანალიზის შეფასების სამი სხვადასხვა ფორმა. მასწავლებელს შეუძლია თავად შეარჩიოს ერთერთი)

## დავალებების მატრიცა 1/3

| გაკვეთილები 8-12 | გამაერთიანებელი თემები: ისლამური სამყარო; ხელოვნება განათლებისთვის. | |
|---|---|---|
| საკითხი და ქვეცნებები | საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები | კომპლექსური დავალებები |
| ელემენტები:<br>ხაზი, ფერი, ფორმა, ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება.<br>**პრინციპები:**<br>კომპოზიციური განაწილება, კონტრასტი, თანაფარდობა, მასშტაბი, ორნამენტი<br>**დარგები:**<br>მხატვრობა (გრაფიკა, მინიატურა)<br>**სახვითი ხელოვნების ტექნიკა:**<br>ციფრული ტექნოლოგიები. | • რა ფაქტორებმა განსაზღვრა ისლამური ხელოვნების თავისებურებები?<br>• რა ძირეული სხვაობაა ქრისტიანული და ისლამური ტაძრების ინტერიერის მორთულობაში?<br>• რა მსგავსება/სხვაობაა შუა საუკუნეების ქრისტიანულ და ისლამურ მხატვრობას შორის?<br>• რა როლი ეკისრება ხელოვნებას განათლების სამსახურში? | **აფორიზმების წიგნის შექმნა** (ქაღალდის და ციფრული ვერსია) |

**პასუხები საკვანძო შეკითხვებზე:**
- ✓ ისლამური ხელოვნებების თავისებურებები განსაზღვრა რელიგიურმა დოგმებმა.
- ✓ ისლამური საკულტო ნაგებობების ინტერიერები, ქრისტიანულისგან განსხვავებით, არ არის მორთული ფრესკებითა და ხატებით.
- ✓ ქრისტიანულ და ისლამურ მხატვრობას შორის მსგავსება გამოიხატება პირობით სახვით ენაში, ხოლო განსხვავება ქრისტიანულის სისადავესა და სიმკაცრეში და ისლამურის კაზმულ, დეკორაციულ ხასიათშია.
- ✓ ხელოვნება სიტყვას, იდეას ანიჭებს ხილულ სახეს და ამგვარად ავრცელებს იდეებს სახვითი ხერხებით.

## 8 – 9 ისლამური ხელოვნება; ისლამის მხატვრობა

ამ თავში მოსწავლეები გაეცნობიან ისლამურ ხელოვნებას, გააცნობიერებენ, თუ როგორ გზებს პოულობს ხელოვნება რელიგიური აკრძალვების პირობებში, გაეცნობიან ორნამენტის სახეობებს. მომდევნო თავში ეს ცოდნა დაეხმარებათ, დაინახონ ბიზანტიის ხელოვნებაზე ისლამის გავლენის ნიშნები.

შეკითხვა:
- ✓ რა მხატვრული ხერხები დამკვიდრდა ისლამურ ხელოვნებაში?
- ✓ რომელი დარგები გახდა წამყვანი ისლამურ ხელოვნებაში და რატომ?
- ✓ რა აკრძალვა დააწესა ისლამურმა რელიგიამ სახვით ხელოვნებაში?
- ✓ რა რელიგიურმა აკრძალვამ მისცა ბიძგი სპარსული კერამიკის ტექნოლოგიისა და დიზაინის განვითარებას?
- ✓ რა შემთხვევაში ირღვევა ადამიანისა და სხვა ცოცხალი არსებების გამოსახვის აკრძალვა?
- ✓ რას წარმოადგენს არაბესკა და რაში გამოიხატება ორნამენტის ამ სახეობის თავისებურება?
- ✓ რას წარმოადგენს მინიატურა და რაში გამოიხატება მისი თავისებურება?
- ✓ რა თავისებურება აქვს ჯუმა მეჩეთის ინტერიერს? რატომ ითვლება თბილისის მეჩეთი მსოფლიოს სხვა მეჩეთებს შორის განსაკუთრებულად?

**პასუხი სახელმძღვანელოში ჯუმა მეჩეთის თაობაზე დასმულ შეკითხვაზე:**
- ✓ სახელმძღვანელოში მოცემულ ფოტოზე არ ჩანს, რომ თბილისის ჯუმა მეჩეთში ორი მიჰრაბია. თბილისის მეჩეთი ის იშვიათი შემთხვევაა, სადაც ისლამის ერთმანეთთან დაპირისპირებული ორი განშტოების წარმომადგენლები - სუნიტები და შიიტები ერთად ლოცულობენ.
- ✓ სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს მიუთითოს ქვემოთ მოყვანილი ქართულენოვანი ბმულები, რომლებიდანაც მოსწავლეები მიიღებენ სრულ ინფორმაციას ჯუმა მეჩეთის ისტორიისა და განსაკუთრებულობის შესახებ.

ბმულები თბილისის ჯუმა მეჩეთის შესახებ ცნობების მოსაპოვებლად:
http://www.ttimes.ge/archives/64098
https://sputnik-georgia.com/columnists/20160824/233070903.html

**მინიშნება სახელმძღვანელოში მოცემულ დავალებაზე:** დააკვირდი ანჩისხატის ეკლესიის კარიბჭეს და იპოვე ისლამური არქიტექტურის ნიშნები. მოსწავლეებმა უნდა აღნიშნონ:
ა) შეისრული თაღი;
ბ) შეისრული ნიში;
გ) აგურის დეკორატიული წყობა.

**სახელმძღვანელოში დასმულ შეკითხვაზე:** ქრისტიანული საეკლესიო კომპლექსის რომელი ნაგებობა შეესაბამება ისლამურ მინარეთს და რა ფუნქცია აქვს მას?
**პასუხია:** სამრეკლო. სამრეკლოდან, ზარების რეკვით წირვა-ლოცვაზე უხმობენ მრევლს.

✓ **პრაქტიკული სამუშაო** (წყვილებში):
დეკორატიული ფილა (შორენკეცის იმიტაცია):
ერთი ფერის პლასტილინის თხელი ფენით დაფარულ მუყაოს მართკუთხა ან რვაკუთხა ნაჭერზე, სხვა ფერის პლასტილინით დეკორატიული (ორნამენტული ან სიუჟეტური თემატიკის) რელიეფური ნამუშევრის შესრულება.

✓ **პრაქტიკული სამუშაო „არაბესკა“** (მოსწავლის სახელმძღვანელო, გვ. 66-67)
ერთი ფორმისა და ზომის, ორნამენტებით მოხატული გეომეტრიული ფიგურებით მოზაიკური პანოს აწყობა.

<u>მასალა</u>:
თხელი მუყაო,
სახაზავი, ფარგალი, მაკრატელი,
ფანქარი, შავი მარკერი,
ფლომასტერები, ფერადი ფანქრები ან საღებავები (მოსწავლის არჩევანით),
დიდი ზომის ფორმატი,
წებო.

<u>დავალების პირობა:</u>
ჯგუფებად დაყოფილი მოსწავლეები გაინაწილებენ მომავალი ორნამენტის რვაკუთხა ფორმებს. ყოველი ჯგუფის ყველა წევრი იმუშავებს ერთნაირი ფორმისა და ზომის ფილებზე. ყოველი მოსწავლე დამოუკიდებლად დახაზავს, გამოჭრის და მოხატავს ჯგუფის მიერ შერჩეული რვაკუთხა ფორმის რამდენიმე ვარიანტს.
შორენკეცების მსგავსი მზა „ფილებით“ ჯგუფები დიდ ფორმატებზე ააწყობენ არაბესკებს, რისთვისაც ერთნაირ ფილებს დაალაგებენ ისე, რომ ფორმები ერთმანეთს ეხებოდეს კუთხეებით ან გვერდებით. შედეგად უნდა გამოვიდეს მწყობრი, სიმეტრიული არაბესკა.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებს, მათი უნარების გათვალისწინებით, შესაძლოა დაევალოთ მხოლოდ ფორმების გამოჭრა ან უკვე გამოჭრილი ფორმების მოხატვა და არაბესკის აწყობის პროცესში მონაწილეობა.

<u>რვაკუთხა ფორმების აგების ნიმუში:</u>




✓ **შედარებითი ანალიზი** (საკლასო, ჯგუფური) (იხ. მოსწავლის სახელმძღვანელო, გვ. 74-75):

✓ მოსწავლეები შეადარებენ ერთმანეთს ბერძნული ქანდაკების რომაულ ასლს და სპარსულ მინიატიურებს.

ანალიზის ნიმუში:

ამ ნაწარმოებებს ერთმანეთისგან თითქმის 20 საუკუნე აშორებს. მიუხედავად ამისა, ისინი ერთმანეთს ძალიან გვანან. ანტიკური ქანდაკებასა და სპარსულ მინიატიურებზე ქალები ერთნაირ პოზაში არიან გამოსახული. ანტიკური ნიმუში მრგვალი ქანდაკებაა (მას ყველა მხრიდან შეგიძლია შემოუარო). მეორე ნიმუში ფერადი მინიატიურა, ხოლო მესამე გრაფიკული ნახატი. სპარსი მინიატიურისტები არ ცდილობენ ორგანზომილებიან სიბრტყეზე სამგანზომილებიანი მოცულობის ილუზია შეგვიქმნან. ისინი არ იყენებენ შუქ-ჩრდილსა და ტონალურ გრადაციას. მათი ნახატები დეკორაციულია. მთავარი სახვითი საშუალებაა ხაზი (დენადი, მოქნილი). ხაზები არათანაბარი სისქისაა, რასაც მრავალფეროვნება შემოაქვს ნახატში. ფერად მინიატიურაზე, მკვეთრი ფერადი ლაქები გაცოცხლებულია ორნამენტული მოტივებით.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ისაუბრონ ფონსა და დამატებით დეტალებზე.

- ✓ მოსწავლეები შეადარებენ ერთმანეთს ანრი მატისის სურათს და იმსჯელებენ მათ შორის მსგავსება-განსხვავებებზე.

ანალიზის ნიმუში:

მიუხედავად იმისა, რომ სპარსი მინიატიურისტი და ანრი მატისი სხვადასხვა დროისა და კულტურის წარმომადგენლები არიან, მათი ნამუშევრები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ანრი მატისის სურათს აშკარად ემჩნევა აღმოსავლური მხატვრობით გატაცება: სიბრტყობრიობა, მოცულობების, შუქ-ჩრდილისა პერსპექტივის უგულვებელყოფა, ორნამენტების და დეტალების სიუხვე, მკვეთრი ფერები და სხვა.

## 10. ისლამის კერამიკა (საშინაო საკითხავი)

- ✓ **საშინაო დავალება:**

ერთჯერადი თეფშის კალიგრაფიული წარწერით (ციტატა, გამონათქვამი, სტროფი ლექსიდან და ა.შ.) და ნახატით გაფორმება.

## 11-12. ხელოვნება განათლების სამსახურში (კალიგრაფია); მინიატიურა

თემის შესწავლის წინ მასწავლებელს შეუძლია დაუსვას მოსწავლეებს შემდეგი კითხვები:

- ✓ როგორ ფიქრობთ, რა როლი აქვს ხელოვნებას განათლების სამსახურში?
- ✓ რა ფორმით ემსახურება ხელოვნება განათლებას?
- ✓ რისთვის არის საჭირო წიგნის ილუსტრირება?

**მსჯელობა:**

- ✓ შეადარე ერთმანეთს როსანოს კოდექსის მინიატიურა „საიდუმლო სერობა“ და სანტ აპოლინარე ნუოვოს ეკლესიის მოზაიკა „საიდუმლო სერობა“. დაადგინე, რას გულისხმობს ამ ეპიზოდის იკონოგრაფიული კანონიკა (წყვილებში, საკლასო).

**პასუხი**: მართალია, პირველი ილუსტრაცია ხელნაწერის მინიატურაა, მეორე კი მოზაიკა, ორივე ერთსა და იმავე პერიოდში - VI ს-შია შესრულებული. იკონოგრაფიული კანონიკა გულისხმობს პერსონაჟების მკაცრ კომპოზიციურ განაწილებას: ქრისტე გამოსახულია მარცხენა კიდეში. თეთრ სამოსში გამოწყობილი მოციქულები მაგიდის გარშემო ნახევარწრეიულად არიან განლაგებულნი. ქრისტეს ფიგურა გამოიყოფა ზომით, სამოსის ფერითა და შარავანდედით. ორივეგან მოციქულების

| | |
|---|---|
| ერთგვაროვანი სახეები განსხვავდება მხოლოდ თმის ფერითა და ვარცხნილობით, რაც მათ ასაკობრივ სხვაობაზე მიგვანიშნებს. სუფრაზე დევს თევზი. (მასწავლებელს შეუძლია ჰკითხოს მოსწავლეებს, თუ რისი სიმბოლოა თევზი. (ქრისტესი)).<br><br>✓ დააკვირდი როსანოს კოდექსის მეორე მინიატიურას „ფერხთა ბანვა“ და XV საუკუნის უცნობი გერმანელი მხატვრის ფერწერულ ტილოზე „ფერხთა ბანვა“. იმსჯელე განსხვავებებზე (ინდივიდუალური, საშინაო დავალება)..<br>**პასუხი**: როსანოს კოდექსის მეორე მინიატურა შესრულეულია პირობითი მხატვრული ხერხებით – სიბრტყობრივი და ხაზოვანი. ფონი არის ნეიტრალური, ძოწისფერი (საიმპერატორო, ღვთაებრივი) ფერის. გარემო არ არის მინიშნებული. უცნობი გერმანელი მხატვრის ფერწერულ ტილოზე კომპოზიცია შედარებით რეალისტურია, პერსონაჟების პოზები და მოძრაობები უფრო ბუნებრივი, მოციქულების გამომეტყველება და სამოსი ერთმანეთისგან განსხვავებული. მოქმედება ხდება ხაზოვანი პერსპექტივით გადმოცემულ ინტერიერში, სადაც ვხედავთ ბევრ დეტალს (შემინული ფანჯრები, კედლის განჯინა, ავეჯი და ჭურჭელი, ღია კარში მოჩანს კიბე). ტანსაცმლის ნაკეცები (დრაპირება) გადმოცემულია შუქ-ჩრდილითა და ტონალური გრადაციით.<br>ამ იკონოგრაფიული სხვაობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ნაწარმოებებს ათი საუკუნე აშორებთ.<br><br>✓ რა სხვაობაა ფრესკასა და მინიატიურას შორის?<br>**პასუხი**: მინიატიურა მცირე ზომის სურათია. იგი ამკობს ხელნაწერ წიგნს, ხოლო ფრესკა იხატება კედელზე და მონუმენტურ მხატვრობას მიეკუთვნება.<br><br>**კვლევა**:<br><br>✓ **რამდენი დამწერლობა არსებობს დედამიწაზე?** (ინდივიდუალური, საშინაო დავალება)<br><br>მოიძიე ცნობები სხვადასხვა დროისა და ხალხის დამწერლობის შესახებ.<br>შეაგროვე დამწერლობათა ნიმუშები და შექმენი ელექტრონული ალბომი.<br>შეადარე ერთმანეთს სხვადასხვა ქვეყნის კალიგრაფიის ნიმუშები.<br>ამოარჩიე ერთ-ერთი დამწერლობა.<br>გამოიკვლიე მისი ისტორია და წარუდგინე კვლევის შედეგი მეგობრებს.<br><br>**პრაქტიკული სამუშაო**:<br><br>✓ **წითელი წიგნი „საქართველოს ფლორა და ფაუნა“** (ჯგუფური სამუშაო)<br>მოიძიეთ საქართველოს ფლორასა და ფაუნას წითელი წიგნი.<br>გაეცანით იშვიათ და გადაშენების პირას მისულ მცენარეთა და ცხოველთა სახეობებს.<br>შეარჩიეთ და გაინაწილეთ თითო სახეობა.<br>თანაბარი ზომის ფურცლებზე ამოიხატეთ თქვენ-თქვენი სახეობა.<br>ლამაზი კალიგრაფიით მიაწერეთ მათი ქართული და ლათინური დასახელება.<br>დაურთეთ მოკლე ინფორმაცია შერჩეული სახეობის შესახებ.<br>აკინძეთ ნახატები წიგნად ან შესაბამისად გაფორმებული ნახატები გამოფინეთ სკოლის დერეფანში, რათა მათ სხვა მოსწავლეებიც გაეცნონ. | |

✓ **საზედაო ასო** (ინდივიდუალური):
ორნამენტით გაფორმებული ინიციალების დახატვა.

*სასურველია, მასწავლებელმა შეახსენოს მოსწავლეებს, რომ ორნამენტი შეიძლება იყოს ორგანული ანი ბუნებრივი, მცენარეული, გეომეტრიული, შერეული. შესთავაზოს მათ მოიძიონ სხვადასხვა ქვეყნისთვის დამახასიათებელი ორნამენტების ტიპები, რათა მოსწავლეებმა გააზრებულად გააკეთონ არჩევანი. ასევე, მოსწავლეებს შეუძლიათ მოიფიქრონ ასოს გაფორმების მათებური ხერხი (რომელიც შეიძლება სულაც არ ჰგავდეს ორნამენტს).
(დაწვრილებითი ინსტრუქცია იხ. მოსწავლის სახელმძღვანელოში გვ. 87)
*https://www.facebook.com/watch/?v=2270897236304200

✓ **გამოფენა:**
სასურველია, ბლოკის „საზოგადოება და ხელოვნება“ დასასრულს მოეწყოს გამოფენა.
მოსწავლეები მოიფიქრებენ კონცეპციას და გამოფენის სათაურს, რომელიც შეეფერება მათ მიერ წარმოდგენილ ნამუშევრებს. გამოფენაზე მოსწავლეები წარმოადგენენ თემატური ბლოკის „საზოგადოება და ხელოვნება“ ფარგლებში მომზადებულ ნამუშევრებს:
მოზაიკას, ფრესკის იმიტაციით დახატულ კომპოზიციას შობის თემაზე, „ვიტრაჟის იმიტაციას“, ჯგუფურ ნამუშევარს „შოთა რუსთაველის აფორიზმები“; ჯგუფების მიერ გაკეთებულ არაბესკების პანოებს, საზედაო ასოებს, კალიგრაფიულ ნამუშევრებს. პლაკატებს პროექტისთვის: “მე მინდა შევცვალო...” და სხვა.

ყოველი მოსწავლე შეარჩევს ერთ-ერთ თემას განვლილი მასალიდან და წარადგენს წერილობით მოხსენებას, რომელიც უნდა შეიცავდეს კვლევას, ანალიზსა და საკუთარ მოსაზრებებს თემასთან დაკავშირებულ საკითხზე.

**მითითებები კომპლექსური დავალებისთვის:**

ქართული საზედაო ასოების დიზაინის ბმულები:
*https://www.facebook.com/watch/?v=2270897236304200
*https://bit.ly/2TY7EOq

**აფორიზმების წიგნი** (მოსწავლის სახელმძღვანელო, გვ. 88)
(ქაღალდის და ციფრული ვერსია)
(ინდივიდუალური და ჯგუფური სამუშაო)

<u>მასალა</u>:
„ვეფხისტყაოსნიდან“ ამოკრეფილი შოთა რუსთაველის აფორიზმები
უბრალო და ფერადი ფანქრები; ფლომასტერები; კალიგრაფიული კალამი; წვრილი ფუნჯი;
მელანი, ტუში, აკვარელის ან გუაშის საღებავები;
სახატავი ფურცლები, თხელი მუყაოს ფურცლები;
კომპიუტერი, სკანერი, ფერადი პრინტერი;
ქაღალდის სამაგრები, წებო;
მახათი, სქელი საკერავი ნემსი;
აბრეშუმის ან კანაფის ძაფი (ბაწარი).

მოსწავლეების მიერ, თანაბარი ზომის ფურცლებზე, ინდივიდუალურად, ლამაზი კალიგრაფიით დაწერილი და ორნამენტებით ან შინაარსის შესაფერისი ნახატით გაფორმებული აფორიზმებით აიკინძოს ერთობლივი წიგნის ქაღალდის და ელექტრონული ვერსია.
*მასწავლებელი წინასწარ გაესაუბრება მოსწავლეებს და წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, გამოკითხავს, ხელოვნების რომელ დარგს მიეკუთვნება წიგნის გაფორმების ხელოვნება (გრაფიკას). მასწავლებელი შეეკითხება მოსწავლეებს, რა ეწოდება ხელნაწერი წიგნის ნახატებით გაფორმების ხელოვნებას (მინიატიურა).
*მოსწავლეებმა წინასწარ უნდა განსაზღვრონ ფურცლების ფერი და ტექსტის ფერი. მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ და თავად გადაწყვიტონ, ტექსტის ფერი იყოს ფურცლის ფერისგან განსხვავებული (კონტრასტული და მკაფიოდ აღსაქმელი) თუ მონათესავე ფერის.

*მოსწავლეებმა წინასწარ უნდა განსაზღვრონ ასოებისა და ორნამენტის ჩასახატი არეს ზომები, მასშტაბი, ტექსტის კომპოზიციური განაწილება ფურცლის არეზე, ტექსტისა და მისი შემამკობელი ორნამენტის თანაფარდობა. მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ, როგორი ორნამენტი მოუხდება მათ ნამუშევარს (მცენარეული, გეომეტრიული თუ შერეული). მასწავლებელს შეუძლია შეახსენოს მოსწავლეებს, რომ ორნამენტი გარკვეული ფორმების რიტმული განმეორებით მიიღება (თუმცა, არც ეს არის დავალების აუცილებელი პირობა).

წიგნის ელექტრონული ვერსია წარმოადგენს მოსწავლეთა კომპიუტერში ატვირთული ნამუშევრების ერთ დოკუმენტად ორგანიზებულ ფაილს. წიგნის ქაღალდის ვერსია კი ამავე ნამუშევრების ამობეჭდილ და აკინძულ რამდენიმე ეგზემპლარს. სასურველია, ყოველ ეგზემპლარს გაუკეთდეს ორნამენტით ან თემის შესაფერისი ნახატით გაფორმებული ყდა.
*სსმ და სსსმ მოსწავლეების უნარების გათვალისწინებით, მათ შეუძლიათ იტვირთონ მეგობრების ნახატების კომპიუტერში ატვირთვა და თანმიმდევრულად დალაგება, ამობეჭდილი ორნამენტების გაფერადება, ასაკინძი წიგნების მოწესრიგება და სხვა.

სასურველია, მოეწყოს გამოფენა, რომელზეც მოსწავლეები წარადგენენ კალიგრაფიულად გაფორმებულ „აფორიზმების წიგნს", წიგნისთვის დახატულ ცალკეულ ნამუშევრებსა და ესკიზებს. ასევე, საკუთარ კალიგრაფიულ ნამუშევრებს და ჩატარებული კვლევის შედეგებს.
წიგნის აკინძვის ნიმუშები:

    

**რელიეფური ყდა:**

- ✓ აფორიზმების წიგნის ყდა, წიგნის გვერდებზე ოდნავ მაღალი და განიერი უნდა იყოს.
- ✓ გაითვალისწინე წიგნის სისქეც.
- ✓ ყდისთვის განკუთვნილ მუყაოზე ფანქრით
- ✓ დახატე რელიეფის ესკიზი.
- ✓ დააწებე სქელი ძაფი ხაზების გაყოლებაზე.
- ✓ დააწებე ძაფიან ყდაზე ქაღალდი, ხელსახოცის ნაკუწები ან ქსოვილის ნაჭერი.
- ✓ დაფერე ყდა და დააწერე სათაური.

| | |
|---|---|
| **გაადვილებული ვარიანტი:**<br><br>ამობეჭდილი და გაფერადებული ნახატები შეიძლება ჩაწებდეს სახატავი რვეულის ფურცლებზე და გაფორმდეს რვეულის ყდა. | |
| **რესურსები:**<br>ისლამური არქიტექტურა:<br>https://bit.ly/2zRY4FH<br><br>თბილისის ჯუმა მეჩეთი:<br>http://www.ttimes.ge/archives/64098<br>https://sputnik-georgia.com/columnists/20160824/233070903.html<br><br>მეჩეთები სამცხე-ჯავახეთში:<br>http://liberali.ge/articles/view/24435/samtskhejavakhetis-uchinari-mechetebi<br><br>მრავალეროვანი თბილისი:<br>https://bit.ly/2AuPQDm<br><br>კორდობას მეჩეთი, ესპანეთი, VIII ს.:<br>https://www.youtube.com/watch?v=Q3etLlvo1v4<br><br>მსოფლიოს 10 ულამაზესი მეჩეთი<br>https://reginfo.ge/offload/item/870-msoplios-10-ulamazesi-mecheti<br><br>მინიატიურა:<br>ათონი, XIII ს.<br>http://cp14.nevsepic.com.ua/216/21571/thumbs/1389947398-zastavka-k-evangeliyu-ot-ioanna.jpg<br><br>ათონი, XIII ს.<br>http://cp14.nevsepic.com.ua/216/21571/1389947409-zastavka-k-evangeliyu-ot-luki.jpg<br><br>როსანოს კოდექსი VI ს:<br>http://www.chicercate.net/wp-content/uploads/2015/03/3.-Chi-cercate.jpg<br>https://siviaggia.files.wordpress.com/2015/12/02-codice-purpureo-di-rossano_patrimonio-unesco-2015.jpg<br>https://bit.ly/2TY8yKN<br>https://live.staticflickr.com/3729/11531705415_3ff2ff23b0_b.jpg<br>http://www.unesco.org/new/fileadmin/MULTIMEDIA/HQ/CI/CI/images/mow/italy_codex_purpureus_rossanensis_5.jpg<br><br>რაბულას სახარება VI ს:<br>https://i.pinimg.com/originals/48/b1/ff/48b1ff536d274f07d5d48033a7de8f5f.jpg<br>https://i.pinimg.com/originals/4b/d2/db/4bd2db2bdc2ca423a6b3c1f9fefb2bcd.jpg<br>http://warfare.tk/6-10/Rabbula_Gospel-4r.jpg<br>https://i.pinimg.com/originals/55/b2/a2/55b2a2aae6768e11fe7d7123eb66e3cf.jpg | |

ჯვარცმა და აღდგომა:
https://pbs.twimg.com/media/DQ7NVKMWkAAQO05.jpg

ამაღლება:
https://live.staticflickr.com/8452/8018452391_a5b0c56d73_b.jpg

სულიწმიდის გარდმოფენა:
https://pbs.twimg.com/media/DXS7OZmW4AEuoUc.jpg

დიოსკორიდები:
https://content.wdl.org/10690/service/thumbnail/1431370005/1024x1024/1/3.jpg
https://content.wdl.org/10690/service/thumbnail/1431370005/1024x1024/1/45.jpg
https://content.wdl.org/10690/service/thumbnail/1431370005/1024x1024/1/55.jpg
https://content.wdl.org/10690/service/thumbnail/1431370005/1024x1024/1/233.jpg

ცხოველები და ფრინველები:
https://66.media.tumblr.com/45e9f58fa7a325b4dbe426a9ac10d891/tumblr_mub49dKQGq1qbityio9_1280.jpg
https://i.pinimg.com/originals/e3/57/56/e357566fa4bd398f0d3d4f2906b04d98.png
https://ff-65a4.kxcdn.com/assets/uploads/OriginalDocs_old/512/greek-dioscorides-facsimile-edition-11.jpg
https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/7/79/ViennaDioscoridesEndpaperPeacock.jpg
ქვემოთ მოცემულ ბმულზე შეგიძლიათ ნახოთ ვენის დიოსკორიდის მაღალი რეზოლუციის ფოტოები:
https://www.wdl.org/ru/item/10690/view/1/1/

შეფასების კრიტერიუმები:

**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**
**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**

- ქმნის დეკორაციულ ნამუშევარს შესაბამისი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების, ხერხების, მასალისა და ტექნიკის გამოყენებით **(ს.გ.საბ.1,2,4);**

**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**
**სხვადასხვა ეპოქის/მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები**

- აანალიზებს რომელიმე ეპოქის ან კულტურის ხელოვნების ნიმუშს და მსჯელობს, რა ინფორმაცია მიიღო მისი მეშვეობით **(ს.გ.საბ.3);**
- მსჯელობს კულტურის/კულტურების ან ეპოქების ურთიერთგავლენაზე რამდენიმე მაგალითის საფუძველზე **(ს.გ.საბ.4);**
- ადარებს ორ ეპოქას ან კულტურას საზოგადოებაზე ზემოქმედების საშუალებების მიხედვით **(ს.გ.საბ.4).**

დამატებითი ინფორმაცია კომპლექსური დავალებების შეფასებასთან დაკავშირებით:

არაბესკა
ს.გ.საბ.1.2.

- დავალების დამოუკიდებლად შესასრულებელი ნაწილი შეასრულა დავალების პირობისა და საერთო ამოცანის გათვალისწინებით (0 – 3 ქულა);
- რვაკუთხა ფორმა აგებულია სწორად, სიმეტრიულია (0 – 3 ქულა);
- რვაკუთხა ფილა გაფორმებულია ილუსტრაციით და/ან ორნამენტით (0 – 3 ქულა)
- მოსწავლე აქტიურად მონაწილეობდა ერთობლივ საქმიანობაში (0 – 1 ქულა)

აფორიზმების წიგნი:
ს.გ.საბ.1.2.

- კალიგრაფიული წარწერა აკურატულია (0 – 3 ქულა);
- ნამუშევარი გაფორმებულია ილუსტრაციით და/ან ორნამენტით (0 – 3 ქულა);
- წიგნი აკინძულია და აქვს ყდა (0 – 3 ქულა);
- აქტიურად მონაწილეობდა დავალების ერთობლივად შესასრულებელ ნაწილში (0 – 1 ქულა);
- საერთო ნამუშევარი შეესაბამება დავალების პირობას.

გამოფენა:
ს.გ.საბ.1.2.3.4.

- მოსწავლემ გამოფენაზე წარადგინა რამდენიმე ნამუშევარი.
- ნამუშევრები შეესაბამება გამოფენის კონცეპციას.
- ნამუშევრები გამოფენილია მოწესრიგებულად.
- წერილობითი მოხსენება დაწერილია გამართულად, შეიცავს ილუსტრაციებს ან ჩანახატებს, კვლევის, ანალიზისა და მოსწავლის მოსაზრებების ელემენტებს.
- მოსწავლე აქტიურად იყო ჩაბმული ექსპოზიციის მომზადების პროცესში.

## დავალებების მატრიცა 1/4

| გაკვეთილები 13-15 | გამაერთიანებელი თემა: ქრისტიანული საკულტო არქიტექტურა | |
|---|---|---|
| საკითხი და ქვეცნებები | საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები | კომპლექსური დავალებები |
| **სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები):**<br>ფორმა<br><br>**სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები):**<br>პროპორცია, სტატიკა/დინამიკა<br>ჰარმონია, სიმეტრია/ასიმეტრია<br><br>**დარგები:**<br>საკულტო არქიტექტურა<br>რელიეფური ქანდაკება<br><br>**ჟანრები:**<br>რელიგიური<br><br>**სახვითი ხელოვნების ტექნიკა:.**<br>ვიტრაჟი | • რა გავლენას ახდენს რიტუალი საკულტო ნაგებობის გეგმარებაზე?<br>• რით განსხვავდება ერთმანეთისგან შუა საუკუნეების აღმოსავლეთ- და დასავლეთქრისტიანული საკულტო არქიტექტურა?<br>• რით განსხვავდება ერთმანეთისგან რომანული და გოთიკური არქიტექტურა და რა არის ამის მიზეზი?<br>• როგორია მათი არქიტექტურული მასების ორგანიზების მახასიათებლები? განათება? პროპორციები? დეკორი?<br>• რა გავლენას ახდენს ადამიანის განწყობაზე რომანული და გოთიკური საკულტო ნაგებობების იერი?<br>• რა იყო შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნების ძირითადი მახასიათებლები? რამ განაპირობა ისინი? | 1. **პროექტი „ტაძარი“**<br>ბიზანტიური, ქართული, რომანული და გოთიკური ტაძრების ფასადების მოდელების შექმნა და გაფორმება შესაბამისი დეკორით (გარგულიები, ვიტრაჟი, |

| | | |
|---|---|---|
| **ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა:**<br>შუა საუკუნეების არქიტექტურა<br>ბიზანტია, საქართველო, რომანული, გოთიკა | | ჩუქურთმა და სხვ.) |

**პასუხები საკვანძო შეკითხვებზე:**

- ✓ შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნების ძირითადი მახასიათებლები განაპირობა დოგმატურმა აზროვნებამ. იდეა მდგომარეობდა სულიერების წინ წამოწევაში. ამის საჩვენებლად და ხორციელისგან გასამიჯნად სახვითმა ენამ პირობითი მხატვრული ხერხები მოიხმო.
- ✓ ადრეული ქრისტიანული საკულტო არქიტექტურა (ბიზანტიური და რომანული) მსგავს ნიშნებს ატარებს, მაგრამ უკვე XII ს-დან დასავლეთ ევროპის არქიტექტურა განსხვავებული გზით ვითარდება. თუკი რომანული ტაძრები მკაცრია, სადა, მონოლითური, ძუნწად დაკორირებული და სუსტად განათებული (რის გამოც მლოცველზე დამთრგუნველად მოქმედებს), გოთიკური - ვერტიკალური ზესწრაფვით, უხვი დეკორითა და სადღესასწაულო განათებით მლოცველს საზეიმო გარემოს უქმნის.

## 13. ქრისტიანული საკულტო არქიტექტურა

- **კითხვები მსჯელობისთვის:**
  - ✓ რა ცვლილებები განიცადა არქიტექტურამ ქრისტიანულ ეპოქაში?
  - ✓ რა მსგავსება და განსხვავებაა რომაულ და ქრისტიანულ ბაზილიკებს შორის?
  - ✓ რით განსხვავდება წარმართული და ქრისტიანული რიტუალები?
  - ✓ რატომ გაჩნდა ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდგომ ახლებური საკულტო ნაგებობების მშენებლობის საჭიროება?
  - ✓ რამ გამოიწვია წარმართულ და ქრისტიანულ საკულტო ნაგებობებს შორის სხვაობის გაჩენა?

პასუხები:

- ✓ ანტიკური ხანის ტაძრებში მსხვერპლშეწირვა არ სრულდებოდა. ტაძარში ღვთაების ქანდაკება იდგა და მისთვის შეწირული ძღვენი ინახებოდა. შეწირულ ცხოველებს ცეცხლზე წვავდნენ და თუ ალი ხანძარს არ გააჩენდა, ტაძარს გაჭვარტლავდა მაინც. ტაძრებში მხოლოდ ქურუმები დაიშვებოდნენ, ხალხი კი ღია ცის ქვეშ მოწყობილ სამსხვერპლოსთან იდგა.
- ✓ მალულად ლოცვამ ქრისტიანები იზოლირებულ, დახურულ სივრცეში შეკრებას მიაჩვია. სანთლის დანთების წესი ბნელ კატაკომბებიდან გამოყვათ. რომაული საერო ბაზილიკა ბევრ ხალხს იტევდა. ამიტომ ქრისტიანებმა ის თავის სამლოცველო ნაგებობისთვის შეარჩიეს, ოღონდ საკურთხეველი და დამხმარე სათავსოები დაუმატეს.

- **კონსტანტინოპოლის (სტამბოლის) ჰაგია სოფიას გუმბათის შედარება წინამორბედ გუმბათთან (რომის პანთეონი):**
  - ✓ რა როლს ასრულებენ აფრები?

**პასუხი:** რომის პანთეონის გუმბათი მთლიანად ცილინდრზე დგას, მის ყველა წერტილს აქვს მყარი საყრდენი. ჰაგია სოფიას გუმბათი კი მხოლოდ თაღების ოთხ წერტილს უნდა დაეკავა. თაღებს შორის სიცარიელე აფრებით ამოივსო, რომლებმაც გუმბათის სიმძიმე გადაინაწილეს.

 

https://civitavecchia.portmobility.it/sites/default/files/pantheon_sezione.jpg
https://i.pinimg.com/originals/bf/3e/cf/bf3ecfd6fc676208c8f0df644cc49bb8.jpg

**პრაქტიკული სამუშაო:**

- მუყაოს ნაჭრებით ბაზილიკის მაკეტის კონსტრუირება (ჯგუფური, საკლასო);

- გუმბათის კონსტრუირება (ჯგუფური, საკლასო):
  დაიყავით ჯგუფებად. მოიფიქრეთ როგორ და ნებისმიერი, თქვენთვის მოსახერხებელი მასალით, გააკეთეთ გუმბათის მაკეტი ან კონსტრუქცია, რომელიც აფრებს ეყრდნობა. მოიფიქრეთ, როგორ გადაიყვანოთ გუმბათქვეშა კვადრატი წრეში.



https://i.pinimg.com/originals/35/f8/5a/35f85a96752f6fa27b909904cff3a7b8.jpg

გუმბათის მაკეტის სავარაუდო ვარიანტები სხვადასხვა მასალით:
მუყაო, პაპიე-მაშე, ასანთის ღერები, პლასტილინი, საწრუპავი ჩხირები (ერთმანეთში ჩასმით, წებოს გარეშე) და ა.შ.
http://www.roostereggs.org/images/dome_proto/2015%20dome%2001.jpg
https://i.pinimg.com/originals/74/05/0e/74050e58f67fa29ff508032e90eabe13.jpg
https://geodesicdome.files.wordpress.com/2011/01/0110111611.jpg
https://cdn.instructables.com/FNZ/QAX1/GPA5SGK2/FNZQAX1GPA5SGK2.LARGE.jpg?auto=webp&width=1024&height=1024&fit=bounds
https://cdn.instructables.com/FBS/BSTU/IDZSI3V6/FBSBSTUIDZSI3V6.LARGE.jpg?auto=webp&&frame=1&width=1024&height=1024&fit=bounds
https://cdn.instructables.com/FQ7/8KBK/IE08O5X0/FQ78KBKIE08O5X0.LARGE.jpg?auto=webp&&frame=1&width=1024&fit=bounds

**შეკითხვები:**

✓ როგორია ქართული ტაძრების პროპორციები?
✓ როგორია ქართული ტაძრების საფასადო დეკორი?
✓ როგორ უხამებდნენ ხუროთმოძღვრები ტაძრის ფორმებსა და მასშტაბებს გარემოს?

**პასუხი:**

✓ ბოლნისის ბაზილიკა (V ს.) ჯერ კიდევ ყრუ და დაუნაწევრებელი კედლებით, განში გართხმული, დამჯდარი პროპორციებით და რელიეფური დეკორის სიმწირით ხასიათდება. ბოლნისის სიონის სამივე ნავი ერთიანი ორფერდა

გადახურვის ქვეშაა მოქცეული. სინათლე გვერდითა ნავების სარკმლებიდან იჭრება. როგორ ფიქრობ, საკმარისია ასეთი განათება ინტერიერისთვის? *(სავარაუდო სწორი პასუხი: რაკიღა ცენტრალურ ნავს არ გააჩნია საკუთარი განათების წყარო და მხოლოდ გვერდითა ნავების სარკმლებიდან შემოღწეული, მეორადი განათებით ნათდება, ის ჩაბნელებულია).*

✓ ბაზილიკის გრძივი სხეული თავისთავად მოითხოვს, რომ მლოცველი დასავლეთიდან შევიდეს, ეკლესიის მთელი სივრცე ერთიანად დაინახოს და აღმოსავლეთით მდებარე საკურთხევლისკენ აიღოს გეზი. ბოლნისის სიონში დასავლეთის კარი გვიან გაჭრეს, თორემ ჩრდილოეთიდან ან სამხრეთიდან შესულს ორსავ მხარეს უწევდა გახედვა, ინტერიერის ნაწილები რომ დაენახა.

ბმულები საილუსტრაციო მაგალითებისთვის:
ბოლნისის სიონის ფასადები:
https://cdn2.img.sputnik-georgia.com/images/24480/21/244802175.jpg

https://cdn1.img.sputnik-georgia.com/images/24480/21/244802170.jpg

ბოლნისის სიონის გეგმა:
http://kannelura.info/dr/1448_01.jpg

ანჩისხატის ბაზილიკა:
http://www.ambioni.ge/files/anchisxati-1.jpg

ოთხთა ეკლესია:
http://www.amigo.ge/saunjegallery/albums/userpics/10002/beridze2_032-copy_289729.jpg
https://commons.wikimedia.org/wiki/File:Plan_of_eastern_wall_of_Otkhta.svg

http://photos1.blogger.com/blogger/5935/2977/1600/otxta%2024.jpg

პარხალი
https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/5/53/Parxalis_monasteri.jpg

ბიზანტიური ხელოვნება, წმ.სოფიას ტაძარი (ნინო ჭიჭინაძე, ფრეგმენტი ლექციების ციკლიდან)
https://www.youtube.com/watch?v=plceq2iUrdE&list=PL7508D327F04BE157&index=29

- **პრაქტიკული დავალება:** გეგმების „წაკითხვა“ (ჯგუფური, საკლასო) (მოსწავლის სახელმძღვანელო, გვ. 90-95)

*გეგმის კითხვა წარმატებულად უნდა ჩაითვალოს, თუ მოსწავლემ სწორად მიუთითა, ნაგებობა ბაზილიკის ტიპს მიეკუთვნება თუ გუმბათოვანს, სად არის აბსიდი, დამხმარე სათავსოები, ნავი, გუმბათი, ბურჯები, შესასვლელი, კარიბჭე და სარკმლები.

გეგმების კითხვისას, სასურველია, მასწავლებელმა სთხოვოს მოსწავლეებს, იპოვონ გეგმაზე ამოკითხული ადგილი შესაბამისი ნაგებობის ფასადზე.

<u>დამატებითი საილუსტრაციო მასალა გეგმების წაკითხვისთვის:</u>

ხაშმის სამება:



https://bit.ly/3dnSGZE

ძველი შუამთა:



სურ. 50. ძველი შუამთა, დიდი გუმბათოვანი ეკლესია. VII ს. გეგმა. ნ. სევეროვის მიხედვით

https://www.amigo.ge/saunjegallery/albums/userpics/10002/beridze2_032-copy_288229.jpg

PowerPoint პრეზენტაცია: საქართველოს ტაძრების ხედები, ჭრილები, გეგმები:
https://ppt-online.org/46427

- **შედარებითი ანალიზი:**
  ბიზანტიური და ქართული საკულტო არქიტექტურის ნიმუშების შედარებითი ანალიზი
  - ✓ სანტ-აპოლინარე ნუოვოსა და ბოლნისის სიონის ბაზილიკების არქიტექტურა
  - ✓ სან ვიტალესა და მცხეთის ჯვრის არქიტექტურა.

მოსწავლეებმა უნდა მიაქციონ ყურადღება ნაგებობების პროპორციებს, სიტლანქეს/მოქნილობას, არქიტექტურული მასების განაწილებას, ივარაუდონ ინტერიერის განათების ხასიათი.

სანტ-აპოლინარე ნუოვოს ბაზილიკის ექსტერიერი (გარეთა ხედი) დანაწევრებულია ნახევარწრიული, თაღოვანი სარკმელების რეგულარული რიტმით. აბსიდის წახნაგოვანი კედელი ხასიათდება ტლანქი პროპორციებით. ბოლნისის ბაზილიკაც ტლანქია. რამდენიმე მცირე ზომის სარკმელი არ არის საკმარისი ექსტერიერის შესამსუბუქებლად. ერთადერთი, რაც ბოლნისის სიონის ბაზილიკას შველის, ქვის სხვადასხვა ტონალობისა და ფერის წყობაა. ეს ფერწერული იერი ვიზუალურად ამსუბუქებს ნაგებობას. ექსტერიერის დანახვისას, შეგვიძლია ვივარაუდოთ, ინტერიერის განათების ხარისხი. სანტ-აპოლინარე ნუოვოს ბაზილიკას, ბოლნისის ბაზილიკასთან შედარებით ბევრად ნათელი ინტერიერი ექნება.

სან ვიტალე ბევრად უფრო ტლანქად გამოიყურება, ვიდრე მცხეთის ჯვარი. სან ვიტალს წახნაგები განიერია. მას თითქოს აწურულ ბეჭებზე (ტაძრის სხეული) დაბალი კისერი (გუმბათის ყელი) ადგას. მცხეთის ჯვრის გარე მასები მთის ბროილს კრისტალს ჰგავს, რადგან ერთმანეთთან პროპორციულ თანაფარდობაში იმყოფება. წახნაგები თითქოს ერთმანეთისგან ამოიზრდებიან, გუმბათი კი სხეულის ნამდვილი გვირგვინია.

## 14. დასავლეთ ევროპის ქრისტიანული არქიტექტურა

**შეკითხვები**:

- ✓ რამ განაპირობა რომანული არქიტექტურის იერი და რატომ გვაგონებს რომანული საკულტო არქიტექტურა თავდაცვით ციხე-სიმაგრეს?
- ✓ რამ განსაზღვრა რომანული ხანის სახელწოდება?
- ✓ როგორი შეიძლება იყოს თანამედროვე ტაძარი დღევანდელი სამშენებლო მასალებისა და ტექნოლოგიების გათვალისწინებით?
- ✓ როგორ შეიძლება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ტაძრის ინტერიერის შესამკობად?

**პასუხი**:

- ✓ VI-X საუკუნეებს ბნელი შუა საუკუნეები იმის გამო ეწოდა, რომ დასავლეთ ევროპაში ხალხთა დიდი გადასახლება მიწების დანაწილებისთვის გაუთავებელი ომებით მიმდინარეობდა. ტერიტორიების შესანარჩუნებლად ფეოდალებს გამძლე ციხექალაქები უნდა აეგოთ. XI-XII ს-ის დასავლეთევროპული საკულტო არქიტექტურა სწორედ იმ თავდაცვითი ნაგებობების იერს ატარებს (კოშკები, ყრუ კედლები, სათოფურებივით გაჭრილი ვიწრო სარკმლები).

*თანამედროვე საკულტო არქიტექტურის ინტერიერის დეკორში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით იხ. ვიდეო:
ციფრული პროექცია მონრეალის ნოტრ-დამის (კანადა) ბაზილიკაში: https://www.youtube.com/watch?v=FV3XdOda3zM

**საილუსტრაციო მასალა რომანული სატაძრო დეკორისთვის:**
ოტიუნის ტაძრის ტიმპანი. XII ს., საფრანგეთი.
https://c8.alamy.com/comp/D9KB6F/last-judgement-tympanum-by-gislebertus-circa-1130-ad-in-westfaade-D9KB6F.jpg

მუასაკის სენ პიერის ტაძრის ფრიზი, XII ს.
https://lh4.googleusercontent.com/-2ERF55Dfiiw/UvQFzY1eQ1I/AAAAAAAAPII/2I0TCoGAtjw/s1280/588.JPG

მუასაკის სენ პიერის ტაძარი, წინასწარმეტყველი იერემია, XII ს.
https://66.media.tumblr.com/tumblr_lr7vqyh1fx1r0pas8o1_1280.jpg

მუასაკის სენ პიერის ტაძარი, წმ. პავლე, XII ს.
https://bit.ly/2XnxCww
https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/f/fd/Moissac_-_Abbaye_Saint-Pierre_-_Porche_-_Portail_-_J%C3%A9r%C3%A9mie.JPG

https://commons.wikimedia.org/wiki/File:Moissac_-_Abbaye_Saint-Pierre_-_Porche_de_l%27%C3%A9glise_-_Portail_Sud_-_Trumeau_-4.JPG
https://commons.wikimedia.org/wiki/Category:Porche_de_Moissac

სამსონი და დალილა, ოლნეს ტაძრის კაპიტელი, საფრანგეთი, XII ს.
https://www.akg-images.com/Docs/AKG/Media/TR3_WATERMARKED/c/4/a/5/AKG3005792.jpg

სანტიაგო დე კომპოსტელას კარიბჭის კაპიტელი, ესპანეთი, XII ს.
http://ep00.epimg.net/cultura/imagenes/2009/12/20/album/1261263602_910215_0000000001_album_normal.jpg

XII ს., შოვინის წმ. პეტრეს ტაძრის კაპიტელი, საფრანგეთი
https://i.pinimg.com/originals/b3/d9/d6/b3d9d61d56fb472b5f3a5357d86cf222.jpg

XI-XII სს-ის კონკის (საფრანგეთი) სენ-ფუას ეკლესიის ტიმპანის „საშინელი სამსჯავროს" კომპოზიციის დეტალი
https://i.ytimg.com/vi/L6SfO03oejM/maxresdefault.jpg

## 15. რელიგიური დეკორი (გოთიკა)

- **იმსჯელე:**
  - ✓ რა განასხვავებს გოთიკურ ტაძარს რომანულისგან?
  - ✓ რამ განაპირობა ეს სხვაობა?
  - ✓ შენ რომლის პროპორციები მოგწონს უფრო მეტად?
  - ✓ ეთანხმები აღორძინების ხანის მკვლევრებს, რომლებმაც არქიტექტურის ფრანგული სტილი ბარბაროსულად მოიხსენიეს?
  - ✓ გადახედე X-XI სს-ის ქართული არქიტექტურის ნიმუშებს (ოთხთა ეკლესია, პარხალი, ალავერდი). შეგვიძლია ვთქვათ, რომ „გოთიკურად" წაგრძელებული პროპორციებისადმი ლტოლვამ საქართველოში უფრო ადრე იჩინა თავი ვიდრე ევროპაში? როგორია X-XI სს-ის ევროპული საკულტო არქიტექტურის პროპორციები?
  - ✓ რა ახალი დარგი შეემატა მონუმენტურ მხატვრობას გოთიკის პერიოდში? (ვიტრაჟი)

**პასუხები იხ. ქვემოთ** (რომანული და გოთიკური ხელოვნების შედარებით **T** სქემაში)

**საილუსტრაციო მასალა:**
XX ს-ის ვიტრაჟი:
ანრი მატისი, (საფრანგეთი), XX ს.
https://artsy-media-uploads.s3.amazonaws.com/CLN9_eiBXXLreZRJEd9Zuw%2F8130788144_044bebf3f2_o.jpg

ლე კორბუზიე, რონშანის კაპელა (საფრანგეთი), XX ს.
https://i.pinimg.com/originals/76/4b/7a/764b7a6b55fae4e8a0265eb05524f028.jpg

მარკ შაგალი, სხვადასხვა ქვეყნის ტაძრების ვიტრაჟები, XX ს.
https://www.dailyartmagazine.com/chagalls-stained-windows/


https://mimiberlin.com/sigmar-polke-in-the-grossmunster-cathedral/#jp-carousel-23954

2009 წლიდან, ზიგმარ პოლკეს მიერ შესრულებულმა ვიტრაჟებმა შვეიცარიის ქალაქ ციურიხში კიდევ უფრო მეტი ტურისტი მიიზიდეს. გროსმიუნსტერის სარკმლებს აქ ნახევრადძვირფასი ქვების თხელი ანათალით აწყობილი სარკმლები ამშვენებენ.

XX ს-ის ამერიკელმა ხელოვანმა, მოდერნის სტილის წარმომადგენელმა ლუის კომფორტ ტიფანიმ სწორედ ვიტრაჟული სანათებით გაითქვა სახელი:



ლუის კომფორტ ტიფანის სანათი, XX ს.
https://www.christies.com/features/Tiffany-lamps-10-things-you-need-to-know-9542-3.aspx

*ვიტრაჟის ტექნიკის შესახებ:
ტყვიის ტიხრებით იქმნება ნახატის კონტურები და ჩარჩო. ტიხრებში შესაბამისი ფორმის ფერადი მინის ნატეხები მაგრდება. ამ ტექნიკით გოთიკურ ტაძარში ზოგჯერ 20 მეტრამდე სიმაღლის სარკმლები იმინებოდა.

- **შედარებითი ანალიზი:**

რომანული და გოთიკური ხელოვნების შედარებითი **T** სქემა:

სქემის სავარაუდო ნიმუში:

| რომანული ხელოვნება | გოთიკა |
|---|---|
| აგრძელებს ძველი რომის არქიტექტურულ ტრადიციებს | ქმნის ახალ, აქამდე უცნობ ესთეტიკას* |
| დამიწებული პროპორციები | ვერტიკალურად წაგრძელებული პროპორციები |
| არქიტექტურაში: მასიური, მძიმე, მყარი დაუნაწევრებელი კედელი, შიგადაშიგ მხოლოდ არქიტექტურული დეკორით (სარკმელი, ნიში, თაღი...) | ფასადი, რომლის მსუბუქი, მაქმანივით აჟურული სკულპტურული დეკორის მიღმა კედელი არ ჩანს |
| ზოგ შემთხვევაში გამოიყენება ჯმუხი პროპორციების მქონე კონტრფორსები | მაღალი კონტრფორსები დამშვენებულია არკბუტანებით („მფრინავი თაღებით“) |
| არქიტექტურული ნაწილები მკაფიოდ განცალკევებულია | არქიტექტურული ნაწილები ერთმანეთში „იხლართება“ |
| ნახევარწრიული თაღი | შეისრული თაღი (შესაძლოა, არაბული გავლენა) |
| ნახევარწრიული პორტალი | შეისრული პორტალი წვეტიანი, ციცაბო ფრონტონით |
| მცირე რაოდენობით პატარა ზომის სარკმლებით სუსტად განათებული ინტერიერი გაშინებს ღვთიური სასჯელით | ბევრი ფართო, მაღალი ვიტრაჟიანი სარკმლებით უხვად განათებული ინტერიერი იმედის მომცემ, მიმტევებელ გარემოს გიქმნის |
| პორტალის თავზე პატარა წრიული სარკმელი, ე.წ. „ვარდული“ | პორტალის თავზე უზარმაზარი წრიული „ვარდული“ |
| მკაცრი, პირქუში, დინჯი | „კეკლუცი“, „ფარფატა“, „მოძრავი“ |
| სტატიკური | დინამიკური |
| ფიგურები „უხორცო“, გახევებული, დისპროპორციული, წაგრძელებული, სიბრტყობრივი, პირობითი | ფიგურები თანდათანობით ხდება უფრო რეალისტური, „ხორცშესხმული“, მიწიერი, სწორდება პროპორციები |
| ფიგურათა შორის დარღვეული მასშტაბები ზეციურ იერარქიას გამოხატავს | ფიგურათა შორის მასშტაბები კვლავ დარღვეულია |

*ესთეტიკა – ფილოსოფიის განხრა, რომელიც განიხილავს მშვენიერების, სილამაზის რაობას.

პრაქტიკული დავალებები:

- **ტაძრის საერთო მონახაზის დახატვა** (ინდივიდუალური);

- **გარგულიების ძერწვა** (საკლასო, ინდივიდუალური)

მიეცი იუმორსა და ფანტაზიას გასაქანი და პლასტილინით გამოძერწე გარგულიას გროტესკული ფიგურა. გაითვალისწინე:

• გროტესკი გულისხმობს დაცინვის მიზნით გამოსახულების ცალკეული ნაწილების უტრირებას, გაზვიადებას.

• გარგულია წყალსაწრეტი მილის დეკორია. მას უნდა ჰქონდეს ღიობი, საიდანაც წყალი გადმოვა. ამ ღიობის ფუნქციას პირი შეასრულებს, ცხვირი თუ ყური, შენი გადასაწყვეტია.



პლასტილინით დამზადებული გარგულიების ნიმუშები:
https://pbs.twimg.com/media/DEnpHpDXoAEY4dB?format=jpg&name=small
https://pbs.twimg.com/media/DEnpHpBXsAUjLWf.jpg

- **ვიტრაჟის იმიტაციის შექმნა** (რამდენიმე ვარიანტი) და გოთიკური კათედრალის ნახატ ფასადში ჩასმა.

*მოსწავლეებს შეუძლიათ შექმნან როგორც სიმეტრიული, ასევე ასიმეტრიული, როგორც ფიგურული, ასევე აბსტრაქციული ვიტრაჟი. მრგვალი, სიმეტრიული გამოსახულება შეიძლება აიგოს მანდალას პრინციპით ასევე რადიალურად.

ვიტრაჟისთვის ვარდულის ყალიბის დამზადება (ჯგუფური ან ინდივიდუალური, საკლასო)

მასალა:
პლასტილინი
პლასტმასის დაფა
თაბაშირი
წყალი
თხევადი საპონი
ერთჯერადი ჭიქა
კოვზი
ფუნჯი

1. დააკვირდი გოთიკური ტაძრების ვარდულის ორნამენტს.
2. დახატე და გამოძერწე ორნამენტის ერთ-ერთი შემადგენელი დეტალი.
3. პლასტილინის მოდელი განათავსე პლასტმასის დაფაზე.
4. მოდელს და მის გარშემო დაფას ფუნჯით წაუსვი თხევადი საპონი.
5. 1/2 ჭიქა წყალში ჩაყარე რამდენიმე კოვზი თაბაშირი. ფრთხილად მოურიე ხსნარს, რომ არაჟნის სისქის მასა მიიღო.
6. დაფაზე დამაგრებული დეტალი მთლიანად დაფარე თაბაშირის სქელი ფენით. დააცადე თაბაშირს გაშრობა და ამოიღე პლასტილინის მოდელი.

7. თაბაშირის ყალიბით ორნამენტის დეტალების ჩამოსასხმელად, მოამზადე თაბაშირის თხევადი ხსნარი. ყალიბს შიგნიდან წაუსვი თხევადი საპონი და ჩაასხი ყალიბში თაბაშირის ხსნარი. დეტალი ყალიბიდან ამოიღე მხოლოდ მაშინ, როცა ბოლომდე გაშრება. ყოველი ახალი დეტალისთვის მოამზადე თაბაშირის ახალი ხსნარი.
8. ამ ხერხით დაამზადე რამდენიმე ერთნაირი დეტალი და ააწყვე ერთი მთლიანი ორნამენტი.

ვიტრაჟის დამზადება

ვარიანტი I:

მასალა:

ქაღალდი
მარკერები
მინის ნაჭერი
თხევადი წებო პვა
წვრილი მავთული
გუაში
ფუნჯი

ეტაპები:

- ქაღალდზე დახატე შეისრული სარკმლის ან ვარდულის წრიული ფორმის მარტივი კონტურული ნახატი.
- დაფერე მარკერებით.
- დაადე ზემოდან მინა.
- ჩაყავი მავთული წებოში და დადე მავთული მინაზე კონტურების გაყოლებაზე. დაელოდე გაშრობას.
- დაფერე მავთულებს შორის არეები სასურველი ფერის მარკერით ან გუაშით.

ვარიანტი II:

მასალა:

ქაღალდი
უბრალო ფანქარი
პერგამენტის გამჭვირვალე ქაღალდი
მარკერები
ქაღალდის მშრალი წებო
მაკრატელი
გუაში

ეტაპები:

- ორი სქელი ქაღალდისგან გამოჭერი შეისრული სარკმლის ან ვარდულის წრიული ფორმა.
- ერთ-ერთზე გუაშით დახატე კედლის იმიტაცია (ქვის ან აგურის წყობა) და დაფერე გუაშით.
- სანამ „კედელი“ გაშრება, გამოჭრილ „სარკმელზე“ დახატე კონტურული ნახატი.
- დაფერე მარკერებით
- მოხატულ „სარკმელს“ ზემოდან დაადე პერგამენტის გამჭვირვალე ქაღალდი. გაითვალისწინე, რომ პერგამენტის ნაჭერი ზომით ნახატზე მოზრდილი უნდა იყოს.
- პერგამენტის ქვემოთ გამოჩნდება ნახატი.
- გადახატე სარკმლის ნახატი პერგამენტზე და დაფერე არეები სასურველი ფერებით.
- კონტურებს გადაატარე შავი მსხვილი მარკერი.

- უკვე გამშრალი „კედლის“ სუფთა მხარეს, გამოჭრილი სარკმლის ნაპირებს წაუსვი ქაღალდის მშრალი წებო.
- დაადე ზედ პერგამენტის ნაჭერი ისე, რომ ნახატი ზუსტად ჩაჯდეს სარკმლის ღიობში.
- პერგამენტის ნაპირებს კვლავ გადაუსვი წებო.
- დააფარე ზედ მეორე ქაღალდი ისე, რომ ღიობი კვლავ ნახატს მოარგო.
- დააწექი ხელით, რომ ფენები ერთმანეთს კარგად მიეკრას.


https://bit.ly/2XmGFhy

ვარიანტი III:

კომპიუტერის ძველ, უსარგებლო კომპაქტურ ფირფიტას (CD) ვერცხლისფერი მხრიდან დააკარი სკოჩი. ააძრე სკოჩი. მას აყვება ფირფიტის ვერცხლისფერი აპკი. მიიღებ გამჭვირვალე წრიულ ფორმას, რომელიც შეგიძლია გამოიყენო ვარდულის დასამზადებლად.
ვიდეოინსტრუქცია იხ.: https://www.youtube.com/watch?v=bGzj9Ue6e3M

ნამუშევრის ორგანიზების ხერხი:

შექმენი ვიტრაჟის იმიტაცია გოთიკური სტილის შეისრული სარკმლის ან წრიული ვარდულის ფორმით. ცალკე დიდი ზომის ფორმატზე დახატე გოთიკური კათედრალის ფასადი, გამოჭერი ვიტრაჟის ადგილები და უკნიდან მიაწებე შენი ვიტრაჟი ფასადის ნახატს.


https://i.pinimg.com/originals/d5/6d/92/d56d92a7f5d5e8e411e097281128ad1f.jpg

სხვა ვარიანტის ვიდეოინსტრუქცია:
https://www.youtube.com/watch?v=vt6_CAoBkfI

გოთიკური ვარდულის თარგები:


https://www.shutterstock.com/image-vector/gothic-rosette-window-pattern-vector-illustration-427719193


https://www.shutterstock.com/image-vector/gothic-rosette-window-pattern-vector-black-352124489


https://www.shutterstock.com/image-illustration/template-drawing-medieval-round-ornament-stained-1567588027

**რეკომენდაციები კომპლექსური დავალებისთვის:**

**პროექტი „ტაძარი“** (მოსწავლის სახელმძღვანელო, გვ. 115)

ბიზანტიური, ქართული, რომანული და გოთიკური ტაძრების ფასადების, მუყაოს სამგანზომილებიანი მოდელების შექმნა და გაფორმება შესაბამისი დეკორით (მასალის ფაქტურა, გარგულიები, ვიტრაჟი, ჩუქურთმა და სხვ.)

მასალა:
- სქელი მუყაო; პერგამენტის გამჭვირვალე ქაღალდი
- მარკერები,
- აკვარელის საღებავი, გუაში
- წებო
- ქაღალდის საჭრელი დანა, მაკრატელი

1. მოიძიე სხვადასხვა ეპოქის საკულტო ნაგებობები. დააკვირდი მათ თავისებურებებს. შეარჩიე ერთ-ერთი. მოიძიე ცნობები მის შესახებ დაწერე მოკლე მოხსენება შენს მიერ შერჩეული ტაძრის შესახებ: (ეპოქა, ქვეყანა, დანიშნულება, სტილი, მოკლე ისტორია).
2. დაწერე, რატომ შეარჩიე ეს ტაძარი, რა არის მის ისტორიაში ან არქიტექტურაში შენთვის საინტერესო.
3. მუყაოს სქელი ნაჭრით დაამზადე შერჩეული ტაძრის ფასადის მაკეტი. სქელ მუყაოზე დახატე და გამოჭერი საკულტო ნაგებობის ფასადი. გამოჭერი სარკმელები. კედლის ფაქტურის იმიტაციისთვის (ქვის ან აგურის წყობა) დაფერე მუყაო ქვიშანარევი გუაშით. გაუკეთე ტაძრის ფასადს შესაფერისი დეკორი (ორნამენტული, რელიეფური, სკულპტურული, ვიტრაჟი და სხვა).

სანამ „კედელი“ გაშრება, გამოჭრილ „სარკმელს“ უკნიდან დაადე პერგამენტის გამჭვირვალე ქაღალდი. გაითვალისწინე, რომ პერგამენტის ნაჭერი ზომით სარკმელზე მოზრდილი უნდა იყოს.
გადახატე სარკმლის მონახაზი პერგამენტზე, დახატე და დაფერე ვიტრაჟი, კონტურებს გადაატარე შავი მსხვილი მარკერი. დააწებე გამზადებული ვიტრაჟები თავ-თავის სარკმელებს.

  

https://i.pinimg.com/originals/17/95/24/179524c54ac0f490be3043dcb44cc387.jpg

**რესურსები:**

**შუა საუკუნეების ქართული საკულტო არქიტექტურა:**
http://www.dzeglebi.ge/dzeglebi/sakulto_nagebobebihtml.html

http://saunje.ge/index.php?option=com_content&view=article&id=11&Itemid=3&lang=ru

გეგმების წაკითხვისთვის: ნათელა ჯაბუა, ქრისტიანული ტაძრის არქიტექტურული ტიპები შუა საუკუნეების საქართველოში:
http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/11509/1/Arqiteqturuli_tipebi.pdf
*გეგმის კითხვა წარმატებულად უნდა ჩაითვალოს, თუ მოსწავლემ სწორად მიუთითა, ნაგებობა ბაზილიკის ტიპს მიეკუთვნება თუ გუმბათოვანს, სად არის აბსიდი, დამხმარე სათავსოები, ნავი, გუმბათი, ბურჯები, შესასვლელი, კარიბჭე და სარკმელები.

ბმული ქრისტიანული ტაძრის ხუროთმოძღვრული ნაწილების საღვთისმეტყველო სიმბოლიკის შესახებ: ქეთევან აბაშიძე, ქრისტიანული ტაძრის ხუროთმოძღვრული სახე:
http://www.orthodoxy.ge/sakhli/qristianuli_tadzari.htm

მსოფლიო ხელოვნება, ნანა მაჭარაშვილი, ნინო სილაგაძე. „მერიდიანი“, თბ., 2010:

**ბიზანტიისა და დას. ევროპის არქიტექტურა:**
ერნსტ გომბრიხი, ხელოვნების ამბავი, ლოგოს პრესი, 2012
https://bit.ly/2TZ3R3d

ბიზანტიური არქიტექტურის ნიმუშები:
https://www.gettyimages.ca/photos/byzantine-architecture?mediatype=photography&phrase=byzantine%20architecture&sort=mostpopular

რომანული არქიტექტურა:
https://www.gettyimages.ca/photos/romanesque-architecture?mediatype=photography&phrase=romanesque%20architecture&sort=mostpopular

გოთიკური არქიტექტურა:
https://www.gettyimages.ca/photos/gothic-architecture?mediatype=photography&phrase=gothic%20architecture&sort=mostpopular

გარგულიები:
https://artsandculture.google.com/exhibit/gargoyles-and-grotesques/dwIyM3GPNKfqLA

https://www.gettyimages.ca/photos/gargoyles?phrase=gargoyles&sort=mostpopular#license

ვიტრაჟი:
https://www.gettyimages.ca/photos/gothic-stained-glass-window?phrase=gothic%20stained%20glass%20window&sort=mostpopular#license

**შემაჯამებელი წერის ამოსაბეჭდი ფორმა** (სრულად იხ. დანართში):

შედარებითი ანალიზი
კლასი: VIII მოსწავლე ——————————— თარიღი —————

დავალების პირობა:
გამოიყენე მოცემული ილუსტრაციები და 4 პუნქტის მიხედვით, შეადარე ერთმანეთს მოცემული ნაწარმოებები.

1. ხელოვნების რომელი დარგის ნიმუშებია წარმოდგენილი? დაადგინე ხელოვნების ნიმუშების საერთო და განმასხვავებელი მხატვრული ნიშნები: რომელი სახვითი საშუალებები და სახვითი ხერხებია მათში გამოყენებული?
2. მახასიათებლების მიხედვით მიაკუთვნე ნიმუშები ხელოვნების ისტორიის გარკვეულ პერიოდს. დაასაბუთე შენი მოსაზრება.
3. იმსჯელე, რამ განაპირობა ნიმუშებს შორის სტილური სხვაობა. დაასაბუთე შენი მოსაზრება
4. გამოხატე საკუთარი დამოკიდებულება, რომელი უფრო მოგწონს და რატომ?



ქ. შარტრის ნოტრ-დამის კათედრალი, საფრანგეთი, XII ს-ის შუა წწ.



ქ. ნაუმბურგის კათედრალი, გერმანია, XIII ს-ის შუა წწ.

შეფასების კრიტერიუმები:

**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**
**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**

- შეარჩევს ხელოვნების სასურველ ფორმას (მაგალითად, მაკეტი და სხვ.), იყენებს შესაბამის მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, ხერხებს, მასალას და ტექნიკას საკუთარი ჩანაფიქრის უკეთ გადმოსაცემად (ს.გ.საბ.1, 2, 4);
- ნამუშევარში იყენებს იმ მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს, რომელსაც შერჩეულ ეპოქასა ან კულტურაში იყენებდნენ ადამიანზე ზემოქმედების მოსახდენად (ფორმა, მასშტაბი, პროპორცია, ორნამენტი და სხვ.) (ს.გ.საბ.1, 4);

**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**
**სხვადასხვა ეპოქის/მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები**

- აანალიზებს რომელიმე ეპოქის ან კულტურის ხელოვნების ნიმუშს და მსჯელობს, რა ინფორმაცია მიიღო მისი მეშვეობით (ს.გ.საბ.3);
- აანალიზებს ხელოვნების საზოგადოებაზე ზემოქმედების ფორმებს და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებს (ს.გ.საბ.3, 4);
- მსჯელობს ხელოვნებაზე, როგორც საზოგადოების თვითგამოხატვის საშუალებაზე, მოჰყავს რამდენიმე მაგალითი (ს.გ.საბ.3, 4);
- მსჯელობს კულტურის/ კულტურების ან ეპოქების ურთიერთგავლენაზე რამდენიმე მაგალითის საფუძველზე (ს.გ.საბ.4);
- ადარებს ორ ეპოქას ან კულტურას საზოგადოებაზე ზემოქმედების საშუალებების მიხედვით (ს.გ.საბ.4).

**დამატებითი ინფორმაცია კომპლექსური დავალების შეფასების შესახებ:**

**პროექტი „ტაძარი“ მაკეტი:**

- მაკეტი ითვალისწინებს ტაძრის ტიპის სპეციფიკას (მაგ. ნავები, გუმბათი, დეკორი...),
- ნამუშევარი შესრულებულია შემოქმედებითად, აკურატულად, მასალა შერჩეულია ჩანაფიქრის შესაბამისად, დაცულია ვადები.
- ნამუშევარს ახლავს მოკლე მოხსენება.

*მაკეტის შეფასების სქემა იხ. დანართში.

# თემატური ბლოკი: ადამიანი ხელოვნებაში. (18 +2 სთ)

*თავების მიმდევრობა მოსწავლის წიგნში:*


სასწავლო თემა: ადამიანი სამყაროს ცენტრში ........................................................ 117

1. ადამიანი ჰუმანისტი.................................................................................................. 118
2. ვინ დაუბრუნა ადამიანს მოცულობა? ...................................................................... 122
3. ადამიანი აღორძინების ხანის ქანდაკებაში ............................................................ 128
4. მაღალი აღორძინება .................................................................................................. 134
5. დასასრულის დასაწყისი ............................................................................................ 146
6. ადამიანი ჩრდილოევროპულ რენესანსში ................................................................ 156
7. ხელოვნება უგუნურების წინააღმდეგ ....................................................................... 162
8. გრძნობა და ემოცია..................................................................................................... 170
9. ხასიათი და მიმიკა ..................................................................................................... 180
10. ფსიქოლოგიური პორტრეტი...................................................................................... 184
11. კამერული და საზეიმო პორტრეტი ........................................................................... 196
12. ბაროკოს ეპოქის ადამიანი ........................................................................................ 210
13. ჯგუფური პორტრეტი.................................................................................................. 214
14. ავტოპორტრეტი .......................................................................................................... 224
15. ადამიანის ყოფა .......................................................................................................... 236
16. რას გვიამბობს კოსტიუმი............................................................................................ 250

## თემატური ბლოკი 2: ადამიანი ხელოვნებაში

**თემა: ადამიანი სამყაროს ცენტრში** — **საათების სავარაუდო რაოდენობა: 18 + 2 სთ**

**თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:**

- სახვითი საშუალებებისა და ხერხების დახმარებით ადამიანები გამოხატავენ იდეებს, გრძნობებს, ემოციებს.
- სხვადასხვა ეპოქაში ადამიანს სხვადასხვა მსოფლმხედველობა ჰქონდა და ამას ხელოვანები თავისი დროის მხატვრული ენითა და სტილით გადმოგვცემენ.
- სხვადასხვა ეპოქის ხელოვანებმა ადამიანის გარემომცველი სამყაროსადმი დამოკიდებულების, გარეგნობის, იდეების, განცდების, ხასიათის, ინტერესების, მისი სოციალური მდგომარეობის, სამყოფელი გარემოსა და ყოველდღიური ცხოვრების გადმოსაცემად სხვადასხვა მხატვრული ხერხი განავითარეს.
- ადამიანის გარეგნული თუ შინაგანი მახასიათებლების/თვისებების გადმოცემა შესაძლებელია მრავალფეროვანი სახვითი საშუალებებითა და ხერხებით.

**თემატური ბლოკის ფარგლებში დასამუშავებელი თემები და ქვეთემები:**

1. ადამიანის გამოსახულება სხვადასხვა ეპოქაში
2. ადამიანის პროპორციები
3. შინაგანი სამყაროს ასახვის გზები
4. პორტრეტის სახეობები
5. ყოფითი ჟანრი
6. კოსტიუმი

| სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები: | საკითხი და ქვეცნებები: | საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები: | კომპლექსური დავალებები (ტიპები): |
|---|---|---|---|
| **სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**<br>• ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი ხელოვნების ელემენტებს და პრინციპებს;<br>• სახვითი ხელოვნების ენას ვიყენებთ არა მხოლოდ ნამუშევრის შექმნისას, არამედ ხელოვნების ნიმუშებზე შთაბეჭდილებების იდეების, აზრის გამოთქმისას; | **საშუალებები (ელემენტები):** (ფორმა, მოცულობა, შუქ-ჩრდილი, ტონი, ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება);<br><br>**ხერხები** | • როგორ იყენებენ ადამიანები ხელოვნებას თვითგამოხატვისთვის?<br>• როგორ ასახავდნენ სხვადასხვა ეპოქის ხელოვნებაში ადამიანს?<br>• როგორ შეიცვალა დროთა განმავლობაში | **პრაქტიკული სამუშაო** (მასწავლებლის არჩევანით):<br>• **სავარჯიშოები**: ტონალური გრადაცია და მოცულობა ფანქრითა და საღებავით<br>• მიქელანჯელოს ქანდაკების „პიეტა“ ფანქრით ჩანახატის გაკეთება; |

| | | | |
|---|---|---|---|
| **სახვითი ხელოვნების ტექნიკა**<br>• ხელოვანი, მასალას და ტექნიკას ირჩევს მხატვრული ჩანაფიქრის მიხედვით.<br>• კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა, იცვლებოდა და ჩნდებოდა ხელოვნების ახალი ფორმები, მასალა და ტექნიკა<br><br>**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**<br>• ხელოვნება ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახით გვხვდება;<br>• ხელოვნების ნიმუშები სხვადასხვა მიზნითა და დანიშნულებით იქმნება;<br>• ხელოვნების დარგებად დაყოფას გამოყენებული მასალა, ტექნიკა ან დანიშნულება განაპირობებს;<br><br>• თითოეული დარგისთვის სახვითი ხელოვნების რომელიმე გამომსახველობითი საშუალება თუ ხერხია მეტად დამახასიათებელი;<br>• სახვითი ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით.<br><br>**სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები**<br>• ყველა ეპოქის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნებას აქვს თავისი მახასიათებელი, რომელსაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს;<br>• ხელოვნებაში მიმდინარე ცვლილებები (ხელოვნების დანიშნულება, მისდამი დამოკიდებულება, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, ტექნიკა, მასალა, იარაღი, დარგები, ფორმები და სხვ.) პირდაპირ კავშირშია კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარე ცვლილებებთან (მსოფლმხედველობა, ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია და სხვ.); | **(პრინციპები):**<br>წონასწორობა, სიმეტრია, სტატიკა/დინამიკა, პროპორცია, მასშტაბი, პერსპექტივა.<br><br>**დარგები:**<br>ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება; ფოტოგრაფია<br><br>**ჟანრები:**<br>პორტრეტი, ყოფითი;<br><br>**ტექნიკა:**<br>ხატვა, ძერწვა, ციფრული მედია;<br><br>**ეპოქა/კულტურა/მიმდინარეობა/ სტილი და შესაბამისი ხელოვნების ნიმუშები**<br>აღორძინების ხანა, ბაროკო | სახვითი ხერხები ადამიანის გარემომცველი სამყაროსადმი დამოკიდებულების, გარეგნობის, იდეების, განცდების, ხასიათის, ინტერესების, მისი სოციალური მდგომარეობის, სამყოფელი გარემოსა და ყოველდღიური ცხოვრების გადმოსაცემად?<br>• როგორ შემიძლია სახვითი საშუალებებისა და ხერხების გამოყენება ჩემი იდეების, განცდების, ხასიათის, ინტერესების, სოციალური მდგომარეობის, სამყოფელი გარემოსა და ყოველდღიური ცხოვრების გადმოსაცემად? | **შედარებითი ანალიზი და კვლევა**<br><br>• პროპორციების კვლევა და ადამიანის ფიგურის დახატვა<br>• პლასტილინით ადამიანის გამოსახულების ძერწვა კონტრაპოსტის პოზაში;<br>• გროტესკული ქანდაკება<br>• მეგობრის პორტრეტი (წყვილში სამუშაო)<br><br>**კომპლექსური პროექტები**<br><br>• მოხსენება; (სავალდებულო)<br>• ანიმაცია<br>• ტრიპტიქონი<br>• მეგობრის პორტრეტი<br>• ავტოპორტრეტი; (სავალდებულო)<br>• ფოტოპორტრეტი<br>• ავტოპორტრეტი<br>• დებატები (სავალდებულო): „ქალი ხელოვანები იგივე უფლებებით უნდა სარგებლობდნენ, როგორც მამაკაცები"<br>• ისტორიული კოსტიუმით შემოსილი თოჯინას დამზადება. (სავალდებულო)<br>• რეპორტაჟი: XX-XXI საუკუნის ბავშვების ყოფა და მოდა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| • სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს ურთიერთ ზეგავლენა;<br>ხელოვნების საშუალებით სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის შესახებ ბევრი რამის გაგება შეიძლება | | | |

**შეფასების კრიტერიუმები თემისთვის – „ადამიანი სამყაროს ცენტრში“:**

**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები),**
**სახვითი ხელოვნების ტექნიკა:**

- გამოსახავს ადამიანს შესაბამისი გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების (მოცულობა, შუქ-ჩრდილი, ტონალური გრადაცია, ფაქტურა, პროპორცია, დეტალი და სხვ.), სხვადასხვა მასალის და ტექნიკის გამოყენებით **(ს.გ.საბ.1,2);**
- ნამუშევარში (მაგ., პორტრეტში) იდეის ან განწყობისა და ემოციის გადმოსაცემად იყენებს ერთ ან რამდენიმე მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებას, ხერხს (შუქ-ჩრდილი, ტონალური გრადაცია, კონტრასტი, კომპოზიციური განაწილება, აქცენტი, დეტალი, პოზა, ჟესტი, მიმიკა და სხვ.) **(ს.გ.საბ.1);**
- აანალიზებს პორტრეტში გამოყენებულ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, ხერხებს და მსჯელობს, რის გადმოცემა სურდა ავტორს მათი საშუალებით (გარეგნობა, ხასიათი, სოციალური სტატუსი და სხვ.) **(ს.გ.საბ.3);**

**სხვადასხვა ეპოქის/მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები**
**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები:**

- ნამუშევარში საკუთარი ჩანაფიქრის, იდეის გადმოსაცემად შეარჩევს სახვითი ხელოვნების დარგს, ჟანრს, მხატვრულ ხერხებს, მასალას და ტექნიკას და მსჯელობს სახვით ხელოვნებაზე, როგორც თვითგამოხატვის საშუალებაზე **(ს.გ.საბ.2,3);**
- ერთი ან რამდენიმე ხელოვნების ნიმუშის საფუძველზე მსჯელობს, თუ როგორ გამოსახავდნენ ადამიანების შინაგან სამყაროს სხვადასხვა დროს **(ს.გ.საბ.3,4);**
- განიხილავს პორტრეტის ან ყოფითი ჟანრის წარმოშობის მიზეზებს **(ს.გ.საბ.4);**
- აანალიზებს რამდენიმე ხელოვანის შემოქმედებას და მსჯელობს, აისახა თუ არა და რა სახით მათ ნამუშევრებში იმ კულტურის გავლენა, რომლის წარმომადგენლებიც არიან **(ს.გ.საბ.3,4).**
- ადარებს ერთმანეთს რომელიმე ორი ეპოქის, დარგის, სტილის, მიმდინარეობის ნაწარმოებებს (პორტრეტები, ყოფითი ჟანრის), მსჯელობს მსგავსება-განსხვავებებზე, თავისებურებებზე **(ს.გ.საბ.4).**

დავალებების მატრიცა 2/1

<table>
<tr><td colspan="3">გაკვეთილები 1 - 5 გამაერთიანებელი თემა: აღორძინების ხანის ადამიანი</td></tr>
<tr><td>საკითხი და ქვეცნებები</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები</td><td>კომპლექსური დავალებები</td></tr>
<tr><td>ელემენტები:<br>ხაზი (შტრიხი, ჯვარედინი დაშტრიხვა), ფორმა, მოცულობა, შუქ-ჩრდილი (ათინათი, საკუთარი ჩრდილი, დაცემული ჩრდილი), ტონი (და მისი გრადაცია)<br><br>პრინციპები:<br>პროპორცია, მასშტაბი, პერსპექტივა<br><br>დარგები:<br>მხატვრობა, ქანდაკება<br><br>ჟანრები:<br>სხვადასხვა<br><br>სახვითი ხელოვნების ტექნიკა:<br>ფანქარი, აკვარელი, გუაში<br><br>ეპოქა/სტილი/მიმდინარეობა:<br>აღორძინების ხანა</td><td>• როგორ აისახება ხელოვნებაში წარმოდგენა ადამიანის შესახებ?<br>• როგორ შეიცვალა ადამიანისადმი დამოკიდებულება რენესანსის ეპოქაში?<br>• რას გულისხმობს რენესანსული ჰუმანიზმი?<br>• რით განსხვავდება ხატწერის პირობითი მხატვრული ენა რენესანსულისგან?<br>• რისი მაუწყებელია მიწაზე დაცემული ჩრდილი, შარავანდედი ან მათი არარსებობა?<br>• როგორ გადმოვცე ადამიანის ფიგურა და გარეგნობა რეალისტური მხატვრული ხერხებით (მოცულობითად, შუქ-ჩრდილის, ტონალური გრადაციისა და პროპორციების დაცვით)?</td><td rowspan="2">• კვლევა და მოხსენება თემაზე, თუ როგორ არის წარმოჩენილი ადამიანი აღორძინების ხანის რომელიმე ხელოვანის ერთ ნაწარმოებში. (სავალდებულო)<br><br>• ანიმაცია (დამოუკიდებლად ან წყვილში სამუშაო)</td></tr>
<tr><td colspan="2">1. ადამიანი ჰუმანისტი<br>• დისკუსია:<br>სადისკუსიო შეკითხვები:<br>✓ როგორ აისახება ხელოვნებაში წარმოდგენა ადამიანის შესახებ?<br>✓ როგორია ადამიანის ანტიკური იდეალი?<br>✓ რატომ გაქრა რიგითი ადამიანი შუა საუკუნეების სახვითი ხელოვნებიდან?<br>✓ როგორ შეიცვალა ადამიანისადმი დამოკიდებულება აღორძინების (რენესანსის) ეპოქაში?<br>✓ რა არის საერთო ანტიკური და რენესანსული გმირის სახეებს შორის?<br>✓ როგორი ადამიანის იდეალს ამკვიდრებს აღორძინების ხანა?<br>✓ რას გულისხმობს რენესანსული ჰუმანიზმი?<br>✓ რით განსხვავდება ხატწერის პირობითი მხატვრული ენა რენესანსულისგან?<br>✓ რისი მაუწყებელია მიწაზე დაცემული ჩრდილი, შარავანდედი ან მათი არარსებობა?</td></tr>
</table>

**პასუხები სადისკუსიო შეკითხვებზე:**

- ✓ სხვადასხვა ეპოქაში ადამიანის სხვადასხვაგვარი იდეალი ყალიბდება. ხელოვნება ამ იდეალს ასახავს.
- ✓ ანტიკურ ხანაში იდეალად მკვიდრდება ფიზიკურად და სულიერად თანაბრად განვითარებული ადამიანი: ფილოსოფოსი, ათლეტი, გმირი, მშობლიური ქალაქ-პოლისის დამცველი.
- ✓ შუა საუკუნეების ხატწერა ასახავს რელიგიურ პერსონაჟებს, წმინდანებს. თუ საერო პირია ასახული, ის დამკვეთია (ქტიტორი) და წარმოდგენილია, როგორც მავედრებელი, მლოცველი, მორწმუნე.
- ✓ რენესანსის ეპოქაში კვლავ ბრუნდება ინტერესი ადამიანისადმი. ადამიანი სამყაროს ცენტრში ექცევა, როგორც ღმერთის საუკეთესო ქმნილება.
- ✓ ანტიკური და რენესანსული გმირის სახეებს შორის საერთოა რწმენა ადამიანის გონებრივ, შემოქმედებით და ინტელექტუალურ შესაძლებლობებში.
- ✓ აღორძინების ხანა ამკვიდრებს მკვლევარი, მეცნიერი, თავდაჯერებული, მრავლისშემძლე ადამიანის იდეალს.
- ✓ რენესანსული ჰუმანიზმი გულისხმობს ანტიკური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის საფუძველზე მიღებული განათლების განვითარებას, თანადროული ადამიანისა და მის გარშემო არსებული მიწიერი სამყაროს კვლევას.
- ✓ ხატწერის პირობითი მხატვრული ენა წარმოაჩენს რელიგიურ იდეებს მათი ღვთაებრივი მნიშვნელობით. ამისთვის ის უგულვებელჰყოფს მიწიერ, მოცულობით, რეალისტურ მხატვრულ ხერხებს (შუქ-ჩრდილს, ტონალურ გრადაციას, საგანთა შორის მასშტაბურ თანაფარდობას, სწორ პროპორციებს და სხვ.) და სანაცვლოდ, იყენებს ფორმის სიბრტყობრივ, ხაზოვან დამუშავებას, ფონად – განყენებულ, ირეალურ (ხშირად ოქროსფერ) ფერს, დისპროპორციას, საგანთა შორის მასშტაბური თანაფარდობის რღვევას, უკუპერსპექტივას. რენესანსული კი აღადგენს ანტიკურ რეალისტურ მხატვრულ ენას და ავითარებს მას (იყენებს სწორ პროპორციებს, ანატომიურ სიზუსტეს, ხაზოვან და ჰაეროვან პერსპექტივას, საგანთა შორის მასშტაბურ თანაფარდობას და სხვ.)
- ✓ მიწაზე დაცემული ჩრდილი პერსონაჟის მიწიერების მაუწყებელია, მისი არარსებობა კი – ღვთაებრივი ნათელით გასხივოსნების. შარავანდედი სწორედ ამ ღვთაებრივი ნათელის ნიშანია, მისი არარსებობა კი ადამიანის მიწიერ ბუნებაზე მიგვანიშნებს.

## 2. ვინ დაუბრუნა ადამიანს მოცულობა?

- **მსჯელობა:**

გაიხსენე ბიზანტიური სახვითი ნიშნები და დაახასიათე ჩიმაბუეს „მაესტა“.

**პასუხი:**

ოქროსფერ ფონზე სიმეტრიულად განთავსებული ფიგურები „უწონადი“, „უხორცო“ და სიბრტყობრივია. ფორმა კუთხოვანი ხაზებითაა გადმოცემუ- ლი. ამ სიხისტეს ღვთისმშობლის სილუეტი არბილებს მხოლოდ. მარიამის გამოსახულება მასშტაბურად აღემატება დანარჩენებს. ყველა სახე ერთნაირია, მიმიკა და ჟესტიკულაცია უტყვი, პირობითი.

**შეკითხვა:**

დააკვირდი ფიგურებს ჯოტოს ფრესკებზე. აქვთ თუ არა მათ დაცემული ჩრდილები? გადახედე სახელმძღვანელოში შუა საუკუნეების ხატებს, ფრესკებსა და მოზაიკებს. დააკვირდი, აქვთ თუ არა ფიგურებს დაცემული ჩრდილები?

**დავალება**:

დაათვალიერე მომდევნო გაკვეთილების ილუსტრაციები. როდიდან ჩნდება მიწაზე დაცემული ჩრდილი? დააკვირდი ტანსაცმლის ნაკეცებს ჯოტოს ფრესკებზე. როგორ არის გადმოცემული დრაპირება – ხაზებით თუ შუქ-ჩრდილითა და ტონალური გრადაციით? სად არის ყველაზე განათებული ადგილი? სად არის ტველაზე დაჩრდილული ადგილები? შესაბამისად, საიდან ეცემა მათ სუნათლე?

**პრაქტიკული აქტივობები:**

- **სავარჯიშო ფანქრით სხვადასხვა მიმართულებისა და სიმუქის შტრიხების ხატვაში** (დამოუკიდებელი სამუშაო):

მოსწავლეები გაივარჯიშებენ ხელს ფანქრით სხვადასხვა მიმართულებისა და სიმუქის შტრიხების ხატვაში (ასევე, გაეცნობიან ჯვარედინი დაშტრიხვის ხერხს).



- **სფერო ფანქრით** (დამოუკიდებელი სამუშაო):

მოსწავლეები სწრაფი მოძრაობით შემოხაზავენ წრეს. არ არის საჭირო წრის ფორმის კონტურული ხაზით იდეალამდე მიყვანა. ეს ხარვეზი მოგვიანებით, შტრიხებით გასწორდება. წრეზე მკრთალად მონიშნავენ ადგილს, რომელსაც მათ წარმოსახვაში შუქი ეცემა და შესაბამისად, ყველაზე განათებული უნდა იყოს. ამ მონაკვეთს თეთრად დატოვებენ. მაგიდაზე დაცემული ჩრდილი განათების საპირისპირო მხარეს მოექცევა.

მოსწავლეები მსუბუქად დაშტრიხავენ ყველაზე ბნელ მონაკვეთსა და დაცემული ჩრდილის ადგილს. შემდეგ კი თანდათან გაამუქებენ სფეროს ტონალური გრადაციის გამოყენებით. დაშტრიხვის პროცესში, შტრიხებითვე გაასწორებენ სფეროს ფორმას.

მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ნახატში მაქსიმალური სიმუქის მიღწევა შეიძლება ორი გზით:

1. ნელ-ნელა, ფენა-ფენა მსუბუქი შტრიხებით ჩამუქება. ამ შემთხვევაში საგნის მოცულობას ტონალობის თანაბარი გრადაციით მიაღწევენ.

2. თავიდანვე, ფანქარზე დაჭერით მაქსიმალური სიმუქის შტრიხებით დახატვა, მომდევნო, ბაცი ადგილების კი, ყოველ მომდევნო მონაკვეთზე ფანქარზე შედარებით ნაკლები დაწოლით დახატვა. ამ შემთხვევაში ტონალური გრადაცია უხეში, მკვეთრი, შესაძლოა კუთხოვანიც გამოგივიდეს.





http://podg-kursy.ru/images/stories/fruit/untitled-37.jpg

- **მოცულობითი სფერო აკვარელით** (დამოუკიდებელი სამუშაო):

მოსწავლეები დაფერავენ სფეროს აკვარელის ერთი ფერის საღებავით. ამორეცხვის მეთოდით მისცემენ სფეროს მოცულობით ფორმას.

აკვარელით გააკეთებენ ტონალური გრადაციის სქემას:




https://watercoloraffair.com/wp-content/uploads/2019/02/watercolor-skin-tone.jpg

• მოსწავლეები გაივარჯიშებენ ხელს აკვარელით ფერის სხვადასხვა სიმუქის ტონის ხატვაში. დააკვირდებიან ფერების ბორბალს. მთლიანად, თანაბარი ინტენსივობით დაფერავენ ფურცლის გრძელ ზოლს ერთი ფერის საღებავით. თვალით მონიშნავენ მონაკვეთს, რომელსაც მუქი ეცემა და რომელიც შედარებით ღია ტონის უნდა იყოს. სუფთა წყალში დასველებული ფუნჯით ამორეცხავენ მონიშნულ მონაკვეთს. უნდა ეცადონ, თანაბრად და თანდათან გადაიყვანონ მუქი ტონი ღიაში.

*ამორეცხვის მეთოდი გულისხმობს სუფთა წყალში დასველებული ფუნჯით ნახატიდან აკვარელის საღებავის ამოწმენდას.

- **ტონალური გრადაცია გუაშით** (დამოუკიდებელი სამუშაო):
  მოსწავლეები დახატავენ სფეროს გუაშის საღებავებით. ამორეცხვის მეთოდის ნაცვლად, ფერის გასაღიავებლად, გუაშის საღებავი უნდა გააზავონ თეთრი ფერით.




https://encrypted-tbn0.gstatic.com/images?q=tbn%3AANd9GcRJFU9jZDxcshWwag5jCTpytSa2KvRJ82b9EcpVGmQsz6BwFwQh

- **დრაპირება ფანქრით**: (დამოუკიდებელი სამუშაო)
  უბრალო ფანქრით, შტრიხებისა და ჯვარედინი შტრიხების მეშვეობით, მოსწავლეები დახატავენ დრაპირებას. ქსოვილი გადაფინეთ მაგიდაზე ან დაკიდეთ კედელზე ისე, რომ რამდენიმე ნაკეცი გაიკეთოს. მოსწავლეები უბრალო ფანქრით დახატავენ დრაპირებას. მათ უნდა მიაქციონ ყურადღება შუქ-ჩრდილსა და ტონალურ გრადაციას.



https://i.pinimg.com/originals/95/2f/e2/952fe22fa5de31798b43beff3346b5d8.jpg



https://i.pinimg.com/originals/e5/cb/69/e5cb69da2c1f45e5e28cdc6050e1a92b.jpg

- **დრაპირება აკვარელით:** (დამოუკიდებელი სამუშაო)

მოსწავლეებმა უნდა დახატონ დრაპირება აკვარელის ან გუაშის საღებავით. უნდა გაითვალისწინონ, რომ აკვარელის საღებავი, რაც მეტად წყლიანია, მით უფრო ბაცი და გამჭვირვალეა.

აკვარელის საღებავით დასმული მუქი, ინტენსიური ფერის ლაქა შეიძლება გაადიავონ - ამორეცხონ სუფთა წყალში დასველებული ფუნჯით ან ღრუბლით. გუაშის საღებავის გასაბაცებლად კი, იგი უნდა გააზავონ თეთრი ფერის საღებავით.

ჯოტო, „წმ იოაკიმეს სიზმარი“, ფრესკის დეტალი კაპელა სკროვენი, პადუა
https://bit.ly/2XNKlrF

აკვარელით შესრულებული დრაპირების ნიმუში:
https://bit.ly/2MhUckb
გუაშით შესრულებული დრაპირების ნიმუში:
https://bit.ly/2TVvzO7

### 3. ადამიანი აღორძინების ხანის ქანდაკებაში

**წინარე ცოდნის გააქტიურება:**

სასურველია, მასწავლებელმა შეახსენოს მოსწავლეებს ანტიკური ხანის ხელოვნების პერიოდები და მათი მახასიათებლები ადამიანის სხეულის ანატომიისა და პროპორციების კვლევის კუთხით.

ანტიკური ხანის ხელოვნების პერიოდები:
არქაიკა – ძვ.წ. VIII-V სს.
კლასიკა – ძვ.წ. V-IV სს.
ელინიზმი – ძვ.წ. IV ს-ის II ნახ.-დან ძვ.წ. I ს-მდე

- **შედარებითი ანალიზი** (წერილობითი მოხსენება):
  - ✓ შეადარე ერთმანეთს ბიბლიური მეფე დავითის რომანული რელიეფები და რენესანსული ქანდაკებები.
  - ✓ როგორ წარმოიდგინეს და დაახასიათეს მოქანდაკეებმა გმირი ყმაწვილი?
  - ✓ რა ატრიბუტებით გამოირჩევიან რომანული და რენესანსული ქანდაკებები?
  - ✓ გამოთქვი აზრი, ბიბლიური დავითის რომელი ასპექტით წარმოჩენას ემსახურებიან ეს ატრიბუტები?

**ანალიზის ნიმუში:**

შუა საუკუნეების რომანულ რელიეფებზე ბიბლიური მეფე დავითი წარმოდგენილია ქნარით, როგორც ფსალმუნების შემსრულებელი, ღმერთის მადიდებელი. მეფსალმუნეს ქნარი ხაზს უსვამს მეფე დავითის ღვთის მადიდებელ მხარეს. ეს ატრიბუტი შეესაბამება რელიგიური იდეების დამკვიდრების სურვილს. რომანულ ქანდაკებებში ანატომიური სიზუსტე უგულვებელყოფილია, პროპორციები დარღვეულია, მოცულობები გადმოცემულია პირობითად,

სიბრტყობრივად, ხაზების მეშვეობით. რენესანსული დავითები წარმოდგენილნი არიან, როგორც მებრძოლი, გოლიათის დამმარცხებელი გმირები. მათი ატრიბუტები (შურდული, ხმალი) გამოწვევებთან გამკლავების უნარის მქონე, ტრიუმფატორი გმირის სახეს ამკვიდრებენ, რაც შეესაბამება რენესანსის ეპოქის ჰუმანისტურ იდეებს.

რენესანსული დავითი გამარჯვებულია, მან დაამარცხა გოლიათი. რენესანსულ ქანდაკებებში ჩანს ანტიკური ხელოვნების გავლენა – მათი ფორმები არის მოცულობითი, პროპორციულად და ანატომიურად გამართული, ფიგურები დგანან კონტრაპოსტის (ცალ ფეხზე დაყრდნობილი ფიგურა) პოზაში, მსგავსად საბერძნეთის კლასიკის ქანდაკებებისა. ბერძნული კლასიკური ნიმუშები რენესანსის ხელოვანებისთვის ეტალონი იყო.

მოსწავლეები უნდა მივიდნენ დასკვნამდე, რომ ბიბლიური მეფე დავითის რენესანსულ ქანდაკებებს მეტი საერთო აქვთ ბერძნული კლასიკის დროის, პრაქსიტელესის სატირის ქანდაკებებთან, ვიდრე რომანულ რელიეფებთან, მიუხედავად იმისა, რომ რომანული რელიეფები იმავე პერსონაჟს, მეფე დავითს ასახავენ.

**პრაქტიკული დავალება:**

- **მხედრის ფიგურა პლასტილინით**

  მასალა:

  პლასტილინი
  რბილი, დრეკადი მავთული
  ხის მომცრო ნაჭერი ან დაფა (სადგამისთვის)
  ლურსმნები  და ჩაქუჩი კარკასის დასამაგრებლად
  პლასტილინის დანა

1. მავთულით დაამზადე ფიგურის კარკასი (ჩონჩხი) და დაამაგრე კარკასი სადგამზე;
2. პლასტილინით ან თიხით უხეშად დაფარე მთლიანი კარკასი;
3. თითებით და პლასტილინის დანით დაამუშავე დეტალები.

ეტაპობრივი ფოტოინსტრუქცია:

1. http://dekormyhome.ru/wp-content/uploads/2019/07/384598bcba14ac7cc25999b550c1eb4e.jpg
2. http://dekormyhome.ru/wp-content/uploads/2019/07/f5700a3f6cdd4db9ec88adbcadd153bf.jpg
3. http://dekormyhome.ru/wp-content/uploads/2019/07/f9171e3f522ad94c9e368e32aa8c69a9.jpg
4. http://dekormyhome.ru/wp-content/uploads/2019/07/7d34ec0dcd53bc5ba7b44450652ea1f9.jpg
5. http://dekormyhome.ru/wp-content/uploads/2019/07/5332a31040d3a2f77259ed92ac9d0ad2.jpg
6. http://dekormyhome.ru/wp-content/uploads/2019/07/a5343a732592c71dda88f28980807aed.jpg

| | |
|---|---|
| • **ადამიანის ფიგურა კონტრაპოსტის პოზაში:**<br><u>მასალა</u>:<br>პლასტილინი; რბილი, დრეკადი მავთული<br>ხის მომცრო ნაჭერი ან დაფა (სადგამისთვის)<br>ლურსმნები და ჩაქუჩი კარკასის დასამაგრებლად<br>პლასტილინის დანა<br>*ადამიანის პლასტილინით გამოძერწილი ფიგურა შეიძლება გამოყენებულ იქნას მომდევნო კომპლექსურ ნამუშევრებში „ისტორიული კოსტიუმით შემოსილი თოჯინას“ და „ტოლერანტული ქალაქის“ მაკეტის გაფორმებისთვის.<br><br>1. დაგრეხილი მავთულით მოამზადე კარკასი. ეცადე, თავიდანვე გათვალო სხეულის სწორი პროპორციები.<br>2. კარკასი ტერფებით დაამაგრე სადგამზე, რისთვისაც წინასწარ მოიმზადე თიხის, სქელი მუყაოს ან ხის პატარა ნაჭერი.<br>3. დააყენე კარკასი სასურველ პოზაში.<br>4. შემოაწებე მავთულის სხეულსა და კიდურებს პლასტილინი.<br>5. გაუკეთე ფიგურას თავი.<br>6. ადამიანის ანატომიური აგებულების შესატყვისად დაამატე პლასტილინის პატარ-პატარა ნაკუწები სხეულსა და კიდურებს.<br>7. თითებით ან პლასტილინის დანით გადაგლისე ფიგურა. | |

**4. მაღალი აღორძინება**

**პასუხი სახელმძღვანელოში დასმულ შეკითხვებზე** (ეს კითხვები ემსახურება წინა წელს მიღებული, წინარე ცოდნის გააქტიურებას)

- ✓ რის ფონზე განათავსა მაზაჩომ „სამების“ პერსონაჟები?
- ✓ რომელი ეპოქიდან არის „ნასესხები“ ეს ნაგებობა?
- ✓ რას წარმოადგენს ის?
- ✓ რა ხერხებით ქმნის მაზაჩო სივრცის ილუზიას?

**პასუხი:**

- ✓ მაზაჩოს ფრესკის „სამება“ პერსონაჟები წარმოდგენილნი არიან თაღის ფონზე.
- ✓ ეს არქიტექტურული თემა აღებულია ანტიკური ხანიდან. გაიხსენეთ რომაული ტრიუმფალური თაღები (ადრიანეს, კონსტანტინეს, ტიტუსის, სეპტიმიუს სევერუსის...). ხელოვანი მიმართავს ანტიკური ხანის ნაგებობის გამოსახულებას, რაც სავსებით ნიშანდობლივია აღორძინების ეპოქისთვის.
- ✓ სივრცის ილუზია იქმნება ხაზოვანი პერსპექტივის მეშვეობით (თაღის კესონები სიღრმეში მცირდება).

- **შედარებითი ანალიზი:**

მოსწავლეები სიტყვიერად შეადარებენ ერთმანეთს:
ლეონარდო და ვინჩის „მონა ლიზას“ და რაფაელ სანციოს „მადალენა დონის“ პორტრეტებს.

**ანალიზის ნიმუში:**

რაფაელის „მადალენა დონის“ პოზა ზუსტად ისეთივეა, როგორც ლეონარდო და ვინჩის „მონა ლიზასი“, მაგრამ რაფაელი მიზნად ისახავს არა მხოლოდ გარეგნული მსგავსების გადმოცემას, არამედ წარჩინებული ადამიანის სტატუსის ასახვასაც.

რაფაელის მოდელი გაპრანჭულია, მას აცვია მდიდრული სამოსი, უკეთია სამკაული. მაგრამ მისი გამომეტყველება არაფრის მთქმელია.

ლეონარდო და ვინჩის „მონა ლიზას“ აცვია უბრალო, თალხი ფერის კაბა, არ უკეთია სამკაული, სამაგიეროდ, ორაზროვანი გამომეტყველების, იდუმალი ღიმილის გამო ჩვენ ვხედავთ, რომ ის რაღაცაზე ფიქრობს, ჩანს მისი შინაგანი სამყარო.

„მადალენა დონის პორტრეტის“ კოლორიტი მრავალფეროვანია, ხოლო „მონა ლიზასი“ - მონოქრომული, ერთფეროვანი, თითქოს ლეონარდო განგებ არ იყენებს ფერებს, რომ ყურადღება არ გაგვიფანტოს და მხოლოდ მთავარზე გააკეთოს აქცენტი – ქალის გამომეტყველებაზე.

გარდა ამისა, „მადალენა დონის პორტრეტში“ ყველა გამოსახულება არის მკაფიო, „მონა ლიზა“ კი ლეონარდოსეული „სფუმატოთია“ შესრულებული ანუ გამოსახულებები გაბუნდოვანებულია, რაც სივრცის, ჰაერის რეალისტურ შთაბეჭდილებას ქმნის.

- **შედარებითი T სქემა (დამოუკიდებელი სამუშაო)**

ეპოქების ხელოვნების სახვითი ენის მახასიათებლების (ბიზანტიური და რენესანსული ფერწერის თავისებურებათა) შედარება და შედარებითი სქემის შევსება.

*სქემის შევსება შესაძლებელია გაგრძელდეს მომდევნო გაკვეთილებზე.

ეპოქების სახვითი ენის მახასიათებლების შედარებითი T სქემის სავარაუდო ნიმუში:

| **ბიზანტიური** | **აღორძინების ხანა** |
|---|---|
| ხელოვნება ვითარდება ეკლესია-მონასტრების წიაღში და ემსახურება რელიგიური იდეების დამკვიდრებას | ხელოვნება ვითარდება კერძო მეცენატების კარზე. ეკლესია ხელოვნების ერთ-ერთი დამკვეთია. |
| დოგმატური | ჰუმანისტური, მეცნიერული |
| სულის უპირატესობა ხორციელზე | რწმენა ადამიანის გონებრივ, შემოქმედებით და ფიზიკურ შესაძლებლობებში |
| მიწიერი ცხოვრების აზრი ცდუნებებთან ბრძოლაა | მიწიერი ცხოვრების აზრი არის პიროვნული სრულყოფა ანტიკური მეცნიერების შესწავლის გზით |
| ადამიანი ცოდვილია | ადამიანი ღირსეული, თავდაჯერებული მკვლევარი და შემოქმედია |
| იკონოგრაფიით დაკანონებული სიმბოლური, პირობითი სახვითი ენა | მიწიერი სამყაროს რეალისტურად ასახვის ხერხები |
| პირობითი ფონი (ხშირად ოქროსფერი). ფონზე ნაგებობები თუ პეიზაჟი ასევე პირობითია | რეალისტური ფონი (ქალაქური ან ბუნების პეიზაჟი) |
| ადამიანთა ფიგურებს შორის დარღვეული მასშტაბები ღვთაებრივ იერარქიას გადმოსცემს. | დაცულია სწორი მასშტაბური თანაფარდობა ადამიანების ფიგურებსა და არქიტექტურულ თუ ბუნებრივ ფონს შორის |
| დარღვეული პროპორციები | სწორი პროპორციები |
| ფიგურები ანატომიურად გაუმართავია | ფიგურები ანატომიურად გამართულია |
| პოზები გახევებულია | პოზები ბუნებრივია. გამოიყენება ანტიკური კონტრაპოსტი |
| ფორმები სიბრტყობრივია, გადმოცემულია ხაზებით. შუქ-ჩრდილები და ტონალური გრადაცია უგულვებელყოფილია | სამგანზომილებიანი მოცულობები გადმოცემულია შუქ-ჩრდილებისა და ტონალური გრადაციის მეშვეობით |

| | |
|---|---|
| გამოიყენება უკუპერსპექტივა და ირღვევა რაკურსი (ხედვის წერტილი) | გამოიყენება ხაზოვანი და ჰაეროვანი პერსპექტივა |
| სილუეტში მომწყვდეული ლოკალური ფერადოვანი ლაქები. ფერებს ეძლევათ სიმბოლური დატვირთვა. | კომპოზიციაში თანაბრად გადანაწილებული ფერადოვანი ლაქები, გამდიდრებული ტონალური გრადაციით |
| ხელოვანი ანონიმია | ხელოვანთა სახელები ცნობილია |
| მასალა: ენკაუსტიკა, ტემპერა ხეზე | ტემპერა, ზეთის საღებავი, ტილო, ხე |

- **ილუსტრაციების ქრონოლოგიურად დალაგება** (მოსწ. წიგნი, გვ. 144-145) (ჯგუფური სამუშაო):

ილუსტრაციების განლაგება გვერდზე:

| | |
|---|---|
| 1. დომენიკო გირლანდაიო, 1480, აღორძინების ხანა | 3. ჯოტო დი ბონდონე, 1305 წ. |
| 2. ბიზანტიური მოზაიკა, სანტა მარია ნოველას კათედრალი, მონრეალე, პალერმო, სიცილია, იტალია, 1180-იანი წლები | 4. ჯაკოპო ტინტორეტო, 1533-66 წლებს შორის. მანიერიზმი |

ნაწარმოებებში გამოყენებული მხატვრული ხერხების მიხედვით, მოსწავლეებმა ქრონოლოგიურად ანუ შექმნის დროის შესაბამისად, თანამიმდევრულად უნდა დაალაგონ „საიდუმლო სერობის“ ამსახველი, მონუმენტური მხატვრობის ოთხი ნიმუში.

სწორი პასუხი: 2, 3, 1, 4.

*სახარებაში „საიდუმლო სერობის“ ეპიზოდისთვის იხ.: მათე, 26. 1-35; მარკოზი, 14. 1-31; ლუკა, 22. 1-38.

- **შედარებითი ანალიზი** (მოსწ. წიგნი, გვ. 144-145) (ჯგუფური სამუშაო):

მოსწავლეებმა უნდა შეადარონ ერთმანეთს „საიდუმლო სერობის“ კომპოზიციები.

მინიშნებები:

დააკვირდი „საიდუმლო სერობის“ ამსახველ ნაწარმოებებს და ჩამოაყალიბე რენესანსის მხატვრობისთვის დამახასიათებელი ნიშნები. სიმეტრიულია კომპოზიციები თუ ასიმეტრიული? სტატიკური თუ დინამიკური? გაწონასწორებული თუ გაუწონასწორებელი? განათება თანაბარია თუ კონტრასტულად დაპირისპირებული? ფერები ჰარმონიულად ეხმიანება ერთმანეთს თუ რომელიმე ლაქა ამოვარდნილია საერთო კოლორიტიდან და „ყვირის“? დაცულია თუ არა ჰაეროვანი და ხაზოვანი პერსპექტივა, საგნებს შორის მასშტაბური თანაფარდობა, ანატომიური სიზუსტე და ფიგურათა პროპორცია? მოცულობები შუქ-ჩრდილითა და ტონალური გრადაციით გადმოიცემა თუ ხაზებით? შეგიძლია ამ ნიშნებით ამოიცნო ნაწარმოების შესრულების ეპოქა და პერიოდი?

| | |
|---|---|
| *იხ. ზევით შედარებითი **T** სქემა<br><br>• **კვლევა (საშინაო დავალება)**<br>მოიძიე ინფორმაცია ლეონარდო და ვინჩის „საიდუმლო სერობის“ შესახებ. რა ბედი ეწია ფრესკას შემდგომში? რა გადმოცემებია დაკავშირებული მის შექმნასთან?<br>ლეონარდოს ექსპერიმენტების გამო საღებავმა მალე დაიწყო ჩამოცვენა. რესტავრაციის მრავალრიცხოვანმა მცდელობამ მხოლოდ უარყოფითი შედეგი მოგვცა. დღეს ფრესკა საგრძნობლად არის დაზიანებული და შეძლებისდაგვარდ გამაგრებულია (საკმარისია ითქვას, რომ ვიღაც უგნურმა ბერებმა კარიც კი გაჭრეს და დააზიანეს ფრესკის ქვედა ნაწილი, ნაპოლეონის დროს კი სატრაპეზო თავლად გამოიყენებოდა...).<br>იხ. გიორგი ხოშტარიას სტატია ლეონარდო და ვინჩიზე: https://bit.ly/2XRTkYz<br>**5. დასასრულის დასაწყისი**<br><br>• **შედარებითი ანალიზი:**<br>შეადარე პოლიკლეტოსის „დორიფოროსი“ („შუბოსანი“, მაღალი კლასიკა), და მიქელანჯელოს „დავითი“. რა მსგავსებას ხედავ? დააკვირდი კონტრაპოსტის პოზას – როგორ ფიქრობ, გამოიყენა თუ არა მიქელანჯელომ ანტიკური ქანდაკების ღრმა ცოდნა? დაასაბუთე შენი მოსაზრება.<br><br>**პასუხი:**<br>რენესანსული დავითი წარმოდგენილია, როგორც მებრძოლი, გოლიათის დამმარცხებელი გმირი. მისი ატრიბუტი (შურდული) გამოწვევებთან გამკლავების უნარის მქონე, ტრიუმფატორი გმირის სახეს ამკვიდრებს, რაც შეესაბამება რენესანსის ეპოქის ჰუმანისტურ იდეებს. მიქელანჯელოს დავითი გამარჯვებულია, მან დაამარცხა გოლიათი. მიქელანჯელოს ქანდაკებაში ჩანს ანტიკური ხელოვნების გავლენა – ფორმები არის მოცულობითი, პროპორციულად და ანატომიურად გამართული, ფიგურა დგას კონტრაპოსტის (ცალ ფეხზე დაყრდნობილი ფიგურა) პოზაში, მსგავსად საბერძნეთის კლასიკის ქანდაკებებისა (პოლიკლეტოსის „დორიფოროსი“, მაღალი კლასიკა). ბერძნული კლასიკური ნიმუშები რენესანსის ხელოვანებისთვის ეტალონი იყო.<br><br>• **შეადარე**<br>შუა საუკუნეების „პიეტა“ მიქელანჯელოს მიერ ამავე თემაზე შესრულებულ ქანდაკებას. იმსჯელე განსხვავებებსა და მათ მიზეზებზე (ჯგუფური სამუშაო).<br><br>**შედარებითი ანალიზის ნიმუში:**<br>შუა საუკუნეების ნაუმბურგის გოთიკური „პიეტა“ შესულებულია პირობითი მხატვრული ხერხებით, დარღვეულია ანატომიური სიზუსტე. პოზა გახევებულია, არაბუნებრივად, თოჯინურად უხერხული. პროპორციები გაწელილია, ფორმები უტრირებულია. ქრისტეს ნეკნები გამოკვეთილია, რომ მაყურებელს ყურადღება გაგვიმახვილოს ქრისტეს მიერ გამოვლილ ტანჯვაზე. ღვთისმშობლისა და ქრისტეს ფიგურები ერთმანეთთან კომპოზიციურად არ არის ორგანულად შეკავშირებული. დრაპირება რიტმული, რეგულარულია. მიქელანჯელოს „პიეტა“ შესრულებულია ანატომიისა და პროპორციების მეცნიერული ცოდნით. ორი ფიგურა ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს, თითქოს ერთი | |

მთლიანობა იყოს. კომპოზიცია რენესანსულ, მყარ სამკუთხედს ქმნის. სახეები მშვენიერი, დახვეწილი გარეგნობის მქონე ადამიანებს წარმოგვიდგენენ. დრაპირება ბუნებრივის შთაბეჭდილებას ქმნის.

დამატებითი საილუსტრაციო მასალა შედარებისთვის (XIV-XVსს-ის პიეტები):
https://bit.ly/2ZZbdrc

https://bit.ly/2U0vpoP

- **მიქელანჯელოს ქანდაკების „პიეტა“ ფანქრით ჩანახატის დახატვა** (დამოუკიდებელი სამუშაო)
  - ✓ მოიძიე მიქელანჯელოს ქანდაკების „პიეტა“ რამდენიმე სხვადასხვა რაკურსით გადაღებული ილუსტრაცია.
  - ✓ შეარჩიე ერთ-ერთი და უბრალო ფანქრით დახატე მისი ასლი.
  - ✓ მიაქციე ყურადღება პოზას და პროპორციებს.
  - ✓ შეეცადე ღვთისმშობლის მოსასხამის დრაპირება გადმოსცე ტონალური გრადაციით.



https://bit.ly/2XoFIW2

- **პროპორციების კვლევა** (დამოუკიდებელი სამუშაო):

დააკვირდი, გაზომე, რამდენჯერ ეტევა თავი „ვიტრუვიანელი ადამიანის“ სხეულში.
ეთანხმები ლეონარდოს პროპორციების პრინციპს?
შეადარე „ვიტრუვიანელი ადამიანის“ პროპორციები რეალური ადამიანის პროპორციებს.
შეადგინე სხვადასხვა ეპოქის მხატვრობაში, იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი პროპორციების ცხრილი.



- **ადამიანის ფიგურის ხატვა პროპორციების დაცვით** (დამოუკიდებელი სამუშაო):

დააკვირდი ადამიანის პროპორციების პირობით სქემას. გადაიხატე სქემატური გამოსახულება რვეულში და „შეასხი მას ხორცი“.

როდესაც ადამიანი დგომისას ორივე ფეხს ეყრდნობა, მისი მხრები და მენჯი ჰორიზონტალურად, ერთმანეთის პარალელურადაა განლაგებული (სურ. 1).

კონტრაპოსტის პოზაში, ადამიანი ერთ ფეხს ეყრდნობა, მეორე კი თავისუფალ, მოდუნებულ მდგომარეობაშია. ასეთ პოზაში მენჯის და მხრების ხაზები საპირისპირო კუთხით იხრება (სურ. 2).

1.  2. 

- **ადამიანის ფიგურის ხატვა სხვადასხვა პოზასა და მოძრაობაში** (საშინაო დავალება):
  (მოცემული დავალება მოამზადებს მოსწავლეებს კომპლექსური პროექტის „ანიმაცია“ შესრულებისთვის)

ადამიანის სხვადასხვა პოზაში დახატვა გაგიადვილდება, თუ მისი მოძრაობის მექანიზმებს გააცნობიერებ.
დააკვირდი ნიმუშს. გადაიხატე ადამიანის მოძრაობის რამდენიმე სქემატური მაგალითი.
„შეასხი ხორცი“, ჩააცვი შენს მიერ დახატულ კაცუნებს. მოიფიქრე შენებური მოძრაობა ან პოზა.
შენი მიღწევის დასახვეწად გააკეთე მეგობრების ან ოჯახის წევრების რამდენიმე ჩანახატი.
მოიფიქრე სიუჟეტი და დახატე მრავალფიგურიანი კომპოზიცია.



- **მოძრავი კაცუნა** (საშინაო დავალება):
  (მოცემული დავალება მოამზადებს მოსწავლეებს კომპლექსური პროექტის „ანიმაცია“ შესრულებისთვის)

გააცოცხლე სიმბოლო - უბის წიგნაკის ბოლო ფურცლის კიდეზე დახატე კაცუნა. ყოველ
მომდევნო ფურცელზე დახატე კაცუნას მოძრაობის მორიგი ფაზა. კაცუნას გასაცოცხლებლად, სწრაფი მოძრაობით გადაფურცლე წიგნაკის გვერდები.



ვიდეოინსტრუქცია:
https://bit.ly/2XSimXN

ნიმუშები
https://bit.ly/2zHr6YR

**რეკომენდაციები კომპლექსური დავალებისთვის:**

- **მოხსენება**: (სავალდებულო)

ჩაატარე კვლევა, თუ როგორ არის წარმოჩენილი ადამიანი შენს მიერ შერჩეულ, აღორძინების ხანის რომელიმე ხელოვანის ერთ ნაწარმოებში და გააკეთე მოხსენება.

დააკვირდი, როგორ არის განაწილებული გამოსახულებები კომპოზიციაში (სიმეტრიულად თუ ასიმეტრიულად);
ადამიანთა პოზები სტატიკურია თუ დინამიკური;
აქვთ თუ არა ფიგურებს ჩრდილი, შარავანდი, მოცულობა;
იყენებს თუ არა ავტორი შუქ-ჩრდილს, ტონალურ გრადაციას, მოცულობას; ფიგურები პროპორციულია თუ დისპროპორციული;
გამართულია თუ არა ფიგურა ანატომიურად;
დაცულია თუ არა სურათზე მასშტაბური თანაფარდობა;
გამოყენებულია თუ არა ხაზივანი და/ან ჰაეროვანი პერსპექტივა;
დააკვირდი და აღწერე პერსონაჟების კოსტიუმები და გარემო.

სავარაუდო თემები:

1. ჯოტოს ფრესკა (რომელიმე);
2. ანდრეა დელ კასტანიოს „საიდუმლო სერობა“;
3. გირლანდაიოს „საიდუმლო სერობა“;
4. რაფაელის მადონა (რომელიმე);
5. რაფაელის „დისპუტა“;

6. რაფაელის „პარნასი“;
7. ბოტიჩელის მადონა (რომელიმე);
8. ბოტიჩელის „გაზაფხული“;
9. მიქელანჯელოს მედიჩების კაპელა;
10. მიქელანჯელოს „მოსე“;
11. მიქელანჯელოს „პიეტა“ (რომელიმე);
12. მიქელანჯელოს „მონები“;
13. დონატელოს „მარიამ მაგდალელი“;
14. და სხვა.

- **ანიმაცია** (დამოუკიდებლად ან წყვილში სამუშაო):

ჩვენი თანამედროვეობა სავსეა სიმბოლური ნიშნებით, რომლებზეც ადამიანის პირობითი ფიგურებია გამოსახული. მოიძიე საგზაო თუ ოლიმპიური სიმბოლოები ადამიანის პირობითი გამოსახულებით. ამოარჩიე ერთ-ერთი გამოსახულება, ატვირთე ანიმაციის შემქმნელ კომპიუტერულ პროგრამაში https://multator.ru/draw/ და შექმენი მოკლე ანიმაცია.



რთული ნუმუშები:
https://www.youtube.com/watch?v=9vbVnSCHv44&fbclid=IwAR248dLcbXF4SWZlpXszPRqhd7EHZ0hn10bHONfwyn6Q27Cy-r__n7BZs8c

https://www.youtube.com/watch?v=JQb5pbhDUzY&fbclid=IwAR3CmwWmKAj5vQjaw0EZca2oHA7dYmoADVdDJNy9yxUC8ee0U6EoOF6J5L8

მარტივი ნიმუშები:
https://www.youtube.com/watch?v=tcOjNJABoJQ&fbclid=IwAR0iz4OXLqvgZW4Syo1Jd4fQCwx1ONmBCo-6m4pZjVOe--JOOaSeL_4ifAY

https://www.youtube.com/watch?v=3905GYvi_88&fbclid=IwAR0ZxgMsGQEZhpkRUjjPnTEOTU3wBFPQvkclIFrjz5sUEO5dQLxrEZATSwg

**რესურსები:**

ერნსტ გომბრიხი, ხელოვნების ამბავი, ლოგოს პრესი, 2012
https://bit.ly/2TZ3R3d

მსოფლიო ხელოვნება, ნანა მაჭარაშვილი, ნინო სილაგაძე. „მერიდიანი“, თბ., 2010:
ხელოვნების ისტორია (XVI-XVII საუკუნეების ევროპა), მერილინ სთოქსთედი,
მაიკლ. ვ. ქოთრენი, თბ., 2018;

**ინტერნეტ-რესურსები:**
https://artsandculture.google.com/

ანიმაციის შესაქმნელი პროგრამა: https://multator.ru/draw/
კონგრესის ბიბლიოთეკის ილუსტრაციების კოლექცია: https://www.loc.gov/collections

ხელოვნების ონლაინ გალერეები:
https://www.wga.hu/?fbclid=IwAR3OGQq-Cax9oDCQdvar4Gx2AhD7h66KWvDmjtKTSxaTzllFzmQcg5KenLs

https://library.artstor.org/?fbclid=IwAR1y7qrfGrf4KL-Dd6X1fZneUf2yFQsNUYucKOA4H4UI0vVc2kMlyGhZV1Q#/home

კარკასის ნიმუში პლასტილინით ადამიანის ფიგურის გამოსაძერწად:
https://bit.ly/3eEVulj

**შეფასების კრიტერიუმები:**

**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები), სახვითი ხელოვნების ტექნიკა**

- გამოსახავს ადამიანს შესაბამისი გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების (მოცულობა, შუქ-ჩრდილი, ტონალური გრადაცია, პროპორცია, პოზა, ჟესტიკულაცია, დეტალი და სხვ.), სხვადასხვა მასალის და ტექნიკის გამოყენებით **(ს.გ.საბ.1,2);**

**სხვადასხვა ეპოქის/მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**

- აანალიზებს რამდენიმე ხელოვანის შემოქმედებას და მსჯელობს, აისახა თუ არა და რა სახით მათ ნამუშევრებში იმ კულტურის გავლენა, რომლის წარმომადგენლებიც არიან **(ს.გ.საბ.3,4).**
- ადარებს ერთმანეთს რომელიმე ორი ეპოქის, დარგის, სტილის, მიმდინარეობის ნაწარმოებებს, მსჯელობს მსგავსება-განსხვავებებზე, თავისებურებებზე **(ს.გ.საბ.4).**

**მოხსენება** (შეფასების ფორმა იხ. დანართში)
**ს.გ.საბ.3. ს.გ.საბ.4.**
ხელოვნების ნიმუშის საფუძველზე მსჯელობს, თუ როგორ გამოსახავდნენ ადამიანებს აღორძინების ეპოქაში;
აანალიზებს ხელოვანის შემოქმედებას და მსჯელობს, თუ რა სახით აისახა მის ნამუშევარში ეპოქის გავლენა.

- გაანალიზებულია ნაწარმოების სახვითი საშუალებები და ხერხები;
- ნაწარმოები განხილულია ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში;
- ადეკვატურად იყენებს შესაბამის ტერმინებს;
- ამყარებს აუდიტორიასთან კონტაქტს.

**ანიმაცია** (შეფასების ფორმა იხ. დანართში)

## დავალებების მატრიცა 2/2

| **გაკვეთილები 6 - 7** | **გამაერთიანებელი თემა: ადამიანი – ბუნების ნაწილი** | |
|---|---|---|
| **საკითხი და ქვეცნებები** | **საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები** | **კომპლექსური დავალებები** |
| **ელემენტები**:<br>ხაზი, ფერი, ფორმა/დეფორმაცია, ფაქტურა, ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება<br><br>**პრინციპები**:<br>პროპორცია/დისპროპორცია, მასშტაბი, პერსპექტივა, კონტრასტი<br><br>**დარგები**:<br>დაზგური მხატვრობა<br><br>**ჟანრები:**<br>რელიგიური, პორტრეტი<br><br>**ეპოქა/სტილი/მიმდინარეობა:**<br>ჩრდილოევროპული რენესანსი | • რა ფაქტორები განაპირობებენ ერთი ეპოქის სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნების სტილისტურ განსხვავებებს?<br>• როგორ დავინახო ხელოვნების ნაწარმოებში სხვა ქვეყნის ხელოვნების ზეგავლენის ნიშნები?<br>• რა შეიძლება გავიგო ხელოვნების საშუალებით სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის შესახებ?<br>• რა მსგავსება/განსხვავებაა იტალიურ და ჩრდილოევროპულ რენესანსს შორის და რა არის ამის მიზეზი? | **ტრიპტიქონი:**<br>შენს მიერ შერჩეული მასალითა და ხერხით შექმენი მორალისტური ტრიპტიქონი. |

| 6. ადამიანი ჩრდილოევროპულ რენესანსში | |
|---|---|
| **პასუხები საკვანძო შეკითხვებზე:**<br>✓ ერთი ეპოქის სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნების სტილისტურ განსხვავებებს განაპირობებენ ისტორიული ვითარება, რელიგიური კონტექსტი, გეოგრაფიული მდებარეობა.<br>ამა თუ იმ ქვეყნის ხელოვნების ნიშნების ცოდნა გვეხმარება სხვა ქვეყნის ხელოვნების ნიმუშებში მათ ამოცნობაში და გავლენის დადგენაში.<br>✓ ხელოვნების საშუალებით ბევრი რამ შეიძლება გავიგო სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის შესახებ.<br>✓ იტალიისთვის რენესანსი ორგანული მოვლენა იყო, რადგან ის ანტიკური კულტურის უშუალო მემკვიდრე იყო. თანადროულ ჩრდილოევროპულ კულტურას რენესანსის სახელით მოვიხსენიებთ იტალიიდან შემოჭრილი გავლენის გამო. ჩრდილოევროპული რენესანსის იერი განაპირობა პროტესტანტულმა რელიგიურმა შეხედულებებმა და ადგილობრივმა ტრადიციებმა (ფოლკლორი, გოთიკა, კლიმატი და სხვ.)<br>• **მსჯელობა:**<br>✓ როგორ გამოსახავდნენ დამკვეთს იტალიელები და ჩრდილოევროპელები? რა იყო ამის მიზეზი?<br>✓ რა ხერხითაა გადმოცემული სიკეთისა და ბოროტების კონტრასტი დიურერის ნაწარმოებში „იესო მწიგნობართა შორის“?<br>✓ შეიძლება ბოშისა და ბრეიგელის შემოქმედებას სახვითი „ქადაგება“ ვუწოდოთ? რას ქადაგებენ ისინი?<br>✓ თუ ფიზიკურ სიბრმავეს განვაზოგადებთ და გონების „სიბრმავედ“ (უმეცრებად) მივიჩნევთ, მეტაფორულად რაზე მიგვანიშნებს ბრეიგელის ნაწარმოები „ბრმები“?<br>✓ როგორ ფიქრობ, ბრეიგელის პერსონაჟები კონკრეტული ადამიანები არიან თუ სხვადასხვა ტიპაჟის განზოგადოებული, კრებითი სახეები?<br>✓ რა აზრი ჩააქსოვა პიტერ ბრეიგელმა ნაწარმოებში „დიდი თევზი ჭამს პატარა თევზებს“?<br>✓ რა დამოკიდებულება ჩანს ადამიანის მიმართ ამ სურათებში?<br>✓ რა ინფორმაციას გვაწვდიან ეს სურათები იმ პერიოდის შესახებ?<br>**პასუხები:**<br>✓ იტალიური რენესანსი საერო სულისკვეთებით იყო განმსჭვალული. იტალიელები დამკვეთს გამოსახავდნენ რელიგიური პერსონაჟების გვერდით თანაბარუფლებიან პირებად, ხოლო ჩრდილოევროპელები, ვიდრე რენესანსული გავლენა გაძლიერდებოდა, დამკვეთებს გამოსახავდნენ მასშტაბურად უფრო მცირე ზომებით, მოწიწების ნიშნად. ამის მიზეზი მათი რელიგიურობა იყო.<br>✓ სიკეთისა და ბოროტების კონტრასტი დიურერის ნაწარმოებში „იესო მწიგნობართა შორის“ გადმოცემულია გარეგნული ნიშნების კონტრასტით – ქრისტეს დახვეწილი გარეგნობა აქვს. დანარჩენებს კი – უხეში, გროტესკული.<br>✓ ბოშისა და ბრეიგელის შემოქმედებას შეიძლება სახვითი „ქადაგება“ ვუწოდოთ, რადგან ისინი | |

აჩვენებენ, რა სასაცილოდ გამოიყურება ცოდვის ჩადენისას ადამიანი (უგნური, ხარბი, მატყუარა). ისინი ზნეობისკენ მოუწოდებენ მნახველს.

- ✓ თუ ფიზიკურ სიბრმავეს განვაზოგადებთ და გონების „სიბრმავედ“ (უმეცრებად) მივიჩნევთ, მეტაფორულად ბრეიგელის ნაწარმოები „ბრმები“ მიგვანიშნებს იმაზე, რომ უგნურებას დაღუპვა ელის – ერთი მეორეს თან გადაიყოლებს ორმოში. ერთმანეთს აყოლილ უგნურ ადამიანებს ტრაგიკული დასასრული ელით.
- ✓ ბრეიგელის პერსონაჟები არა კონკრეტული ადამიანები, არამედ სხვადასხვა ტიპაჟის განზოგადოებული, კრებითი სახეები არიან.
- ✓ პიტერ ბრეიგელი ნაწარმოებით „დიდი თევზი ჭამს პატარა თევზებს“ მიგვანიშნა, რომ სუსტს სძლევს ძლიერი.
- ✓ რენესანსის ეპოქის ჩრდილოევროპელი მხატვრების ნამუშევრებში ჩანს, რომ მათ ადამიანი არ მიაჩნიათ ღმერთის საუკეთესო ქმნილებად. ის მიაჩნიათ ბუნების ნაწილად. ხშირად ბუნება მშვენიერია, ხოლო ამ ლამაზ პეიზაჟებში ჩართული ცოდვილი პერსონაჟები გროტესკულად გამოიყურებიან.
- ✓ ეს სურათები იმ პერიოდის შესახებ გვიამბობენ, რომ ხელოვანების მთავარი ინტერესის საგანი იყო ადამიანის ზნეობრივი მხარე.

- **კვლევა და შედარებითი ანალიზი (დამოუკიდებელი სამუშაო):**
  ინფორმაციის მოძიება იან ვან ეიკის ნამუშევრების (გენტის საკურთხეველი, „ვან დერ პალეს მადონა“ და სხვ.) შესახებ და მოკლე მოხსენების მომზადება.

## 7. ხელოვნება უგუნურების წინააღმდეგ

**შენიშვნა**: ბრეიგელის ნამუშევარზე “ბრმები” მსჯელობისას, მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა ფიზიკური სიბრმავე არ მიიჩნიონ ნაკლად, მანკიერებად, ამიტომ სიბრმავეზე მხოლოდ მეტაფორულად იმსჯელონ. მითუმეტეს, რომ მათეს სახარებაში ვკითხულობთ: „მოეშვით მათ: ბრმები არიან და ბრმებისვე წინამძღოლნი; ხოლო თუ ბრმა წინ უძღვის ბრმას, ორივენი ორმოში ჩაცვივდებიან“. ამ გამონათქვამით ქრისტე ფარისევლებს გულისხმობს და არა ფიზიკურად მხედველობადაქვეითებულ ადამიანებს.

- **ინფორმაციის მოძიება და აღწერა**:

იერონიმუს ბოშის ტრიპტიქონები, „ტვინის ოპერაცია“, „ბრიყვთა გემი“, „ილუზიონისტი“, „ზარმაცების ქვეყანა“ (მოკლე მოხსენების მომზადება).

| | |
|---|---|
| • **შედარებითი ანალიზი:**<br>იტალიური და ჩრდილოევროპული მხატვრობის ნიმუშების:<br>ა) იან ვან ეიკის „კანცლერ როლენის მადონა“ და როგირ ვან დერ ვეიდენის „წმ. ლუკა წერს ღვთისმშობლის პორტრეტს“.<br>ბ) დამკვეთთა გამოსახულებები დიურერის „დატირებასა“ და დომენიკო გირლანდაიოს ფრესკებზე.<br><br>• **მსჯელობა (ჯგუფური სამუშაო):**<br>რომელი პერიოდისა და ქვეყნებისთვის იყო დამახასიათებელი მასშტაბური თანაფარდობის დარღვევა?<br>**პასუხი**: მასშტაბებს არღვევდნენ ძველ ეგვიპტეში და შუამდინარეთში პერსონაჟის სოციალური და რელიგიური სტატუსის გადმოსაცემად; არღვევდნენ ხატწერაში და აღორძინების ეპოქამდე შუა საუკუნეების ხელოვნებაში რელიგიური იერარქიის ხაზგასასმელად.<br><br>• **პრაქტიკული დავალება**<br>**გროტესკული ქანდაკება:**<br>გადახედე იერონიმუს ბოშის სურათებს. ამოირჩიე რომელიმე უცნაური არსება და გამოძერწე მსგავსი გროტესკული ფიგურა უტრირებული ნაკვთებით და ზღაპრული იერით. მზა ქანდაკებებს დაუმზადე შესაბამისად გაფორმებული სადგამი.<br>შექმენით ერთობლივი სკულპტურული კომპოზიცია.<br>* გამოძერწილი ფიგურები შეიძლება გამოყენებულ იქნას მომდევნო ფინალური კომპლექსური ნამუშევრის „ტოლერანტული ქალაქის“ მაკეტის გაფორმებისთვის.<br><br>**რეკომენდაციები კომპლექსური პროექტისთვის “ტრიპტიქონი”**<br><br>შექმენი სამნაწილიანი კარედი ნებისმიერ, შენთვის საინტერესო თემაზე. გაითვალისწინე, რომ სამივე პანელი ერთი თემით უნდა იყოს გაერთიანებული.<br>თემად შეგიძლია გამოიყენო ქართული ანდაზები, რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოები (იგავ-არაკები) ან ადამიანის ის ნაკლოვანებები, რასაც თავად შენ წაწყდომიხარ ცხოვრებაში.<br>შთაბეჭდილების გასამძაფრებლად მიმართე გროტესკის ხერხს.<br><br>დაფიქრდი:<br>• ტრიპტიქონის როგორი ფორმატი მოუხდება შენს ჩანაფიქრს?<br>• რა სისტემით გაანაწილებ სიუჟეტს/კომპოზიციას ტრიპტიქონის ნაწილებზე?<br>• რა მასალით შეასრულებ ნამუშევარს?<br>• რა მხატვრული ხერხით გადმოსცემ სათქმელს? მიმართავ თუ არა გროტესკს?<br>• როგორ გამოიყენებ სახვითი ხელოვნების საშუალებებს (ხაზს, ფერს, ფორმა/დეფორმაციას (უტრირებას), | |

| | |
|---|---|
| ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართებას, ფაქტურასა და სხვ.) და ხერხებს (სიმეტრია/ასიმეტრიას, წონასწორობას, მასშტაბს, პერსპექტივას, პროპორცია/დისპროპორციას, კონტრასტს, აქცენტსა და სხვ.), რომ შენი ჩანაფიქრი მაყურებლისთვის ნათელი და გასაგები იყოს?<br>შეავსე რეფლექსიის კითხვარი.<br><br>ტრიპტიქონის გავრცელებული ტიპები:<br><br>https://images.slideplayer.com/32/9974689/slides/slide_13.jpg | |
| **რესურსები:**<br><br>https://www.wga.hu/index1.html<br><br>იან ვან ეიკი:<br>https://www.gettyimages.ca/photos/jan-van-eyck?family=editorial&phrase=jan%20van%20eyck&sort=mostpopular#license<br><br>https://artsandculture.google.com/entity/jan-van-eyck/m0ck2w?categoryId=artist<br><br>იერონიმუს ბოში:<br>https://www.gettyimages.ca/photos/hieronymus-bosch?phrase=hieronymus%20bosch&sort=mostpopular#license<br><br>https://artsandculture.google.com/entity/hieronymus-bosch/m0cdn_?categoryId=artist<br><br>„მიწიერ ტკბობათა ბაღი“:<br>https://archief.ntr.nl/tuinderlusten/en.html<br><br>პიტერ ბრეიგელ უფროსი:<br>https://www.gettyimages.ca/photos/pieter-brueghel-the-elder?phrase=pieter%20brueghel%20the%20elder&sort=mostpopular#license<br><br>https://artsandculture.google.com/entity/pieter-bruegel-the-elder/m0h6nl?categoryId=artist | |

| | |
|---|---|
| როგირ ვან დერ ვეიდენი:<br>https://artsandculture.google.com/entity/rogier-van-der-weyden/m01bbhx<br><br>https://www.gettyimages.ca/photos/rogier-van-der-weyden?family=editorial&phrase=rogier%20van%20der%20weyden&sort=mostpopular#license<br><br>ალბრეხტ დიურერი:<br>https://artsandculture.google.com/entity/albrecht-d%C3%BCrer/m0z6n<br><br>https://www.gettyimages.ca/photos/albrecht-durer?family=editorial&phrase=albrecht%20durer&sort=mostpopular#license<br><br>ერნსტ გომბრიხი, ხელოვნების ამბავი, ლოგოს პრესი, 2012<br>https://bit.ly/2TZ3R3d<br><br>ხელოვნების ისტორია (XVI-XVII საუკუნეების ევროპა), მერილინ სთოქსთედი, მაიკლ. ვ. ქოთრენი, თბ., 2018;<br>მსოფლიო ხელოვნება, ნანა მაჭარაშვილი, ნინო სილაგაძე. „მერიდიანი“, თბ., 2010: | |

**შეფასების კრიტერიუმები:**

სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები),
სახვითი ხელოვნების ტექნიკა

- ნამუშევარში საკუთარი ჩანაფიქრის, იდეის გადმოსაცემად შეარჩევს სახვითი ხელოვნების დარგს, ჟანრს, მხატვრულ ხერხებს, მასალას და ტექნიკას და მსჯელობს სახვით ხელოვნებაზე, როგორც თვითგამოხატვის საშუალებაზე (ს.გ.საბ.2,3);
- აანალიზებს ნამუშევარში გამოყენებულ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, ხერხებს და მსჯელობს, რის გადმოცემა სურდა ავტორს მათი საშუალებით (ს.გ.საბ.3);

სხვადასხვა ეპოქის/მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები
სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები

- ერთი ან რამდენიმე ხელოვნების ნიმუშის საფუძველზე მსჯელობს, ავტორის ჩანაფიქრზე (ს.გ.საბ.3,4);
- აანალიზებს რამდენიმე ხელოვანის შემოქმედებას და მსჯელობს, აისახა თუ არა და რა სახით მათ ნამუშევრებში იმ კულტურის გავლენა, რომლის წარმომადგენლებიც არიან (ს.გ.საბ.3,4).
- ადარებს ერთმანეთს რომელიმე ორი ეპოქის, დარგის, სტილის, მიმდინარეობის ნაწარმოებებს, მსჯელობს მსგავსება-განსხვავებებზე და მათ თავისებურებებზე (ს.გ.საბ.4).

**რეკომენდაციები კომპლექსური პროექტის „ტრიპტიქონი“ შეფასებისთვის: (მაქს. 10 ქულა)**

- ნამუშევარში ასახული სიუჟეტი შეესაბამება შერჩეულ თემას (2 ქულა);
- ტრიპტიქონის ნაწილებზე სიუჟეტი განაწილებულია ლოგიკურად; (2 ქულა);
- მოსწავლე სათქმელის ხაზგასასმელად გააზრებულად ირჩევს და იყენებს სახვით ხერხებს (2 ქულა);
- მსჯელობს, თუ რატომ გამოიყენა არსებული სახვითი ხერხები და საშუალებები (2 ქულა);
- საკუთარი ნამუშევრის ანალიზისას იყენებს შესაფერის ტერმინოლოგიას (2 ქულა).

## დავალებების მატრიცა 2/3

| გაკვეთილები 8-10 | გამაერთიანებელი თემა: ადამიანის შინაგანი სამყარო | |
|---|---|---|
| **საკითხი და ქვეცნებები** | **საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები** | **კომპლექსური დავალებები** |
| **ელემენტები**:<br>შუქ-ჩრდილი, ტონი<br><br>**პრინციპები**:<br>სიმეტრია/ასიმეტრია, სტატიკა/დინამიკა, კონტრასტი<br><br>**დარგები**:<br>ქანდაკება, მხატვრობა<br><br>**ჟანრები:**<br>პორტრეტი<br><br>**ეპოქა/სტილი/მიმდინარეობა:**<br>ელინიზმი, რომი, გოთიკა, მანიერიზმი, ბაროკო | • როგორ ასახავდნენ სხვადასხვა ეპოქის ხელოვნებაში ადამიანის შინაგან სამყაროს?<br>• როგორ შეიცვალა დროთა განმავლობაში სახვითი ხერხები ადამიანის ემოციების, განცდების, ხასიათის გადმოსაცემად?<br>• რას გვატყობინებს ხელოვნება პიროვნების შესახებ?<br>• რაზე მიგვანიშნებს მიმიკა, პოზა, ჟესტიკულაცია?<br>• როგორ შემიძლია სახვითი ენის გამოყენება ჩემი განცდების, ემოციების, ხასიათის გადმოსაცემად?<br>• რა სახვითი საშუალებები და ხერხები დამეხმარება პორტრეტში პიროვნების შინაგანი სამყაროს გადმოსაცემად? | **მეგობრის პორტრეტი:**<br>(სავალდებულო)<br><br>დახატე მეგობრის პორტრეტი. სცადე, ნახატში, პოზითა და გამომეტყველებით, ასახო მისი ხასიათი. |

## 8. გრძნობა და ემოცია

- **მსჯელობა:**
  - ✓ გაიხსენე: რა არის მიმიკა?
  - ✓ როგორ ჟესტებსა და მიმიკას იყენებ სხვადასხვა ემოციის გამოხატვისას?
  - ✓ რაში გეხმარება ან გიშლის ხელს ჟესტიკულირება?
  - ✓ რომელ ეპოქაში/ებში არ გამოისახებოდა მიმიკა ადამიანთა სახეებზე?

**პასუხი**: მიმიკა არის ადამიანის სახის გამომეტყველება სხვადასხვა ემოციის გამოხატვის მომენტში. ის არ გამოისახებოდა პრეისტორიულ, ძველეგვიპტურ, შუამდინარულ, ძველი საბერძნეთის ადრეული და მაღალი კლასიკის ხანის ხელოვნებასა და ქრისტიანულ ხატწერაში.

- ✓ როგორ ასახავდნენ სხვადასხვა ეპოქის ხელოვნებაში ადამიანის შინაგან სამყაროს?

**პასუხი**: პოზით, ჟესტიკულაციით, მიმიკით, გამომეტყველებით.

- ✓ რა მხატვრული ხერხები შეიმუშავეს ელინიზმის ხანის მოქანდაკეებმა გრძნობის, ემოციის და შინაგანი მდგომარეობის საჩვენებლად?

**პასუხი**: ღრმად ჩამჯდარი თვალების მგზნებარე მზერა, დაღებული პირი, შეკრული წარბები, დანაოჭებული შუბლი, აჩეჩილი თმა და სხვა.

- ✓ როგორ შეიცვალა დროთა განმავლობაში სახვითი ხერხები ადამიანის ემოციების, განცდების, ხასიათის გადმოსაცემად?

**პასუხი**: ხელოვანებმა უკეთ შეისწავლეს ანატომია. დაიხვეწა ემოციის გადმოცემის ხერხები.

- ✓ რა საერთოა ელინიზმისა და ბაროკოს ეპოქის ხელოვნებას შორის?

**პასუხი**: ელინიზმისა და ბაროკოს ეპოქების ხელოვანებს აინტერესებდათ ადამიანის ემოციის გადმოცემა.

- ✓ რას გვატყობინებს ხელოვნება პიროვნების შესახებ?
- ✓ რაზე მიგვანიშნებს მიმიკა, პოზა, ჟესტიკულაცია?
- ✓ როგორ შემიძლია სახვითი ენის გამოყენება ჩემი განცდების, ემოციების, ხასიათის გადმოსაცემად?
- ✓ რას ასახავს „ლაოკოონის“ ქანდაკება?

**პასუხი**: ტკივილს, ტანჯვას, სიცოცხლისთვის ბრძოლას.

*ლაოკოონის მითი იხ:*

http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98

- ✓ რა ხერხებითაა გადმოცემული ლაოკოონისა და მისი ვაჟების მდგომარეობა?

**პასუხი**: რთული პოზები, დინამიკური მოძრაობები, დაძაბული სხეულები, გადახლართული მსხვილი ფორმები, სახის გამომეტყველება.

- ✓ როგორ გადმოგვცემდნენ ჩრდილოევროპელი მხატვრები ადამიანის განცდებს?

**პასუხი**: პოზა, კუთხოვანი ჟესტიკულაცია, ექსპრესიული მიმიკა.

- ✓ შუა საუკუნეების პირობითობის შემდეგ, რა სიახლე მოიტანა გოთიკის ქანდაკებამ? დაახასიათე ნაუმბურგის ქანდაკებები.

**პასუხი**: ნაუმბურგის კათედრალის ქანდაკებების დახასიათება:
ეკეჰარტი ბრძენი და ღირსეულია, მისი მეუღლე უტა მშვიდი და ფიქრიანია. გრაფი დიტმარი - მშიშარაა, რეგლინდა - მხიარული, ტიმო – ბუტია, ზიცო – მრისხანე.

*მაგდებურგის კათედრალის ქანდაკებებთან დაკავშირებით, იგავი უგნურ ქალიშვილებზე იხ.: მათეს სახარება, თავი 25. ბმული:* http://www.orthodoxy.ge/tserili/kiknadze/mate.htm)

- ✓ რა მხატვრული ხერხები შემოიტანა მანიერიზმმა ადამიანის შინაგანი მდგომარეობის გადმოსაცემად?

**პასუხი**: მაღლა აღპყრობილი ანთებული მზერა, ცრემლიანი თვალები, დაღებული პირი, მწუხარე გამომეტყველება, ექსპრესიული ჟესტიკულაცია, წაგრძელებული პროპორციები, მღელვარე ფონი და სხვა.

## 9. **ხასიათი და მიმიკა** (საშინაო საკითხავი)

- **ანალიზი (დამოუკიდებელი სამუშაო)**:
    - ✓ როგორ გადმოგვცემს ადამიანის ხასიათს რომის ვერისტული პორტრეტი?

**პასუხი**: რეალისტური მიმიკით, გამომეტყველებით.

დააკვირდი ლეონარდო და ვინჩის, რაფაელისა და რემბრანდტის ჩანახატებს:
- ✓ რა ემოციას გამოხატავს თითოეული?
- ✓ რა ხერხით გამოხატა მხატვარმა ემოცია?
- ✓ რა ხერხით მისცა პორტრეტს მოცულობა?
- ✓ დააკვირდი შტრიხების მიმართულებასა და მათ ინტენსივობას.

**პრაქტიკული აქტივობა (დამოუკიდებელი სამუშაო):**
შეარჩიე ერთ-ერთი ნახატი და უბრალო, რბილი ფანქრით (2-4B) დახატე ასლი.

## 10. ფსიქოლოგიური პორტრეტი

- ✓ ამოიცანი, რომელ ტემპერამენტს განასახიერებენ წითელ მოსასხამში წარმოდგენილი იოანე მახარებელი, ეკლესიის გასაღების მპყრობელი მოციქული პეტრე, ბნელი ფონიდან კონტრასტული განათებით ხაზგასმული მოციქული პავლე და თეთრ მოსასხამში გამოწყობილი მახარებელი მარკოზი?
- ✓ რა ხერხით გვიხასიათებს პიროვნებას ფსიქოლოგიური პორტრეტი?
- ✓ როგორ იყენებენ ხელოვანები პოზას, მიმიკას და ჟესტიკულაციას ადამიანის შინაგანი მდგომარეობის გადმოსაცემად?

**პასუხი**:
„ოთხ მოციქულში“ (მოსწავლის სახელმძღვანელო, გვ. 184) დიურერმა ძველი ბერძენი ექიმისა და ფილოსოფოსის ჰიპოკრატეს კლასიფიკაციით, ადამიანის ტემპერამენტის ოთხივე ხასიათი გვიჩვენა. ენერგიული სანგვინიკი (იოანე მახარებელი), გულგრილი ფლეგმატიკი (პეტრე მოციქული), ბობოქარი, ანთებული ქოლერიკი (მახარებელი მარკოზი) და გულჩათხრობილი, ფიქრიანი მელანქოლიკი (მოციქული პავლე).

დამატებითი ინფორმაცია ჰიპოკრატეს ტემპერამენტის სახეობების შესახებ:
„ტემპერამენტის კონცეფცია ჯერ კიდევ ჰიპოკრატემ შემოგვთავაზა. მისი აზრით, ადამიანის ტემპერამენტი დამოკიდებულია ორგანიზმში არსებული რომელიმე სითხის (სისხლის – ბერძნ „სანგნის“, ლორწოს – ბერძ. „ფლეგმა“, ნაღველის – ბერძ. „ქოლე“ ან შავი ნაღვლის – ბერძ. „მელან ქოლე“) სიჭარბეზე. ტემპერამენტის ტიპებიც ამ სითხეთა სახელებიდან მომდინარეობს. სახელდობრ, განასხვავებენ მის ოთხ ძირითად ტიპს: სანგვინიკურს, ქოლერიკულს, ფლეგმატიკურსა და მელანქოლიკურს.
სანგვინიკური ტემპერამენტი: გრძნობები სწრაფად აღმოცენდება და მალევე ნელდება. უმეტესად დადებითია. სანგვინიკი უდარდელია, ოპტიმისტურად განწყობილი, ცხოვრებაშიც უფრო დადებით მხარეებს ამჩნევს. ცოცხალი, მოძრავი პიროვნებაა.
ქოლერიკული ტემპერამენტი: დამახასიათებელია გრძნობათა ძლიერი აგზნებადობა. ასეთი პიროვნება იოლად ენთება, შესაძლოა, აფექტურიც იყოს, მაგრამ, სანგვინიკისგან განსხვავებით, უფრო მტკიცე და ხანგრძლივი გრძნობები ახასიათებს. ის ხშირად არის უკმაყოფილო, იოლად ბრაზდება.
ფლეგმატიკური ტემპერამენტი: ამ ტიპის ტემპერამენტის მქონე ადამიანი მშვიდი და გულრილია. მას არ ახასიათებს აფექტი. გრძნობები მასთან ნელა აღმოცენდება და აფექტს არ აღწევს. სამაგიეროდ, მტკიცე და ხანგრძლივია. ფლეგმატიკისთვის, სანგვინის მსგავსად, უფრო მეტად დადებითი ემოციებია დამახასიათებელი. მისი მოძრაობები დინჯი და აუჩქარებელია.
მელანქოლიური ტემპერამენტი: მისთვის დამახასიათებელია ღრმა და ძლიერი ემოციები. მელანქოლიკი შესაძლოა არ რეაგირებდეს ყველა გამღიზიანებელზე, მაგრამ როდესაც რეაგირებს, მისი ემოცია დიდხანს გასტანს. თუმცაღა მელანქოლიური ტიპის ადამიანები ნაკლებად გამოხატავენ ემოციებს.
თითოეულ ტემპერამენტს აქვს ძლიერი და სუსტი მხარეები, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ტემპერამენტი თავისთავად არ შეიძლება იყოს არც კარგი, არც ცუდი. ის მჟღავნდება მოძრაობით, მოქმედებით, მაგრამ არ განსაზღვრავს პიროვნების არც ქცევის მოტივს, არც მრწამსსა და მორალს.
მართალია, ტემპერამენტის ტიპი დროთა განმავლობაში ზოგჯერ იცვლება და ადამიანებიც, აღზრდიდან, კულტურიდან გამომდინარე, სხვადასხვანაირად გამოხატავენ ემოციებს, მაგრამ პედაგოგი მაინც არ უნდა ეცადოს ბავშვის ტემპერამენტის ტიპის შეცვლას.“

*ინფორმაცია ამოღებულია ინტერნეტრესურსიდან: ნინო ლაბარტყავა, ტემპერამენტის ტიპები, http://mastsavlebeli.ge/?p=6969

*არ არის საჭირო ტემპერამენტის სახელწოდებების დასწავლა.

- **შედარებითი ანალიზი (ჯგუფური საკლასო):**

სამი მხატვრის, ტიციანის, ელ გრეკოსა და ველასკესის მიერ დახატული სასულიერო პირების პორტრეტები.

✓ ვინ არიან წარმოდგენილი სურათებზე? დაახასიათე თითოეულ სურათზე წარმოდგენილი პიროვნება.
✓ რა წარმოდგენა შეგექმნა თითოეულზე და რატომ?
✓ რა დეტალებით მიგვანიშნებს მხატვარი სურათის გმირის ხასიათზე?

დიეგო ველასკესისა და რემბრანდტის პორტრეტები (საშინაო დავალება).

✓ დააკვირდი, როგორ იყენებს რემბრანდტი განათებას.
✓ რა ეფექტს აღწევს ამ ხერხით?
✓ რაზე და რატომ გვიმახვილებს ყურადღებას?
✓ მოიძიე ინფორმაცია „უძღები შვილის დაბრუნების" სიუჟეტის შესახებ.

უძღები შვილის იგავი იხ: (ლუკას სახარება, 15:11-32). ან:
https://bit.ly/2MjVQBS

- **პრაქტიკული სამუშაო (დამოუკიდებელი სამუშაო):**
  - დააკვირდი სახელმძღვანელოს ილუსტრაციებში გამოსახული ადამიანების ხელებს.
  - რას გვამცნობს ჟესტიკულაცია?
  - გაივარჯიშე ხელების ხატვაში.
  - დაიხმარე სარკე და უბრალო ფანქრით დახატე საკუთარი ხელი.
  - რას გვამცნობს მიმიკა?

- **ძერწვა:**

წარმოსახვით ადამიანის სახის ძერწვა. ნაკვთებითა და გამომეტყველებით პორტრეტისთვის ხასიათის მინიჭება.

- **ხატვა:**

ადამიანის რამდენიმე სახის დახატვა სხვადასხვა გამომეტყველებით: სახის ნაკვთების სხვადასხვა მიმიკით ადამიანის განსხვავებული ემოციის გამოხატვა.

**რეკომენდაციები კომპლექსური დავალებისთვის “მეგობრის პორტრეტი”**

სანამ მოსწავლეები პორტრეტის ხატვას შეუდგებიან, გადახედონ სახელმძღვანელოში მოცემულ მაგალითებს გადახედე. დააკვირდნენ, რა ხერხებით გადმოსცემენ ხელოვანები ადამიანის განწყობას, ემოციას, შინაგან სულიერ მდგომარეობას, რა შემთხვევაში როგორ პოზას, ჟესტიკულაციას და მიმიკას მიმართავენ.

სასურველია, პორტრეტი გაკეთდეს რომელიმე ეპოქის ან ხელოვანის სტილში (პოზა, კოსტიუმი, ფონი, დრაპირება და სხვა).

ხატვისას მიაქციონ ყურადღება მეგობრის გამომეტყველებასა და ხელებს.

წინასწარ განსაზღვრონ, რა მასალით აპირებენ პორტრეტის დახატვას, საღებავებით თუ უბრალო ფანქრით? პორტრეტს წელამდე დახატავენ თუ მთლიან ფიგურას გამოსახავენ?

რა ზომის ფურცელი დასჭირდებათ?

ფურცლის როგორ ორიენტაციას შეარჩევენ – ჰორიზონტალურს თუ ვერტიკალურს?

სანამ ხატვას შეუდგებიან, დაფიქრდინენ, სად და როგორ განათავსებენ მეგობარს, რომლის პორტრეტიც უნდა დახატონ.

გასათვალისწინებელია, რომ პორტრეტი უცებ არ იხატება. მეგობარი რომ არ დაიღალოს, მან მოხერხებულად უნდა იგრძნოს თავი.

დააკვირდნენ მეგობარს - რა რაკურსით ურჩევნიათ მისი დახატვა, ანფასით, სამი მეოთხედით თუ პროფილში?

რა გარემოში დახატავენ პორტრეტს? დაგეხმარება თუ არა გარემო მეგობრის ხასიათის წარმოსაჩენად?

საით მიმართავენ მეგობრის მზერას – რა შემთხვევაში იქნება პორტრეტი უფრო მეტყველი?

მიაქციონ ყურადღება მის პოზას და ხელების განლაგებას.

მიაქციონ ყურადღება მეგობრის ჩაცმულობას.

რამე დეტალს ან აქსესუარს ხომ არ დაამატებდნენ მეგობრის თვისებების უკეთ წარმოსაჩენად?

თუ პორტრეტს საღებავებით შეასრულებენ, დააკვირდნენ მეგობრის ტანსაცმლისა და ფონის ფერს.

- **მსჯელობა:**

რით განსხვავდება რომანული და გოთიკური ქანდაკება? რა სიახლე მოიტანა გოთიკის ქანდაკებამ?

**პასუხი**: გოთიკურ ქანდაკებაში თანდათანობით გაჩნდა ინტერესი ადამიანისადმი. შარტრის ნოტრ დამის ქანდაკებებიც გოთიკაა, მაგრამ მოგვიანებით, ნაუმბურგისა და მაგდებურგის ფიგურები აღარაა პირობითი, დისპროპორციული და სიბრტყობრივი.

**რესურსები:**

აღორძინების პერიოდის პორტრეტების კოლექცია:
https://bit.ly/2zPv5T4

ერნსტ გომბრიხი, ხელოვნების ამბავი, ლოგოს პრესი, 2012
https://bit.ly/2TZ3R3d

მსოფლიო ხელოვნება, ნანა მაჭარაშვილი, ნინო სილაგაძე. „მერიდიანი“, თბ., 2010:

ხელოვნების ისტორია (XVI-XVII საუკუნეების ევროპა), მერილინ სთოქსთედი, მაიკლ. ვ. ქოთრენი, თბ., 2018;

**შეფასების კრიტერიუმები:**

**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები),**
**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**

- გამოსახავს ადამიანს შესაბამისი გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების (მოცულობა, შუქ-ჩრდილი, ტონალური გრადაცია, ფაქტურა, პროპორცია, დეტალი და სხვ.), სხვადასხვა მასალის და ტექნიკის გამოყენებით **(ს.გ.საბ.1,2);**
- პორტრეტში განწყობისა და ემოციის გადმოსაცემად იყენებს ერთ ან რამდენიმე მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებას, ხერხს (შუქ-ჩრდილი, ტონალური გრადაცია, კონტრასტი, კომპოზიციური განაწილება, აქცენტი, დეტალი, პოზა, ჟესტი, მიმიკა და სხვ.) **(ს.გ.საბ.1);**
- აანალიზებს პორტრეტში გამოყენებულ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, ხერხებს და მსჯელობს, რის გადმოცემა სურდა ავტორს მათი საშუალებით (გარეგნობა, ხასიათი, სოციალური სტატუსი და სხვ.) **(ს.გ.საბ.3);**

**სხვადასხვა ეპოქის/მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები**
**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**

- პორტრეტში საკუთარი ჩანაფიქრის, იდეის გადმოსაცემად შეარჩევს სახვითი ხელოვნების დარგს, ჟანრს, მხატვრულ ხერხებს, მასალას და ტექნიკას და მსჯელობს სახვით ხელოვნებაზე, როგორც თვითგამოხატვის საშუალებაზე **(ს.გ.საბ.2,3);**
- ერთი ან რამდენიმე ხელოვნების ნიმუშის საფუძველზე მსჯელობს, თუ როგორ გამოსახავდნენ ადამიანების შინაგან სამყაროს სხვადასხვა დროს **(ს.გ.საბ.3,4);**
- აანალიზებს რამდენიმე ხელოვანის შემოქმედებას და მსჯელობს, აისახა თუ არა და რა სახით მათ ნამუშევრებში იმ კულტურის გავლენა, რომლის წარმომადგენლებიც არიან **(ს.გ.საბ.3,4).**
- ადარებს ერთმანეთს რომელიმე ორი ეპოქის, დარგის, სტილის, მიმდინარეობის პორტრეტებს, მსჯელობს მსგავსება-განსხვავებებზე, თავისებურებებზე **(ს.გ.საბ.4).**

**დამატებითი ინფორმაცია კომპლექსური დავალების შეფასების შესახებ:**

**მეგობრის პორტრეტი** (მაქს. ქულა 10):
მოსწავლემ გააზრებულად შეარჩია მოდელის პოზა (2 ქულა).
დაიცვა პროპორციები (2 ქულა).
გადმოსცა მოდელის ხასიათი (2 ქულა).
შტრიხებით/ტონალური გრადაციით მიანიშნა შუქ-ჩრდილი, მოცულობა, ფონი (2 ქულა).
მიანიშნა ტანსაცმლის და სხვა დეტალები (2 ქულა).

დავალებების მატრიცა 2/4

<table>
<tr><td>გაკვეთილები: 11-14</td><td colspan="2">გამაერთიანებელი თემა: პორტრეტის ტიპები</td></tr>
<tr><td>საკითხი და ქვეცნებები</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები</td><td>კომპლექსური დავალებები</td></tr>
<tr><td>ელემენტები:<br>მოცულობა, შუქ-ჩრდილი, ტონი, ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება.<br><br>პრინციპები:<br>პროპორცია, სიმეტრია/ასიმეტრია, აქცენტი, კონტრასტი, სტატიკა/დინამიკა.<br><br>დარგები:<br>მხატვრობა<br><br>ჟანრები:<br>პორტრეტი და მისი სახეობები:<br>საზეიმო<br>კამერული,<br>ჯგუფური,<br>ავტოპორტრეტი<br><br>სახვითი ხელოვნების ტექნიკა:<br>მხატვრობა, ფოტოგრაფია<br><br>ეპოქა/სტილი/მიმდინარეობა:<br>სხვადასხვა.<br>რენესანსი, ბაროკო - ვრცლად</td><td>• რა და რა მიზეზებით ქმნიან ხელოვანები პორტრეტებს?<br>• როგორი პორტრეტები არსებობს?<br>• რას გვიამბობს პორტრეტი პიროვნების შესახებ?<br>• რა მხატვრული ხერხებით სარგებლობენ სხვადასხვა ეპოქის ხელოვანები პორტრეტში პიროვნების დახასიათებისთვის?<br>• შეადარე ერთმანეთს ძველი ავტოპორტრეტები და თანამედროვე სელფები. რა მსგავსება- განსხვავებებია მათ შორის?<br>შეადარე ერთმანეთს მამაკაცი და ქალი მხატვრების ავტოპორტრეტები. რა სხვაობას ხედავ? როგორ ფიქრობ, რამ გამოიწვია ეს განსხვავება?<br>• როგორია დღეს სელფების ყველაზე გავრცელებული ტიპები?</td><td rowspan="2">დებატები:<br>ქალი ხელოვანები იგივე უფლებებით უნდა სარგებლობდნენ, როგორც მამაკაცები. (საკლასო აქტივობა)<br><br>„ფოტოპორტრეტი“<br>(წყვილში სამუშაო)<br>საკუთარი ფოტოპორტრეტი, რომელიც წარმოაჩენს შენს პიროვნებას. გააზრებულად გამოიყენე სახვითი საშუალებები და ხერხები: ფერი, ფორმა/დეფორმაცია, ხაზი, შუქ-ჩრდილი, ტონალური გრადაცია, ფონი, რიტმი, მასშტაბი, პროპორცია/დისპროპორცია, კონტრასტი და სხვა.<br><br>დახატე ავტოპორტრეტი.<br>(დამოუკიდებელი</td></tr>
<tr><td colspan="2">11. საზეიმო და კამერული პორტრეტები<br><br>• მსჯელობა: (საკლასო, ჯგუფური, ზეპირი)<br>✓ რა და რა მიზეზებით ქმნიან ხელოვანები პორტრეტებს?</td></tr>
</table>

<table>
<tr>
<td>
პასუხი: ხელოვანები პორტრეტებს სხვადასხვა მიზეზით ქმნიან – ზოგი კერძო დაკვეთაა პირისგან, ვისაც სურს უკვდავყოს თავი მომავალი თაობებისთვის; ზოგჯერ მხატვარს სურს ხოტბა შეასხას კონკრეტულ პიროვნებას და განადიდოს ის; ზოგჯერ ხელოვანს სურს გადმოგვცეს ადამიანის შინაგანი სამყარო)<br>
✓ როგორი პორტრეტები არსებობს?<br>
პასუხი: კამერული, საზეიმო, ცხენოსანი, ჯგუფური, ავტოპორტრეტი)<br>
✓ რას გვიამბობს პორტრეტი პიროვნების შესახებ?<br>
პასუხი: პორტრეტი გვიამბობს პიროვნების წარმომავლობის, სოციალური სტატუსის, ხასიათის შესახებ და სხვ.)<br>
✓ რა მხატვრული ხერხებით სარგებლობენ სხვადასხვა ეპოქის ხელოვანები პორტრეტში პიროვნების დახასიათებისთვის?<br>
პასუხი: პოზა, ჟესტიკულაცია, მიმიკა, კოსტიუმი, აქსესუარები, ფონი და სხვა.)<br>
✓ რა მსგავსება-განსხვავებებია ძველ ავტოპორტრეტებსა და თანამედროვე სელფებს შორის?<br>
✓ არის თუ არა სხვაობა მამაკაცი და ქალი მხატვრების ავტოპორტრეტებს შორის. როგორ ფიქრობ, რამ გამოიწვია ეს განსხვავება?<br>
პასუხი: მამაკაცები გამოსახულია ატრიბუტების გარეშე. ქალები კი ყოველთვის მიანიშნებენ, რომ ისინი მხატვრები არიან – ან მოლბერტით, პალიტრითა და ფუნჯებით, ან ნატურმორტით, რომლებითაც სახელი გაითქვეს. თითქოს ამით იმკვიდრებენ თავს, როგორც ხელოვანის პროფესიის წარმომადგენლები, თითქოს სურთ საზოგადოებას თავი მხატვრებად წარმოუდგინონ. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ის, რომ მათ საზოგადოება სერიოზულად არ აღიქვამდა, ისინი არ იყვნენ ისევე დაფასებულნი, როგორც მამაკაცი ხელოვანები.<br>
✓ როგორია დღეს სელფების ყველაზე გავრცელებული ტიპები?<br>
<br>
• აქტივობა: პორტრეტის ტიპის ამოცნობა:<br>
ილუსტრაციებიდან საზეიმო და კამერული პორტრეტების ამოცნობა.<br>
<br>
• პრეზენტაცია: (საშინაო დავალება, წყვილებში სამუშაო):<br>
მეგობართან ერთად შეარჩიე რომელიმე წყვილის პორტრეტი. მოიძიეთ ინფორმაცია და მოამზადეთ კოსტიუმირებული, ინსცენირებული პრეზენტაცია.<br>
<br>
*ინსცენირებული, კოსტიუმირებული პრეზენტაცია გულისხმობს შეძლებისდაგვარად, პორტრეტის გარემოს რეკონსტრუირებას ატრიბუტებითა და კოსტიუმებით. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსწავლეებმა უნდა შეიკერონ მსგავსი კოსტიუმები. სასურველია, საკუთარი ხელით დაამზადონ ქუდი, საყელო, მანჟეტი ან კოსტიუმის სხვა რაიმე დეტალი. შეუძლიათ დაფაზე დახატონ შესაბამისი ფონის სქემატური ნახატი, ან დაალაგონ მსგავსი საგნები. 2-3 წუთიანი პრეზენტაციის დროს მოსწავლეებმა უნდა უამბონ მეგობრებს, რა შეიტყვეს ამ პირების ან ხელოვანის შესახებ.
</td>
<td>სამუშაო)</td>
</tr>
</table>

| | |
|---|---|
| • **პროპორციების კვლევა-თამაში:** (დამოუკიდებელი სამუშაო)<br>რამდენიმე ფურცელი მკრთალი ხაზებით დაყავი ნებისმიერი სხვადასხვა ზომის ხუთ ნაწილად. იხელმძღვანელე მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული (გვ. 208) ალბრეხტ დიურერის პროპორციების სქემით და ყოველ ნაწილში ჩახატე სახის შესაბამისი მონაკვეთი.<br><br>• **პროპორციების კვლევა-თამაში სელფიზე**: (საშინაო დავალება):<br>გადაიღე სელფი. ატვირთე Paint-ის პროგრამაში შენი ფოტო. მონიშნე ფოტო და გადიდების ან დაპატარავების ფუნქციით შეცვალე სახის პროპორციები.<br><br>• **პროპორციებით თამაში** (ჯგუფური საკლასო):<br>ა4 ფურცელი გრძივად გაჭერით 2-3 ნაწილად.<br>მოთამაშეები უნდა შეთანხმდნენ, თუ სახის რამდენი ნაწილი დაიხატება ყოველ ფურცელზე.<br>თამაშის მონაწილე ყოველი წევრი ფურცელზე ხატავს (პროფილში) სახის ერთ მონაკვეთს, კეცავს ფურცელს ისე, რომ მომდევნო მოთამაშემ ვერ დაინახოს წინა მონაკვეთზე დახატული ფრაგმენტი.<br>გადასცემს მოკეცილ ფურცელს მეგობარს, რომელიც აგრძელებს სახის მომდევნო მონაკვეთის ხატვას, და თავის მხრივ ასევე გადაკეცილ ფურცელს გადასცემს მომდევნო მოთამაშეს.<br>როდესაც ფურცელი შეივსება, გახსენით ჩაკეცილი ნაწილები და დატკბით შედეგით.<br><br>• **ვარჯიში სიმეტრია/ასიმეტრიაზე** (დამოუკიდებელი სამუშაო):<br>ჟურნალიდან ამოჭერი ადამიანის სახე.<br>გაჭერი ან გახიე შუაზე გრძივად.<br>ყოველი ნახევარი დააწებე ცალკე ფურცელზე.<br>პირველ ფურცელზე სიმეტრიის დაცვით, უბრალო ფანქრით მიუხატე სახეს მეორე ნახევარი.<br>მეორე ფურცელზე ასეთივე ხერხით დახატე ასიმეტრიული სახე.<br><br>• **მუყაოს რელიეფი** (წყვილებში სამუშაო):<br>გააკეთე მუყაოსგან სახასიათო ტიპაჟის რელიეფური პორტრეტი<br>(ინსტრუქცია იხ. სახელმძღვანელოში)<br><br>• **სამმაგი პორტრეტი** (დამოუკიდებელი სამუშაო):<br>ერთ ფორმატზე დახატე მეგობრის ან წარმოსახვითი სამმაგი პორტრეტი – პროფილში, სამ მეოთხედსა და ანფასში. | |

## 12. ბაროკოს ხანის ადამიანი

- **მსჯელობა:** (ჯგუფური საკლასო სამუშაო):
  კონტრასტული განათების მხატვრული ეფექტის შესახებ.
  დააკვირდი ესპანელი კარავაჯისტის ფრანსისკო დე სურბარანის განათების ეფექტს. რა შთაბეჭდილებას ქმნის ამგვარი კონტრასტი?
  სასურველია, მოსწავლეებმა გაიხსენონ კონტრასტული განათების მაგალითები საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან (ვთქვათ, ღამით კოცონთან ჯდომისას), ფარნის განათება ან კადრები კინოფილმებიდან. მნიშვნელოვანია გააცნობიერონ, რომ სიბნელისა და კაშკაშა სინათლის კონტრასტი ამძაფრებს ვითარებას, დრამატულ ეფექტს ქმნის.

- **დრაპირება ტონალური გრადაციით**
  - კედელზე დაამაგრე ქსოვილის ერთფერი ნაჭერი ისე, რომ ფარდასავით დრაპირების რამდენიმე ნაკეცს იკეთებდეს.
  - დააკვირდი, როგორ განაწილდა შუქ-ჩრდილი ქსოვილის ნაკეცებზე.
  - ფანქრით შუქ-ჩრდილის გადმოსაცემად გამოიყენე სხვადასხვა სიმუქისა და მიმართულების შტრიხები.

https://i.pinimg.com/originals/96/23/b6/9623b6c9b4226babfc49031e770d8810.png

https://studref.com/htm/img/10/8074/40.png

http://podg-kursy.ru/images/stories/fruit/untitled-44.jpg

- **დახატე დრაპირება აკვარელის ან გუაშის საღებავით.**
  - ტონალური გრადაციის გადმოსაცემად, ფერის გასაღიავებლად დაუმატე გუაშს თეთრი, გასამუქებლად კი შავი საღებავი.
  - აკვარელის შემთხვევაში, ტონალური გრადაციის გადმოსაცემად, ფერის გასაღიავებლად, მიმართე ამორეცხვის მეთოდს.

გუაშით ან აკვარელით დრაპირების ნიმუში:
https://i.etsystatic.com/16916608/r/il/17c1a5/1453446575/il_fullxfull.1453446575_a5lh.jpg
https://paintingvalley.com/images/drapery-painting-22.jpg

- **კონტრასტული განათება ფოტოგრაფიაში** (ფერადი და შავ-თეთრი ფოტოებით) (დამოუკიდებელი სამუშაო)
  გადაუღე მეგობარს ფოტო კონტრასტული განათებით.

მოსინჯე სამი ხერხი:

1. დღის განათებით, ფანჯრის წინ, პროფილში;
2. შენს მიერ დაყანებული ხელოვნური განათებით, პროფილში;
3. სიბნელეში ფარნით მკვეთრად განათებული, ანფასში.

სცადე იგივე, შავ-თეთრი გამოსახულებით.

ატვირთე ფოტოები ციფრულ ალბომში და შეადარე ერთმანეთს - რა სხვაობაა ფერად და შავ-თეთრ გამოსახულებებს შორის?

რა განწყობას ქმნის კონტრასტული განათება?

რა ეფექტს იძლევა იგივე განათება ფერის გარეშე, შავ-თეთრ ტონალობაში?

ნიმუშები:
https://c.stocksy.com/a/MRG700/z9/1731496.jpg?1578721164
https://c.stocksy.com/a/LRG700/z9/1731495.jpg?1580225636

- **ბაროკოს ეპოქის ხელოვნების მახასიათებლების კვლევა** (ჯგუფური საკლასო):

რა მხატვრული ხერხებით იქმნება სურათში დინამიკის, მოუსვენრობის შეგრძნება?
(პასუხი: რთული მოძრაობები, პოზა და ჟესტიკულაცია, გადატვირთული კომპოზიცია, კონტრასტული განათება, შუქ-ჩრდილის მოუსვენარი თამაში)

- **ეპოქების შედარებითი T სქემის შედგენა** (დამოუკიდებელი სამუშაო):
შეადგინე რენესანსისა და ბაროკოს ეპოქების ხელოვნების მახასიათებლების შედარებითი სქემა.

სქემის სავარაუდო ნიმუში:

| აღორძინების ხანა | ბაროკო |
|---|---|
| ადამიანი საკუთარი ბედისა და ქალაქის/ქვეყნის ისტორიის წარმმართველია | არაფერია მყარი. ადამიანი ვერ აკონტროლებს და ვერ წყვეტს ვერაფერს. ყველაფერი ცვალებადია. დრო ულმობელია |
| სიმშვიდე, ჰარმონია, წონასწორობა, სიმყარე, | ბობოქარი ვნებათაღელვა, მღელვარება, ჭიდილი, კონფლიქტი |
| სამკუთხა ან ფრიზისებური სიმეტრიული კომპოზიცია | დიაგონალური, ასიმეტრიული კომპოზიცია |
| სტატიკა | დინამიკა |
| თანაბარი განათება | კონტრასტული განათება |
| მშვიდი დგომა, კონტრაპოსტი | რთული პოზები |
| უემოციო გამომეტყველება | ემოციური გამომეტყველებები |
| ფიგურის სწორი ანატომიური აგება, კლასიკური პრინციპები | უტრირებული, დიდი ზომის დაკუნთული სხეულები |

| | |
|---|---|
| **13. ჯგუფური პორტრეტი** (საშინაო საკითხავი)<br><br>• **მსჯელობა**:<br>რას გვიამბობს ბაროკოს ხანის ჯგუფური პორტრეტები ადამიანთა საქმიანობის შესახებ?<br>**პასუხი**: სახელმძღვანელოს ტექსტის საფუძველზე (კოსტიუმები, ატრიბუტები).<br><br>• **კვლევა** (დამოუკიდებელი სამუშაო):<br>მოიძიე ტიციანის, ველასკესის, გოიასა და კლოდ მონეს ნაწარმოებები **Google Arts & Culture** ვებ-გვერდზე, გაადიდე გამოსახულება და დააკვირდი მონასმებს.<br><br>• **ჯგუფური პორტრეტის ხატვა** (დამოუკიდებელი სამუშაო):<br>დახატე კლასის ან შენი ოჯახის ჯგუფური პორტრეტი. თავად გადაწყვიტე, საზეიმო იქნება ის თუ ყოფითი ჟანრის ატმოსფეროთი გამთბარი?<br><br>**14. ავტოპორტრეტი**<br><br>• **ციფრული ალბომის შექმნა: (Google Arts & Culture** ვებ-გვერდზე ფავორიტების ალბომი). (საშინაო დავალება)<br>შექმენი შენთვის საინტერესო მხატვრების ავტოპორტრეტების ციფრული ალბომი (ან **Google Arts & Culture** ვებ-გვერდზე შენი ფავორიტების ალბომი). გაეცანი მათ ბიოგრაფიებს. ბიოგრაფიებიდან ამოკრიფე შენთვის საინტერესო ცნობები.<br><br>• **მიკრო და მაკრო სამყაროები ერთ პორტრეტში:** (კოლაჟი, საშინაო დავალება)<br>როგორია შენი შინაგანი და გარე სამყარო?<br>დახატე ადამიანის თავის სილუეტი.<br>ფონზე დააწებე ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი ის გამოსახულებები და სიტყვები, რომლებიც შენს გარემოს, შენს სამყაროს ასახავენ.<br>სილუეტის შიგნით კი დააწებე ისეთი გამოსახულებები და სიტყვები, რომლებიც ასახავენ შენს შინაგან სამყაროს – ინტერესებს და გატაცებებს.<br>გადაატარე სილუეტს კონტური მსხვილი მარკერით.<br><br>• **კოსტიუმირებული სელფი** რენესანსულ, ბაროკალურ ან კლასიცისტურ სტილში (საშინაო დავალება).<br>შეარჩიე რომელიმე პორტრეტი.<br>შეარჩიე შესაბამისი გარემო. | |

მოიფიქრე და შექმენი შენს ხელთ არსებული რესურსით (შენივე ტანსაცმელი, ქსოვილის ნაჭრები, კაშნე, შალი, ქუდი, ხელთათმანი და სხვა) სურათზე გამოსახული ადამიანის მსგავსი კოსტიუმი, მიიღე ისეთივე პოზა, როგორიც სურათზე გამოსახულ ადამიანს აქვს და გადაიღე სელფი.

- **პრაქტიკული აქტივობა: ქრონოლოგია** (წყვილებში სამუშაო):

მოიძიე და დაალაგე ცნობილი მხატვრების ავტოპორტრეტები ქრონოლოგიურად. დაურთე მათ შენს მიერ მოძიებული ცნობები. გაუზიარე ალბომი მეგობრებს. გახსოვდეს, ალბომი შეგიძლია მუდმივად განაახლო და გაამდიდრო!

**რეკომენდაციები კომპლექსური პროექტისთვის "დებატები":**

**მოსამზადებელი ეტაპი:**

შეარჩიეთ რამდენიმე ქალი ხელოვანი. გაეცანით მათ ბიოგრაფიას. მიაქციეთ ყურადღება მათ ღვაწლსა და იმას, თუ რა დაბრკოლებების გადალახვა უწევდათ და როგორ იმკვიდრებდნენ ისინი ადგილს; სასურველია, წარმოდგენა იქონიოთ იმ ეპოქასა და ისტორიულ კონტექსტზე, რომელშიც ცხოვრობდა ხელოვანი.

ვინაიდან უცნობია, თუ რომელი პოზიციის დაცვა მოუწევს ჯგუფს, არგუმენტები უნდა მომზადდეს ორივე შემთხვევისთვის.

**წესები:**

როლები:

- მოდერატორი – (აკონტროლებს დებატების პროცესს)
- დროის გუშაგი – (აკონტროლებს რეგლამენტს (1 წთ.)
- დებატების მონაწილე – საპირისპირო პოზიციების დამცველების ორი ჯგუფი.
- სამი მოსამართლე – (აფასებს არგუმენტების მრავალფეროვნებას, ლოგიკურობას, დამაჯერებლობას; თანამშრომლობას ჯგუფის წევრებს შორის, კორექტულობას ჯგუფებს შორის, აჯამებს დებატების შედეგებს).
- მსმენელები - (წინასწარ შეთანხმებული ჟესტებით
- გამოხატავენ თანხმობას ან უთანხმოებას წარმოთქმული არგუმენტის მიმართ).
- ჯგუფების პოზიციას კენჭისყრა გადაწყვეტს.
- დებატებს იწყებს ჯგუფი, რომელსაც დადებითი პოზიციის დაცვა მოუწევს. სიტყვის უფლება ეძლევა მას, ვინც ამას ხელის აწევით ითხოვს.
- მოდერატორი რიგ-რიგობით აძლევს სიტყვას სხვადასხვა პოზიციის „სპიკერებს“.

დამაჯერებელი დასაბუთებით დაარწმუნეთ მოსამართლეები, რომ თქვენი პოზიცია სამართლიანია, ხოლო ოპონენტების არგუმენტები არ არის მისაღები.

სპიკერები პასუხობენ ერთმანეთის შეკითხვებს:

- რომელ ქვეყნებში იზღუდება დღემდე ქალთა უფლებები და რატომ?
- საჭიროა თუ დაუშვებელია ადამიანის უფლებათა შეზღუდვა შემოქმედებით საქმიანობაში და რატომ?
- არსებობს პროფესია, რომელიც კრძალავს რომელიმე სქესისთვის ამ საქმიანობით დაკავებას?
- რაში და რატომ, სად და როდის იზღუდებიან ქალი ხელოვანები?
- რატომ ეთანხმები/ეწინააღმდეგები ამ დებულებას?

**შენიშვნა**:
საჭიროა დებატების შეჯამების სახით მასწავლებელმა გააკეთოს დასკვნა. მან ხაზი უნდა გაუსვას, რომ დღეს, ჩვენს სახელმწიფოში ქალთა მონაწილეობა ცხოვრების ყველა სფეროში არის გარანტირებული და უნდა იყოს დაცული.

**რეკომენდაციები კომპლექსური პროექტისთვის: „ფოტოპორტრეტი".** (წყვილში სამუშაო)

- მეგობრის დახმარებით შექმენი საკუთარი ფოტოპორტრეტი, რომელიც წარმოაჩენს შენს პიროვნებას. გააზრებულად გამოიყენე სახვითი საშუალებები და ხერხები: ფერი, ფორმა/დეფორმაცია, ხაზი, შუქ-ჩრდილი, ტონალური გრადაცია, ფონი, რიტმი, მასშტაბი, პროპორცია/დისპროპორცია, კონტრასტი და სხვა.
- გადახედე სახელმძღვანელოში, წიგნებსა და ინტერნეტში ცნობილი ხელოვანების ავტოპორტრეტებს. შეარჩიე ორი მათგანი, რომელიც შენი ნამუშევრისთვის იდეას მოგაწვდის. დაწერე, როგორ არის ამ ავტოპორტრეტებში გამოყენებული სახვითი საშუალებები და ხერხები და რა ეფექტს აღწევენ ხელოვანები მათი ამგვარად გამოყენებით. რა არის ამ ავტოპორტრეტებში ისეთი, რასაც საკუთარ ნამუშევარში გაითვალისწინებ.
- გონებრივი იერიში – დაფიქრდი, ვინ ხარ, როგორი ხარ, რა გიტაცებს, გახარებს, რა გიყვარს, რა გაღიზიანებს. ასოციაციური ბადის ვინ ვარ მე" ცენტრალური წრის, მე-ს" გარშემო დიდ წრეებში ჩამოწერე შენი თვისებები. მათ გარშემო პატარა წრეებში ჩამოწერე, რომელი სახვითი ხერხები დაგეხმარება ამ თვისებების უკეთ წარმოჩენაში.
  (გაითვალისწინე, რომ ნამუშევარში შენი ინტერესებიდან და თვისებებიდან უნდა შეარჩიო ყველაზე მნიშვნელოვანი). დაურთე ასოციაციური ბადე წინა ეტაპის ნაწერს.
- უბრალო ფანქრით დახატე შენი ჩანაფიქრის ესკიზი;
- სთხოვე მეგობარს, გადაგიღოს რამდენიმე ფოტო, რომლისთვისაც საგანგებოდ და გააზრებულად დააყენებ განათებას, შეარჩევ კადრს, პოზას, გამომეტყველებას, კოსტიუმს, ფერებს.
- შეარჩიე ერთ-ერთი ფოტო.

- ინტერნეტში შეარჩიე ფონი (ნეიტრალური, აბსტრაქტული, პეიზაჟი...), რომელიც შეესაბამება შენს ჩანაფიქრს. ატვირთე ის კომპიუტერული ხატვის პროგრამაში.
- გახსენი შენი ფოტოპორტრეტი და შერჩეული ფონი. ხატვის პროგრამით (**Paint**), ფოტოპორტრეტიდან შენი ფიგურის ამოსაჭრელად ჩამოშალე არჩევის ფუნქცია (**Select**) და დააწკაპე თავისუფალი ფორმის მონიშვნის ფუნქციის (**Free form selection**) ინსტრუმენტზე.
- მონიშნე ფიგურის კონტურები და დაიმახსოვრე (**Copy**) მონიშნული.
- გახსენი ფონის ფაილი და ჩასვი (**Paste**) მონიშნუი ფიგურა ფონზე. ფიგურას რომ თეთრი ფონი მოხსნა, დააწკაპე ფუნქციაზე გამჭვირვალე არჩევანი (**Transparent selection**).
- დაასათაურე შენი ციფრული პორტრეტი და დაიმახსოვრე (**Save).**
- ატვირთე ნამუშევარი შენს ბლოგზე.
- დაწერე, რას ფიქრობ შენს ნამუშევარზე – როგორ ადამიანად წარმოაჩინე თავი; სახვითი ხელოვნების რომელი შედევრი, საშუალება და ხერხი დაგეხმარა ნამუშევრის შექმნაში დაშენი თვისებების წარმოჩენაში; განსხვავდება თუ არა შენი ავტოპორტრეტი ჩანაფიქრის თავდაპირველი ვერსიისგან და რატომ; რა სირთულეებს წააწყდი მასზე მუშაობისას და როგორ გადალახე ისინი; რას შეცვლიდი, ხელახლა რომ ასრულებდე ამ დავალებას.
- სთხოვე მეგობარს, დაგიწეროს შთაბეჭდილება შენს ნამუშევარზე (სამი რამ, რაც მოსწონს შენს ნამუშევარში და ორი რამ, რის შეცვლასაც გირჩევდა).
- დაეხმარე მეგობარს მისი პორტრეტის შექმნაში.

**რეკომენდაციები კომპლექსური დავალებისთვის "ავტოპორტრეტი":**

**დავალების პირობა:**
დახატე ავტოპორტრეტი. ნამუშევრის შექმნისას ეცადე, გამოიყენო ის ცოდნა და უნარები, რომლებიც თემის შესწავლის განმავლობაში შეიძინე.

**გაითვალისწინე**:
გამომეტყველება; პოზა; ჟესტიკულაცია; კოსტიუმი; აქსესუარები; ფონი; განათება

**სახვითი საშუალებები**:
ხაზი (შტრიხი, კონტური); ფერი; ფორმა; მოცულობა; ტონი; შუქ-ჩრდილი

**სახვითი ხერხები**:
პროპორცია; რაკურსი

**რესურსები:**

ერნსტ გომბრიხი, ხელოვნების ამბავი, ლოგოს პრესი, 2012
https://bit.ly/2TZ3R3d

მსოფლიო ხელოვნება, ნანა მაჭარაშვილი, ნინო სილაგაძე. „მერიდიანი“, თბ., 2010:

ხელოვნების ისტორია (XVI-XVII საუკუნეების ევროპა), მერილინ სთოქსთედი, მაიკლ. ვ. ქოთრენი, თბ., 2018;

Google Arts & Culture:
https://artsandculture.google.com/

პიტერ პაულ რუბენსის პორტრეტების გალერეა:
https://www.liveinternet.ru/users/bolivarsm/post347975292/

**დებატების შესახებ ინფორმაცია იხ.:**

1. სახელმძღვანელო Living Democracy, IV ტომი, თავი: მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში:
https://www.living-democracy.ge/textbooks/volume-4/part-3/unit-8/lesson-1/

2. დებატების წესები:
https://bit.ly/2BeRxVU

**დამატებითი საილუსტრაციო მასალა:**
ჰანს ჰოლბაინი, ჰენრი VIII, 1537
https://bit.ly/2ZTkUYh

პიტერ პაულ რუბენსი, მარია პალავიჩინო, 1606
https://commons.wikimedia.org/wiki/File:Maria_Serra_Pallavicino.jpg

დიეგო ველასკესი, ფილიპე IV, 1632
https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/2/2b/Felipe_IV_de_casta%C3%B1o_y_plata%2C_by_Diego_Vel%C3%A1zquez.jpg

ჰ. რიგო, ლუი XIV, 1701
https://en.wikipedia.org/wiki/Portrait_of_Louis_XIV#/media/File:Louis_XIV_of_France.jpg

ჟაკ ლუი დავიდი, ნაპოლეონი, 1812
https://bit.ly/3doGub5

პიერო დელა ფრანჩესკა, ფედერიკო და მონტეფელტრო და ბატისტა სფორცა, 1472
https://en.wikipedia.org/wiki/The_Duke_and_Duchess_of_Urbino#/media/File:Piero_della_Francesca_044.jpg

პიერო დელ პოლაიოლო, ახალგაზრდა ქალი, 1496
https://fi.m.wikipedia.org/wiki/Tiedosto:Antonio_del_Pollaiuolo_-_Profile_Portrait_of_a_Young_Lady_-_Google_Art_Project.jpg

სანდრო ბოტიჩელი, მამაკაცი მედალიონით, 1474
https://commons.wikimedia.org/wiki/File:Sandro_Botticelli_-_Portrait_of_a_Man_with_a_Medal_of_Cosimo_the_Elder.jpg

იან ვან ეიკი, „მამაკაცი წითელი თავსაბურით“, 1433
https://en.wikipedia.org/wiki/File:Portrait_of_a_Man_by_Jan_van_Eyck-small.jpg

იან ვერმეერი, „გოგონა მარგალიტის საყურით“ 1665
https://en.wikipedia.org/wiki/File:Meisje_met_de_parel.jpg

ველასკესი, „მასხარა სებასტიან დე მორა“, 1645
https://en.wikipedia.org/wiki/File:Vel%C3%A1zquez_%E2%80%93_Buf%C3%B3n_don_Sebasti%C3%A1n_de_Morra_(Museo_del_Prado,_c._1645).jpg

ველასკესი, გლეხი გოგონა, 1650
https://wikioo.org/paintings.php?refarticle=9H5TZC&titlepainting=Young%20peasant%20girl&artistname=Diego%20Velazquez

**სავარაუდო თემები და საილუსტრაციო მასალა პრეზენტაციებისთვის:**
პიერო დელა ფრანჩესკა, ფედერიკო და მონტეფელტრო და ბატისტა სფორცა, 1472
https://en.wikipedia.org/wiki/The_Duke_and_Duchess_of_Urbino#/media/File:Piero_della_Francesca_044.jpg

რაფაელ სანტი, ანიოლო და მადალენა დონი, 1506
https://en.wikipedia.org/wiki/Portrait_of_Agnolo_Doni#/media/File:Raffaello_Ritratto_di_Agnolo_Doni.jpg

https://en.wikipedia.org/wiki/Portrait_of_Maddalena_Doni#/media/File:Rafael_-_Retrato_de_Maddalena_Doni.jpg

ლუკას კრანახ უფროსი, ჰაინრიხ V საქსონელი და კატარინა ფონ მეკლენბურგი, 1514
https://commons.wikimedia.org/wiki/File:Lucas_Cranach_the_Elder_-_Duke_Henry_the_Pious_-_Google_Art_Project.jpg

https://commons.wikimedia.org/wiki/File:Lucas_Cranach_the_Elder_-_Duchess_Katharina_von_Mecklenburg_-_Google_Art_Project.jpg

პიტერ პაულ რუბენსი, ავტოპორტრეტი იზაბელა ბრანდტთან ერთად, 1610
https://bit.ly/2Aquwis

რემბრანდტ ჰამენს ვან რეინი, „ავტოპორტრეტი სასკიასთან ერთად“, 1635
https://museumsworld.ru/artniderland/g-rembrandt/36sask.php

ანტონის ვან დეიკი, ძმები ვილიერების პორტრეტი, 1635
https://bit.ly/3cnEI8T

ან ვან დეიკი, მარია სტუარტი და უილიამ II,
https://commons.wikimedia.org/wiki/Anthony_van_Dyck#/media/File:Anthonis_van_Dyck_036.jpg

ან ვან დეიკი, დები უორთონები, 1640
https://bit.ly/2XKP39s

ჟაკ ლუი დავიდი, ქიმიკოსი ლავუაზიე და მისი მეუღლე, 1788
https://commons.wikimedia.org/wiki/File:Jacques-Louis_David_-_Portrait_of_Antoine-Laurent_and_Marie-Anne_Lavoisier_-_WGA06059.jpg

გრანტ ვუდი, „ამერიკული გოთიკა“, 1930
https://en.wikipedia.org/wiki/American_Gothic#/media/File:Grant_Wood_-_American_Gothic_-_Google_Art_Project.jpg

**ავტოპორტრეტების საილუსტრაციო მასალა:**
ალბრეხტ დიურერის სამი ავტოპორტრეტი:
1493 წ., 22 წლის ასაკში
https://wikioo.org/paintings.php?refarticle=5ZKBDZ&titlepainting=Self-portrait%20at%2022&artistname=Albrecht%20Durer

1498 წ. 27 წლის ასაკში
https://bit.ly/2TZ3dCl

1500 წ. 29 წლის ასაკში
https://commons.wikimedia.org/wiki/File:D%C3%BCrer_self_portrait_28.jpg-

პიეტრო პერუჯინო, 1500 წ.
https://en.wikipedia.org/wiki/Pietro_Perugino#/media/File:Pietro_Perugino_031.jpg

რაფაელის ავტოპორტრეტი მეგობართან ერთად, 1520 წ.
https://bit.ly/2BnvNaz

რაფაელი, 1506 წ.
https://en.wikipedia.org/wiki/Raphael#/media/File:Raffaello_Sanzio.jpg

ტიციანი, ავტოპორტრეტი, 1562 წ.
https://en.wikipedia.org/wiki/Self-Portrait_(Titian,_Madrid)#/media/File:Self-portrait_of_Titian.jpg
და:
ტიციანი, ავტოპორტრეტი, 1567 წ.
https://en.wikipedia.org/wiki/Self-Portrait_(Titian,_Madrid)#/media/File:Tizian_090.jpg

რუბენსი, 1623 წ.
https://commons.wikimedia.org/wiki/File:Rubens_Self-portrait_1623.jpg

| | |
|---|---|
| რემბრანდტი, 1628 წ.<br>http://www.getty.edu/art/collection/objects/263156/rembrandt-harmensz-van-rijn-rembrandt-laughing-dutch-about-1628/<br><br>რემბრანდტი, „ავტოპორტრეტი ბერეტით, 1630 წ.<br>https://artchive.ru/rembrandt/works/21749~Avtoportret_v_berete_i_s_vytaraschennymi_glazami<br><br>რემბრანდტი, „ავტოპორტრეტი სასკიასთან ერთად“, 1635 წ.<br>https://bit.ly/3coABcC<br><br>რემბრანდტი, „ავტოპორტრეტი მოციქულ პავლეს სახით“, 1661 წ.<br>https://bit.ly/2TVQaSM<br><br>გუსტავ კურბე, „ავტოპორტრეტი შავი ძაღლით“, 1842 წ.<br>https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/1/1a/Selbstbildnis_mit_schwarzem_Hund.jpg | |

**შეფასების კრიტერიუმები:**

**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები), სახვითი ხელოვნების ტექნიკა**

- გამოსახავს ადამიანს შესაბამისი გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების (მოცულობა, შუქ-ჩრდილი, ტონალური გრადაცია, ფაქტურა, პროპორცია, დეტალი და სხვ.), სხვადასხვა მასალის და ტექნიკის გამოყენებით **(ს.გ.საბ.1,2);**
- ნამუშევარში (მაგ., პორტრეტში) იდეის ან განწყობისა და ემოციის გადმოსაცემად იყენებს ერთ ან რამდენიმე მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებას, ხერხს (შუქ-ჩრდილი, ტონალური გრადაცია, კონტრასტი, კომპოზიციური განაწილება, აქცენტი, დეტალი, პოზა, ჟესტი, მიმიკა და სხვ.) **(ს.გ.საბ.1);**
- აანალიზებს პორტრეტში გამოყენებულ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, ხერხებს და მსჯელობს, რის გადმოცემა სურდა ავტორს მათი საშუალებით (გარეგნობა, ხასიათი, სოციალური სტატუსი და სხვ.) **(ს.გ.საბ.3);**

**სხვადასხვა ეპოქის/მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**

- ნამუშევარში საკუთარი ჩანაფიქრის, იდეის გადმოსაცემად შეარჩევს სახვითი ხელოვნების დარგს, ჟანრს, მხატვრულ ხერხებს, მასალას და ტექნიკას და მსჯელობს სახვით ხელოვნებაზე, როგორც თვითგამოხატვის საშუალებაზე **(ს.გ.საბ.2,3);**
- ერთი ან რამდენიმე ხელოვნების ნიმუშის საფუძველზე მსჯელობს, თუ როგორ გამოსახავდნენ ადამიანების შინაგან სამყაროს სხვადასხვა დროს **(ს.გ.საბ.3,4);**
- განიხილავს პორტრეტის ან ყოფითი ჟანრის წარმოშობის მიზეზებს **(ს.გ.საბ.4);**
- აანალიზებს რამდენიმე ხელოვანის შემოქმედებას და მსჯელობს, აისახა თუ არა და რა სახით მათ ნამუშევრებში იმ კულტურის გავლენა, რომლის წარმომადგენლებიც არიან **(ს.გ.საბ.3,4).**
- ადარებს ერთმანეთს რომელიმე ორი ეპოქის, დარგის, სტილის, მიმდინარეობის ნაწარმოებებს (პორტრეტები, ყოფითი ჟანრის), მსჯელობს მსგავსება-განსხვავებებზე, თავისებურებებზე **(ს.გ.საბ.4).**

**დამატებითი ინფორმაცია კომპლექსური დავალების შეფასების შესახებ:**

**დებატები:** (დებატების შეფასების ფორმა იხ.: დანართში)
კვლევის უნარი;
არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;
დებატების წესების დაცვა.

**„ფოტოპორტრეტი“** (მაქს. ქულა 10)

- მოსწავლემ შეადგინა ასოციაციური ბადე „ვინ ვარ მე“ (1ქულა),
- ნამუშევარს ახლავს წინასწარ გაკეთებული ესკიზი (გამოიყენა რამდენიმე მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალება და ხერხი (შუქ-ჩრდილი, ტონი, ხაზი; პოზა, ჟესტი, მიმიკა, პროპორცია)) (2 ქულა);
- ნამუშევარი წარმოაჩენს ავტორის პიროვნებას; (1ქულა),
- ფოტოში გააზრებულად არის გამოყენებული განათება, კომპოზიცია, პოზა, გამომეტყველება, კოსტიუმი, კონტრასტი და სხვა (2 ქულა);
- ფოტო დამუშავებულია ციფრული პროგრამის საშუალებით (2 ქულა).
- ნამუშევარს ახლავს რეფლექსია (საკუთარი ნამუშევრის ანალიზი) და მეგობრის მიერ გაკეთებული შეფასება (2 ქულა).

**ავტოპორტრეტი** (მაქს. ქულა 10):
(შეფასების ფორმა იხ. დანართში)

- ნამუშევარს ახლავს წინასწარ გაკეთებული ესკიზი (გამოიყენა რამდენიმე მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალება და ხერხი (შუქ-ჩრდილი, ტონი, ხაზი; პროპორცია)) (3 ქულა);
- ნამუშევარში გააზრებულად არის გამოყენებული რამდენიმე ხერხი: განათება, კომპოზიცია, პოზა, ჟესტი, მიმიკა, გამომეტყველება, კოსტიუმი, კონტრასტი და სხვა (4 ქულა);
- აანალიზებს რამდენიმე ხელოვანის შემოქმედებას, მსჯელობს რა სახით აისახა ნამუშევარში მათი გავლენა (3 ქულა).

დავალებების მატრიცა 2/5

<table>
<tr><td colspan="3">გაკვეთილი 15 თემა: ადამიანის ყოფა (საშინაო საკითხავი)</td></tr>
<tr><td>საკითხი და ქვეცნებები</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები</td><td>კომპლექსური დავალებები</td></tr>
<tr><td>დარგები:<br>მხატვრობა<br><br>ჟანრები<br>ყოფითი<br><br>ეპოქა:<br>შუა საუკუნეების ჩინური მხატვრობა,<br>ჩრდილოევროპული რენესანსი, ბაროკო, რეალიზმი.</td><td>• რას გვატყობინებს ხელოვნება ადამიანის ყოფის შესახებ?<br>• როგორ ასახავდნენ სხვადასხვა კულტურისა და ეპოქის ხელოვნებაში ადამიანის ყოფას?<br>• რა შეიძლება შევიტყო ყოფითი ჟანრის ნაწარმოებიდან?<br>• როგორ შეგიძლია ასახო შენი ყოფა?</td><td rowspan="2">კვლევა და მოხსენების წარდგენა თემაზე<br>„როგორი იყო ადამიანის ყოფა XXX ეპოქაში“</td></tr>
<tr><td colspan="2">• მსჯელობა:<br>✓ რას ასახავს ყოფითი ჟანრი?<br>პასუხი: ადამიანის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას.<br>✓ რას გვატყობინებს ხელოვნება ადამიანის ყოფის შესახებ?<br>პასუხი: ხელოვნება გვიამბობს, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები სხვადასხვა ეპოქაში.<br>✓ როგორ ასახავდნენ სხვადასხვა ეპოქის ხელოვნებაში ადამიანის ყოფას?<br>პასუხი: ზოგი ნაწარმოები უბრალოდ გვიამბობს ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების შესახებ. ზოგი კი ცდილობს ჩვენში თანაგრძნობა გამოიწვიოს.<br>✓ რა შეიძლება შევიტყო ყოფითი ჟანრის ნაწარმოებიდან?<br>პასუხი: ყოფითი ჟანრის ნაწარმოებიდან შეიძლება შევიტყოთ, როგორ ცხოვრობდა ესა თუ ის სოციალური ფენა, როგორი ნივთები ჰქონდათ, როგორ ეცვათ, რას მიირთმევდნენ, რას საქმიანობდნენ, როგორი ტრადიციები და წეს-ჩვეულებები ჰქონდათ და ა.შ.<br>✓ სახვითი ხელოვნების რომელ დარგებში გვხვდება ყოფითი სცენები? მოიყვანე აგალითები.<br>პასუხი: დაზგური ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, ფოტოგრაფია.<br><br>პრაქტიკული სამუშაო (საშინაო დავალება):<br>• დახატე ყოფითი სცენა შენი ამჟამინდელი ცხოვრებიდან.<br>• დახატე წარმოსახვითი ყოფითი სცენა შენი მომავლიდან. როგორი წარმოგიდგენია შენი მომავალი - ოჯახი, პროფესია, შრომა და გართობა? შეინახე ნახატი (დროის კაფსულაში – შენი ძველი საყვარელი ნივთების სკივრში) და მომავალში შეადარე რეალობას. საინტერესოა, დაემთხვევა თუ არა შენი მოლოდინი სინამდვილეს.</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები კომპლექსურ დავალებებთან დაკავშირებით:**<br><br>**კვლევა და მოხსენების წარდგენა თემაზე**: „როგორ ცხოვრობდა ადამიანი“?<br><br>შეარჩიე ეპოქა, რომელიც გაინტერესებს. მოიძიე ამ ეპოქის ყოფითი ჟანრის რომელიმე ნაწარმოები. წიგნებსა და ინტერნეტში მოიძიე მის შესახებ ინფორმაცია. დააკვირდი გარემოს, კოსტიუმებს, საგნებს.<br>აღწერე და გააანალიზე ნაწარმოებში გამოყენებული სახვითი საშუალებები და ხერხები, უამბე მეგობრებს, რა შეიტყე იმ დროის ადამიანის ცხოვრების შესახებ ამ ნაწარმოებით (სოციალური მდგომარეობა, ისტორიული ვითარება). | |
| **რესურსები:**<br><br>ერნსტ გომბრიხი, ხელოვნების ამბავი, ლოგოს პრესი, 2012<br>https://bit.ly/2TZ3R3d<br><br>მსოფლიო ხელოვნება, ნანა მაჭარაშვილი, ნინო სილაგაძე. „მერიდიანი“, თბ., 2010:<br><br>ხელოვნების ისტორია (XVI-XVII საუკუნეების ევროპა), მერილინ სთოქსთედი, მაიკლ. ვ. ქოთრენი, თბ., 2018;<br><br>დამატებით საილუსტრაციო ელ. რესურსები<br>*პომპეი, პურის საცხობი, I ს.*<br>https://www.wikidata.org/wiki/Q12900679#/media/File:Pompei_-_House_of_Julia_Felix_-_2_-_MAN.jpg<br><br>ჩინური მხატვრობის საილუსტრაციო მასალა:<br>გუ კაიჩჟი, 3-მეტრიანი გრაგნილის დეტალი, IV ს.<br>https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/b/bd/Gu_Kaizhi-Nymph_of_the_Luo_River_%28full%29%2C_Palace_Museum%2C_Beijing.jpg<br>https://commons.wikimedia.org/wiki/File:Histoire_de_femme_Gu_Kai_Zhi.jpg<br>https://bit.ly/2XSJSWj<br>https://en.wikipedia.org/wiki/Gu_Kaizhi<br><br>ჩჟოუ ფანგი, VIII ს.<br>https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A7%D0%B6%D0%BE%D1%83_%D0%A4%D0%B0%D0%BD<br><br>**ევროპული მხატვრობა:**<br>ბრეიგელი, „გლეხების ცეკვა“, 1568<br>https://commons.wikimedia.org/wiki/File:Peasant_dance,_by_Pieter_Bruegel_(I).jpg<br><br>ბრეიგელი, „მოსავლის აღება“, 1565<br>https://www.metmuseum.org/es/art/collection/search/435809 | |

| | |
|---|---|
| პიტერ ბრეიგელი, „კაკანათი“, 1565<br>https://commons.wikimedia.org/wiki/File:Pieter_Bruegel_d._%C3%84._093.jpg<br><br>ბრეიგელი, „მონადირეები თოვლზე“, 1565<br>https://commons.wikimedia.org/wiki/File:Pieter_Bruegel_the_Elder_-_Hunters_in_the_Snow_(Winter)_-_Google_Art_Project.jpg<br><br>პეტრუს კრისტუსი (ნიდერლანდები), „ოქრომჭედელთან“, 1449<br>https://www.metmuseum.org/art/collection/search/459052<br><br>კვენტინ მასისი (ფლანდრია), „მევახშე და მისი ცოლი“, 1514<br>https://commons.wikimedia.org/wiki/File:Quinten_Massijs_(I)_-_The_Moneylender_and_his_Wife_-_WGA14281.jpg<br><br>მარინუს ვან რეიმერსვალე (ჰოლანდია), „ფულის გადამცვლელები“, XVI ს-ის I ნახ.<br>https://commons.wikimedia.org/wiki/File:Marinus_van_Reymerswale_-_The_Tax_Collectors_-_WGA19331.jpg<br><br>ველასკესი, „სადილი“, 1615<br>https://en.wikipedia.org/wiki/The_Lunch_(Vel%C3%A1zquez)#/media/File:Diego_Vel%C3%A1zquez_016.jpg<br><br>ველასკესი, „ქალი კვერცხის ხარშვისას“, 1618<br>https://bit.ly/37nlQ8Z<br><br>იან ვერმეერი, „მერძევე“, 1660<br>https://www.wikiart.org/en/johannes-vermeer/the-milkmaid<br><br>პიტერ დე ჰოოხი, „დედა-შვილი“, 1660<br>https://en.wikipedia.org/wiki/A_Woman_with_a_Child_in_a_Pantry#/media/File:Pieter_de_Hooch_007.jpg<br><br>პიტერ დე ჰოოხი, „საძინებელი“, 1690<br>https://www.wikidata.org/wiki/Q19961186#/media/File:Pieter_de_Hooch_-_The_Bedroom_-_WGA11695.jpg<br><br>პიტერ დე ჰოოხი, „თეთრეულის კარადასთან“, 1663<br>https://commons.wikimedia.org/wiki/File:Pieter_de_Hooch_-_At_the_Linen_Closet_-_WGA11712.jpg<br><br>იან სტენი, „მხიარული ოჯახი“, 1668<br>https://www.wikidata.org/wiki/Q17342250#/media/File:Jan_Havicksz._Steen_-_Het_vrolijke_huisgezin_-_Google_Art_Project.jpg<br><br>იან სტენი, „წმ. ნიკოლოზის დღესასწაული“, 1668<br>https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/d/dc/Jan_Steen_-_The_Feast_of_St._Nicholas_-_WGA21722.jpg | |

| | |
|---|---|
| ჟან ონორე ფრაგონარი (საფრანგეთი), „საქანელა“, 1767<br>https://en.wikipedia.org/wiki/The_Swing_(painting)#/media/File:Fragonard,_The_Swing.jpg<br><br>ჟან ბატისტ სიმეონ შარდენი, „ლოცვა სადილის წინ“, 1740<br>https://commons.wikimedia.org/wiki/File:Jean_Sim%C3%A9on_Chardin_-_The_Prayer_before_Meal_-_WGA04768.jpg<br><br>გუსტავ კურბე, “ქვის მტეხელნი”, 1849<br>https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/f/fc/Courbet_-_Kamieniarze.jpg<br><br>https://commons.wikimedia.org/wiki/File:Gustave_Courbet_018.jpg<br><br>ჟან ფრანსუა მილე, “მარცვლეულის მკრეფავები”, 1857<br>https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/6/64/Millet_Gleaners.jpg<br><br>ონორე დომიე, “მრეცხავი”, 1863<br>https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/a/ae/Honor%C3%A9_Daumier_-_The_Washerwoman_-_WGA05957.jpg<br><br>ონორე დომიე, „III კლასის ვაგონი“, 1864<br>https://bit.ly/2MNN2nQ<br><br>ედგარ დეგა, „ქალები უთოობისას“, 1884<br>https://commons.wikimedia.org/wiki/File:Edgar_Germain_Hilaire_Degas_084.jpg | |

**შეფასების კრიტერიუმები:**

**სხვადასხვა ეპოქის/მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები**

**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**

- ერთი ან რამდენიმე ხელოვნების ნიმუშის საფუძველზე მსჯელობს, თუ როგორ გამოსახავდნენ ადამიანების ყოფას სხვადასხვა დროს **(ს.გ.საბ.3,4);**
- განიხილავს ყოფითი ჟანრის წარმოშობის მიზეზებს **(ს.გ.საბ.4);**
- აანალიზებს რამდენიმე ხელოვანის შემოქმედებას და მსჯელობს, აისახა თუ არა და რა სახით მათ ნამუშევრებში იმ კულტურის გავლენა, რომლის წარმომადგენლებიც არიან **(ს.გ.საბ.3,4).**
- ადარებს ერთმანეთს რომელიმე ორი ეპოქის, დარგის, სტილის, მიმდინარეობის ყოფითი ჟანრის ნაწარმოებებს, მსჯელობს მსგავსება-განსხვავებებზე, თავისებურებებზე **(ს.გ.საბ.4).**

**რეკომენდაციები კომპლექსური დავალებების შეფასებასთან დაკავშირებით:**

კვლევა და მოხსენების წარდგენა

მოხსენების შეფასების სქემა იხ. დანართში

დავალებების მატრიცა 2/6

<table>
<tr><td colspan="3">გაკვეთილი 16     თემა: რას გვიამბობს კოსტიუმი</td></tr>
<tr><td>საკითხი და ქვეცნებები</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები</td><td>კომპლექსური დავალებები</td></tr>
<tr><td>ელემენტები:<br>ფერი<br>ფაქტურა<br><br>დარგები:<br>ფერწერა<br><br>ჟანრები:<br>პორტრეტი<br>ყოფითი<br><br>ტექნიკა:<br>ხატვა<br>მოდელირება<br><br>ეპოქა/კულტურა/მიმდინარეობა/ სტილი და შესაბამისი ხელოვნების ნიმუშები<br>სხვადასხვა</td><td>• რას გვიამბობს კოსტიუმი?<br>• რა ნიშნებით გავარჩევთ ერთმანეთისგან სხვადასხვა ეპოქის/კულტურის ადამიანებს?<br>• რას ემსახურება მოდა?<br>• არის თუ არა ტანსაცმლის მოდელირება ხელოვნება?<br>• რატომ იცვლება მოდა?<br>• რა განაპირობებს ადამიანის ჩაცმულობას?<br>• რა ფაქტორები განაპირობებენ ცვლილებებს სამხედრო ფორმაში?<br>• რისთვის სჭირდება თანამედროვე ხელოვანს მოდის ისტორიის ცოდნა?</td><td rowspan="2">1. ისტორიული კოსტიუმით შემოსილი თოჯინის დამზადება<br><br>2. რეპორტაჟი<br>მოკლე ესე XX საუკუნის ბავშვების ყოფისა და ჩაცმულობის შესახებ</td></tr>
<tr><td colspan="2">• მსჯელობა:<br>✓ რას გვიამბობს კოსტიუმი?<br>პასუხი: კოსტიუმი გვიამბობს პერსონაჟის წარმომავლობის, სოციალური სტატუსის, საქმიანობის შესახებ<br>✓ რა ნიშნებით გავარჩევთ ერთმანეთისგან სხვადასხვა ეპოქის/კულტურის ადამიანებს?<br>პასუხი: კოსტიუმი გვიამბობს, რომელ კულტურას განეკუთვნება პერსონაჟი – აზიელია თუ ევროპელი, რომელ ეპოქაში და რომელ ქვეყანაში ცხოვრობდა და სხვ.<br>✓ რას ემსახურება მოდა?<br>პასუხი: მოდა ემსახურება ადამიანის საჭიროებებს, სიახლის დამკვიდრებას, სოციალური სტატუსის დემონსტრირებას, სილამაზეს, მოხერხებულობას და ა.შ.<br>✓ არის თუ არა ტანსაცმლის მოდელირება ხელოვნება?<br>✓ რატომ იცვლება მოდა?</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| **პასუხი**: მოდა იცვლება იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლება ადამიანების ცხოვრების წესი. ვთქვათ, კრინოლინიანი კაბით ავტომობილით ვერ იმგზავრებ, ავტობუსში ვერ ახვალ და ა.შ.<br>✓ რა განაპირობებს ადამიანის ჩაცმულობას?<br>**პასუხი**: კლიმატი, ცხოვრების წესი, საქმიანობა, სარწმუნოება, მოდა, სოციალური მდგომარეობა და სხვა.<br>✓ რა დანიშნულებისაა სამხედრო კოსტიუმი?<br>**პასუხი:** სამხედრო კოსტიუმმა უნდა დაიცვას სხეული; გარდა ამისა, როგორც სპორტის გუნდებს ვარჩევთ ერთმანეთისგან უნიფორმით, ასევე უნდა გავარჩიოთ, რომელ სამხედრო დაჯგუფებას ეკუთვნის ესა თუ ის მეომარი.<br>✓ რა ფაქტორები განაპირობებენ ცვლილებებს სამხედრო ფორმაში?<br>**პასუხი**: სამხედრო ფორმის ცვლილებებს განაპირობებს საომარი ტექნიკისა და აღჭურვილობის განვითარება.<br>✓ რისთვის სჭირდება თანამედროვე ხელოვანს მოდის ისტორიის ცოდნა?<br>პასუხი: თანამედროვე ხელოვანმა უნდა იცოდეს არა მხოლოდ მოდის, არამედ ზოგადად ისტორიაც, რათა დაიცვას ისტორიული სიზუსტე მაგ. თეატრალური დადგმის, ფილმის, წიგნის გაფორმების დროს, ახალი ტანსაცმლის შექმნისთვის და სხვა.<br><br>**დავალებები:**<br>• **ციფრული ალბომი** (დამოუკიდებელი სამუშაო) (მასწავლებლის არჩევანით)<br>მოიძიე ინტერნეტში სხვადასხვა ეპოქის მხატვრობის ნიმუშები ბავშვების გამოსახულებებით.<br>დაალაგე სურათები ქრონოლოგიურად და შექმენი ციფრული ალბომი „ბავშვობის ისტორია მხატვრობაში“.<br>დაწერე შენი მოსაზრება თემაზე „რას გვამცნობს მხატვრობა ბავშვების ცხოვრებაზე“.<br><br>• გაიხსენე დიეგო ველასკესის სურათი „მენინები“.<br>მოიძიე ამავე მხატვრის მიერ ინფანტა მარგარიტას სხვადასხვა ასაკში გაკეთებული პორტრეტები და აღწერე მისი კოსტიუმები.<br>როგორ იცვლება ინფანტას ჩაცმულობა წლიდან წლამდე?<br>დააკვირდი და აღწერე, როგორ იცვლება ასაკთან ერთად ინფანტას გამომეტყველება და პოზა.<br><br>• მოიძიე ცნობები რომელიმე ეპოქის სამხედრო კოსტიუმის შესახებ.<br>შეადარე ერთმანეთს ქართული, ევროპული და აღმოსავლური საბრძოლო კოსტიუმი.<br>რა აქვთ მათ საერთო?<br>რომელი მიგაჩნია უფრო მოხერხებულად?<br>რომელი უფრო უკეთ იცავს მეომარს?<br><br>• მოიძიე და დააკვირდი თანამედროვე ისლამური ქვეყნების მოსახლეობის ჩაცმულობის ნიმუშებს. შეადარე შუა საუკუნეების ისლამის მხატვრობის ნიმუშებზე გამოსახული ადამიანების ჩაცმულობას.<br>რა შეიცვალა? რა დარჩა უცვლელად? | |

- **ლიტერატურული გმირის გარემო** (საშინაო დავალება, დამოუკიდებელი სამუშაო)
  დახატე შენი საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოების გმირი.
  დაფიქრდი, როგორია მისი გარემო? როგორი სამოსი უნდა ეცვას მას?

* სახელმძღვანელოში დასმულ კითხვაზე, „დააკვირდი გელათის ფრესკაზე გამოსახული ადამიანების ჩაცმულობას. დღეს, XXI საუკუნეში, ვინ ატარებს მსგავს სამოსს?“ **პასუხი**: სამღვდელოება.

**რეკომენდაციები კომპლექსურ დავალებებთან დაკავშირებით:**

- **ისტორიული კოსტიუმით შემოსილი თოჯინა:**

გადაავლე თვალი სახელმძღვანელოში მოცემულ ილუსტრაციებს, მოიძიე სხვადასხვა ეპოქის მხატვრობის ნიმუშები, დააკვირდი გამოსახული პერსონაჟების ჩაცმულობას.

შეარჩიე ერთ-ერთი, დახატე ესკიზი და გააკეთე შერჩეული ეპოქის/ქვეყნის და შენი ესკიზის შესაბამისად შემოსილი თოჯინა.

თავად გადაწყვიტე, თუ რა მასალითა და ხერხით გააკეთებ თოჯინას.

ნამუშევარს დაურთე კვლევა, რომელშიც განიხილავ შენს მიერ შერჩეული ეპოქის/ქვეყნის კოსტიუმის თავისებურებებს, დამახასიათებელ ნიშნებს.

თემის განხილვამდე, შესაძლოა მოეწყოს მოკლე დისკუსია წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, რომელზეც მოსწავლეები გაიხსენებენ:

- როგორ ეცვათ ძველ ეგვიპტესა და ძველ საბერძნეთში?
- როგორ სამოსში გამოსახავდნენ ადამიანებს ბიზანტიის პერიოდის მხატვრობაში?
- რა სხვაობაა შუა საუკუნეების ისლამური და ქრისტიანული ქვეყნების მოსახლეობის ჩაცმულობას შორის და რა არის ამის მიზეზი?

**პასუხი**:

ჩაცმულობას განსაზღვრავს კლიმატი, რელიგიური შეხედულებები, საზოგადოებაში გავრცელებული მოდა, სახელმწიფოებს შორის დამყარებული კულტურული და სავაჭრო ურთიერთობები, ადამიანთა სოციალური წარმომავლობა, სტატუსი და სხვა. შუა საუკუნეების ისლამური და ქრისტიანული სახელმწიფოების მოსახლეობის ჩაცმულობას პირველ რიგში განსაზღვრავდა კლიმატი, რელიგიური შეზღუდვები (რომლებიც ევროპასთან შედარებით, აზიის ქვეყნებში დიდხანს (დღემდე) ინარჩუნებს გავლენას).

სასურველია, მოსწავლეებმა გადახედონ სახელმძღვანელოს და დააკვირდნენ ილუსტრაციებში გამოსახული ადამიანების ჩაცმულობას.

სასურველია, პროექტის დაწყებამდე, მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვოს საშინაო დავალებად, სახელმძღვანელოს ილუსტრაციებიდან სხვადასხვა ეპოქის რამდენიმე კოსტიუმის ამოხატვა.

მოსწავლეთა უნარების გათვალისწინებით, მასწავლებელს შეუძლია მათ შესთავაზოს თოჯინას დამზადების გაადვილებული ვარიანტები:

1. მუყაოზე დახატული და გამოჭრილი ადამიანის სილუეტის შემოსვა.
2. ქაღალდის კონუსის კონსტრუქცია: https://www.youtube.com/watch?v=EARM7BeMMEQ
3. მარტივი თოჯინას დამზადება: https://skillflair.com/diy-dolls/how-to-pake-paper-doll-easy-paper-doll-making-ideas

ასევე, მოსწავლეებს შეუძლიათ შემოსონ მათ მიერ ადრე (მავთულის კარკასზე პლასტილინით) გაკეთებული ადამიანის ფიგურები.

- **რეპორტაჟი:**
  XX-XXI საუკუნის ბავშვების ყოფა და მოდა.

დაწერე მოკლე ესე XX საუკუნის ბავშვების ყოფისა და ჩაცმულობის შესახებ და დაურთე მას მოკლე ჩანაწერები გამოკითხული რესპონდენტების მოგონებებიდან, მოძიებული ფოტო მასალა და შენი ჩანახატები. წარადგინე შენი ნამუშევარი power point პროგრამის საშუალებით:

- მოიძიე ცნობები XX-XXI საუკუნის 2-3 თაობის ადამიანთა ბავშვობის შესახებ.
- გამოკითხე შენი ოჯახის წევრები, მათი ბავშვობის შესახებ. შეაგროვე ცნობები, თუ როგორი იყო მათი ყოფა, რას თამაშობდნენ, როგორ ეცვათ და სხვა.
- მოიძიე ვიზუალური მასალა (საოჯახო ფოტოები, ძველი ჟურნალები, წიგნის ილუსტრაციები).
- დაწერე მოკლე ესე XX საუკუნის ბავშვების ჩაცმულობის შესახებ და დაურთე მას მოკლე ჩანაწერები გამოკითხული რესპონდენტების მოგონებებიდან, მოძიებული ფოტო მასალა და შენი ჩანახატები.
- შეეცადე ახსნა თუ რა მიზეზებმა განაპირობეს ბავშვების მოდის ცვალებადობა.
- ივარაუდე, როგორ ჩაიცვამენ შენი თანატოლები 10-20 წლის მერე?
- წარმოადგინე ესკიზი „მომავლის მოდა“.
- წარადგინე პრეზენტაცია power point პროგრამის საშუალებით.

**რესურსები:**

დიეგო ველასკესი:
https://bit.ly/2XOZqcn

ლუკას კრანახი:
https://bit.ly/2TYbC9o

| | |
|---|---|
| ანტონის ვან დეიკი:<br>https://bit.ly/2AtfzMJ<br><br>გვიანი შუა საუკუნეების კოსტიუმი:<br>https://bit.ly/2XOZM2H<br><br>ოსკარ შმერლინგი:<br>https://www.kvirispalitra.ge/photogallery.html?view=image&image=5135&lang=ka-GE<br><br>საბავშვო მოდა:<br>https://www.pinterest.com/svs2/historical-children-s-clothing/ | |

**შეფასების კრიტერიუმები:**

**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები), სახვითი ხელოვნების ტექნიკა**

- გამოსახავს ადამიანს შესაბამისი გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების (მოცულობა, ფაქტურა, პროპორცია, დეტალი და სხვ.), სხვადასხვა მასალის და ტექნიკის გამოყენებით **(ს.გ.საბ.1,2);**
- ნამუშევარში იდეის ან განწყობისა და ემოციის გადმოსაცემად იყენებს ერთ ან რამდენიმე მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებას, ხერხს (აქცენტი, დეტალი, აქსესუარი და სხვ.) **(ს.გ.საბ.1);**
- აანალიზებს ნაწარმოებში გამოყენებულ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, ხერხებს და მსჯელობს, რის გადმოცემა სურდა ავტორს მათი საშუალებით (სოციალური სტატუსი და სხვ.) **(ს.გ.საბ.3);**

**სხვადასხვა ეპოქის/მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები**
**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**

- ერთი ან რამდენიმე ხელოვნების ნიმუშის საფუძველზე მსჯელობს, თუ როგორ გამოსახავდნენ ადამიანების სოციალურ მდგომარეობას სხვადასხვა დროს **(ს.გ.საბ.3,4);**
- აანალიზებს და ერთმანეთს ადარებს რომელიმე ორი ეპოქის, დარგის, სტილის, მიმდინარეობის ნაწარმოებებს (პორტრეტები), მსჯელობს მსგავსება-განსხვავებებზე, თავისებურებებზე **(ს.გ.საბ.4).**

**რეკომენდაციები კომპლექსური დავალებების შეფასებასთან დაკავშირებით:**

1. **ისტორიული კოსტიუმით შემოსილი თოჯინა** (მაქს. ქულა 10):

- თოჯინა შეესაბამება ესკიზს და შესრულებულია აკურატულად (2 ქულა).
- თოჯინას სამოსის სილუეტი და/ან დეტალები შეესაბამება შერჩეულ ეპოქას (3 ქულა).
- მოსწავლემ წარმოადგინა კვლევის წერილობითი შედეგი ესკიზითა და მოძიებული ინფორმაციით (3 ქულა).
- საუბრობს ნამუშევარზე და განიხილავს მას ისტორიულ-კულტურულ-სოციალურ-რელიგიურ კონტექსტში (2 ქულა).

2. **რეპორტაჟი** (მაქს. ქულა 10):

- მოსწავლის მიერ მოძიებული ინფორმაცია შეესაბამება დავალების პირობას (1 ქულა);
- მასალა მრავალფეროვანია, მოწესრიგებულია, დალაგებულია ლოგიკური სისტემის მიხედვით (3 ქულა);
- პრეზენტაციას ახლავს ფოტომასალა და მოსწავლის ჩანახატები (2 ქულა);
- ტექსტი დაწერილია გამართულად (2 ქულა);
- პრეზენტაცია წარმოდგენილია ციფრული დოკუმენტის სახით (1 ქულა);
- მოსწავლე ამჟღავნებს აუდიტორიასთან კონტაქტის უნარს (1 ქულა).

## თემატური ბლოკი: გარემო და ხელოვნება (10+2 სთ)

*თავების მიმდევრობა მოსწავლის წიგნში:*


სასწავლო თემა: სამყარო ჩვენს გარშემო ........ 261

1. ნატურმორტი ანუ გარემო ახლო ხედით ........ 262
2. პეიზაჟი ანუ გარემო შორი ხედით ........ 269
3. პერსპექტივა ........ 274
4. ხსნა ბუნებაშია ........ 280
5. არქიტექტურა ........ 284
6. ხუროთმოძღვრება და გარემო ........ 292
7. კლიმატი და არქიტექტურა ........ 296
8. არქიტექტურის მხატვრული ენა ........ 300

ეპილოგი

ლექსიკონი

# თემატური ბლოკი 3: გარემო და ხელოვნება

**თემა: სამყარო ჩვენ გარშემო** — **საათების სავარაუდო რაოდენობა: 10 + 2 სთ**

**თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:**

- გარე სამყაროს ასახვას ხელოვნებაში სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზანი და ფუნქცია ჰქონდა.
- დროსთან ერთად იცვლებოდა გარე სამყაროს ასახვის გზები, მასალა და ტექნიკა.
- ხელოვანები განსხვავებული მხატვრული ხერხებით გვიამბობენ თანადროული გარემოს შესახებ.
- ნამუშევრის მხატვრულ ფორმაზე (სტილზე, მიმდინარეობაზე, შესრულების მანერაზე, მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებზე, ხერხებზე, მასალასა და ტექნიკაზე) გავლენას ახდენენ ქვეყნის კულტურა და ტრადიციები, ისტორიული და სოციალური ვითარება, გეოგრაფიული მდებარეობა.
- გარემოზე დაკვირვების შედეგები და მისდამი დამოკიდებულება მრავალფეროვანი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებითა და ხერხებით შემიძლია გადმოვცე.
- გარემო გავლენას ახდენს ხელოვანის შემოქმედებაზე, ხელოვნება კი გავლენას ახდენს გარემოზე.
- არქიტექტურას შეუძლია შეცვალოს გარემო და ზემოქმედება მოახდინოს ამ გარემოში მყოფ ადამიანებზე.

**თემატური ბლოკის ფარგლებში დასამუშავებელი თემები და ქვეთემები:**

1. ნატურმორტი, ანუ გარემო ახლო ხედით;
2. პეიზაჟი, ანუ გარემო შორი ხედით
3. არქიტექტურა

| სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები: | საკითხი და ქვეცნებები: | საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები: | კომპლექსური დავალებები (ტიპები): |
|---|---|---|---|
| **სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები):**<br>• ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი ხელოვნების ელემენტებს და პრინციპებს;<br>• სახვითი ხელოვნების ენას ვიყენებთ არა მხოლოდ ნამუშევრის შექმნისას, არამედ ხელოვნების ნიმუშებზე შთაბეჭდილებების იდეების, აზრის გამოთქმისას;<br><br>**სახვითი ხელოვნების ტექნიკა:** | **ელემენტები:**<br>ფერი,<br>ტონი,<br>შუქ-ჩრდილი,<br>ფონი,<br>ფორმა,<br>ხაზი.<br><br>**პრინციპები:**<br>სტატიკა/დინამიკა,<br>კონტრასტი,<br>წონასწორობა,<br>სიმეტრია/ასიმეტრია,<br>მასშტაბი, | • როგორ მოქმედებს გარემო ხელოვნებაზე?<br>• როგორ იცვლებოდა დროსთან ერთად გარესამყაროს ასახვის გზები და ხერხები?<br>• რა ინფორმაციას გვაძლევს ხელოვნების ნაწარმოები თანადროული გარემოს შესახებ?<br>• როგორია ჩვენი გარემო?<br>• გარემოს რა ფაქტორებმა შეიძლება მოახდინოს | **კვლევა**<br><br>**ანალიზი**<br><br>**დისკუსია**<br><br>**პრაქტიკული სამუშაო:**<br><u>(მასწავლებლის არჩევანით):</u><br>• ნატურმორტის დალაგება და ფოტოს გადაღება<br>• აპლიკაცია<br>• ციფრული კოლაჟი |

| | | | |
|---|---|---|---|
| • ხელოვანი, მასალას და ტექნიკას ირჩევს მხატვრული ჩანაფიქრის მიხედვით.<br>• კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა, იცვლებოდა და ჩნდებოდა ხელოვნების ახალი ფორმები, მასალა და ტექნიკა<br><br>**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები:**<br>• ხელოვნება ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახით გვხვდება;<br>• ხელოვნების ნიმუშები სხვადასხვა მიზნითა და დანიშნულებით იქმნება;<br>• ხელოვნების დარგებად დაყოფას გამოყენებული მასალა, ტექნიკა ან დანიშნულება განაპირობებს;<br><br>• თითოეული დარგისთვის სახვითი ხელოვნების რომელიმე გამომსახველობითი საშუალება თუ ხერხია მეტად დამახასიათებელი;<br>• სახვითი ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით.<br><br>**სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/ მიმდინარეობის / სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები:**<br>• ყველა ეპოქის, მიმდინარეობის, სტილის ხელოვნებას აქვს თავისი მახასიათებელი, რომელსაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს;<br>• ხელოვნებაში მიმდინარე ცვლილებები (ხელოვნების დანიშნულება, მისდამი დამოკიდებულება, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, ტექნიკა, მასალა, იარაღი, დარგები, ფორმები და სხვ.) პირდაპირ კავშირშია კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარე ცვლილებებთან (მსოფლმხედველობა, ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია და სხვ.);<br>• სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს ურთიერთ ზეგავლენა; | პროპორცია,<br>პერსპექტივა,<br>აქცენტი,<br>რიტმი,<br>ორნამენტი.<br><br>**დარგები:**<br>დაზგური ფერწერა,<br>არქიტექტურა<br><br>**ტექნიკა:**<br>ხატვა,<br>ფერწერა,<br>კონსტრუირება;<br><br>**ეპოქა/კულტურა/ მიმდინარეობა/ სტილი და შესაბამისი ხელოვნების ნიმუშები:**<br>სხვადასხვა;<br>ბაროკო,<br>კლასიციზმი,<br>რომანტიზმი. | გავლენა ნამუშევრის მხატვრულ ფორმაზე (სტილზე, მიმდინარეობაზე, შესრულების მანერაზე, მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებზე, ხერხებზე, მასალასა და ტექნიკაზე)?<br>• რა მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები შემიძლია გამოვიყენო გარემოზე დაკვირვების შედეგებისა და საკუთარი დამოკიდებულების გადმოსაცემად?<br>• რა მხატვრული ხერხებით შეიძლება ავსახო ჩემი გარემო?<br>• ხელოვნების რომელი დარგი ზემოქმედებს გარემოზე და როგორ?<br>• როგორ ცვლის ადამიანის შემოქმედება გარემოს? | • სავარჯიშოები ხაზოვან და ჰაეროვან პერსპექტივაზე<br>• ხაზვა<br>• კონსტრუირება<br><br>**კომპლექსური პროექტები:**<br><br>• ნატურმორტის დახატვა გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრის შექმნა.<br>• ურბანული ანუ ქალაქური პეიზაჟის დახატვა ხაზოვანი პერსპექტივის გამოყენებით.<br>• პეიზაჟის დახატვა ხაზოვანი და ჰაეროვანი პერსპექტივის ხერხების გამოყენებით, რომელშიც მოსწავლე მის გარემოს ან სულიერ მდგომარეობას ასახავს<br>• წლის მანძილზე შეძენილი ცოდნისა და უნარების შემაჯამებელი ტესტი<br><br>**ფინალური პროექტი:**<br>„ტოლერანტული ქალაქი“.<br>• ინდივიდუალურად ან წყვილში რაიმე ეპოქის/სტილის მიხ. დამზადებული შენობის მაკეტების დამზადება. დამოუკიდებლად შექმნილი მაკეტებით ქალაქის ერთობლივი მაკეტის |

| | | | |
|---|---|---|---|
| ხელოვნების საშუალებით სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის შესახებ ბევრი რამის გაგება შეიძლება. | | | დამზადება. |
| **შეფასების კრიტერიუმები თემატური ბლოკისთვის „გარემო და ხელოვნება“:** | | | |

**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**
**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**

- აკვირდება გარემოს და ნამუშევარში შემოქმედებითად ასახავს დაკვირვების შედეგად აღძრულ შთაბეჭდილებებს, იდეებს, ემოციებს, გრძნობებს **(ს.გ.საბ.1)**
- ნამუშევრის შექმნისას, შეარჩევს ჩანაფიქრის შესაფერის მასალასა და ტექნიკას და იყენებს შესაბამის მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს და ხერხებს (ხაზის, ფერის, ლაქის, ფორმის გამომსახველობითი შესაძლებლობები, პერსპექტივა, მასშტაბი, კომპოზიციური განაწილება, თანაფარდობა და სხვ.) **(ს.გ.საბ.1,2)**
- წერილობით ან ზეპირად აანალიზებს საკუთარ/სხვის ნამუშევარში გამოყენებულ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს და ხერხებს (ხაზის, ფერის, ლაქის გამომსახველობითი შესაძლებლობები, პერსპექტივა, მასშტაბი, კომპოზიციური განაწილება, თანაფარდობა და სხვ.) და საუბრობს საკუთარ ემოციებზე **(ს.გ.საბ.3)**

**სხვადასხვა ეპოქის/მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები**
**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**

- საუბრობს ხელოვნების ზოგიერთი ჟანრის (პეიზაჟი, ნატურმორტი) გაჩენის შესაძლო მიზეზების შესახებ, მოჰყავს რამდენიმე მაგალითი და მსჯელობს, თუ როგორ იცვლებოდა პეიზაჟის, ნატურმორტის გამოსახვის თავისებურებები დროსთან ერთად **(ს.გ.საბ.4)**
- აანალიზებს, როგორ არის გამოყენებული სხვადასხვა სტილის, მიმდინარეობის, დროის ნამუშევარში გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, მასალა და ტექნიკა ჩანაფიქრის განსახორციელებლად **(ს.გ.საბ.3,4);**
- აანალიზებს, როგორ იცვლებოდა დროთა განმავლობაში გარესამყაროს ასახვის გზები ხელოვნებაში **(ს.გ.საბ.3,4);**
- ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა კულტურისა და ეპოქის ხელოვნების ნაწარმოებებს, მსჯელობს მათ მხატვრულ მახასიათებლებზე, გამოთქვამს საკუთარ დამოკიდებულებას **(ს.გ.საბ.4);**
- სიტყვიერად და წერილობით მსჯელობს ხელოვნების ნიმუშებზე სხვადასხვა კონტექსტის გავლენის შესახებ **(ს.გ.საბ.4)**.

## დავალებების მატრიცა 3/1

<table>
<tr><td>გაკვეთილები 1 - 4</td><td colspan="2">გამაერთიანებელი თემა: სამყარო ჩვენ გარშემო</td></tr>
<tr><td>საკითხი და ქვეცნებები</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები</td><td>კომპლექსური დავალებები</td></tr>
<tr><td>ელემენტები:<br>ფერი, ფორმა, მოცულობა, შუქ-ჩრდილი, ტონი, ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება.<br><br>პრინციპები:<br>წონასწორობა, სიმეტრია/ასიმეტრია, დინამიკა/სტატიკა, პროპორცია, მასშტაბი, პერსპექტივა, აქცენტი.<br><br>დარგები:<br>დაზგური ფერწერა.<br><br>ჟანრები:<br>ნატურმორტი, პეიზაჟი<br><br>სახვითი ხელოვნების ტექნიკა:<br>ხატვა, ფერწერა.<br><br>ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა:<br>სხვადასხვა.</td><td>• შეიძლება თუ არა ნატურმორტის მიხედვით ამოვიცნოთ ეპოქა და ქვეყანა?<br><br>• გარემოს რა ფაქტორებმა შეიძლება მოახდინოს გავლენა ნამუშევრის მხატვრულ ფორმაზე (სტილზე, მიმდინარეობაზე, შესრულების მანერაზე, მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებზე, ხერხებზე)?<br><br>• შეიძლება თუ არა, ნატურმორტის მიხედვით ვიმსჯელოთ, თუ რა აინტერესებდათ, რა უყვარდათ, რა მოსწონდათ იმდროინდელ ადამიანებს?<br><br>• რა არის პერსპექტივა?<br>• რა ეფექტს მოგცემს პერსპექტივის ხერხის გამოყენება პეიზაჟის ხატვისას?<br><br>• რა სხვაობაა სწორ- და უკუპერსპექტივებს შორის?<br>• რა სხვაობაა ხაზოვან და ჰაეროვან პერსპექტივებს შორის?<br>• რა ხერხით შეიძლება გამოსახო ჰაეროვანი პერსპექტივა?</td><td rowspan="2">ნატურმორტი:<br>ა) უბრალო ფანქრით;<br>ბ) გუაშის ან აკვარელის საღებავებით.<br><br>პეიზაჟი<br>ხაზოვანი და ჰაეროვანი პერსპექტივის გამოყენებით.</td></tr>
<tr><td colspan="2">პასუხები საკვანძო შეკითხვებზე:<br>✓ ნატურმორტის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ როგორი იყო იმ კონკრეტული ეპოქის სხვადასხვა სოციალური ფენის ადამიანთა ყოფა, ინტერესები, რა მოსწონდათ და ხანდახან ისიც კი, თუ რომელ ქვეყნებთან ვაჭრობდა იმ პერიოდში ის ქვეყანა.<br>✓ პერსპექტივა არის მხატვრული ხერხი, რომელიც საშუალებას იძლევა სივრცეში საგნების ისე გამოსახვის, როგორც მათ რეალურად ვხედავთ (თანდათან დაშორება, დაპატარავება, გაბუნდოვანება).<br>✓ ხაზოვან პერსპექტივაში პარალელური ჰორიზონტალური ხაზები თავს იყრიან ერთ წერტილში, წარმოსახვით ჰორიზონტის ხაზზე. შესაბამისად, ყველა სურათზე გამოსახული ობიექტი პატარავდება ხედვის წერტილის მიმართულებით.<br>✓ ჰაეროვანი პერსპექტივის ხერხი, საგანთა თანდათანობითი გაღიავებითა და გაბუნდოვანებით, ქმნის სიშორის რეალურად აღქმის ილუზიას.</td></tr>
</table>

## 1. ნატურმორტი ანუ გარემო ახლო ხედით

თემა „ნატურმორტის“ მიზანია, მოსწავლემ გააცნობიეროს, რომ ეს ჟანრი არ არის მხოლოდ ლამაზი ნივთების გამომსახველი სურათების ერთიანობა. ყოველი ნატურმორტი გარკვეული შინაარსის მატარებელია. ხშირად მხატვრები უნებურად, ზოგჯერ კი გამიზნულად, მათთვის მნიშვნელოვან სათქმელსა და ემოციებს სწორედ ნივთების კომბინაციით გადმოგვცემენ, რომელსაც ფერით, განათებითა და მონასმებით ისევე ამდიდრებენ, როგორც ჩვენ ვამდიდრებთ წარმოთქმულ სიტყვებს გამოთქმითა და ხმის ტემბრით.

- **კვლევა** (დამოუკიდებელი სამუშაო):

სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი ნატურმორტების მოძიება და თემატურად დახარისხება, ციფრულ ალბომად ორგანიზება, მოხსენების მომზადება და წარდგენა;

- **ანალიზი:**

სახელმძღვანელოში მოცემული ილუსტრაციების აღწერა, შედარებითი ანალიზი.

ილუსტრაციების აღწერისას მოსწავლემ ყურადღება უნდა გაამახვილოს ნატურმორტში გამოსახულ ნივთებზე და მათი გამოსახვის ხერხებზე: მაგ. რეალისტური/პირობითი, მოცულობა, შუქ-ჩრდილი, ფერთა გამა, ტონალობა (ცივი/თბილი), კოლორიტი, კომპოზიცია, პერსპექტივა, პროპორცია, მასშტაბური თანაფარდობა, და სხვა;

- **დისკუსია**:

**კითხვები წინარე ცოდნის გააქტიურებისთვის:**

✓ რას გვიამბობს ნატურმორტი? რა ინფორმაციას გვაწვდიან საგნები?
✓ დროსთან ერთად როგორ იცვლებოდა გარესამყაროს ასახვის გზები და ხერხები?

**პასუხები:**

✓ ნატურმორტზე გამოსახული საგნებისა და მათ გამოსახვის მხატვრული ხერხების მიხედვით შეგვიძლია ამოვიცნოთ კულტურა, ქვეყანა, ეპოქა, პერიოდი.
✓ ნატურმორტი სხვადასხვა ეპოქაში გამოისახებოდა სიბრტყობრივად და პირობითად ან მოცულობითად და რეალისტურად;
✓ ნატურმორტი რაიმე ჟანრის სურათში დამხმარე ფუნქციას ასრულებს ან იქმნება, როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოები.

**სადისკუსიო შეკითხვები:**

✓ შეიძლება თუ არა, ნატურმორტის მიხედვით ვიმსჯელოთ, თუ როგორი იყო იმდროინდელი გარემო, როგორ ცხოვრობდნენ, რა აინტერესებდათ, რა უყვარდათ, რა მოსწონდათ იმდროინდელ ადამიანებს?
✓ გარემოს რა ფაქტორებმა შეიძლება მოახდინონ გავლენა ნატურმორტის მხატვრულ ფორმაზე (სტილზე, მიმდინარეობაზე, შესრულების მანერაზე, მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებზე, ხერხებზე)?

| | |
|---|---|
| **სავარაუდო პასუხები:**<br>✓ სხვადასხვა ეპოქაში ადამიანები სხვადასხვა ნივთების გარემოცვაში ცხოვრობდნენ. ნივთები განსხვავდება დიზაინით, მასალით, დანიშნულებით იმის მიხედვით, თუ რომელ ეპოქასა თუ ქვეყანას განეკუთვნებიან. სურათზე გამოსახული ნივთები ასევე მიგვანიშნებენ ადამიანების სოციალურ მდგომარეობას და სტატუსს. ამის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, როდის და სად არის შესრულებული ნატურმორტი.<br><br>**პრაქტიკული სამუშაო:**<br>• **ნატურმორტის დალაგება და ფოტოს გადაღება** (საშინაო დავალება):<br><br><u>მასალა</u>:<br>საყოფაცხოვრებო ნივთები, მოსწავლის პირადი ნივთები და სხვა,<br>ციფრული კამერა, კომპიუტერი, წვდომა ინტერნეტთან.<br><br><u>დავალების პირობა</u>:<br>დაალაგე სამი განსხვავებული ნატურმორტი:<br>▪ საყვარელი ნივთებისგან შემდგარი ნატურმორტი, რომელიც მყუდრო განწყობას ქმნის;<br>▪ სადღესასწაულო ნატურმორტი, რომელიც კარგ გუნებაზე გაყენებს;<br>▪ ნატურმორტი, რომელიც ტკბილ მოგონებებს „გიღვიძებს“.<br><br>ყოველი ნატურმორტი შესაბამისი შინაარსით უნდა იყოს დატვირთული, რათა უკეთ წარმოაჩინოს ავტორის ხასიათი, ინტერესები.<br>მოსწავლეები გადაუღებენ სამივე ნატურმორტს ფოტოს და ატვირთავენ კლასის ბლოგზე.<br><br>დამატებით აქტივობად მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს მოსწავლეებს, წარმოდგენილი ფოტოების მიხედვით ამოიცნონ ავტორი, მისი ხასიათი ან ინტერესები.<br><br>• **აპლიკაცია** (დამოუკიდებელი სამუშაო)<br><u>მასალა</u>:<br>ფერადი ფურცლები ან ჟურნალები<br>წებო<br>მაკრატელი<br><br>შეარჩიე შენს მიერ დალაგებული ან გადაღებული ნატურმორტებიდან ერთ-ერთი და შექმენი ასეთივე ნამუშევარი აპლიკაციის ხერხით. | |

## 2. პეიზაჟი ანუ გარემო შორი ხედით

რა არის პეიზაჟი? პეიზაჟი არის უკიდეგანო სამყარო ჩვენს გარშემო, რომელიც ხან აღგვაფრთოვანებს და ხან ვერც კი ვამჩნევთ. ლამაზი თუ უშნო, პირქუში თუ მომხიბვლელი, იგი მუდამ ჩვენს გარშემოა, მას ვხედავთ ყველგან, სადაც არ გავიხედავთ...

მხატვრობაში პეიზაჟი დამოუკიდებელი ჟანრიცაა და ზოგიერთი სხვა ჟანრის თანმხლები ფონიც.
სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში ფონური პეიზაჟი ამბის თხრობის ნაწილია. იგი აკონკრეტებს ვითარებას და ამძაფრებს ჩვენს განწყობას.
მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა საილუსტრაციო მასალის თვალიერებისას ყურადღება მიაქციონ იმას, თუ რა დატვირთვას აძლევს პეიზაჟი სურათს, რა განცდას იწვევს ყოველი მათგანი და რატომ.
*ნებისმიერი სურათის თვალიერებისას მოსწავლემ ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგ დეტალებს:
- ✓ ლანდშაფტი და მისი გამოსახვის ხერხები: როგორ გამოსახავენ მთებს, დაბლობს, ურბანულ (ქალაქური) თუ პასტორალურ (სოფლის) ხედებს - ჰაეროვანი თუ ხაზოვანი პერსპექტივით.
- ✓ წელიწადის დროს, ამინდს და მათი გამოსახვის ხერხებს (ფერთა გამა, ტონალობა (ცივი/თბილი), კოლორიტი, მონასმი და სხვა); გრაფიკული პეიზაჟის შემთხვევაში ყურადღება ექცევა ხაზების, შტრიხების ხასიათს.

**აქტივობები:**
- სახელმძღვანელოში მოიძიე და აღწერე (სიტყვიერად ან წერილობით) სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებების თანმხლები დამახასიათებელი გარემო.

- მოიძიე კანალეტოს ვენეციური პეიზაჟები ვებ-გვერდზე Google Arts & Culture. შეარჩიე რომელიმე, გაადიდე და დატკბი დეტალებით.

- მოიძიე სახელმძღვანელოში მოცემული პეიზაჟები Google Arts & Culture ვებ-გვერდზე, გაადიდე გამოსახულება და დააკვირდი მონასმებს.

- დააკვირდი დავით კაკაბაძის სურათს „იმერეთი, დედაჩემი“. რომელ ჟანრს მიაკუთვნებ მას: პორტრეტს, პეიზაჟს თუ ორივეს?

**პასუხი**: დავით კაკაბაძის სურათი წარმოადგენს პორტრეტს პეიზაჟის ფონზე.

- **ციფრული კოლაჟი** (საშინაო დავალება):

  - შეარჩიე ორი სურათი: ერთ- ან ორფიგურიანი კომპოზიცია და ერთი პეიზაჟი.
  - დაიმახსოვრე ორივე კომპიუტერში.
  - გახსენი ისინი ხატვის პროგრამით **(Paint).**

- ფიგურის ამოსაჭრელად, აირჩიე ფუნქცია **(Select)** და დააწკაპე თავისუფალი
- ფორმის მონიშვნის **(Free form selection)** ინსტრუმენტზე.
- ფაქიზად მონიშნე ფიგურის კონტურები და ფუნქციით **(Copy)** დაიმახსოვრე
- მონიშნული მონაკვეთი.
- გახსენი პეიზაჟის ფაილი და ფუნქციით **(Paste)** დაადე მონიშნული ფიგურა პეიზაჟს.
- მოუძებნე ფიგურას ადგილი და ზომა.
- ფიგურის გარშემო თეთრი ფონის მოსახსნელად, დააწკაპე ფუნქციაზე „გამჭვირვალე არჩევანი" **(Transparent selection)**.
- დაასათაურე და დაიმახსოვრე შენი ციფრული ნამუშევარი **(Save)**.
- ატვირთე ორიგინალები და საკუთარი ნამუშევარი შენს ალბომში ან ბლოგზე.
- მეგობრებთან ერთად დაათვალიერეთ ერთმანეთის ნამუშევრები და იმსჯელეთ, რა შეიცვალა სურათში ფონის გამო.

## 3. პერსპექტივა

აქტივობები მასწავლებლის არჩევანით, (საკლასო/საშინაო)

- გაივარჯიშე ხელი: დააკვირდი სახელმძღვანელოში მოცემულ მაგალითებს პერსპექტივის ნიმუშებით და სცადე მსგავსი ნახატების დახატვა.

*ამოცანის გასაადვილებლად, მოსწავლეს შეუძლია ნახატს მოაკლოს ზოგიერთი დეტალი (სკამები, ფანჯრები და სხვა). საკმარისია, მან სწორად დახატოს ძირითადი ხაზების და მათ მიერ შემოფარგლული სიბრტყეების მიმართულება.

<u>მაგალითები ხაზოვანი პერსპექტივის დახატვის სავარჯიშოდ:</u>







- უბრალო ფანქრით დახატე შენი ოთახი ხაზოვანი პერსპექტივის გამოყენებით, ერთი თავშეყრის წერტილით.

გაითვალისწინე: იმისთვის, რომ ორგანზომილებიან სასურათე სიბრტყეზე სამგანზომილებიანი სივრცის ილუზია შექმნა, ყველა სწორი ხაზი, რომელიც სინამდვილეში ჰორიზონტალურია, ნახატში თავშეყრის წერტილისკენ უნდა წარმართო.

- დახატე ურბანული ანუ ქალაქური პეიზაჟი ხაზოვანი პერსპექტივის გამოყენებით.

- სავარჯიშო ხაზოვან პერსპექტივაზე: სახელმძღვანელოში მოცემული მაგალითებიდან მსგავსი ნახატების დახატვა.

- გადაავლე თვალი სახელმძღვანელოში მოცემულ ილუსტრაციებს. იპოვე სურათები უკუპერსპექტივის მაგალითებით და სცადე, დახატო მსგავსი კომპოზიცია სწორი პერსპექტივის გამოყენებით.

*სასურველია, ნახატი შესრულდეს უბრალო ფანქრით.

მოსწავლეებს არ მოეთხოვებათ სურათზე გამოსახული ადამიანების ზუსტად გადმოხატვა. საკმარისია პირობითად მოინიშნოს მათი სილუეტები და კომპოზიციის სხვა დეტალები.

სავარაუდოდ, უკუპერსპექტივაში გამოსახული დეტალების სწორად დახატვა შეცვლის სურათის კომპოზიციას – შესაძლოა სწორად დახატულმა საგნებმა გადაფარონ სხვა დეტალები.

## 4. ხსნა ბუნებაშია

**კვლევა** (დამოუკიდებელი სამუშაო):

- მოიძიე სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი პეიზაჟების ნიმუშები.
  დაახარისხე პეიზაჟები ეპოქების მიხედვით და ატვირთე ციფრულ ალბომში.
  ჩამოაყალიბე პუნქტებად ყოველი ეპოქისთვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხები და საშუალებები.

- მოძებნე სახელმძღვანელოში რენესანსის ეპოქის მხატვრობის ნიმუშები, რომლებშიც გამოყენებულია ჰაეროვანი პერსპექტივა. დააკვირდი მათ და T სქემაზე ჩამოაყალიბე ჰაეროვანი პერსპექტივის მხატვრული ნიშნები. მარცხნივ ჩამოწერე ის ნიშნები, რაც ახლო ხედს ახასიათებს, ხოლო მარჯვენივ – რაც შორეულ ხედს ახასიათებს.

- შეადგინე კლასიციზმისა და რომანტიზმისთვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხების შედარებითი T

სქემა.

კლასიციზმის და რომანტიზმის შედარებითი T სქემის სავარაუდო შევსებული ნიმუში:

| კლასიციზმი | რომანტიზმი |
|---|---|
| წესრიგი კომპოზიციასა და კოლორიტში. სტატიკა, სიმშვიდე, მოზომილობა | დინამიკური, „აფორიაქებული“ კომპოზიცია, ცოცხალი კოლორიტი. ემოციურობა, დაუოკებელი, ბობოქარი ჟინი, ვნებათაღელვა, ჭიდილი. |
| თემა: შორეული გმირული წარსული, კლასიკური საბერძნეთისა და რომის ისტორია, მითოლოგია | თემა: წარმოსახვა, გმირობა, ეგზოტიკა, ლეგენდები, ბუნება, ნადირობა, ბრძოლა, თანამედროვეობა, კონფლიქტი, ავდარი, გამოწვევა, დაპირისპირება მოსაბეზრებელ ყოველდღიურობასთან |
| ტექნიკა: გლუვი, არაა მონასმის კვალი. თანაბარი განათება. გამოსახულება გაშეშებულია, სტატიკური, ბოლომდეა გამოწერილი დეტალები, აკადემიური წერის მანერა. | ტექნიკა: სწრაფი მონასმი. დრამატული, კონტრასტული განათება. გამოსახულება მოძრავია, დინამიური |
| გონების უპირატესობა | გრძნობების უპირატესობა |

ჰაეროვანი პერსპექტივის მახასიათებლების T სქემა:

| ახლოს | შორს |
|---|---|
| მკვეთრი<br>დეტალიზებული<br>მკაფიო<br>მოთბო კოლორიტი | მკრთალი<br>განზოგადებული<br>ბუნდოვანი<br>ცივი კოლორიტი |

**პრაქტიკული სამუშაო:**

- უბრალო ფანქრით წარმოსახვით დახატე პეიზაჟი ჰაეროვანი პერსპექტივის გამოყენებით.
- აკვარელის საღებავებით წარმოსახვით დახატე პეიზაჟი ჰაეროვანი პერსპექტივის გამოყენებით.
- დააკვირდი დევიდ ჰოკნის სურათს „ბანქოს მოთამაშეები“.დახატე ასეთივე სურათი სწორი პერსპექტივის ხერხით.

**მეთოდური რეკომენდაციები კომპლექსური დავალებებისთვის:**

**ნატურმორტი**:

<u>მასალა</u>:
ნივთები ნატურმორტის დასალაგებლად,
სახატავი ფურცლები
უბრალო ფანქრები
გუაშის ან აკვარელის საღებავები

<u>დავალების პირობა:</u>

დაალაგე და დახატე ნატურმორტი
ა) უბრალო ფანქრით;
ბ) გუაშის ან აკვარელის საღებავებით.

ნატურმორტის დალაგებისას განსაზღვრე, როგორ ჯობია საგნების განაწილება -

- ერთმანეთთან ახლოს, ისე, რომ ფარავდნენ ერთმანეთს თუ დაშორებით, ისე, რომ სივრცე იგრძნობოდეს.
- განსაზღვრე, როგორი კომპოზიცია მოუხდება ნივთებს – სიმეტრიული, გაწონასწორებული თუ ასიმეტრიული, ცალ მხარეს „დამძიმებული“?
- საიდან ჯობია მათი განათება?

როგორი ფონი მოუხდება ნატურმორტს? საჭიროა თუ არა დრაპირება და სხვა.

- დაათვალიერე დალაგებული ნატურმორტი ყველა მხრიდან და შეარჩიე საუკეთესო ხედი.
- სანამ ნატურმორტის ხატვას დაიწყებ, დაფიქრდი, როგორ რაკურსს აირჩევ ნატურმორტის დასახატად?
- როგორ განალაგებ კომპოზიციას ფურცელზე, ვერტიკალურად თუ ჰორიზონტალურად?
- ნატურმორტს გაჭედავ ფურცელზე თუ სივრცეს დაუტოვებ?
- რა ხერხით შეასრულებ ნამუშევარს – ეცდები რეალისტურად ასახო საგნები თუ პირობით, სიბრტყობრივ გადაწყვეტას მიანიჭებ უპირატესობას?
- ხატვისას მიაქციე ყურადღება საგნების ურთიერთგანლაგებას კომპოზიციაში, მათ ფორმას, ფაქტურას, შუქ-ჩრდილს, პროპორციებს, მასშტაბურ შეფარდებას, ფონს.
- თვალით „გაზომე“ თითოეული საგნის სიმაღლე და სიგანე და შეადარე მეზობელი საგნებისას.
- გაიხსენე, რა ხერხით მიიღწევა აკვარელის საღებავით ტონალური გრადაცია?
- რა ხერხით მიიღწევა გუაშის საღებავით ტონალური გრადაცია?
- გამოიყენებ ფერთა გრადაციას თუ კონტრასტულ ფერებს?
- სამუშაოს დასრულების შემდეგ შეავსე რეფლექსიის კითხვარი.

**პეიზაჟი**:

| | |
|---|---|
| დახატე პეიზაჟი, რომელიც შენს შენს გარემოს ან შენს სულიერ მდგომარეობას გამოხატავს.<br><br>▪ დაფიქრდი, როგორია შენი დროის პეიზაჟი? როგორია შენი გარემო?<br>▪ შეადგინე ასოციაციური ბადე - ჩამოწერე შენი გარემოს მახასიათებლები:<br>თითოეულ მახასიათებელს მიუწერე, როგორი მხატვრული ხერხები და საშუალებები შეეფერება მისი თვისებების წარმოჩენას.<br><br>▪ სანამ ხატვას შეუდგები, დაფიქრდი, ფურცლის როგორი ორიენტაცია მოუხდება შენს ჩანაფიქრს, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური?<br>▪ რა ხერხით გირჩევნია სივრცის გამოსახვა?<br>▪ გამოიყენე ხაზოვანი და ჰაეროვანი პერსპექტივა. დაფიქრდი, სად იქნება ხაზების თავშეყრის წერტილი? დაფიქრდი რაკურსზე, საიდან გინდა დაგვანახო პეიზაჟი?<br><br>▪ როგორი სიმძლავრისა და სიმუქის ფერებს გამოიყენებ ახლო და როგორს შორ ხედზე?<br>▪ გაიხსენე, რა ხერხით მიიღწევა აკვარელის საღებავით ტონალური გრადაცია?<br>▪ რა ხერხით მიიღწევა გუაშის საღებავით ტონალური გრადაცია?<br>▪ სამუშაოს დასრულების შემდეგ შეავსე რეფლექსიის კითხვარი. | |
| **რესურსები:**<br><br>ერნსტ გომბრიხი, ხელოვნების ამბავი, ლოგოს პრესი, 2012<br>https://bit.ly/2TZ3R3d<br><br>მსოფლიო ხელოვნება, ნანა მაჭარაშვილი, ნინო სილაგაძე. „მერიდიანი“, თბ., 2010:<br><br>ხელოვნების ისტორია (XVI-XVII საუკუნეების ევროპა), (XVIII ს-დან დღემდე), მერილინ სთოქსთედი, მაიკლ. ვ. ქოთრენი, თბ., 2018;<br><br>დამატებითი საილუსტრაციო მასალა:<br>ჰოლანდიური ნატურმორტები:<br>ფრანს სნეიდერსი, 1640 (სახეობა – მონადირული ან ნანადირევი)<br>https://vernisazh.ucoz.com/_ph/5/723495352.jpg<br><br>კლარა პეტერსი, 1630 (სახეობა – სამზარეულო).<br>https://es.wikipedia.org/wiki/Archivo:Clara_Peeters_-_Still_Life_with_Crab,_Shrimps_and_Lobster_-_99.308_-_Museum_of_Fine_Arts.jpg<br><br>აბრაჰამ ვან ბეიერენი, 1660 (სახეობა - თევზები) | |

https://commons.wikimedia.org/wiki/File:Abraham_van_Beijeren_-_Still_Life_of_Fish_on_the_Shore_at_Egmond_aan_Zee.jpg

ედვარდ კოლიერი, 1662 (სახეობა - ვანიტასი ან „მეცნიერული ნატურმორტი“)
https://commons.wikimedia.org/wiki/File:EDWAERT_COLLIER_VANITAS_STILL_LIFE.jpg

ედვარდ კოლიერი, 1698 (სახეობა - „ტრომპეილი“ ანუ ილუზორული ხრიკი)
https://commons.wikimedia.org/wiki/File:Edward_Collier_-_Letter_rack_-_Google_Art_Project.jpg

ფრანს სნეიდერსი და სიმონ დე ვოსი, XVII ს. I ნახ. (სახეობა - „დახლი“)
https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A4%D0%B0%D0%B9%D0%BB:Frans_Snyders_-_Still_Life_with_Fruit_and_Vegetables.jpg

ჰოლანდიური ნატურმორტები:
https://www.gettyimages.ca/photos/dutch-still-life-painting?phrase=dutch%20still%20life%20painting&sort=mostpopular#license

პერსპექტივა დამწყებთათვის
https://www.erikalancaster.com/art-blog/perspective-for-beginners-how-to-use-1-and-2-point-perspectives-to-create-great-artwork

https://xn----ptbdbgndbgtdm2excr.xn--p1ai/chertezh-2/chertezhi-komnaty-chertezh-komnaty-s-razmerami.html

**შეფასების კრიტერიუმები:**

**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**
**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**

- აკვირდება გარემოს და ნამუშევარში შემოქმედებითად ასახავს დაკვირვების შედეგად აღძრულ შთაბეჭდილებებს, იდეებს, ემოციებს, გრძნობებს **(ს.გ.საბ.1)**
- ნამუშევრის შექმნისას, შეარჩევს ჩანაფიქრის შესაფერის მასალასა და ტექნიკას და იყენებს შესაბამის მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს და ხერხებს (ხაზის, ფერის, ლაქის, ფორმის გამომსახველობითი შესაძლებლობები, პერსპექტივა, მასშტაბი, კომპოზიციური განაწილება, თანაფარდობა და სხვ.) **(ს.გ.საბ.1,2)**
- წერილობით ან ზეპირად აანალიზებს საკუთარ/სხვის ნამუშევარში გამოყენებულ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს და ხერხებს (ხაზის, ფერის, ლაქის გამომსახველობითი შესაძლებლობები, პერსპექტივა, მასშტაბი, კომპოზიციური განაწილება, თანაფარდობა და სხვ.) და საუბრობს საკუთარ ემოციებზე **(ს.გ.საბ.3)**

**სხვადასხვა ეპოქის/მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები**
**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**

- საუბრობს ხელოვნების ზოგიერთი ჟანრის (პეიზაჟი, ნატურმორტი) გაჩენის შესაძლო მიზეზების შესახებ, მოჰყავს რამდენიმე მაგალითი და მსჯელობს, თუ როგორ იცვლებოდა პეიზაჟის, ნატურმორტის გამოსახვის თავისებურებები დროსთან ერთად **(ს.გ.საბ.4)**
- აანალიზებს, როგორ არის გამოყენებული სხვადასხვა სტილის, მიმდინარეობის, დროის ნამუშევარში გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, მასალა და ტექნიკა ჩანაფიქრის განსახორციელებლად **(ს.გ.საბ.3,4);**

- აანალიზებს, როგორ იცვლებოდა დროთა განმავლობაში გარესამყაროს ასახვის გზები ხელოვნებაში **(ს.გ.საბ.3,4);**
- ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა კულტურისა და ეპოქის ხელოვნების ნაწარმოებებს, მსჯელობს მათ მხატვრულ მახასიათებლებზე, გამოთქვამს საკუთარ დამოკიდებულებას **(ს.გ.საბ.4);**
- სიტყვიერად და წერილობით მსჯელობს ხელოვნების ნიმუშებზე სხვადასხვა კონტექსტის გავლენის შესახებ **(ს.გ.საბ.4)**.

**დამატებითი ინფორმაცია კომპლექსური დავალების შეფასების შესახებ:**

**ფანქრით დახატული ნატურმორტი.**
- კომპოზიცია გააზრებულია, შესაბამება მოსწავლის მიერ დალაგებულ ნატურმორტს (0 – 1 ქულა);
- საგნების მოხაზულობა შეესაბამება ნატურმორტის ნივთების ფორმას (0 – 3 ქულა);
- მოსწავლემ გააზრებულად გადმოსცა მოცულობა (0 – 3 ქულა);
- შუქ-ჩრდილი გადმოცემულია განათების შესაბამისად (0 – 3 ქულა).

**ფერწერული ნატურმორტი**:
- ფურცლის ორიენტაცია შეესაბამება ნატურმორტის შინაარსს (0 – 1 ქულა);
- დაცულია საგნების ფორმა, პროპორციები და მასშტაბური შეფარდება(0 – 3 ქულა);
- მოსწავლემ შეგნებულად აირჩია პირობითი ან რეალისტური გადაწყვეტა (0 – 1 ქულა);
- მოსწავლემ ადექვატურად გამოიყენა მხატვრული ხერხები და საშუალებები (0 – 3 ქულა);
- მოსწავლე ფლობს გუაშის ან აკვარელის საღებავის ტექნიკებს (0 – 3 ქულა).

**პეიზაჟი:**
- პეიზაჟი დახატულია ხაზოვანი პერსპექტივის გამოყენებით (0 – 1 ქულა);
- მოსწავლემ ნახატის შესაქმნელად გამოიყენა დამხმარე ხაზები, მონიშნა ხედვის წერტილი (0 – 3 ქულა);
- შენობების ჰორიზონტალური სიბრტყეები თავს იყრიან ერთ წერტილში (0 – 3 ქულა);
- პეიზაჟზე გამოსახული შენობები ზომაში პატარავდება თავშეყრის წერტილის მიმართულებით (0 – 3 ქულა).

ასოციაციური ბადე:
- მოსწავლემ შეადგინა ასოციაციური ბადე;
- ჩამოთვლილი მახასიათებლები შეესაბამება გარემოს მახასიათებლებს;
- დასახელებული მხატვრული ხერხები და საშუალებები შეეფერება პეიზაჟში გამოსაყენებელ საშუალებებსა და ხერხებს.

დავალებების მატრიცა 3/2

<table>
<tr><td colspan="3">გაკვეთილები 5 - 8     გამაერთიანებელი თემა: არქიტექტურა და გარემო</td></tr>
<tr><td>საკითხი და ქვეცნებები</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები</td><td>კომპლექსური დავალებები</td></tr>
<tr><td>ელემენტები: ფერი, ფორმა.<br><br>პრინციპები: რიტმი, სიმეტრია, პროპორცია, მასშტაბი, ორნამენტი, ჰარმონია<br><br>დარგები: არქიტექტურა (საკულტო, საზოგადოებრივი, ადმინისტრაციული, სამეურნეო, საწარმოო, თავდაცვითი, მემორიალური).<br><br>სახვითი ხელოვნების ტექნიკა: კონსტრუირება.<br><br>ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა:<br>სხვადასხვა ეპოქისა და სტილის არქიტექტურის ნიმუშები</td><td>• გარემოს რა ფაქტორები ახდენს გავლენას ნაგებობის იერსახეზე?<br>• რა როლი აქვს არქიტექტურას საზოგადოების ცხოვრებაში?<br>• შეუძლია თუ არა არქიტექტურას შეცვალოს გარემო და როგორ?<br>• რა გავლენას ახდენს ტექნოლოგიების განვითარება არქიტექტურაზე?<br>• რატომ უნდა გაითვალისწინოს არქიტექტორმა კლიმატური პირობები?<br>• რა ცოდნა და უნარები სჭირდება არქიტექტორს?<br>• რა განაპირობებს არქიტექტურულ სტილს, შენობის იერსახეს?<br>• რა არის არქიტექტურის მხატვრული ენა?<br>• რა ნიშნებით მივაკუთვნებთ ნაგებობას ამა თუ იმ ეპოქას / ქვეყანას?<br>• რა შეიძლება გავიგოთ სხვადასხვა ეპოქის შესახებ არქიტექტურული ნაგებობების მიხედვით?</td><td rowspan="2">წლის მანძილზე შეძენილი ცოდნისა და უნარების შემაჯამებელი ტესტი: (ტესტის ნიმუში იხ. მატრიცის ქვემოთ).<br><br>ფინალური პროექტი „ტოლერანტული ქალაქი“<br><br>(ინდივიდუალური და ჯგუფური სამუშაო) პროექტის ამოცანა: განვლილი მასალის საფუძველზე მოსწავლეები დაამზადებენ ერთობლივ მაკეტს, რომელშიც ერთ „ქალაქში“ თავს მოიყრიან სხვადასხვა ეპოქის, ქვეყნისა და სტილის შენობების ინდივიდუალურად დამზადებული ნიმუშები.</td></tr>
<tr><td colspan="2">პასუხები საკვანძო შეკითხვებზე:<br><br>✓ არქიტექტურული ნაგებობის იერსახეს, მის სტილს განსაზღვრავს: ბუნებრივი ფაქტორები - გეოგრაფია, რელიეფი, ლანდშაფტი, კლიმატი,; ქვეყნის ტრადიციები, დამკვეთის მოთხოვნები, ხელმისაწვდომი სამშენებლო მასალები და ტექნოლოგიები, არქიტექტორის ნიჭი და გემოვნება.<br>✓ არქიტექტურული ნაგებობა თავისი დროის სარკეა – შენობის იერსახე გვატყობინებს, თუ რა პოლიტიკას ეწეოდა იმ დროს სახელმწიფო (მაგ. გალავნებით შემოღობილი სასახლეები და ციხე-სიმაგრეები გვამცნობენ, რომ ქვეყანა მტრის მოსაგერიებლად მზადყოფნაში იყო, მონღოლთა კარვები კი ამ ხალხის მომთაბარე ცხოვრების წესზე მეტყველებენ), ასევე, შეგვიძლია შევიტყოთ, თუ რა ტექნოლოგიებსა თუ რესურსებს ფლობდა სახელმწიფო, ვის გავლენებს განიცდიდა, რამდენად მძლავრი იყო იგი მატერიალურად, რა პირობებში ცხოვრობდნენ იმ ქვეყნის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები.<br>✓ ყოველ ისტორიულ პერიოდსა თუ ქვეყანას საკუთარი განუმეორებელი მხატვრული ტრადიციები, სტილი და</td></tr>
</table>

გემოვნება გააჩნია. ეს განსაკუთრებულობა არქიტექტურულ ფორმებსა და დეკორში ვლინდება. სწორედ ასეთი დეტალებით ამოვიცნობთ არქიტექტურულ ნაგებობაში მის წარმომავლობას.

## 5. არქიტექტურა

თემა „არქიტექტურის“ შესწავლის მიზანია, მოსწავლეები მივიდნენ დასკვნამდე, რომ:

- გეოგრაფიული მდებარეობა, პოლიტიკური წყობა, რელიგიური შეხედულებები, სოციალური მდგომარეობა, ტრადიციები, კლიმატი და მრავალი სხვა ფაქტორი გავლენას ახდენს შენობის მხატვრულ ფორმაზე (სტილზე, შესრულების მანერაზე, მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებზე, ხერხებზე, მასალასა და ტექნიკაზე).
- არქიტექტურა ქვეყნის პოლიტიკის, რელიგიის, საზოგადოების მსოფლმხედველობისა და ტრადიციების სარკეა.
- ისტორიული ეპოქების ცვლილებამ შეცვალა არქიტექტურის მხატვრული ხერხები, რადგან გაჩნდა ახალი მასალები, ტექნოლოგიები და შემოქმედებითი იდეები.
- შენობის იერის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია გამოყენებული სამშენებლო მასალა.
- სხვადასხვა დროის საზოგადოების მიერ შექმნილი არქიტექტურული ძეგლები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა იყო იმ კონკრეტულ ეპოქაში ყველაზე მნიშვნელოვანი.
- საზოგადოების მოთხოვნილებები განსაზღვრავს არქიტექტურული ნაგებობის იერს.
- არქიტექტურას საზოგადოების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია.
- ადამიანის შემოქმედებას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს გარემოზე – გაამშვენოს ან დაამახინჯოს ის.
- არქიტექტურული გარემო განსაზღვრავს ადამიანთა ცხოვრების ბევრ ასპექტს.
- ხელოვნება ზემოქმედებს ადამიანის მსოფლმხედველობაზე.

**დისკუსია (საკლასო აქტივობა):**

მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში ტექსტს (თავები არქიტექტურის მოკლე ისტორია და დანიშნულება), რის მერეც იმსჯელებენ შემდეგ საკითხებზე:

- ✓ რა არის არქიტექტურა?
- ✓ რას ემსახურება არქიტექტურის ხელოვნება?
- ✓ რა დანიშნულების ნაგებობები არსებობს? (თავდაცვითი, ადმინისტრაციული, საკულტო, მემორიალური, სამეურნეო, საწარმოო, საზოგადოებრივი, სამოქალაქო, ლანდშაფტის...)

## 6. ხუროთმოძღვრება და გარემო

- **კვლევა**/ანალიზი **(დამოუკიდებელი სამუშაო):**
  - მოიძიე ტაძრისა და თეატრის გეგმები ან ინტერიერების ფოტოები. შეადარე ამ ორი ტიპის ნაგებობის შიდა სივრცის დაგეგმარება.
  - ✓ რა მსგავსება-სხვაობაა ამ ნაგებობების დანიშნულებაში?
  - ✓ რა მსგავსება-სხვაობაა ამ ნაგებობების ინტერიერებს შორის?
  - ✓ რა განაპირობებს ამ მსგავსებასა თუ სხვაობას?

**სავარაუდო პასუხი:**

| ტაძარი | თეატრი |
|---|---|
| საკულტო | საზოგადოებრივი |
| ტაძრის დაგეგმარებაში გამოყოფილია სპეციალური სივრცე, საკურთხეველი, სადაც რელიგიური და საკულტო რიტუალები ტარდება. ის ამაღლებულია, რომ ყველასთვის ადვილი დასანახი იყოს. | თეატრის დაგეგმარებაში გამოყოფილია საგანგებო სივრცე, სკენა (სცენა), სადაც სპექტაკლი მიმდინარეობს. ის ამაღლებულია, რომ ყველასთვის ადვილი დასანახი იყოს. |
| საკურთხევლის გასწვრივ განლაგებულია ღვთისმსახურთათვის განკუთვნილი დამხმარე ოთახები, სადაც საღვთისმსახურო ნივთები – შესამოსელი, ჭურჭელი და სხვა ატრიბუტები ინახება. | თეატრის კულისები ის დამხმარე სამუშაო სივრცეა, საიდანაც მსახიობები სცენაზე გამოდიან და სადაც წარმოდგენისთვის საჭირო კოსტიუმები და სხვა ატრიბუტები ინახება |
| ინტერიერის მოზრდილი სივრცე ღვთისმსახურებაზე დამსწრე მრევლის გარკვეული რაოდენობისთვისაა განკუთვნილი. | სცენის წინ მოზრდილი დარბაზი წარმოდგენის დამსწრე მრავალრიცხოვანი მაყურებლის განსათავსებელი სივრცეა. |

## 7. კლიმატი და არქიტექტურა

**მონაცემთა შეგროვება, კვლევა, დახარისხება** (დამოუკიდებელი სამუშაო):

- მოიძიე და აღწერე, რა მასალებით აგებენ ადამიანები ტრადიციულ საცხოვრებელ სახლებს დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა კლიმატურ პირობებში.
- ორი განსხვავებული კლიმატის ტრადიციული საცხოვრებელი სახლის შედარებითი ანალიზი. მსგავსება-განსხვავების ჩამოწერა ცხრილში ან ვენის დიაგრამაზე.

მსგავსება-განსხვავების ცხრილის შევსების ნიმუში:

| ქვეყანა | დასახელება | კლიმატი | ლანდშაფტი | სამშენებლო მასალა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| გრენლანდია | იგლუ | არქტიკული, თოვლიანი, ქარიანი | სწორი დაბლობი | თოვლის ბლოკები | იგლუ ნახევარსფეროს ფორმისაა. მის ასაგებად საკმარისია მხოლოდ ბასრი საგანი |
| დასავლეთ საქართველო | ოდა | სუბტროპიკული, ნესტიანი | სხვადასხვა | ხე | ნესტისგან დასაცავად დგას ქვის ხიმინჯებზე |

## 8. არქიტექტურის მხატვრული ენა

- მოიძიე და შეადარე ერთმანეთს სხვადასხვა სტილის შენობები და შეავსე მსგავსება-განსხვავების ცხრილი:

ცხრილის მაგალითი:

| ეპოქა | სტილი | ქვეყანა | გადახურვა | კარი/ ფანჯარა | დეკორი (თაღი, სვეტი, ნიში, აივანი და სხვა) | სკულპტურული დეკორი |
|---|---|---|---|---|---|---|
| შუა საუკუნეები | გოთიკა | საფრანგეთი | ორფერდა სახურავი, შპილი | წამახული ფორმის | + | + |
| XVII-XVIIIს. | ბაროკო | იტალია | გუმბათი | მართკუთხა, თაღოვანი | + | + |

- მოიძიე არქიტექტურის ყოველი მხატვრული ხერხის შესაბამისი ორ-ორი მაგალითი. მოამზადე ციფრული დოკუმენტი, რომელშიც ყოველი ხერხის დასახელების გასწვრივ ატვირთავ შესაბამის მაგალითებს.

სასურველია, ძიებისას ყურადღება გაამახვილო არა მსგავს, არამედ ერთსა და იმავე ხერხის განსხვავებულ მაგალითებზე: მაგ. ორი სიმეტრიული ნაგებობის ნაცვლად მოიძიო სიმეტრიული და ასიმეტრიული შენობის ნიმუშები.

**დამოუკიდებელი სამუშაო:**

- პირობითი ნიშნების გამოყენებით საკუთარი ბინის ან საკლასო ოთახის გეგმის დახაზვა/დახატვა.

დავალების პირობა:

დახატე შენი ბინის გეგმა. აღწერე და განიხილე მისი დადებითი და უარყოფითი ფაქტორები. შენ რომ არქიტექტორი იყო, რას, როგორ და რატომ შეცვლიდი?

დავალების შესასრულებლად, სასურველია მოსწავლეები წინასწარ გაეცნონ ნახაზის პირობით ნიშნებს. პირობითი ნიშნები შეიძლება დაიხატოს დაფაზე, ან ამოიბეჭდოს და დაურიგდეს მოსწავლეებს.

გეგმაზე კედლების, კარისა, ფანჯრების და სხვა პირობითი აღნიშვნების ნიმუში:







პირობითი ნიშნების გაცნობის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს შესთავაზოს მარტივი გეგმის მაგალითი და სთხოვოს მათ მისი წაკითხვა. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ ნახაზზე აღნიშნული ფანჯრები, კარი. მეორე, შედარებით რთულ გეგმაზე ამოიცნონ სათავსოების დანიშნულება, იპოვონ სველი წერტილების განლაგება, ამოიცნონ, საით იღება კარი და სხვა.





https://www.shutterstock.com/ru/image-illustration/building-flat-plan-furniture-isolated-on-1015385341

ნახაზის შესრულების წესებთან გაცნობის შემდეგ, მოსწავლეები დამოუკიდებლად დახატავენ ან დახაზავენ საკუთარი ბინების გეგმებს.

- სასპორტო ნაგებობის გეგმა და მაკეტი კლასგარეშე (ჯგუფური) სამუშაო:

ყოველი მოსწავლე შეარჩევს მისთვის საინტერესო სპორტის სახეობას. მოიძიებს საჭირო ინფორმაციას და მოიფიქრებს სპორტის ამ სახეობის შესაფერისი შენობის გეგმას:

სივრცე უნდა დაიგეგმოს წერილობით – რა სათავსოებია საჭირო სპორტსმენების სავარჯიშოდ, მოსასვენებლად, ინვენტარის შესანახად, შეჯიბრის ჩასატარებლად, მაყურებლის განსათავსებლად და სხვა;

ჩამოწერილი გეგმის მიხედვით დაიხატება ან დაიხაზება ნაგებობის გეგმა შერჩეული სპორტის სახეობისთვის;

გეგმის პერიმეტრისა და გეგმაზე აღნიშნული ტიხრების მიხედვით (მუყაოს ნაჭრების პერიმეტრისა და ტიხრების აღმნიშვნელი ხაზების გაყოლებაზე დალაგებით) გაკეთდება მაკეტი (ღია, გადახურვის გარეშე).

- **შაქრის** ნატეხებით, სახელმძღვანელოში მოცემული ნიმუშის მიხ. თაღის მაკეტის აგება (ჯგუფური სამუშაო).





- **დებატები თემაზე**: „ჩვენი გარემო“

მოსწავლეები იმსჯელებენ, თუ რას წარმოადგენს თანამედროვე არქიტექტურა.
მასწავლებელი მოსწავლეთა დებატების გეზს შემდეგი კითხვებით წარმართავს:

- ✓ რა ფასეულობას წარმოადგენენ, რატომ უნდა გავუფრთხილდეთ ისტორიულ შენობებს?
- ✓ რას ნიშნავს ისტორიული ძეგლი?
- ✓ რას ვუტოვებთ შთამომავლებს? თანამედროვე არქიტექტურის შემხედვარე, რა წარმოდგენა შეექმნებათ მომავალ თაობებს XXI საუკუნის ადამიანებზე?
- ✓ მომავალში რომელი თანამედროვე შენობა შეიძლება ჩაითვალოს ისტორიულ ძეგლად?

**რეკომენდაციები კომპლექსურ დავალებებთან დაკავშირებით:**

- **წლის მანძილზე შეძენილი ცოდნისა და უნარების შემაჯამებელი ტესტი**:

(ტესტის ნიმუში იხ. მატრიცის ქვემოთ).

მასწავლებელი მოამზადებს ბარათებს.
თითოეულ ბარათზე ჩამოწერს რამდენიმე შეკითხვას წლის მანძილზე გავლილი მასალიდან.
ბარათზე უნდა ჩამოიწეროს თითო კითხვა თითო თემიდან (სულ 10 შეკითხვა).
მასწავლებელს შეუძლია კითხვებთან ერთად ჩართოს ისეთი კითხვა-დავალება, რომელიც ფანქრით მარტივი ჩანახატის გაკეთებასაც გულისხმობს. მაგ. ბაზილიკის სტრუქტურის, არაბესკის ან პერსპექტივის მაგალითის გრაფიკულად გამოსახვა.
სასურველია, მასწავლებელმა ისარგებლოს სახელმძღვანელოში მოცემული შეკითხვებით.

მოსწავლეები მაგიდაზე მიმოყრილი ბარათებიდან აირჩევენ ერთ-ერთს და გასცემენ წერილობით პასუხს ბარათში ჩამოწერილ შეკითხვებს.

*შშმ და სსსმ მოსწავლეებისთვის, მათი უნარების გათვალისწინებით მასწავლებელმა უნდა შეადგინოს სპეციალური ბარათები.

- **ფინალური პროექტი „ტოლერანტული ქალაქი“ (ინდივიდუალური და ჯგუფური სამუშაო)**

<u>პროექტის ამოცანა:</u>

განვლილი მასალის საფუძველზე მოსწავლეები დაამზადებენ ერთობლივ მაკეტს, რომელშიც ერთ „ქალაქში“ თავს მოიყრიან სხვადასხვა ეპოქის, ქვეყნისა და სტილის შენობების ინდივიდუალურად დამზადებული ნიმუშები.

მოსწავლეები მოილაპარაკებენ, თუ ვინ რომელი ეპოქის, ქვეყნის, სტილის ნაგებობის მაკეტს შექმნის. ასევე, შეათანხმებენ სავარაუდო ზომებს, რათა ყოველი დამოუკიდებლად შექმნილი მაკეტი მოერგოს საერთო „ქალაქს“.

მოიძიებენ შესაბამისი ეპოქის ნაგებობების სურათებს. ყოველი მოსწავლე დაამზადებს შერჩეული შენობის მსგავს მაკეტს, და/ან კოსტიუმირებულ თოჯინას.

მაკეტიც და თოჯინას ჩაცმულობაც უნდა შეესაბამებოდეს შერჩეული ისტორიული პერიოდის/ქვეყნის მახასიათებელ ნიშნებს:

- შენობის იერსახეს,
- კონსტრუქციის ხილული ელემენტების (გადახურვა, კარ-ფანჯარა, აივნები, თაღები) დამახასიათებელ ნიშნებს,
- ეპოქის, სტილის, დეკორის დამახასიათებელ ელემენტებს.

**რეკომენდაცია:**

- არჩეული ისტორიული პერიოდის / ქვეყნის შესაბამისი კოსტიუმით შემოსილი თოჯინა შეიძლება იყოს როგორც მოცულობითი, ასევე მუყაოზე დახატული და გამოჭრილი.
- სასურველია, ყოველი „უბანი“ შემოისაზღვროს გალავნით;

- შშმ. მოსწავლეებს შეიძლება დაევალოთ მუყაოს კონუსის საფუძველზე ან ბრტყელი თოჯინების გაკეთება (იხ. კომპლექსურიდავალება „ისტორიული კოსტიუმით შემოსილი თოჯინას დამზადება“ დავალების მატრიცა 2-6, „რას გვიამბობს კოსტიუმი“), ასევე, შეიძლება შეიმოსოს მზა სათამაშოც.
- რაც შეეხება დამოუკიდებლად დასამზადებელ მაკეტებს, მუყაოს კოლოფების საფუძველზე შექმნილი შენობების ფანჯრები, კარი და სხვა დეტალები შესაძლოა იყოს დახატული.

მარტივი თოჯინას დამზადების ერთ-ერთი ხერხი: https://skillflair.com/diy-dolls/how-to-pake-paper-doll-easy-paper-doll-making-ideas/

ინდივიდუალურად გაკეთებული მაკეტებითა და თოჯინებით მოსწავლეები ააწყობენ ქალაქის ერთობლივ მაკეტს.

მოსწავლეები ერთად დაგეგმავენ ერთობლივი „ქალაქის“ მაკეტზე უბნების, ქუჩების განლაგებას. გააფორმებენ უბნებს შენობების წარმომავლობის შესაფერისი დეტალებით (მოედანი, პარკი, სკულპტურა, შადრევანი, ხეები, და სხვა), და კოსტიუმირებული პერსონაჟებით.

ყოველი მოსწავლე მოამზადებს მოკლე მოხსენებას, რომელშიც აღწერს, თუ რა ეპოქა შეარჩია და რატომ, რა მასალა მოიძია, რა არის დამახასიათებელი მის მიერ არჩეული ეპოქის ხელოვნებისთვის, რა გაიგო ახალი, რას წარმოადგენს მის მიერ დამზადებული მაკეტი და სხვა.

სამუშაოს დასრულების შემდეგ ყოველი მოსწავლე შეავსებს რეფლექსიის კითხვარს (იხ. დანართში).

**რესურსები:**

**არქიტექტურული სტილები:**
https://www.archdaily.com/900027/the-characteristics-of-12-architectural-styles-from-antiquity-to-the-present-day

https://rehouz.info/arhitekturnye-stili/

https://www.facebook.com/pg/TheMuseumWithoutWalls/photos/?tab=album&album_id=412059012232807&__tn__=-UK-R

**შეფასების კრიტერიუმები:**

**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**
**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**

- ნამუშევრის შექმნისას, შეარჩევს ჩანაფიქრის შესაფერის ტრადიციულ და არატრადიციულ მასალასა და ტექნიკას და იყენებს შესაბამის მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს და ხერხებს **(ს.გ.საბ.1,2)**
- წერილობით ან ზეპირად აანალიზებს საკუთარ/სხვის ნამუშევარში გამოყენებულ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს და ხერხებს და საუბრობს მიღებულ გამოცდილებაზე **(ს.გ.საბ.3)**

**სხვადასხვა ეპოქის/მიმდინარეობის/ სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები**
**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**

- საუბრობს არქიტექტურული იდეების გაჩენის შესაძლო მიზეზების შესახებ, მოჰყავს რამდენიმე მაგალითი და მსჯელობს, თუ როგორ იცვლებოდა არქიტექტურის თავისებურებები დროსთან ერთად **(ს.გ.საბ.4)**
- აანალიზებს, როგორ არის გამოყენებული სხვადასხვა კულტურისა და ეპოქის არქიტექტურაში ფორმები, ხერხები, მასალა და ტექნიკა ჩანაფიქრის განსახორციელებლად **(ს.გ.საბ.3,4);**
- ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა კულტურისა და ეპოქის არქიტექტურულ ნაწარმოებებს, მსჯელობს მათ მხატვრულ მახასიათებლებზე, გამოთქვამს საკუთარ დამოკიდებულებას **(ს.გ.საბ.4);**
- სიტყვიერად და წერილობით მსჯელობს არქიტექტურის ნიმუშებზე სხვადასხვა კონტექსტის გავლენის შესახებ **(ს.გ.საბ.4).**

**დამატებითი ინფორმაცია კომპლექსური დავალებების შეფასების შესახებ:**

**ტესტი** (ტესტი და მისი შეფასება იხ. დანართში):

- მასწავლებელი შეაფასებს, რამდენ კითხვას გასცა მოსწავლემ პასუხი;
- რამდენად სწორად და სრულად გასცა მოსწავლემ პასუხი კითხვებს.

**მაკეტი „ტოლერანტული ქალაქი** (მაქს. ქულა 10):

- მაკეტი დასრულებულია და შესრულებულია აკურატულად (0 – 1 ქულა);
- შენობის იერი შეესაბამება არჩეულ ეპოქასა და სტილს (0 – 1 ქულა);
- გათვალისწინებულია ეპოქის/სტილის დამახასიათებელი დეკორის ელემენტები. (0 – 3 ქულა);
- მაკეტს ახლავს თოჯინა ეპოქის შესაბამისი კოსტიუმით (0 – 1 ქულა);
- მოსწავლემ გაითვალისწინა მისი მაკეტის საერთო მაკეტთან ზომის შესაბამისობა. (0 – 1 ქულა);
- მოსწავლე აქტიურად იყო ჩართული ერთობლივი მაკეტის დაგეგმვისა და აწყობის პროცესში. (0 – 1 ქულა);
- მოხსენება დაწერილია გამართულად, ახლავს ილუსტრაციები ან ჩანახატები. (0 – 2 ქულა).

# VIII კლასის შემაჯამებელი ტესტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

მოსწავლე: --------------------------------------------------------------------------------- თარიღი: --------------------------------

**1. რა დანიშნულების მქონე არქიტექტურული ნაგებობებია წარმოდგენილი სურათებზე?**





ა. თავდაცვითი;
ბ. საკულტო;
გ. მემორიალური;
დ. საზოგადოებრივი.

**2. სურათებზე წარმოდგენილია ნაგებობების**

ა. ინტერიერი;
ბ. ექსტერიერი;
გ. პორტალი;
დ. საკურთხეველი.

**3. რომელ რელიგიას განეკუთვნება პირველ სურათზე წარმოდგენილი ნაგებობა?**

ა. ბუდიზმს;
ბ. ქრისტიანობას;
გ. ისლამს;
დ. იუდაიზმს.

**4. რომელი თავისებურება არ ახასიათებს პირველ ნაგებობას?**

ა. არაბესკებით მოჭიქული ფასადები;
ბ. გუმბათი;
გ. მინარეთი;
დ. შპილი.

**5. რომელი არქიტექტურული ელემენტია ორივე ნაგებობისთვის საერთო?**

ა. შეისრული სარკმელი;
ბ. კონტრფორსები;
გ. არკბუტანები;
დ. ფერადოვანი ფასადი.

**6. რომელ სტილს განეკუთვნება მეორე სურათზე წარმოდგენილი ნაგებობა?**

ა. გოთიკურს;
ბ. ბაროკოს;
გ. რომანულს;
დ. ბიზანტიურს.

**7. მეორე სურათზე წარმოდგენილი ნაგებობისთვის დამახასიათებელია:**

ა. დამჯდარი პროპორციები;
ბ. გუმბათოვანი გადახურვა;
გ. გრძივი და განივი ნავების გადაკვეთაზე აღმართული მინარეთი;
დ. მსუბუქი, ვერტიკალურად გაწელილი პროპორციები.

**გაასწორე წინადადება:**

8. გელათის ტაძარს რელიგიური დარგის, მოზაიკური ჟანრის, მინიატურული მხატვრობა ამშვენებს.

______________________________________________

______________________________________________

9. აღმოსავლეთქრისტიანულ ხელოვნებაში ქანდაკების ჟანრი მხოლოდ მრგვალი სკულპტურის სახით განვითარდა.

______________________________________________

______________________________________________

10. შუა საუკუნეების ხელოვნების წამყვანი სტილები იყო არქიტექტურა, ფრესკა, მოზაიკა, ხატწერა და მინიატურა.

______________________________________________

______________________________________________

**ჩასვი გამოტოვებული სიტყვა:**

11. შუა საუკუნეების მხატვრობაში წმინდანთა და ბიბლიური სიუჟეტების გადმოცემის წესებს - - - - - - - - - - - ადგენს.

12. ბრძოლის ამსახველი სურათები - - - - - - - - - - - ჟანრს განეკუთვნება.

13. ფეხზე მდგომი ფიგურის პოზას, როდესაც სიმძიმე ცალ ფეხზეა გადატანილი, მეორე კი მოდუნებულია, - - - - - - - - - - - ეწოდება.

14. კვერცხის გულზე დამზადებულ საღებავს - - - - - - - - - - - ეწოდება.

დააკვირდი მოცემულ ილუსტრაციას და უპასუხე შეკითხვებს:



15. რა სახის პერსპექტივაა გამოყენებული მოცემულ სურათზე?

---

16. განმარტე, რატომ შეიმუშავეს ხელოვანებმა ამგვარი პერსპექტივა?

---

---

17. **შეადარე ორი ნამუშევარი ერთმანეთს. (2 ქულა თითოეული პუნქტისთვის)**

ა. ნიზამის პოემის სპარსული მინიატურა „შირინი უყურებს ხოსროს პორტრეტს“, XVს., ჰერათის სკოლა.
ბ. პიტერ პაულ რუბენსის ნამუშევარი „ჰენრი IV-ეს აჩვენებენ მარია მედიჩის პორტრეტს“, 1625 წ.





წერილობით ჩამოაყალიბე:

- განსაზღვრე ორივე ნაწარმოების დარგი, ჟანრი.
- როგორ არის თითოეულში გამოყენებული სახვითი საშუალებები და ხერხები;
- გამოხატე შენი დამოკიდებულება – რომელი უფრო მეტად მოგწონს. დაასაბუთე შენი პასუხი.

18. დახატე მარტივი ნახატები: (2 ქულა თითოეული პუნქტისთვის)

| | |
|---|---|
| ა. დახატე მარტივი ნატურმორტი, რომელშიც გამოიყენებ: შუქ-ჩრდილს, მოცულობას, ტონალურ გრადაციას. | ბ. დახატე მარტივი პეიზაჟი, რომელშიც გამოიყენებ ჰაეროვან და ხაზოვან პერსპექტივას |

| | |
|---|---|
| გ. დახატე ადამიანის ფიგურა მოძრაობაში პროპორციების დაცვით. | დ. დახატე ადამიანის სახე პროპორციების დაცვით. მიანიჭე მას რაიმე ემოციის ამსახველი გამომეტყველება. |

## VIII კლ.-ის შემაჯამებელი ტესტის სწორი პასუხები:

1.-ბ; 2.-ბ; 3.-გ; 4.-დ; 5.-ა; 6.-ა; 7.-დ;

**გაასწორე წინადადება:**

8. გელათის ტაძარს მონუმენტური მხატვრობის **დარგის** რელიგიური **ჟანრის** მოზაიკა ამშვენებს.
9. აღმოსავლეთქრისტიანულ ხელოვნებაში ქანდაკების **დარგი** მხოლოდ რელიეფის სახით განვითარდა.
10. შუა საუკუნეების ხელოვნების წამყვანი დარგები იყო არქიტექტურა, მრგვალი ქანდაკება, ფრესკა, მოზაიკა, ხატწერა და მინიატურა.

**ჩასვი გამოტოვებული სიტყვა:**

11. იკონოგრაფია
12. ბატალური
13. კონტრაპოსტი
14. ტემპერა

**დააკვირდი მოცემულ ილუსტრაციას და უპასუხე შეკითხვებს:**

15. უკუპერსპექტივა
16. უკუპერსპექტივა მიგვანიშნებს კომპოზიციის შინაარსის ღვთაებრივ მნიშვნელობაზე, იმაზე, რომ ღვთაებრივი სამყარო არის უსასრულო, უკიდეგანო, ხოლო მიწიერი – დროებითი, უმნიშვნელო.

17. **შეადარე ორი ნამუშევარი ერთმანეთს. (2 ქულა თითოეული პუნქტისთვის)**
   ა. ნიზამის პოემის სპარსული მინიატურა „შირინი უყურებს ხოსროს პორტრეტს", XVს., ჰერათის სკოლა.
   ბ. პიტერ პაულ რუბენსის ნამუშევარი „ჰენრი IV-ეს აჩვენებენ მარია მედიჩის პორტრეტს", 1625 წ.

- ორივე განეკუთვნება ისტორიული ჟანრის მხატვრობას. პირველი მინიატურაა, ხოლო მეორე – დაზგური ფერწერა;
- სპარსულ მინიატურაში წამყვანია ხაზი, კონტური, ფერადოვანი ლოკალური ლაქები, ფორმები გადმოცემულია სიბრტყობრივად. დარღვეულია პერსპექტივა, ფიგურათა პროპორციები, საგნებს შორის მასშტაბური თანაფარდობა. უგულვებელყოფილია შუქ-ჩრდილი. ნახატი დეკორაციულია. რუბენსის ნაწარმოები შესრულებულია რეალისტური სახვითი ხერხებით: გამოყენებულია შუქ-ჩრდილი და ტონალური გრადაცია, რაც ფიგურებს მოცულობას ანიჭებს. დაცულია პროპორციები, საგნებს შორის მასშტაბური თანაფარდობა და პერსპექტივა.
- გამოხატე შენი დამოკიდებულება - ნებისმიერი პასუხი მისაღებია, თუ მოსწავლე ასაბუთებს საკუთარ დამოკიდებულებას ორივე ნაწარმოების მხატვრული ენის მიმართ.

**მოსწავლის თითოეული ნახატი ფასდება 2 ქულით. (მაქსიმალური ქულა: 30)**

1-6 ქულა - SOLO 1: პრესტრუქტურული დონე
7-12 ქულა - SOLO 2: უნისტრუქტურული დონე
13-18 ქულა - SOLO 3: მულტისტრუქტურული დონე
19-24 ქულა - SOLO 4: მიმართებითი დონე
25-30 ქულა: SOLO 5: გაფართოებული აბსტრაქტული დონე

# დანართი

## სახვითი ხელოვნების ნიმუშის ანალიზი:

დააკვირდით, რომელი სახვითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) განსაზღვრავს ნამუშევრის თავისებურებას?

გაამახვილეთ ყურადღება მხოლოდ იმ საშუალებებსა და ხერხებზე, რომლებიც წამყვანია ნაწარმოების ხასიათის შესაქმნელად.

**ა) სახვითი საშუალებები:**

**ხაზი** (სწორი, კლაკნილი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ირიბი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, სქელი, წვრილი...)

**ფერი** (ძირითადი, შედგენილი, მონათესავე, კონტრასტული, აქრომატული, ნეიტრალური, თბილი, ცივი, კაშკაშა, ინტენსიური, გაჯერებული, ხასხასა, მქახე, მუქი/ღია/ბაცი, ნათელი/ბნელი, მკრთალი, ჩამქრალი, სუფთა/ჭუჭყიანი და სხვ.; ელფერი: მოყვითალო მწვანე, მოლურჯო მწვანე, მოწითალო იისფერი და სხვ.) რომელი ფერი გამოიყენა უფრო მეტად, ვიდრე სხვები? როგორია სურათის საერთო კოლორიტი ანუ ფერადოვანი გამა (ცივი/თბილი, ნათელი/ბნელი, ჩამქრალი/კაშკაშა და სხვ.)? მონოქრომულია (ერთფეროვანი) თუ პოლიქრომული (მრავალფეროვანი)?

**ტონი** (ნახევარტონები, გრადაცია ანუ თანდათანობით გადასვლა ღიადან მუქზე). რა არის გამოკვეთილი უფრო ღია ტონით?

**ფორმა** (ბრტყელი ანუ ორგანზომილებიანი - გეომეტრიული: წრე, მართკუთხედი, სწორკუთხედი, სამკუთხედი, მრავლაკუთხედი, რომბი, ოვალი, წვეტიანი, ბლაგვი, უსწორმასწორო; ორგანული: მცენარეული, ბუნებრივი; მსხვილი, მცირე, წვრილი და სხვ.); მოცულობითი სამგანზომილებიანი ფორმა (სფერო, კუბი და სხვ.);

**შუქ-ჩრდილი (**სამგანზომილებიანი ფორმის მისაცემად გამოყენებული ჩრდილი, ნახევარჩრდილი, დაცემული ჩრდილი და ათინათი).

**ფაქტურა** (აქტუალური – რელიეფური (პასტოზური მონასმებით მიღწეული, ნაკაწრი, ამობურცული, ჩანაჭდევი), უხეში, ხაოიანი, ხავერდოვანი, გლუვი, პრიალა და სხვა; ილუზორული (სხვადასხვა მასალის იმიტაცია – ხე, ქვა, ლითონი, ქსოვილი (ხავერდი, აბრეშუმი, მაქმანი), თიხა, ბეწვი, თმა, ტყავი, კანი და სხვა).

**ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება** – როგორაა ათვისებული სასურათე არე – ცარიელია, გადატვირთული თუ ზომიერად ათვისებული? როგორ არის გადანაწილებული პოზიტიური (შევსებული) და ნეგატიური (ცარიელი) სივრცეები?

**ბ) სახვითი ხელოვნების ხერხები:**

**წონასწორობა** – გამოსახულებები თანაბრადაა განაწილებული სასურათე სიბრტყეზე თუ არათანაბრად? ხომ არ გადაწონის სურათის რომელიმე მხარე მეორეს?

**აქცენტი** – (ყურადღების გამახვილება პირველი რა გხვდება თვალში? როგორ მოახერხა მხატვარმა ჩვენი ყურადღების გამახვილება მთავარზე? რით განსხვავდება ეს ნაწილი დანარჩენისგან (წინა ხედზეა, ყველაზე დიდი და მსხვილია, ფერით გამოირჩევა თუ განათებით და სხვ.)? არის ამ სურათში მნიშვნელოვანებით შემდეგი გამოსახულება? რით გამოირჩევა და რითი ხვდები, რომ ის მეორე აქცენტს წარმოადგენს?

**ჰარმონია** – როგორ ეხამება ერთმანეთს სურათის ცალკეული ნაწილები? შეხმატკბილებულია თუ პირიქით, დაპირისპირებული/კონფლიქტური?

**მთლიანობა** – რომელი მხატვრული ხერხით ამთლიანებს და „კრავს“ მხატვარი სურათს, მისი ცალკეული ნაწილები რომ არ დაიშალოს/დაიფანტოს (წონასწორობა, კოლორიტი, განათება, სხვა)?

**მრავალფეროვნება** – რა „აცოცხლებს“ სურათს? რას შეაქვს მასში ისეთი ნაპერწკალი, რომ მოსაწყენი, მოსაბეზრებელი არ გახდეს?

**სტატიკა/დინამიკა** – რა განსაზღვრავს სურათში სტატიკას (უძრავი, გაშეშებული, გაყინული, გაქვავებული) ან დინამიკას (მოძრავი, მოუსვენარი)?

**რიტმი** – არის სურათში რაიმე განმეორებადი, რაც ქმნის რიტმს?

**პროპორცია/დისპროპორცია** – როგორია გამოსახულების ცალკეული ნაწილების ზომათა თანაფარდობა? განგებ ხომ არ იყენებს მხატვარი საგნის დისპროპორციას ან დეფორმაციას და რა ეფექტის მიღწევა სურს ამ ხერხით?

**კომპოზიცია** – როგორაა აგებული სურათი? რა განსაზღვრავს მის სტრუქტურას, ჩონჩხს? სიმეტრიულია თუ ასიმეტრიული? მდგრადია თუ არამდგრადი? რა ეფექტის მიღწევა სურს მხატვარს ამ ხერხით?

**რაკურსი** – სად არის ხედვის წერტილი? ქვემოდან ვხედავთ, ზემოდან თუ პირდაპირ? ახლო კადრია თუ შორი? ხომ არ არის არეული ხედვის წერტილები? თუ არეულია, რატომ - მოცემულ ეპოქაში არასაკმარისი ცოდნის გამო, უბრალოდ არ არის მნიშვნელოვანი თუ მხატვარი განგებ მიმართავს ამ ხერხს და უგულვებელჰყოფს წესებს რაიმე ეფექტის მისაღწევად? ექსპერიმენტი ხომ არ არის?

**პერსპექტივა** – ა) ჰაეროვანი პერსპექტივა – არის თუ არა დაცული ჰაეროვანი პერსპექტივის წესები (წინა ხედზე, ახლოს მდებარე საგნები მკვეთრია, მკაფიო, დეტალიზებული, ხოლო შორეულ ხედზე მდებარე – მკრთალი, ბუნდოვანი, განზოგადებული) რათა მნახველმა სივრცე, სიღრმე იგრძნოს? ბ) ხაზოვანი პერსპექტივა (პატარავდება საგნები დაშორების მიხედვით - წინა, შუა და უკანა ხედზე გამოსახული საგნები ერთი და იგივე ზომისაა თუ პირიქით? მასშტაბი დაცულია (ცალკეულ გამოსახულებათა ზომების თანაფარდობა ერთმანეთის მიმართ)?

**ორნამენტი** – არის თუ არა სურათზე განმეორებადი ფორმები? რამდენად მნიშვნელოვანია ისინი და განაპირობებს თუ არა ორნამენტი სურათის დეკორატიულ ხასიათს?

## ხელოვნების ნაწარმოების აღწერის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და შეფასების კითხვარი:

1. მონაცემები;
2. აღწერა;
3. ანალიზი (2 ეტაპად – სახვითი საშუალებები და ხერხები);
4. ინტერპრეტაცია
5. შეფასება

**საფეხური I – მონაცემები:**

- ხელოვნის ვინაობა (სახელი, გვარი, სადაურია, სად მოღვაწეობდა, რომელ ეპოქაში (საუკუნე, წლები), თუ ცნობილია.

- დარგი (მხატვრობა (დაზგური ფერწერა, გრაფიკა, მონუმენტური, ხატწერა, მინიატიურა), ქანდაკება (მრგვალი, რელიეფი), არქიტექტურა, დეკორატიულ-გამოყენებითი).
- ჟანრი (პორტრეტი; ნატურმორტი; პეიზაჟი – ურბანული, პასტორალური, მარინისტული; ყოფითი; ისტორიული – ბატალური, რელიგიური, მითოლოგიური, ალეგორიული; უსაგნო (აბსტრაქცია), ანიმალისტური, სხვა.
- ნაწარმოების სათაური, რა მასალით არის შესრულებული (ტემპერა, ზეთი, გუაში, აკვარელი, ფანქარი, მელანი, ნახშირი, პასტელი; თიხა, ხე, ქვა, ლითონი, ბეტონი; ძაფი და სხვა).
- ადგილმდებარეობა (ქვეყანა, ქალაქი, მუზეუმი, გალერეა, კერძო კოლექცია, სხვა).
- ისტორიული/რელიგიური/კულტურული/სოციალური კონტექსტი – რა ვითარებაში შეიქმნა ნაწარმოები? რა ხდებოდა იმ დროს იმ ქვეყანაში, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა ხელოვანზე? ნაწარმოები დაკვეთაა თუ ხელოვნის სურვილით შეიქმნა? რა მასალები/ტექნიკები იყო იმ პერიოდში ხელმისაწვდომი და გავრცელებული? როგორი იყო იმ ეპოქის წამყვანი მხატვრული ტენდენციები? იმ პერიოდში, ძირითადად, რა აინტერესებდათ ხელოვანებს?
- რომელ მიმდინარეობას, სტილს განეკუთვნება ნაწარმოები? კიდევ რომელი ხელოვანები არიან ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები?

**საფეხური II – აღწერა:**

აღწერე, რას ხედავ? დაიწყე იმით, რაც პირველ რიგში იპყრობს ყურადღებას ანუ რაც მთავარია და შემდეგ გადადი მეორეხარისხოვანი, დამხმარე დეტალების აღწერაზე.

- როგორი გარემოა? თუ პეიზაჟია, რა ადგილია: უდაბნო, ოაზისი (პალმები, კაქტუსები), ზღვა (მშვიდი/მღელვარე), მდინარე, ტყე (ფოთლოვანი/წიწვოვანი) თუ მინდორი (როგორი მცენარეებია)? ქალაქი (მეგაპოლისი თუ პროვინციული)? თუ ინტერიერია, სასახლეა, ტაძარი თუ სახლი? ქოხია თუ ქალაქური სახლი? როგორი ავეჯია? მდიდრული თუ ღარიბული? რა მიგანიშნებს ამაზე? რა გარემოშია მოთავსებული ნაწარმოები?
- რა დროა (დღე, ღამე, წელიწადის დრო, თანამედროვე დრო თუ წარსული)?
- ვინ არიან გამოსახულნი (რა ასაკის, რომელი სოციალური ფენის, რა ტანსაცმელი აცვიათ); როგორ პოზებში არიან? რა არის გამოსახული?
- რა ხდება (რა საქმით არიან დაკავებული პერსონაჟები, რა განწყობაზე არიან)? ცხოველები თუ არიან გამოსახული (შინაური თუ გარეული), რა ატრიბუტები (ნივთები) აქვთ? თუ პეიზაჟია, მშვიდია თუ მღელვარე?

**საფეხური III – ანალიზი:**

დააკვირდი, სახვითი ხელოვნების რომელი საშუალებები და ხერხები განსაზღვრავს ნამუშევრის თავისებურებას? არ არის სავალდებულო, ყველა პუნქტს გასცე პასუხი. გაამახვილე ყურადღება მხოლოდ იმ ელემენტებსა და პრინციპებზე, რომლებიც წამყვანია ნაწარმოების ხასიათის შესაქმნელად.

**ა) სახვითი ხელოვნების საშუალებები:**

- **ხაზი** (კონტური, შტრიხი, სწორი, კლაკნილი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ირიბი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, სქელი, წვრილი...)
- **ფერი** (ძირითადი, შედგენილი, მონათესავე, კონტრასტული, აქრომატული, ნეიტრალური, თბილი, ცივი, კაშკაშა, ინტენსიური, გაჯერებული, ხასხასა, მჭახე, მუქი/ღია/ბაცი, ნათე-

ლი/ბნელი, მკრთალი, ჩამქრალი, სუფთა/ჭუჭყიანი, თალხი და სხვ.; ელფერი: მოყვითალო მწვანე, მოლურჯო მწვანე, მოწითალო იისფერი და სხვ.). რომელი ფერი გამოიყენა ხელოვანმა უფრო მეტად, ვიდრე სხვები? როგორია ნაწარმოების საერთო ფერადოვანი გამა ანუ კოლორიტი: (ცივი/თბილი, ნათელი/ბნელი, ჩამქრალი/კაშკაშა და სხვ.)? მონოქრომულია თუ პოლიქრომული?

- **ტონი** (ნახევარტონები, გრადაცია ანუ თანდათანობით გადასვლა ღიადან მუქზე). რა არის გამოკვეთილი უფრო ღია ტონით?
- **ფორმა** (ბრტყელი ანუ ორგანზომილებიანი – გეომეტრიული: წრე, მართკუთხედი, სწორკუთხედი, სამკუთხედი, მრავალკუთხედი, რომბი, ოვალი, წვეტიანი, ბლაგვი, უსწორმასწორო; ორგანული ანუ ბუნებრივი: მცენარეული, ცხოველური; მსხვილი, მცირე, წვრილი და სხვ.). მოცულობა (სფერო, კუბი, ცილინდრი, ბუნებრივი ფორმები და სხვა სამგანზომილებიანი ფორმები);
- **შუქ-ჩრდილი** ფორმის მისაცემად როგორაა გამოყენებული ჩრდილი, ნახევარჩრდილი, დაცემული ჩრდილი და ათინათი?
- **ფაქტურა** (აქტუალური: რელიეფური – პასტოზური მონასმებით მიღწეული, ნაკაწრი, ამობურცული, ჩაღრმავებული, ჩანაჭდევი), უხეში, ხაოიანი, ხავერდოვანი, გლუვი, პრიალა და სხვა; ილუზორული (სხვადასხვა მასალის იმიტაცია – ხე, ქვა, ლითონი, ქსოვილი (ხავერდი, აბრეშუმი, მაქმანი), თიხა, ბეწვი, თმა, ტყავი, კანი და სხვა).
- **ფონი** (ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება) – როგორაა ათვისებული სივრცე – ცარიელია, გადატვირთული თუ ზომიერად ათვისებული? როგორ არის გადანაწილებული პოზიტიური (შევსებული) და ნეგატიური (ცარიელი) სივრცეები? ფონი ნეიტრალურია, აბსტრაქტული თუ გამოსახულებებით შევსებული?

**ბ) სახვითი ხელოვნების ხერხები:**

- **კომპოზიცია** – როგორაა აგებული ნაწარმოები? რა განსაზღვრავს მის სტრუქტურას, ჩონჩხს? სიმეტრიულია თუ ასიმეტრიული? მდგრადია თუ არამდგრადი? რა ეფექტის მიღწევა სურს ხელოვანს ამ ხერხით?
- **ჰარმონია/მთლიანობა** – რომელი მხატვრული ხერხით ამთლიანებს და „კრავს“ ხელოვანი ნაწარმოებს, მისი ცალკეული ნაწილები რომ არ დაიშალოს/დაიფანტოს (წონასწორობა, კოლორიტი, განათება, სხვა)? როგორ ეხამება ერთმანეთს ნაწარმოების ცალკეული ნაწილები? შეხმატკბილებულია თუ პირიქით, დაპირისპირებული და კონფლიქტური?
- **მრავალფეროვნება** – რა „აცოცხლებს“ ნაწარმოებს? რას შეაქვს მასში ისეთი ნაპერწკალი, რომ მოსაწყენი, მოსაბეზრებელი არ გახდეს?
- **აქცენტი** – პირველი რა გხვდება თვალში? როგორ მოახერხა ხელოვანმა ყურადღების გამახვილება მთავარზე? რით განსხვავდება ეს ნაწილი დანარჩენისგან (წინა ხედზეა, ყველაზე დიდი და მსხვილია, ფერით გამოირჩევა თუ განათებით და სხვ.)? რომელია ამ ნაწარმოებში მნიშვნელოვანებით შემდეგი გამოსახულება? რით გამოირჩევა და რითი ხვდები, რომ ის მეორე აქცენტს წარმოადგენს?
- **წონასწორობა** – გამოსახულებები თანაბრადაა განაწილებული თუ არათანაბრად? ხომ არ გადაწონის ნაწარმოების ერთი მხარე მეორეს?

- **სტატიკა/დინამიკა** – რა განსაზღვრავს ნაწარმოებში სტატიკას (უძრავი, გაშეშებული, გაყინული, გაქვავებული) ან დინამიკას (მოძრავი, მოუსვენარი)?
- **რიტმი** – არის ნაწარმოებში რაიმე განმეორებადი, რაც ქმნის რიტმს?
- **პროპორცია/დისპროპორცია** – როგორია გამოსახულების ცალკეული ნაწილების ზომათა თანაფარდობა? განგებ ხომ არ იყენებს ხელოვანი გამოსახულების **დისპროპორციას** ან **დეფორმაციას** და რა ეფექტის მიღწევა სურს ამ ხერხით?
- **რაკურსი** – სად არის ხედვის წერტილი? ქვემოდან ვხედავთ, ზემოდან თუ პირდაპირ? ახლო კადრია თუ შორი? ხომ არ არის არეული ხედვის წერტილები? თუ არეულია, რატომ – მოცემულ ეპოქაში არასაკმარისი ცოდნის გამო, უბრალოდ არ არის მნიშვნელოვანი თუ ხელოვანი განგებ მიმართავს ამ ხერხს და უგულვებელყოფს წესებს რაიმე ეფექტის მისაღწევად? ექსპერიმენტი ხომ არ არის?
- **პერსპექტივა** – ა) **ჰაეროვანი პერსპექტივა** – არის თუ არა დაცული ჰაეროვანი პერსპექტივის წესები (წინა ხედზე ახლოს მდებარე საგნები მკვეთრია, მკაფიო, დეტალიზებული, ხოლო შორეულ ხედზე მდებარე – მკრთალი, ბუნდოვანი, განზოგადებული), რათა მნახველმა სივრცე, სიღრმე იგრძნოს? ბ) **ხაზოვანი პერსპექტივა** (პატარავდება საგნები დაშორების მიხედვით თუ წინა, შუა და უკანა ხედზე გამოსახული საგნები ერთი და იგივე ზომისაა?) მასშტაბი (ცალკეულ გამოსახულებათა ზომების თანაფარდობა ერთმანეთის მიმართ) დაცულია?
- **ორნამენტი** – არის თუ არა ნაწარმოებზე განმეორებადი ფორმები? რამდენად მნიშვნელოვანია ისინი და განაპირობებს თუ არა ორნამენტი ნაწარმოების დეკორატიულ ხასიათს?

**საფეხური IV – ინტერპრეტაცია:**
**გამოხატე საკუთარი დამოკიდებულება – რას ფიქრობ ამ ნაწარმოებზე?**
- **რისი თქმა სურდა ხელოვანს?** რა იყო მისი მიზანი – რომელიმე პიროვნებისადმი ან რაიმე ისტორიული მოვლენისადმი დამოკიდებულების, იდეის, საკუთარი პოზიციის, შთაბეჭდილების თუ განწყობის, ემოციის გადმოცემა?
- **ეპოქის ხელოვნების რომელ ძირითად მახასიათებლებს ხედავ ამ ნაწარმოებში?** მოცემული ეპოქისთვის დამახასიათებელი რომელი მხატვრული ხერხები, მასალა, ტექნიკა გამოიყენა ხელოვანმა? რაში გამოვლინდა ეს მის ნაწარმოებში?
- **რა ეფექტს მიაღწია ხელოვანმა** მასალის, ტექნიკის, სახვითი საშუალებებისა (ელემენტების) და ხერხების (პრინციპების) ამგვარად გამოყენებით?
- **რა ხასიათისაა ნაწარმოები (**რეალისტური, პირობითი, აბსტრაქტული, სიმბოლური, მორალისტური, თხრობითი, საზეიმო, მშვიდი, მყუდრო, ლირიკული, იდილიური, ხალისიანი, სევდიანი, ტრაგიკული, დრამატული, დაძაბული, ექსპრესიული, ირონიული, გროტესკული, სატირული, დოკუმენტური, დეკორატიული და სხვ.)?

**საფეხური V – შეფასება:**
- წინარე ეპოქების რა ნიშნებს ატარებს ეს ნაწარმოები – წინარე ეპოქების ხელოვნებიდან რას შეეძლო გავლენა მოეხდინა მასზე? რაში გამოიხატა ეს გავლენა?
- რა არის მასში ორიგინალური – რაშია სიახლე მანამდელი ეპოქის ნაწარმოებებთან შედარებით? რით განსხვავდება ეს ნაწარმოები მისი წინამორბედისგან?
- მოახდინა თუ არა ამ ნაწარმოებმა გავლენა თანადროულ ან მომდევნო პერიოდის ხელოვნე-

ბაზე? კონკრეტულად რომელი ხელოვანების/ნაწარმოების შთაგონების წყაროდ იქცა? რაში გამოიხატა ეს გავლენა?
- რითია ეს ნაწარმოები გამორჩეული ავტორის სხვა ნამუშევრებისგან?
- მოგწონს ეს ნაწარმოები თუ არა? რატომ? როგორ ფიქრობ, იმსახურებს ის შედევრის წოდებას? რატომ არის სასურველი, რომ ის ხალხმა ნახოს? დაასაბუთე შენი აზრი.

**კითხვარები**

**რეფლექსიის კითხვარი:**

**მუშაობის დაწყებამდე დასასმელი შეკითხვები**
- აქამდე გაგიკეთებია მსგავსი სამუშაო? რა გამოცდილება შეიძინე მაშინ?
- რაში მდგომარეობს შენი ჩანაფიქრი? რას აპირებ?
- იფიქრე წინასწარ, რა მასალა მოუხდება მეტად შენს ჩანაფიქრს?
- როგორ გამოიყენებ სახვით საშუალებებსა და ხერხებს სასურველი ეფექტის მისაღწევად?
- რისი ცოდნა დაგჭირდება ამ ნამუშევარზე მუშაობისთვის?
- რა უნარები დაგჭირდება ამ ნამუშევარზე მუშაობისთვის?

**მუშაობის პროცესში დასასმელი შეკითხვები**
- არის ისეთი რამ, რაც კიდევ შეგიძლია შეცვალო უკეთესობისაკენ შენს ნამუშევარში?
- ამართლებს შენ მიერ შერჩეული მასალა, სახვითი საშუალებები და ხერხები?
- ნამუშევრის როგორი ორიენტაცია (ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური) აირჩიე და რატომ?

**ნამუშევრის დასრულების შემდგომ დასასმელი შეკითხვები**
- ამ სამუშაოსთან დაკავშირებით რას აპირებდი? რა მოლოდინი გქონდა?
- გამოვიდა ის, რასაც აპირებდი თუ არა?
- მუშაობის პროცესში შეცვალე რაიმე?
- ხელოვნების ნამუშევრის შექმნისას რომელი ეტაპი გიხარია ყველაზე მეტად – პროცესი თუ შედეგი? რატომ?
- რა ცოდნა შეიძინე მუშაობის დასრულებისას?
- რა უნარები შეიძინე და განივითარე ამ ნამუშევარზე მუშაობისას?
- რა ნიშანს დაუწერდი ამ ნამუშევარს, მასწავლებელი რომ იყო?
- რა იყო მუშაობისას ყველაზე რთული? ადვილი?
- რა გამოგივიდა კარგად?
- რამდენად შეიცვალა შენი ნამუშევარი ჩანაფიქრიდან საბოლოო, დასრულებულ პროდუქტამდე? რა შეცვალე და რატომ?
- ახლა რომ ხელახლა აკეთებდე, რას შეცვლიდი?
- რას ფიქრობენ შენი თანატოლები და უფროსები შენს ნამუშევარზე? გაითვალისწინე მათი აზრი?
- რა დრო მოანდომე მუშაობას?

- რა შეიტყვე საკუთარი თავის შესახებ ამ ნამუშევარზე მუშაობის შედეგად?
- რა შემატა შენს შემოქმედებით გამოცდილებას ამ ნამუშევრის შექმნამ?
- რატომ არის მნიშვნელოვანი საკუთარი შემოქმედების სუსტი მხარეების გაცნობიერება და მათ გაუმჯობესებაზე მუშაობა?
- ვისთან გირჩევნია შენს ნამუშევარზე საუბარი – მეგობართან, მშობელთან თუ მასწავლებელთან?
- როგორ ფიქრობ, ვინ იქნება შენი ნამუშევრის მაყურებელი?

**სააზროვნო შეკითხვები:**

**სახვითი ხელოვნების შესახებ:**

- როგორი იქნებოდა სამყარო ხელოვნების გარეშე?
- ხელოვნება საზოგადოებისთვის ფუფუნებაა თუ აუცილებლობა?
- პირადად შენთვის, ხელოვნება ფუფუნებაა თუ მოთხოვნილება?
- შეუძლია ხელოვნებას დადებითად იმოქმედოს საზოგადოებაზე, გამოაფხიზლოს, გამოაჯანსაღოს ის?
- რას გვიამბობს ხელოვნება სამყაროს შესახებ?
- რატომ არის ხელოვნება ასე განსხვავებული სხვადასხვა დროში/ქვეყანაში/კულტურაში? რაზეა ეს დამოკიდებული?
- რას გვიამბობს ხელოვნების ნაწარმოები იმ ისტორიულ პერიოდზე, რომელშიც იგი შეიქმნა?
- რას გრძნობ, როცა ხელოვნების ნაწარმოებს უყურებ?
- შეუძლია ხელოვნებას შეცვალოს ადამიანის აზროვნება?
- როგორ ცვლის ცოდნა ხელოვნებას? მოიყვანე მაგალითი.
- როგორ ცვლის ხელოვნება ცოდნას? მოიყვანე მაგალითი.
- როგორ ცვლის ხელოვნება გარემოს? მოიყვანე მაგალითი.
- რაში ეხმარება ხელოვნება საზოგადოებას? ცალკეულ ადამიანს? მოიყვანე მაგალითი.
- როგორ შეგვიძლია გავაუმჯობესოთ გარემო (ოთახი, შენობა, უბანი, ქალაქი) ხელოვნების მეშვეობით?
- მოქმედებს თუ არა ხელოვნების ნიმუშზე გარემო, სადაც ის არის მოთავსებული?
- აქვს თუ არა გარემოს მნიშვნელობა ხელოვნების ნაწარმოების მომგებიანად აღქმისთვის?
- შეუძლია თუ არა გარემოს დააკნინოს მასში მოთავსებული ხელოვნების ნაწარმოების ღირსება და გააუფასუროს ის?
- გიფიქრია იმაზე, როგორ გარემოში გირჩევნია გამოფინო შენი ნამუშევარი?
- რატომ არსებობს ხელოვნების მუზეუმები, გალერეები, საგამოფენო დარბაზები?
- რატომ მოგზაურობენ ადამიანები უცხო ქვეყნებში ხელოვნების ძეგლების სანახავად?
- ხელოვნების რომელი სფერო გაინტერესებს სხვაზე მეტად? რატომ?
- როგორ ვაფასებთ ხელოვნების ნაწარმოებს?
- ვინ წყვეტს, ნაწარმოები ხელოვნების ნიმუშია თუ არა?
- თუ ხელოვნების ნაწარმოები უსიამოვნო შეგრძნებას (სევდას, ტკივილს, ბრაზს, ზიზღს) გგვრის, ის მაინც ხელოვნებაა თუ არა? შეგიძლია მოიყვანო მაგალითი?
- ხელოვნებამ მარტო მშვენიერება უნდა ასახოს თუ სიმახინჯეც?

- რას გვამცნობს ადამიანის ჩაცმულობა, სამკაული, ვარცხნილობა მისი კულტურის და ეროვნების შესახებ?
- დროის მანქანა რომ არსებობდეს, რომელ ეპოქაში იმოგზაურებდი და რატომ?
- რაში ვლინდება საზოგადოების დამოკიდებულება ხელოვნებისადმი?
- როგორ იცვლება საზოგადოების დამოკიდებულება ხელოვნებისადმი?
- რით განსხვავდებიან კულტურული და უკულტურო ადამიანები?
- შეუძლია ხელოვნებას შეცვალოს ადამიანის დამოკიდებულებები და ქცევა?

**ხელოვანის შესახებ:**

- რას ნიშნავს შემოქმედებითობა?
- რომელი უნარებია ხელოვნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი? რომელ პროფესიას არ სჭირდება ეს უნარები?
- რას ნიშნავს იყო ხელოვანი?
- რას გვიამბობს ხელოვნის შემოქმედება მისი პიროვნების შესახებ?
- როგორ ფიქრობ, ადამიანები რატომ იგონებენ და ქმნიან?
- როგორ ფიქრობ, საიდან მოსდით ადამიანებს შთაგონება?
- საიდან მოგდის შთაგონება შენ?
- ხელოვნების რომელ დარგებს სჭირდება მხატვრის პროფესია?
- რომელ არასახელოვნებო დარგებს სჭირდება მხატვრის პროფესია?
- რას ასახავს ხელოვანი თავის ნაწარმოებებში?
- ხელოვნებით დაკავებული ადამიანი შრომობს თუ ერთობა?
- ვინ არიან ჩვენი დროის მოწინავე ხელოვანები? რას ქმნიან ისინი?
- როგორ ხდება ადამიანი ხელოვანი?
- დროის მანქანა რომ არსებობდეს, რომელ ხელოვანს შეხვდებოდი? რატომ? რა კითხვას დაუსვამდი მისი შემოქმედების შესახებ? რა რჩევას სთხოვდი? რას ეტყოდი საკუთარი შემოქმედების შესახებ? რას ურჩევდი მას?
- რა როლი მიუძღვით ხელოვანებს ჩვენი დღევანდელი გარემოს შექმნაში?
- შეგიძლია შენი ხელოვნებით შეცვალო სასკოლო გარემო?
- რას და როგორ შეცვლიდი შენს გარემოში (სკოლაში, საკლასო ოთახში, სახლში) ხელოვნების მეშვეობით?
- რა როლს თამაშობს ბუნება ხელოვანის შთაგონებაში?
- როგორ ზეგავლენას ახდენს გარემო და საზოგადოება ხელოვნის შემოქმედებაზე?
- როგორ ზეგავლენას ახდენს გარემო და საზოგადოება შენს შემოქმედებაზე?
- რა მდგომარეობა უკავიათ ხელოვანებს საზოგადოებაში?
- რაში ვლინდება საზოგადოების დამოკიდებულება ხელოვანისადმი?
- როგორ იცვლება საზოგადოების დამოკიდებულება ხელოვანისადმი?
- რა გზებით გადმოგვცემენ ხელოვანები იდეებს, გრძნობებს, ემოციებს?
- როგორ შეგიძლია გამოხატო შენი იდეები, გრძნობები, ემოციები ხელოვნების მეშვეობით?
- რით განსხვავდებიან კულტურული და უკულტურო ადამიანები?
- როგორ გეხმარება სხვისი ნამუშევრების შეფასება საკუთარი ნამუშევრის სუსტი და ძლიერი მხარეების დანახვაში?

- რას იძლევა საკუთარი ნამუშევრისა და მისი შექმნის პროცესის ანალიზი?
- როგორ გეხმარება ხელოვნება სხვა საგნების სწავლაში?
- როგორ გეხმარება სხვა საგნებში მიღებული ცოდნა, უნარები და გამოცდილება ხელოვნების სწავლაში?

**გაკვეთილის შეფასება:**
- რა ისწავლე დღევანდელ გაკვეთილზე?
- დაგაინტერესა თუ არა გაკვეთილის თემამ?
- რა ინფორმაციას ფლობდი მანამდე?
- რა გაიგე ახალი?
- კიდევ რა გაინტერესებს ამის შესახებ?
- ვინ ეთანხმება ამ მოსაზრებას? ვის აქვს განსხვავებული აზრი?
- შეგვიძლია სხვა კუთხით შევხედოთ ამ საკითხს?
- ვინმე ხომ არ დაუმატებდა რამეს?
- რა დაგეხმარა დამახსოვრებაში/სწავლაში?
- მე შევამჩნიე, რომ... თქვენ რა შეამჩნიეთ?
- მე მაინტერესებს... თქვენ რა გაინტერესებთ?
- გაქვთ თუ არა დამატებითი შეკითხვები?

**ეპოქების შედარებითი T სქემები:**

*მოსწავლეები თანდათანობით დაამატებენ სქემებში ახალ პუნქტებს.

მოსწავლეების მიერ შესადგენი სქემების ნიმუშები:

**1. ანტიკური ხანა / შუა საუკუნეები**

| ანტიკური ხანის ხელოვნება | შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება |
|---|---|
| პოლითეიზმი ანუ მრავალღმერთიანობა | მონოთეიზმი ანუ ერთღმერთიანობა |
| სულისა და სხეულის თანაბარმნიშვნელოვანება | სულიერების უპირატესობა მიწიერზე |
| ძირითადად, საერო | ძირითადად, რელიგიური |
| ხელოვნების ნაწარმოებების დამკვეთი, ძირითადად, არის წარჩინებული ფენა | ხელოვნების ნაწარმოებების დამკვეთი, ძირითადად, არის ეკლესია |
| მიწიერი, ხორციელი | ზეციური, ღვთაებრივი |
| სინამდვილის ამსახველი რეალისტური სახვითი ხერხები<br><br>• შუქ-ჩრდილით, ტონალური გრადაციით გადმოცემული მოცულობითი ფორმები<br>• რეალური ფონი<br>• სწორი პროპორციები<br>• სწორი მასშტაბური თანაფარდობა ადამიანების ფიგურებსა და არქიტექტურულ თუ ბუნებრივ ფონს შორის<br>• ხაზოვანი პერსპექტივის ნიშნები | იკონოგრაფიით დაკანონებული სიმბოლური, პირობითი სახვითი ენა<br><br>• ხაზებით გადმოცემული სიბრტყობრივი ფორმები<br>• პირობითი ფონი (ხშირად ოქროსფერი)<br>• დარღვეული პროპორციები<br>• ადამიანთა ფიგურებს შორის დარღვეული მასშტაბები ღვთაებრივ იერარქიას გადმოსცემს. ფონზე ნაგებობები თუ პეიზაჟი პირობითია<br>• უკუპერსპექტივა |
| მრგვალი ქანდაკებების სიუხვე | მრგვალი ქანდაკება მხოლოდ დასავლეთქრისტიანულ ქვეყნებში იქმნება. IX ს-დან აღმოსავლეთქრისტიანულ ქვეყნებში ქანდაკება მხოლოდ რელიეფის სახით განაგრძობს არსებობას. |
| რომში მოზაკას იატაკის (იშვიათად კედლის) მომცრო ფართობები ეკავა | ბიზანტიაში მოზაიკა ტაძრების ინტერიერის ყველაზე მნიშვნელოვან სიმბოლურ ადგილებს იკავებს და მონუმენტურ საკულტო ხელოვნებად იქცევა |

## 2. რომანული / გოთიკური პერიოდები

| რომანული ხელოვნება | გოთიკა |
|---|---|
| აგრძელებს ძველი რომის არქიტექტურულ ტრადიციებს | ქმნის ახალ, აქამდე უცნობ ესთეტიკას |
| დამიწებული პროპორციები | ვერტიკალურად წაგრძელებული პროპორციები |
| **არქიტექტურაში:** მასიური, მძიმე, მყარი დაუნაწევრებელი კედელი, შიგადაშიგ მხოლოდ არქიტექტურული დეკორით (სარკმელი, ნიში, თაღი...) | ფასადი, რომლის მსუბუქი, მაქმანივით აჟურული სკულპტურული დეკორის მიღმა კედელი არ ჩანს |
| ზოგ შემთხვევაში გამოიყენება ჯმუხი პრპორციების მქონე კონტრფორსები | მაღალი კონტრფორსები დამშვენებულია არკბუტანებით („მფრინავი თაღებით“) |
| არქიტექტურული ნაწილები მკაფიოდ განცალკევებულია | არქიტექტურული ნაწილები ერთმანეთში „იხლართება“ |
| ნახევარწრიული თაღი | შეისრული თაღი (შესაძლოა, არაბული გავლენა) |
| ნახევარწრიული პორტალი | შეისრული პორტალი წვეტიანი, ციცაბო ფრონტონით |
| მცირე რაოდენობით პატარა ზომის სარკმლებით სუსტად განათებული ინტერიერი გაშინებს ღვთიური სასჯელით | ბევრი ფართო, მაღალი ვიტრაჟიანი სარკმლებით უხვად განათებული ინტერიერი იმედის მომცემ, მიმტევებელ გარემოს გიქმნის |
| პორტალის თავზე პატარა წრიული სარკმელი, ე.წ. „ვარდული“ | პორტალის თავზე უზარმაზარი წრიული „ვარდული“ |
| მკაცრი, პირქუში, დინჯი | „კეკლუცი“, „ფარფატა“, „მოძრავი“ |
| სტატიკური | დინამიკური |
| ფიგურები „უხორცო“, გახევებული, დისპროპორციული, წაგრძელებული, სიბრტყობრივი, პირობითი | ფიგურები თანდათანობით ხდება უფრო რეალისტური, „ხორცშესხმული“, მიწიერი, სწორდება პროპორციები |
| ფიგურათა შორის დარღვეული მასშტაბები ზეციურ იერარქიას გამოხატავს | ფიგურათა შორის მასშტაბები კვლავ დარღვეულია |

### 3. შუა საუკუნეები / აღორძინება

| შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება | აღორძინების ხანა |
|---|---|
| ხელოვნება ვითარდება ეკლესია-მონასტრების წიაღში და ემსახურება რელიგიური იდეების დამკვიდრებას | ხელოვნება ვითარდება კერძო მეცენატების კარზე. ეკლესია ხელოვნების ერთ-ერთი დამკვეთია. |
| დოგმატური | ჰუმანისტური, მეცნიერული |
| სულის უპირატესობა ხორციელზე | რწმენა ადამიანის გონებრივ, შემოქმედებით და ფიზიკურ შესაძლებლობებში |
| მიწიერი ცხოვრების აზრი ცდუნებებთან ბრძოლაა | მიწიერი ცხოვრების აზრი არის პიროვნული სრულყოფა ანტიკური მეცნიერების შესწავლის გზით |
| ადამიანი ცოდვილია | ადამიანი ღირსეული, თავდაჯერებული მკვლევარი და შემოქმედია |
| იკონოგრაფიით დაკანონებული სიმბოლური, პირობითი სახვითი ენა: | მიწიერი სამყაროს რეალისტურად ასახვის ხერხები |
| პირობითი ფონი (ხშირად ოქროსფერი) ფონზე ნაგებობები თუ პეიზაჟი ასევე პირობითია | რეალისტური ფონი (ქალაქური ან ბუნების პეიზაჟი) |
| ადამიანთა ფიგურებს შორის დარღვეული მასშტაბები ღვთაებრივ იერარქიას გადმოსცემს. | დაცულია სწორი მასშტაბური თანაფარდობა ადამიანების ფიგურებსა და არქიტექტურულ თუ ბუნებრივ ფონს შორის |
| დარღვეული პროპორციები | სწორი პროპორციები |
| ფიგურები ანატომიურად გაუმართავია | ფიგურები ანატომიურად გამართულია |
| პოზები გახევებულია | პოზები ბუნებრივია. გამოიყენება ანტიკური კონტრაპოსტი |
| ფორმები სიბრტყობრივია, გადმოცემულია ხაზებით. შუქ-ჩრდილები და ტონალური გრადაცია უგულვებელყოფილია | სამგანზომილებიანი მოცულობები გადმოცემულია შუქ-ჩრდილებისა და ტონალური გრადაციის მეშვეობით |
| გამოიყენება უკუპერსპექტივა და ირღვევა რაკურსი (ხედვის წერტილი) | გამოიყენება ხაზოვანი და ჰაეროვანი პერსპექტივა |
| სილუეტში მომწყვდეული ლოკალური ფერადოვანი ლაქები. ფერებს ეძლევათ სიმბოლური დატვირთვა. | კომპოზიციაში თანაბრად გადანაწილებული ფერადოვანი ლაქები, გამდიდრებული ტონალური გრადაციით |
| ხელოვანი ანონიმია | ხელოვანთა სახელები ცნობილია |
| მასალა: ენკაუსტიკა, ტემპერა ხეზე | ტემპერა, ზეთის საღებავი, ტილო, ხე |

4. აღორძინება / ბაროკო

| აღორძინების ხანა | ბაროკო |
|---|---|
| ადამიანი საკუთარი ბედისა და ქალაქის/ქვეყნის ისტორიის წარმმართველია | არაფერია მყარი. ადამიანი ვერ აკონტროლებს და ვერ წყვეტს ვერაფერს. ყველაფერი ცვალებადია. დრო ულმობელია |
| სიმშვიდე, ჰარმონია, წონასწორობა, სიმყარე, | ბობოქარი ვნებათაღელვა, მღელვარება, ჭიდილი, კონფლიქტი |
| სამკუთხა ან ფრიზისებური სიმეტრიული კომპოზიცია | დიაგონალური, ასიმეტრიული კომპოზიცია |
| სტატიკა | დინამიკა |
| თანაბარი განათება | კონტრასტული განათება |
| მშვიდი დგომა, კონტრაპოსტი | რთული პოზები |
| უემოციო გამომეტყველება | ემოციური გამომეტყველებები |
| ფიგურის სწორი ანატომიური აგება, კლასიკური პრინციპები | უტრირებული, დიდი ზომის დაკუნთული სხეულები |

5. კლასიციზმი / რომანტიზმი

| კლასიციზმი | რომანტიზმი |
|---|---|
| წესრიგი კომპოზიციასა და კოლორიტში. სიმშვიდე, მოზომილობა | „აფორიაქებული“, უწესრიგო კომპოზიცია და კოლორიტი. ემოციურობა, დაუოკებელი, ბობოქარი ჟინი, ვნებათაღელვა, ჭიდილი, კონფლიქტი |
| თემა: შორეული წარსული, კლასიკური საბერძნეთისა და რომის ისტორია, მითოლოგია | თემა: წარმოსახვა, ეგზოტიკა, ლეგენდები, ბუნება, ნადირობა, ომი, რევოლუცია, თანამედროვეობა |
| ტექნიკა: გლუვი, არაა მონასმის კვალი. თანაბარი განათება. გამოსახულება გაშეშებულია, სტატიკური | ტექნიკა: სწრაფი მონასმი. დრამატული, კონტრასტული განათება. გამოსახულება მოძრავია, დინამიური |
| გონების უპირატესობა | გრძნობების უპირატესობა |
| ჭკუის სწავლება, მაღალზნეობრივი, მოქალაქეობრივი საქციელისკენ მოწოდება | ჰეროიკული ბრძოლა, გარეულ ცხოველებთან შერკინება, დაპირისპირება მოსაბეზრებელ ყოველდღიურობასთან |

**ნაწარმოების ანალიზის ფორმები:**

**ნაწარმოებების შედარებითი ანალიზი 1:** (ამოიბეჭდოს ფერადად)

<table>
<tr><td colspan="2">კლასი: VIII მოსწავლე: თარიღი:</td></tr>
<tr><td colspan="2">დავალება:<br>გამოიყენე მოცემული ილუსტრაციები და 4 პუნქტის მიხედვით შეასრულე დავალება. შეადარე ერთმანეთს მოცემული ნაწარმოებები.<br>1. ხელოვნების რომელი დარგისა და ჟანრის ნიმუშებია წარმოდგენილი? რა არის მათი საერთო და განმასხვავებელი მხატვრული ნიშნები? რომელი სახვითი საშუალებები და სახვითი ხერხებია მათში გამოყენებული აზრისა და იდეის გამოსახატად?<br>2. რომელი მათგანია შესრულებული იკონოგრაფიული კანონიკის გათვალისწინებით და რომელია რეალისტური ხერხებით?<br>3. იმსჯელე, რამ განაპირობა ნიმუშებს შორის სხვაობა. დაასაბუთე შენი მოსაზრება.<br>4. გამოხატე საკუთარი დამოკიდებულება, რომელი უფრო მოგწონს და რატომ?<br><br>„ეგვიპტედ ლტოლვა“<br>სიუჟეტი: იოსებს გამოეცხადა ანგელოზი და გააფრთხილა, რომ ჩვილ იესოს მეფე ჰეროდესაგან საფრთხე ელოდა. ამიტომ ისინი დაუყოვნებლივ უნდა გაქცეულიყვნენ ეგვიპტეში, დროებით, ვიდრე საფრთხე ჩაივლიდა. იოსები ასეც მოიქცა. ოჯახი ეგვიპტეში გაემგზავრა. როდესაც მათ ეგვიპტეს მიაღწიეს, წარმართულ ტაძრებში კერპები წაქცეულან.</td></tr>
<tr><td>დეჩანი, კოსოვო (სერბეთი), XIV ს-ის ფრესკა<br></td><td>ვიტორე კარპაჩო, დაზგური ფერწერა, 1515 წ.<br></td></tr>
</table>

**ნაწარმოებების შედარებითი ანალიზი 2:** (ამოიბეჭდოს ფერადად)

კლასი: VIII მოსწავლე: თარიღი:

დავალება:
გამოიყენე მოცემული ილუსტრაციები და 4 პუნქტის მიხედვით შეასრულე დავალება. შეადარე ერთმანეთს მოცემული ნაწარმოებები.

1. ხელოვნების რომელი დარგისა და ჟანრის ნიმუშებია წარმოდგენილი? რა არის მათი საერთო და განმასხვავებელი მხატვრული ნიშნები? რომელი სახვითი საშუალებები და სახვითი ხერხებია მათში გამოყენებული აზრისა და იდეის გამოსახატად?
2. რომელი მათგანია შესრულებული იკონოგრაფიული კანონიკის გათვალისწინებით და რომელია რეალისტური ხერხებით?
3. იმსჯელე, რამ განაპირობა ნიმუშებს შორის სხვაობა. დაასაბუთე შენი მოსაზრება.
4. გამოხატე საკუთარი დამოკიდებულება, რომელი უფრო მოგწონს და რატომ?

„იერუსალიმად შესვლა“
სიუჟეტი: იესო ქრისტე ხშირად დადიოდა იერუსალიმში, მაგრამ ლაზარეს აღდგომის შემდგომ, ხალხი საზეიმო შეძახილებითა და გალობით შეხვდა, როგორც სიკვდილის დამმარცხებელს. გზად უგებდნენ ხის ტოტებს, იხდიდნენ და უფენდნენ სამოსელს.

| მოზაიკა, კაპელა პალატინა, პალერმო, სიცილია, XII ს. | ჰანს ჰოლბეინი (უფროსი), 1501 |
|---|---|
|   |  |

**ნაწარმოების ანალიზის შეფასების ფორმები:**

*მასწავლებელს შეუძლია რუბრიკების დესკრიპტორებს შეუცვალოს პირის ნიშანი და გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების კომენტარებად.

<table>
<tr><td colspan="2">ნაწარმოების ანალიზი:<br><br>კლასი: XVIII    მოსწავლე: ______________________________    თარიღი: ________________<br><br>დავალების პირობა:<br>განიხილე ნაწარმოები მოცემული პუნქტების მიხედვით:<br>1. ანალიზი (როგორ არის ნაწარმოებში გამოყენებული სახვითი საშუალებები და ხერხები)<br>2. ინტერპრეტაცია (რაშია ნაწარმოების მთავარი აზრი)<br>3. შეფასება (რატომ არის ეს ნაწარმოები ღირებული)<br>4. საკუთარი დამოკიდებულების არგუმენტაცია<br><br>ჯამური მაქსიმალური ქულა – 10.</td></tr>
<tr><td>8-10 ქულა</td><td>მსჯელობა არის ამომწურავი, ლოგიკურად არგუმენტირებული, ჩანს საკითხის გააზრებული და სრულყოფილი ცოდნა. ტერმინები ყველგან გამოყენებულია ადეკვატურად.</td></tr>
<tr><td>5-7 ქულა</td><td>მსჯელობა მეტ-ნაკლებად სრულია, გარკვეულ უზუსტობებს შეიცავს ან მცირედად აცდენილია დასმულ პრობლემას. ტერმინები ხშირად გამოყენებულია ადეკვატურად.</td></tr>
<tr><td>2-4 ქულა</td><td>საკითხი ნაწილობრივ არის გააზრებული, არ პასუხობს პირობაში მოცემულ ყველა შეკითხვას, მოსწავლეს უჭირს ხელოვნების ნიმუშის ანალიზი. პასუხი სუსტია, თუმცა მსჯელობიდან ჩანს, რომ მოსწავლეს ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი. ტერმინები იშვიათად არის გამოყენებული ადეკვატურად.</td></tr>
<tr><td>0-1 ქულა</td><td>მოსწავლე ვერ ახერხებს მსჯელობის განვითარებას. მსჯელობს ბუნდოვნად, არათანამიმდევრულად, არაადეკვატურად და უშვებს მნიშვნელოვან შეცდომებს. არ ჩანს ტერმინების ცოდნა.</td></tr>
</table>

**შედარებითი ანალიზის შეფასების სქემა:**

*მასწავლებელს შეუძლია რუბრიკების დესკრიპტორებს შეუცვალოს პირის ნიშანი და გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების კომენტარებად.

<table>
<tr><td colspan="2">შედარებითი ანალიზი<br><br>კლასი: XVIII მოსწავლე: ______________________________ თარიღი: _______________<br><br>დავალების პირობა:<br>გამოიყენე მოცემული ილუსტრაციები და 4 პუნქტის მიხედვით შეასრულე დავალება. ჩამოაყალიბე აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად.<br>შეადარე ერთმანეთს მოცემული ნაწარმოებები:<br><br>1. ხელოვნების რომელი დარგის ნიმუშებია წარმოდგენილი? დაადგინე ხელოვნების ნიმუშების საერთო და განმასხვავებელი მხატვრული ნიშნები: რომელი სახვითი საშუალებები და სახვითი ხერხებია მათში გამოყენებული აზრისა და იდეის გამოსახატად (3 ქულა).<br>2. სტილური მახასიათებლების მიხედვით მიაკუთვნე ნიმუშები ხელოვნების ისტორიის გარკვეულ პერიოდს. დაასაბუთე შენი მოსაზრება. (3 ქულა).<br>3. განიხილე ნაწარმოებები ისტორიულ/რელიგიურ/სოციალურ/კულტურულ კონტექსტში. იმსჯელე, რამ განაპირობა ნიმუშებს შორის სტილური სხვაობა. დაასაბუთე შენი მოსაზრება (3 ქულა).<br>4. გამოხატე საკუთარი დამოკიდებულება, რომელი უფრო მოგწონს და რატომ? (3 ქულა).<br><br>თითოეული პუნქტისთვის მაქსიმალური ქულა – 3. ჯამური მაქსიმალური ქულა - 12.</td></tr>
<tr><td>3 ქულა:</td><td>მსჯელობა არის ამომწურავი, ლოგიკურად არგუმენტირებული, ჩანს საკითხის გააზრებული და სრულყოფილი ცოდნა. ტერმინები ყველგან გამოყენებულია ადეკვატურად.</td></tr>
<tr><td>2 ქულა:</td><td>მსჯელობა გარკვეულ უზუსტობებს შეიცავს ან მცირედად აცდენილია დასმულ პრობლემას. ტერმინები ხშირად გამოყენებულია ადეკვატურად.</td></tr>
<tr><td>1 ქულა:</td><td>საკითხის ნაწილობრივ არის გააზრებული, არ პასუხობს პირობაში მოცემულ ყველა შეკითხვას, მოსწავლეს უჭირს ხელოვნების ნიმუშების შედარებითი ანალიზის გაკეთება. პასუხი სუსტია, თუმცა მსჯელობიდან ჩანს, რომ მოსწავლეს ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი. ტერმინები იშვიათად არის გამოყენებული ადეკვატურად.</td></tr>
<tr><td>0 ქულა</td><td>მოსწავლე ვერ ახერხებს მსჯელობის განვითარებას. მსჯელობს ბუნდოვნად, არათანამიმდევრულად, არაადეკვატურად და უშვებს მნიშვნელოვან შეცდომებს. არ იყენებს ტერმინებს.</td></tr>
</table>

**შედარებითი ანალიზის შეფასების ზოგადი სქემა**

*მასწავლებელს შეუძლია რუბრიკების დესკრიპტორებს შეუცვალოს პირის ნიშანი და გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების კომენტარებად.

| შეფასების სქემა:<br>თითოეული პუნქტისთვის მაქსიმალური ქულა – 3.<br>ჯამური მაქსიმალური ქულა - 12. | |
|---|---|
| 3 ქულა: | შედარებითი ანალიზი არის ამომწურავი, მსჯელობა ლოგიკურად არგუმენტირებული, ჩანს საკითხის გააზრებული და სრულყოფილი ცოდნა. ტერმინები ყველგან გამოყენებულია ადეკვატურად. |
| 2 ქულა: | ხელოვნების ნიმუშების შედარებითი ანალიზი მეტ-ნაკლებად სრულია. მსჯელობა გარკვეულ უზუსტობებს შეიცავს ან მცირედად აცდენილია დასმულ პრობლემას. ტერმინები ხშირად გამოყენებულია ადეკვატურად. |
| 1 ქულა: | საკითხის ნაწილობრივ არის გააზრებული, არ პასუხობს პირობაში მოცემულ ყველა შეკითხვას, მოსწავლეს უჭირს ხელოვნების ნიმუშების შედარებითი ანალიზის გაკეთება. პასუხი სუსტია, თუმცა მსჯელობიდან ჩანს, რომ მოსწავლეს ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი. ტერმინები იშვიათად არის გამოყენებული ადეკვატურად. |
| 0 ქულა | მოსწავლე ვერ ახერხებს მსჯელობის განვითარებას. მსჯელობს ბუნდოვნად, არათანამიმდევრულად, არაადეკვატურად და უშვებს მნიშვნელოვან შეცდომებს. არ ჩანს ტერმინების ცოდნა. |

**პოსტერის შეფასების ფორმა:**

SOLO ტაქსონომია:

პრესტრუქტურული დონე – 0-2 ქულა;

უნისტრუქტურული დონე: - 3-4 ქულა:

მულტისტრუქტურული დონე – 5-6 ქულა;

მიმართებითი დონე – 7-8 ქულა;

გაფართოებული აბსტრაქტული დონე – 9-10 ქულა.

*მასწავლებელს შეუძლია რუბრიკების დესკრიპტორებს შეუცვალოს პირის ნიშანი და გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების კომენტარებად.

| | | |
|---|---|---|
| კლასი – VIII<br>თემატური ბლოკი:<br>მოსწავლე: | | მასწავლებელი<br><br>თარიღი: |
| დავალების პირობა:<br>შექმენი პოსტერი თემაზე: | | |
| შეფასების რუბრიკები | ქულა | კომენტარი |
| ნამუშევარში გამოყენებულია:<br>• ნამუშევარში ჩანს შემოქმედებითი მიდგომა და ორიგინალური აზროვნება. (2 ქულა)<br>• სახვითი საშუალებები და ხერხები შერჩეულია ჩანაფიქრის შესაბამისად (მკვეთრი, კონტრასტული, ინტენსიური ფერები; მსხვილი შრიფტი და ა.შ.) და აღწევს სასურველ ეფექტს. (2 ქულა)<br>• დაცულია ტექსტის, გამოსახულებისა და ცარიელი სივრცის თანაფარდობა. (1 ქულა)<br>• მასალა შერჩეულია ჩანაფიქრის შესაბამისად. (1 ქულა)<br>• იდეა გადმოცემულია ნათლად და მოკლედ. (1 ქულა)<br>• დახარჯულია მაქსიმალური ძალისხმევა. (2 ქულა)<br>• დაცულია დროის ლიმიტი (1 ქულა) | | |
| ქულათა ჯამი ___________________ | | |

**ციფრული ნამუშევრის შეფასების ფორმა:**

SOLO ტაქსონომია:

პრესტრუქტურული დონე – 0-2 ქულა;

უნისტრუქტურული დონე: - 3-4 ქულა:

მულტისტრუქტურული დონე – 5-6 ქულა;

მიმართებითი დონე – 7-8 ქულა;

გაფართოებული აბსტრაქტული დონე – 9-10 ქულა.

*მასწავლებელს შეუძლია რუბრიკების დესკრიპტორებს შეუცვალოს პირის ნიშანი და გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების კომენტარებად.

| ციფრული ნამუშევარი<br>კლასი: VIII მოსწავლე ______________________________ თარიღი _____________<br>დავალების პირობა:<br>შექმენი ნამუშევარი ციფრული მედიის გამოყენებით.<br>ჯამური მაქსიმალური ქულა - 10. | |
|---|---|
| შემოქმედებითობა | ნამუშევარი შესრულებულია დამოუკიდებელი, ორიგინალური ჩანაფიქრის თანახმად, აღწევს სასურველ ეფექტს, სრულად პასუხობს დავალების პირობას – 4 ქულა;<br>ნამუშევარი თითქმის აღწევს სასურველ ეფექტს, უმეტესად პასუხობს დავალების პირობას – 2 ქულა;<br>ნამუშევარი ბუნდოვნად აღწევს სასურველ ეფექტს, აცდენილია დავალების პირობას – 1 ქულა;<br>არ პასუხობს მოთხოვნებს – 0 ქულა. |
| შესრულება | შესრულებულია აკურატულად – 3 ქულა;<br>შესრულებულია მცირედი უზუსტობებით – 2 ქულა;<br>შესრულებულია დაუდევრად – 1 ქულა;<br>არ პასუხობს მოთხოვნებს – 0 ქულა. |
| ორგანიზებულობა | მოსწავლემ დაიცვა ვადები, ატვირთა ნამუშევარი საკუთარ ბლოგზე, გაუზიარა თანაკლასელებს და მასწავლებელს, ნამუშევარს ერთვის საფუძვლიანად დაწერილი რეფლექსია – 3 ქულა;<br>მოსწავლემ დაიცვა ვადები, ატვირთა ნამუშევარი საკუთარ ბლოგზე, მაგრამ არ გაუზიარა თანაკლასელებს და მასწავლებელს, ნამუშევარს ერთვის ზერელე რეფლექსია – 2 ქულა;<br>მოსწავლემ დაიცვა ვადები, მაგრამ არ ატვირთა ნამუშევარი საკუთარ ბლოგზე, არ გაუზიარა თანაკლასელებს და მასწავლებელს, ნამუშევარს არ ერთვის რეფლექსია – 1 ქულა;<br>არ პასუხობს მოთხოვნებს – 0 ქულა. |

**შემაჯამებელი წერის ამოსაბეჭდი ფორმა:** *შეიძლება იყოს შავ-თეთრი

შედარებითი ანალიზი
კლასი: VIII  მოსწავლე ___________________________ თარიღი _________
დავალების პირობა:
გამოიყენე მოცემული ილუსტრაციები და 4 პუნქტის მიხედვით, შეადარე ერთმანეთს მოცემული ნაწარმოებები.
1. ხელოვნების რომელი დარგის ნიმუშებია წარმოდგენილი? დაადგინე ხელოვნების ნიმუშების საერთო და განმასხვავებელი მხატვრული ნიშნები: რომელი სახვითი საშუალებები და სახვითი ხერხებია მათში გამოყენებული? (3 ქულა)
2. მახასიათებლების მიხედვით მიაკუთვნე ნიმუშები ხელოვნების ისტორიის გარკვეულ პერიოდს. დაასაბუთე შენი მოსაზრება. (3 ქულა).
3. იმსჯელე, რამ განაპირობა ნიმუშებს შორის სტილური სხვაობა. დაასაბუთე შენი მოსაზრება (3 ქულა).
4. გამოხატე საკუთარი დამოკიდებულება, რომელი უფრო მოგწონს და რატომ? (3 ქულა).
თითოეული პუნქტისთვის მაქსიმალური ქულა – 3.
ჯამური მაქსიმალური ქულა - 12.


ქ. შარტრის ნოტრ-დამის კათედრალი, საფრანგეთი, XII ს-ის შუა წწ.


ქ. ნაუმბურგის კათედრალი, გერმანია, XIII ს-ის შუა წწ.

**მოცულობითი ფიგურების ფანქრით ხატვის შეფასების ფორმა**

| კლასი – VIII – თემატური ბლოკი:<br>მოსწავლე: | | მასწავლებელი ____________________<br>თარიღი ____________________ |
|---|---|---|
| დავალების პირობა:<br>დახატე ნახატი, რომელშიც გადმოსცემ შუქ-ჩრდილსა და მოცულობას | | |
| განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები | ქულა | კომენტარი |
| გამოყენებულია კონტურის ხაზი, შტრიხები (1 ქულა)<br>მინიშნებულია ჩრდილი (2 ქულა)<br>მინიშნებულია დაცემული ჩრდილი (1 ქულა)<br>მინიშნებულია ათინათი და/ან რეფლექსი (1 ქულა)<br>გამოყენებულია ნახევარტონები (2 ქულა)<br>შუქ-ჩრდილი შესაბამისობაშია სინათლის წყაროს-თან (1 ქულა) | | |
| პროგრესი – ნამუშევარი ამჟღავნებს მოსწავლის წინა ნამუშევრებთან შედარებით მიღწეულ წინს-ვლას (2 ქულა). | | |

**მოცულობითი ფიგურების საღებავებით ხატვის შეფასების ფორმა**

| კლასი – VIII – თემატური ბლოკი:<br>მოსწავლე: | | |
|---|---|---|
| დავალების პირობა:<br>აკვარელით/გუაშით დახატე სფერო. გადმოეცი სფეროს მოცულობა ტონალური გრადაციით. | | |
| განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები | ქულა | კომენტარი |
| გამოყენებულია ტონალური გრადაცია (3 ქულა)<br>მინიშნებულია დაცემული ჩრდილი (1 ქულა)<br>მინიშნებულია ათინათი და/ან რეფლექსი (1 ქულა)<br>შუქ-ჩრდილი შესაბამისობაშია სინათლის წყაროს-თან (2 ქულა)<br>მინიშნებულია ფონი (1 ქულა)<br>ფლობს აკვარელით / გუაშით მუშაობის ტექნიკას (2 ქულა) | | |
| პროგრესი – ნამუშევარი ამჟღავნებს მოსწავლის წინა ნამუშევრებთან შედარებით მიღწეულ წინს-ვლას (2 ქულა). | | |

*მასწავლებელს შეუძლია რუბრიკების დესკრიპტორებს შეუცვალოს პირის ნიშანი და გამოი-ყენოს განმავითარებელი შეფასების კომენტარებად.

**დებატების შეფასების სქემა:**

*მასწავლებელს შეუძლია რუბრიკების დესკრიპტორებს შეუცვალოს პირის ნიშანი და გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების კომენტარებად.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კლასი: VIII მოსწავლე: ________________ თარიღი: ________ დებატების თემა: ქალი ხელოვანები ისეთივე უფლებებით უნდა სარგებლობდნენ, როგორც მამაკაცები. | | | | |
| შეფასება | წარმატებული | განვითარებადი | დამწყები | 0 |
| **ორგანიზებულობა:** | **ყოველთვის** იცავდა დროის ლიმიტს, დებატების წესებს; აქტიურად იყო ჩართული დებატების მსვლელობის ყველა ეტაპზე. | **ხშირად** იცავდა დროის ლიმიტს, დებატების წესებს; აქტიურად იყო ჩართული დებატების მსვლელობის უმეტეს ეტაპზე. | **იშვიათად** იცავდა დროის ლიმიტს, დებატების წესებს; ჩართული იყო დებატების მსვლელობის ზოგიერთ ეტაპზე. | მოსწავლის ჩართულობა არ იგრძნობოდა |
| **არგუმენტაცია**: მაგალითები, სტატისტიკური მონაცემები, ფაქტები | დასაბუთება იყო **ყოველთვის** ადეკვატური, მრავალფეროვანი, დამაჯერებელი, მოპოვებული სანდო წყაროებიდან (წიგნი, ენციკლოპედია, ოფიციალური ვებ-გვერდები...) | დასაბუთება იყო **უმეტესად** ადეკვატური, მოპოვებული არასანდო წყაროებიდან (მაგ., ვიკიპედია...) | დასაბუთება **იშვიათად** იყო ადეკვატური, ხშირად ცალმხრივი, მინიმალური. | |
| **მჭევრმეტყველება**: აზრის ნათლად ჩამოყალიბება, ჟესტიკულაცია, თვალის კონტაქტი | აზრს **ყოველთვის** აყალიბებდა ნათლად, გასაგებად; ყოველთვის იყენებდა შესაბამის ჟესტიკულაციას; აუდიტორიასთან ამყარებდა თვალის კონტაქტს; ყოველთვის ავლენდა თავდაჯერებულობას. | აზრს **ხშირად** აყალიბებდა ნათლად, გასაგებად; იყენებდა შესაბამის ჟესტიკულაციას; აუდიტორიასთან ხშირად ამყარებდა თვალის კონტაქტს. ზოგჯერ ავლენდა თავდაჯერებულობას. | აზრს **იშვიათად** აყალიბებდა ნათლად, გასაგებად; იშვიათად იყენებდა შესაბამის ჟესტიკულაციას; აუდიტორიასთან იშვიათად ამყარებდა თვალის კონტაქტს და ავლენდა თავდაჯერებულობას. | |
| **კორექტულობა**: საუბრის ტონი, ლექსიკა | საუბრობდა მშვიდად, ლექსიკა ყოველთვის იყო კორექტული; იგრძნობოდა საწინააღმდეგო აზრის გამომთქმელთა მიმართ პატივისცემა, აცდიდა სხვებს საუბარს, უსმენდა მათ ყურადღებით. | საუბრისას რამდენჯერმე აუწია ტონს, ლექსიკა იყო კორექტული; იგრძნობოდა საწინააღმდეგო აზრის გამომთქმელთა მიმართ პატივისცემა. აცდიდა სხვებს საუბარს, უსმენდა მათ ყურადღებით. | საუბრისას უწევდა ტონს, ლექსიკა იშვიათად იყო კორექტული; არ იგრძნობოდა საწინააღმდეგო აზრის მიმართ პატივისცემა. არ აცდიდა სხვებს საუბარს, იშვიათად უსმენდა მათ ყურადღებით. | |

**კომპლექსური პროექტი „პორტრეტი“ მაქს. – 30 ქულა**

*მასწავლებელს შეუძლია რუბრიკების დესკრიპტორებს შეუცვალოს პირის ნიშანი და გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების კომენტარებად.

| |
|---|
| **ორგანიზებულობა** (მაქს. 10 ქულა) |
| მოსწავლემ დაიცვა ყველა ვადა; - 1 ქულა<br>ნამუშევარს ერთვის ყველა ეტაპის ამსახველი მასალა (ესკიზი, გონებრივი იერიშისა და ასოციაციური ბადის გრაფიკული სქემები, რეფლექსიის შევსებული კითხვარი და სხვ.); - 4 ქულა<br>სახეზეა წინასწარ ჩატარებული კვლევა ცნობილ ხელოვანთა პორტრეტებისა. მოსწავლემ გააანალიზა მათი მხატვრული ენა და დაუკავშირა ის საკუთარ მიზანს. - 4 ქულა<br>ნამუშევარი ატვირთულია ბლოგზე. - 1 ქულა |
| **შემოქმედებითობა** (მაქს. 5 ქულა) |
| სახვითი ხელოვნების საშუალებები და ხერხები გამოყენებულია გააზრებულად, ორიგინალურად და შემოქმედებითად. მათი მეშვეობით მოსწავლემ სრულად მიაღწია დასახულ მიზანს/სასურველ ეფექტს. 5 ქულა |
| **ძალისხმევა და შესრულება** (მაქს. 5 ქულა) |
| ჩანს მოსწავლის შრომისმოყვარეობა, თანამიმდევრულობა, ძალისხმევა; 2 ქულა<br>ნამუშევარი მიყვანილია სასრულ ეტაპამდე; 1 ქულა<br>ნამუშევარი არის აკურატული; 1 ქულა<br>ჩანს პროგრესი მოსწავლის წინა ნამუშევრებთან შედარებით; 1 ქულა |
| **წარდგენა** (მაქს. 5 ქულა) |
| ნამუშევრის წარდგენა წარიმართა საინტერესოდ. მოსწავლე მეტყველებდა ნათლად და თავდაჯერებულად; 2 ქულა<br>მოსწავლემ ადეკვატურად გამოიყენა სპეციფიკური ტერმინები; 1 ქულა<br>მოსწავლემ აუდიტორიასთან დაამყარა უშუალო კონტაქტი; 1 ქულა<br>მოსწავლემ უპასუხა წამოჭრილ შეკითხვებს. 1 ქულა |
| **რეფლექსია** (მაქს. 5 ქულა) |
| მოსწავლემ საფუძვლიანად გააანალიზა დავალების პირობა; 1 ქულა<br>გააანალიზა შემოქმედებითი პროცესის ყველა ეტაპი; 1 ქულა<br>გააცნობიერა ნამუშევრის ძლიერი და დასახვეწი მხარეები; 1 ქულა<br>დასახა ადეკვატური სამომავლო მიზნები; 1 ქულა<br>დასახა სამომავლო მიზნების მისაღწევი გზები. 1 ქულა |

**ნატურმორტის შეფასების სქემა:**

*მასწავლებელს შეუძლია რუბრიკების დესკრიპტორებს შეუცვალოს პირის ნიშანი და გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების კომენტარებად.

| მოსწავლე | შეფასების კრიტერიუმები<br>SOLO ტაქსონომია:<br>პრესტრუქტურული დონე – 0-2 ქულა;<br>უნისტრუქტურული დონე: - 3-4 ქულა:<br>მულტისტრუქტურული დონე – 5-6 ქულა;<br>მიმართებიი დონე – 7-8 ქულა;<br>გაფართოებული აბსტრაქტული დონე – 9-10 ქულა. | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | კომპოზიცია | ფორმა/მოცულობა | ფერი | ფაქტურა | სივრცე | შემაჯამებელი ქულა |
| | ახერხებს დასახატი ობიექტების სასურათე სიბრტყეზე კომპოზიციურ განაწილებას (ბალანსის) ურთიერთთანაფარდობის გადმოცემას<br>0-2 ქულა | სურვილისამებრ იცავს საგნის პროპორციებს და ახერხებს მათი მოცულობის გადმოცემას შუქ-ჩრდილის საშუალებით<br>0-2 ქულა | ფერის ამოცანა ნამუშევარში შემოქმედებითად არის გადაწყვეტილი<br>0-2 ქულა | ახერხებს დასახატი ობიექტების (საგნების, დრაპირების (ქსოვილის) ფაქტურის გადმოცემას<br>0-2 ქულა | ახერხებს სივრცის ეფექტის შექმნას (წინა ხედი, შუა ხედი, უკანა ხედი (ფონი))<br>0-2 ქულა | ქულათა მაქსიმალური რაოდენობა 10 |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |

**პეიზაჟის შეფასების სქემა:**

*მასწავლებელს შეუძლია რუბრიკების დესკრიპტორებს შეუცვალოს პირის ნიშანი და გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების კომენტარებად.

| მოსწავლე | შეფასების კრიტერიუმები<br>SOLO ტაქსონომია:<br>პრესტრუქტურული დონე – 0-2 ქულა;<br>უნისტრუქტურული დონე: - 3-4 ქულა:<br>მულტისტრუქტურული დონე – 5-6 ქულა;<br>მიმართებიი დონე – 7-8 ქულა;<br>გაფართოებული აბსტრაქტული დონე – 9-10 ქულა. | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | კომპოზიცია | ფერი | ჰაეროვანი პერსპექტივა | პერსპექტივა | მასშტაბი | შემაჯამებელი ქულა |
| | ახერხებს დასახატი ობიექტების სასურათე სიბრტყეზე კომპოზიციურ განაწილებას (ბალანსის დაცვას, ურთიერთთანაფარდობის გადმოცემას) 0-2 ქულა | ფერის ამოცანა ნამუშევარში შემოქმედებითად არის გადაწყვეტილი 0-2 ქულა | გადმოსცემს სივრცეს ჰაეროვანი პერსპექტივის საშუალებით 0-2 ქულა | გადმოსცემს სივრცეს ხაზოვანი პერსპექტივის საშუალებით 0-2 ქულა | სხვადასხვა ხედზე გამოსახულ საგანთა შორის დაცულია მასშტაბური თანაფარდობა 0-2 ქულა | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |

### სამგანზომილებიანი მაკეტის შეფასების ფორმა

*მასწავლებელს შეუძლია რუბრიკების დესკრიპტორებს შეუცვალოს პირის ნიშანი და გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების კომენტარებად.

კლასი – VIII
თემატური ბლოკი: ______________________________
მოსწავლე ______________________________________

| 0 | 1-2 | 3-4 | 5-6 | 7-8 | 9-10 |
|---|---|---|---|---|---|
| ნამუშევარი ვერ პასუხობს სტანდარტს | ესკიზი | | | | |
| | მაკეტის ესკიზი იძლევა ზერელე მონაცემებს | მაკეტის ესკიზი იძლევა ზოგად მონაცემებს, დეტალების გარეშე | მაკეტის ესკიზი იძლევა ზოგიერთ მონაცემსა და დეტალს | მაკეტის ესკიზი იძლევა ძირითად მონაცემებსა და დეტალებს | ესკიზი ითვალისწინებს ყველა დეტალურ მონაცემს (ზომა, ფორმა, მასალა, ტექნიკა) |
| | შემოქმედებითობა | | | | |
| | ჩანს ზერელე დამოკიდებულება. | ნამუშევარს აკლია შემოქმედებითი მიდგომა. | ნამუშევარში სუსტად ჩანს შემოქმედებითი მიდგომა. | ნამუშევარში ჩანს შემოქმედებითი მიდგომა. | ნამუშევარში ჩანს საკითხის ორიგინალურად გააზრება. |
| | მაკეტის ტექნიკური მხარე | | | | |
| | შერჩეული მასალა შეუსაბამოა, ნამუშევარი უსუფთაოა. მაკეტს აკლია სიმყარე. | მასალის ნაწილი შერჩეულია ამოცანის შესაბამისად. მაკეტს აკლია აკურატულობა და სიმყარე. | მასალის დიდი ნაწილი შერჩეულია შესაბამისად. მაკეტს აკლია აკურატულობა და სიმყარე. | მასალა შერჩეულია შესაბამისად. ნამუშევარი უმეტესად აკურატულია და მყარი. | ყველა მასალა შერჩეულია ამოცანის შესაბამისად. ნამუშევარი აკურატულია. მაკეტი მყარია. |
| | ორგანიზებულობა | | | | |
| | ნამუშევარზე დახარჯულია მინიმალური ძალისხმევა. ვადები და დროის ლიმიტი არ არის დაცული. | ნამუშევარზე დახარჯულია მცირეოდენი ძალისხმევა. ვადები და დროის ლიმიტი არ არის დაცული. | ნამუშევარზე დახარჯულია უმნიშვნელო ძალისხმევა. ვადები და დროის ლიმიტი დაცულია. | ნამუშევარზე დახარჯულია მნიშვნელოვანი ძალისხმევა. ვადები და დროის ლიმიტი დაცულია. | ნამუშევარზე დახარჯულია მაქსიმალური ძალისხმევა. ვადები და დროის ლიმიტი დაცულია. |

**ექსკურსიაზე შესავსები ფორმა** (სასურველია, ჩანახატების გასაკეთებელი გრაფები ამობეჭდვამდე გაიზარდოს)

<table>
<tr><td colspan="2">კლასი: VIII მოსწავლე თარიღი<br><br>ექსკურსია (ტაძრის/ეკლესიის ადგილი, დასახელება)</td></tr>
<tr><td>მშენებლობის თარიღი</td><td></td></tr>
<tr><td>მოხატვის თარიღი</td><td></td></tr>
<tr><td>რა მდგომარეობაშია ტაძარი?</td><td></td></tr>
<tr><td>რა მდგომარეობაშია ფრესკები?</td><td></td></tr>
<tr><td>რომელი ფრესკის/ების სიუჟეტი ამოიცანი?</td><td></td></tr>
<tr><td>შეარჩიე ერთერთი ფრესკა და აღწერე სიტყვიერად.</td><td></td></tr>
<tr><td>გააკეთე ექსტერიერის ჩანახატი</td><td></td></tr>
<tr><td>გააკეთე რომელიმე ფრესკის ან მისი ფრაგმენტის ჩანახატი</td><td></td></tr>
</table>

# ანიმაციის შეფასების ფორმა

კლასი – VIII

თემატური ბლოკი: ადამიანი ხელოვნებაში

პროექტზე მომუშავე ჯგუფის წევრები:

**დავალების პირობა:** ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, ჯგუფში, შექმენით 1-2 წთ-იანი ანიმაცია თემაზე „მოძრავი კაცუნა“. ატვირთეთ ნამუშევარი პირად და კლასის ბლოგებზე. შეავსეთ რეფლექსიის კითხვარი.

| განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები | ქულა | კომენტარი |
|---|---|---|
| **შემოქმედებითობა და პრაქტიკა:**<br>• ჯგუფმა შეარჩია დავალების შესაბამისი მასალა, ტექნიკა და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები; გამოსახულება შეესაბამება დავალების პირობას, აკურატულადაა შესრულებული, მოძრაობა თანმიმდევრულია, აზრი გადმოცემულია გასაგებად **(1 ქულა);**<br>• ნამუშევარზე დახარჯულია მაქსიმალური შემოქმედებითი ძალისხმევა. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა **(1 ქულა).** | | |
| **ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება:**<br>• ნამუშევარი შესრულებულია ანიმაციის შესაქმნელი კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით **(1 ქულა);**<br>• ნამუშევარი განთავსებულია ვებგვერდზე/ბლოგზე **(1 ქულა).** | | |
| **ორგანიზებულობა (ფასდება ჯგუფის მუშაობის პროცესზე დაკვირვებისა და თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური რეფლექსიის საფუძველზე)**<br>• ჯგუფმა წინასწარ განსაზღვრა დავალების წარმატებით შესასრულებლად საჭირო ცოდნა და უნარები **(1 ქულა);**<br>• ჯგუფმა წინასწარ დასახა განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპები **(1 ქულა);**<br>• ჯგუფმა ეფექტურად გამოიყენა გამოყოფილი დრო და დაიცვა ვადები **(1 ქულა).** | | |
| **თანამშრომლობა (ფასდება ჯგუფის მუშაობის პროცესზე დაკვირვებისა და თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური რეფლექსიის საფუძველზე)**<br>• ჯგუფის წევრებმა თანაბრად, გონივრულად და ეფექტიანად გაინაწილეს შესასრულებელი სამუშაო **(1 ქულა);**<br>• ჯგუფის წევრები პასუხისმგებლობით მოეკიდნენ თითოეულ მათგანზე დავალებულ საქმეს **(1 ქულა);**<br>• ჯგუფის წევრები ეთიკის ნორმების დაცვით, კონსტრუქციულად განიხილავდნენ განსხვავებულ იდეებს, შეხედულებებს; უზიარებდნენ ერთმანეთს რესურსებს, მოსაზრებებსა და ცოდნას პრობლემათა გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით **(1 ქულა).** | | |

ქულათა ჯამი ———————————————

მასწავლებელი —————————————————— თარიღი——————————

# პრაქტიკული სამუშაოს შეფასების ზოგადი ფორმა

*მასწავლებელს შეუძლია რუბრიკების დესკრიპტორებს შეუცვალოს პირის ნიშანი და გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების კომენტარებად.

კლასი – VIII
თემატური ბლოკი:
მოსწავლე:

დავალების პირობა:
შექმენი ნამუშევარი
თემა ————————————— ტექნიკა: ——————————— მასალა: ————————————————

| განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები | ქულა | კომენტარი |
|---|---|---|
| **შემოქმედებითობა:**<br><br>მოსწავლეს შეუძლია ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისათვის, მიზნის შესაბამისი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენებით **(4 ქულა);**<br><br>ნამუშევრის შექმნისას მოსწავლეს შეუძლია თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი **(4 ქულა).** | | |
| **პროგრესი**<br>ნამუშევარი ამჟღავნებს მოსწავლის მიერ წინა ნამუშევრებში გამოვლენილ სისუსტეებს, საკუთარი პრობლემების დაძლევასა და მიღწეულ წინსვლას **(2 ქულა).** | | |

ქულათა ჯამი ———————————————
მასწავლებელი ——————————————————— თარიღი———————————

## ხაზოვანი პერსპექტივის გამოყენებით შესრულებული ნამუშევრის შეფასების ფორმა

*****მასწავლებელს შეუძლია რუბრიკების დესკრიპტორებს შეუცვალოს პირის ნიშანი და გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების კომენტარებად.

| | |
|---|---|
| კლასი – VIII თემატური ბლოკი: ———————————————————————<br>მოსწავლე ————————————————————— | |
| დავალების პირობა: დახატე ნამუშევარი ხაზოვანი პერსპექტივის გამოყენებით. | |
| განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები | **ქულა** |
| **9-10 ქულა:** ნამუშევარში ასახული ყველა საგანი დაშორების შესაბამისად იკლებს ზომაში. მსხვილი ფორმების გარდა, დეტალებიც გადმოცემულია ხაზოვანი პერსპექტივით. ყველა ხაზი თავს იყრის თავშეყრის წერტილში. ყველა ვერტიკალი სწორადა არის აგებული. ნამუშევარში აშკარად ჩანს შემოქმედებითი მიდგომა და ორიგინალური ჩანაფიქრი. ნამუშევარი აკურატულია. წაშლილია ყველა დამხმარე ხაზი. ჩანს ნამუშევარზე დახარჯული ძალისხმევა. | |
| **8-7 ქულა:** ნამუშევარში ასახული რამდენიმე საგანი დაშორების შესაბამისად იკლებს ზომაში. მსხვილი ფორმების გარდა არის რამდენიმე დეტალიც, გადმოცემული ხაზოვანი პერსპექტივით. თითქმის ყველა ხაზი თავს იყრის თავშეყრის ერთ წერტილში. თითქმის ყველა ვერტიკალი სწორადაა აგებული. ნამუშევარი აკურატულია. წაშლილია უმეტესი დამხმარე ხაზი. ნამუშევარში რამდენადმე ჩანს გაწეული ძალისხმევა. | |
| **5-6 ქულა:** ნამუშევარში ასახული ორიოდ საგანი იკლებს ზომაში. ნამუშევარში არის მხოლოდ მსხვილი საგნები, დეტალების გარეშე. ორიოდ ხაზი თავს იყრის თავშეყრის წერტილში. რამდენიმე ვერტიკალი სწორადაა აგებული. ნამუშევარი ნაწილობრივ აკურატულია. ნამუშევარში სუსტად ჩანს გაწეული ძალისხმევა. | |
| **3-4 ქულა:** ნამუშევარი ასახავს ერთ საგანს დეტალების გარეშე, რომელიც სიღრმეში იკლებს ხაზოვანი პერსპექტივის ხერხის გამოყენებით. ორიოდ ხაზი თავს იყრის თავშეყრის წერტილში. ზოგი ვერტიკალი დახრილია. ნამუშევარში არ ჩანს აკურატულობა და გაწეული ძალისხმევა. | |
| **1-2 ქულა:** ნამუშევარი დაუმთავრებელია, ასახავს ერთ საგანს დეტალების გარეშე. სიღრმეში კლება აცდენილია პერსპექტივის ხაზებს. ყველა ვერტიკალი დახრილია. ნამუშევარში შემოქმედებით მიდგომა და ძალისხმევა არ ჩანს. ნამუშევარი ჭუჭყიანია. | |
| **0 ქულა:** ნამუშევარი ვერ პასუხობს ვერცერთ მოთხოვნას. | |

ქულათა ჯამი ———————————————

მასწავლებელი ———————————————————— თარიღი————————————

## საინფორმაციო ზეპირი მოხსენების შეფასების ფორმა

*მასწავლებელს შეუძლია რუბრიკების დესკრიპტორებს შეუცვალოს პირის ნიშანი და გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების კომენტარებად.

| | | |
|---|---|---|
| კლასი – VIII<br>თემატური ბლოკი:<br>მოსწავლე: | | |
| დავალების პირობა:<br>ჩაატარე კვლევა, მოიძიე ინფორმაცია თემაზე ——————————————————————————<br>გააკეთე ———— წთ-იანი მოხსენება კლასის წინაშე | | |
| განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები | ქულა | კომენტარი |
| **კვლევა**<br>• მონაცემების მოპოვებისთვის მოსწავლემ შეარჩია, გამოიყენა და მიუთითა მრავალფეროვანი და სანდო წყაროები და სათანადო რესურსები. **(2 ქულა)**;<br>• მოხსენება წარმოგვიდგენს საკითხის ანალიზს, ინტერპრეტაციასა და შეფასებას (**1 ქულა**). მოსწავლემ ჩატარებული კვლევა წარმოადგინა ორგანიზებული ფორმით (**1 ქულა**). | | |
| **ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება**<br>• კვლევა ჩატარდა ქსელური ძიების გამოყენებით (**1 ქულა**). | | |
| **წიგნიერება**<br>• მოსწავლე ამჟღავნებს ზეპირი მეტყველების გზით, სათანადო ილუსტრაციების მოშველიებით, ინფორმაციის წარდგენა-გაზიარების უნარებს **(1 ქულა).** | | |
| **ორგანიზებულობა**<br>• მოსწავლემ დაიცვა მოხსენების მოსამზადებლად დადგენილი ვადა (**1 ქულა**);<br>• მოსწავლემ დაიცვა მოხსენებისთვის გამოყოფილი დროის ლიმიტი (1 **ქულა**). | | |
| **პროგრესი**<br>• ნამუშევარი ამჟღავნებს მოსწავლის მიერ წინა ნამუშევრებში გამოვლენილ სისუსტეებს, საკუთარი პრობლემების დაძლევასა და მიღწეულ წინსვლას **(2 ქულა).** | | |

ქულათა ჯამი ————————————————

მასწავლებელი —————————————————————— თარიღი————————————

# PowerPoint პრეზენტაციის შეფასების ფორმა

| |
|---|
| კლასი – VIII<br>თემატური ბლოკი: ————————————————————————————<br>მოსწავლე ——————————————————————————————————— |
| **დავალების პირობა:**<br>მოამზადე PowerPoint პრეზენტაცია თემაზე ———————————————————————<br>ატვირთე ინტერნეტში. ბმული გამოაქვეყნე საკუთარ ბლოგზე |
| **9-10 ქულა:** ჩანს ციფრული ტექნოლოგიის გამოყენების უნარი. ტექსტი გამართულია და ლაკონური. შრიფტი მკაფიოა და არსად ფარავს ილუსტრაციის საკვანძო დეტალებს. გამოყენებულია ჩარჩო, ფონი, სლაიდების გადასვლის ეფექტები. თხრობა ნათელია და გასაგები. პრეზენტაცია ატვირთულია ინტერნეტში. ბმული გამოქვეყნებულია პირად ბლოგზე. პრეზენტაციას ახლავს სათაური, ავტორის ვინაობა და გამოყენებული რესურსების ჩამონათვალი. ჩანს უნარების განვითარების ძლიერი პროგრესი. |
| **7-8 ქულა:** ჩანს ციფრული ტექნოლოგიის გამოყენების უნარი. ტექსტი ლაკონურია, რამდენიმე უმნიშვნელო შეცდომის გამოკლებით, გამართულია. შრიფტი მკაფიოა და თითქმის არსად ფარავს ილუსტრაციის საკვანძო დეტალებს. ბევრ სლაიდში გამოყენებულია ჩარჩო, ფონი, სლაიდების გადასვლის ეფექტები. თხრობა ნათელია და გასაგები. პრეზენტაცია ატვირთულია ინტერნეტში. ბმული გამოქვეყნებულია პირად ბლოგზე. პრეზენტაციას ახლავს სათაური, ავტორის ვინაობა და გამოყენებული რესურსების ჩამონათვალი. ჩანს უნარების განვითარების პროგრესი. |
| **5-6 ქულა:** ჩანს ციფრული ტექნოლოგიის გამოყენების საშუალო უნარი. სასურველია, ტექსტი უფრო მსხვილი შრიფტით იყოს აკრეფილი. ზოგიერთი სლაიდის ტექსტი უნდა შემოკლდეს. რამდენიმე მნიშვნელოვანი შეცდომის გამოკლებით, ტექსტი ძირითადად გამართულია. ტექსტი ზოგ სლაიდზე ფარავს ილუსტრაციის საკვანძო დეტალებს. ზოგ სლაიდში გამოყენებულია ჩარჩოს, სლაიდების გადასვლისა და/ან ფონის ეფექტები. პრეზენტაცია რამდენადმე ბუნდოვანია. პრეზენტაცია ატვირთულია ინტერნეტში. ბმული გამოქვეყნებულია პირად ბლოგზეც. პრეზენტაციას ახლავს სათაური, ავტორის ვინაობა, მაგრამ აკლია გამოყენებული რესურსების ჩამონათვალი. ჩანს უნარების განვითარების საშუალო პროგრესი. |
| **3-4 ქულა:** ჩანს ციფრული ტექნოლოგიის გამოყენების საშუალო საწყისი უნარი. სასურველია, ტექსტი მსხვილი შრიფტით იყოს აკრეფილი. ტექსტი უნდა შემოკლდეს. ტექსტში დაშვებულია ბევრი შეცდომა. სლაიდების თანმიმდევრობას აკლია ორგანიზებულობა. ტექსტი ხშირად ფარავს ილუსტრაციის საკვანძო დეტალებს. პრეზენტაცია რამდენადმე ბუნდოვანია. პრეზენტაცია უნდა აიტვირთოს ინტერნეტში. ბმული უნდა გამოქვეყნდეს პირად ბლოგზე. პრეზენტაციას ახლავს სათაური, მაგრამ აკლია ავტორის ვინაობა და გამოყენებული რესურსების ჩამონათვალი. ჩანს უნარების განვითარების მცირედი პროგრესი. |
| **1-2 ქულა:** არ ჩანს ციფრული ტექნოლოგიის გამოყენების უნარი. ტექსტი ვრცელია, ყველგან დაშვებულია შეცდომები. სლაიდების თანმიმდევრობას აკლია ორგანიზებულობა. არ არის დაცული ტექსტისა და ილუსტრაციის წონასწორობა. ტექსტი წვრილადაა აკრეფილი, ფარავს ილუსტრაციის საკვანძო დეტალებს. არ არის გამოყენებული ეფექტები. პრეზენტაცია ბუნდოვანია. პრეზენტაცია უნდა აიტვირთოს ინტერნეტში. ბმული უნდა გამოქვეყნდეს პირად ბლოგზე. პრეზენტაციას ახლავს სათაური, მაგრამ აკლია ავტორის ვინაობა და გამოყენებული რესურსების ჩამონათვალი. ჩანს უნარების განვითარების სუსტი პროგრესი. |
| **0 ქულა:** ნამუშევარი ვერ პასუხობს სტანდარტს |
| ქულა ————————————<br>მასწავლებელი ——————————————————————<br>თარიღი———————————— |

## ესეს შეფასების ფორმა

*მასწავლებელს შეუძლია რუბრიკების დესკრიპტორებს შეუცვალოს პირის ნიშანი და გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების კომენტარებად.

| |
|---|
| თემატური ბლოკი: ———————————————————————————————————<br>კლასი – VIII მოსწავლე ——————————————————————————————— |
| დავალების პირობა:<br>დაწერე ესე თემაზე ———————————————————————————————————————————————<br>ატვირთე ბლოგზე/ვებგვერდზე |
| განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები |
| **9-10 ქულა:**<br>დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული. ჩანს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. მსჯელობა თანმიმდევრულია. ნაწილებს შორის გადასვლები ლოგიკურია. არგუმენტები დამაჯერებელია, გამყარებულია მაგალითებით. მაგალითების არჩევანი ყოველთვის გონივრულია. სპეციფიკური ტერმინები ყოველთვის ადეკვატურადაა გამოყენებული. ჩანს უნარების განვითარების ძლიერი პროგრესი. |
| **7-8 ქულა:**<br>დავალების პირობა თითქმის ადეკვატურადაა გაგებული. ჩანს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. უმეტესწილად, მსჯელობა თანმიმდევრულია. ნაწილებს შორის გადასვლები ხშირად ლოგიკურია. არგუმენტები ხშირად დამაჯერებელია, გამყარებულია მაგალითებით. უმეტესი მაგალითების არჩევანი გონივრულია. სპეციფიკური ტერმინები უმეტესად ადეკვატურადაა გამოყენებული. ჩანს უნარების განვითარების დიდი პროგრესი. |
| **5-6 ქულა:**<br>დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადაა გაგებული. მსჯელობა ნაწილობრივ თანმიმდევრულია. ზოგ ნაწილს შორის გადასვლა ლოგიკურია. არგუმენტები ნაწილობრივ დამაჯერებელია, ზოგჯერ გამყარებულია მაგალითებით. მაგალითების არჩევანი ზოგჯერ გონივრულია. სპეციფიკური ტერმინები ზოგჯერ ადეკვატურადაა გამოყენებული. ჩანს უნარების განვითარების საშუალო პროგრესი. |
| **3-4 ქულა:**<br>დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადაა გაგებული. მსჯელობა იშვიათადაა თანმიმდევრული. ნაწილებს შორის გადასვლა მოკლებულია ლოგიკას. ორიოდე არგუმენტი დამაჯერებელია, იშვიათადაა გამყარებული მაგალითით. მაგალითების არჩევანი ზერელეა. სპეციფიკური ტერმინები იშვიათადაა გამოყენებული ადეკვატურად. ჩანს უნარების განვითარების სუსტი პროგრესი. |
| **1-2 ქულა:**<br>დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული. მსჯელობა არათანმიმდევრულია. ნაწილებს შორის გადასვლები ალოგიკურია. არგუმენტები ზერელეა, არ არის გამყარებული მაგალითებით. მაგალითების არჩევანი შემთხვევითია. სპეციფიკური ტერმინები არ არის გამოყენებული. არ ჩანს უნარების განვითარების პროგრესი. |
| **0 ქულა:** ნამუშევარი ვერ პასუხობს სტანდარტს |
| ქულა ————————————————<br>მასწავლებელი —————————————————————————————— თარიღი——————————————— |

# პროექტის შეფასების ფორმა

*მასწავლებელს შეუძლია რუბრიკების დესკრიპტორებს შეუცვალოს პირის ნიშანი და გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების კომენტარებად.

| | |
|---|---|
| თემატური ბლოკი: ——————————————————————————<br>კლასი – VIII მოსწავლე —————————————————————— | |
| **დავალების პირობა:**<br><br>ატვირთე ბლოგზე. შეავსე რეფლექსიის კითხვარი | ქულა 0-2 |
| **კვლევა:**<br>მოსწავლემ ბრწყინვალედ/საშუალოდ/ზერელედ ჩაატარა კვლევა (წიგნის, ინტერნეტის, სპეციალისტთან საუბრის მეშვეობით), აღრიცხა და დაახარისხა წყაროები და მონაცემები, გამოიტანა სათანადო დასკვნები. ჩანს წიგნიერების ბრწყინვალე/საშუალო/სუსტი უნარი. | |
| **ორგანიზება:**<br>სამუშაო ბრწყინვალედ/საშუალოდ/ზერელედ დაიგეგმა ეტაპობრივად. ნამუშევარს ახლავს დეტალური/ზოგადი/ბუნდოვანი ესკიზი. დრო გამოყენებულია მაქსიმალურად/ნაწილობრივ/მინიმალურად ეფექტიანად. ჩანს პროექტზე დახარჯული დიდი/საშუალო/სუსტი ძალისხმევა. ჩანს უნარების განვითარების ძლიერი/საშუალო/სუსტი/არავითარი პროგრესი. ნამუშევარი ატვირთულია ბლოგზე. რეფლექსიის კითხვარი შევსებულია ამომწურავი/მოკლე/ზერელე პასუხებით. | |
| **ნამუშევარი:**<br>ნამუშევარში ჩანს ორიგინალური/არაორიგინალური/ზერელე შემოქმედებითი მიდგომა (მასალის, ტექნიკის, სახვითი საშუალებებისა და ხერხების შერჩევა-გამოყენება). ნამუშევარი ბრწყინვალედ/ნაწილობრივ/სუსტად შეესაბამება დავალების პირობას, დასრულებულია და მოწესრიგებული. | |
| **პრეზენტაცია:**<br>ნამუშევრის წარდგენა იყო ძალიან/საშუალოდ/ნაკლებ ეფექტიანი. აუდიტორიასთან კონტაქტი, მეტყველება და მოძრაობა – სათანადო. ადგილი ჰქონდა ბევრი/რამდენიმე/ცოტა სპეციფიური ტერმინის ადექვატურ/არაადექვატურ გამოყენებას. ზუსტად/ნაწილობრივ/ვერ ჩაეტია დროის ლიმიტში. | |
| **რეფლექსია:**<br>შემოქმედებითი პროცესის ეტაპები (ჩანაფიქრიდან დასრულებულ პროდუქტამდე) გააზრებულია დეტალურად/ზოგადად/ზერელედ. ჩანს სუსტი და ძლიერი მხარეების ობიექტური/არაობიექტური შეფასების უნარი. დასახულია გაუმჯობესების მრავალფეროვანი/ზოგადი/ზერელე გზები. | |

ქულა ————————————

მასწავლებელი ——————————————————

თარიღი——————————

## ლექსიკონი

### ა

**აბსტრაქცია** – განზოგადება, უსაგნო ხელოვნება.

**აგიტაცია** – სიტყვიერი, ბეჭდვითი ან სახვითი ხერხით საზოგადოების პოლიტიკურ ცნობიერებაზე ზეგავლენის მოხდენის, აგიტატორის სასარგებლოდ მისი დარწმუნების მცდელობა.

**აკრონიმი** – რამდენიმე სიტყვის საწყისი ასოებით მიღებული გამოთქმა.

**ალეგორია** – ირიბად, ქვეტექსტით, მინიშნებით სათქმელის გადმოცემის მხატვრული ხერხი.

**ამპირი** – იმპერიული, გვიანი კლასიციზმი, წარმოიშვა საფრანგეთში, ნაპოლეონ I მმართველობის დროს.

**ანფასი** – ადამიანის გამოსახულება წინხედით.

**არკბუტანი** – ჰაერში გამოკიდებული თაღი, რომლითაც გოთიკურ ტაძარში კონტრფორსები კედელს ებჯინება.

### ბ

**ბაზილიკა** – სვეტების რიგებით სამ ან ხუთ გრძივ ნავად დაყოფილი სწორკუთხა უგუმბათო ნაგებობა.

**ბაროკო** – XVII—XVIII სს-ის ეპოქა და სტილი ევროპულ ხელოვნებაში.

**ბატალური ჟანრი** – ისტორიული ჟანრის ქვეჟანრი, რომელიც ბრძოლის სცენას ასახავს.

**ბაპტისტერიუმი** – სანათლავი.

**ბიურგერი** – შეძლებული მოქალაქე.

### გ

**გარგულია** – წყალსაწრეტი მილის სკულპტურული დეკორი

**გროტესკი** – გაზვიადების მხატვრული ხერხი, რომლის მიზანია მანკიერება კომიკურად წარმოაჩინოს.

**გროტესკი** – მხატვრული ხერხი, რომელიც უარყოფით ნიშნებს მათი გაზვიადებით უსვამს ხაზს

### დ

**დიპტიქონი** – ორნაწილიანი კარედი ნაწარმოები

**დოგმა** – დაუსაბუთებელი დებულება, რომელიც ურყევ ჭეშმარიტებად მიიჩნევა.

**დრაპირება** – ქსოვილის ნაკეცები

**დუჩენტო, ტრეჩენტო და ა.შ.** – ჩენტო იტალიურად 100- ს ნიშნავს. დუჩენტო – 1200-იან, ტრეჩენტო – 1300-იან, კვატროჩენტო – 1400-იან, ჩინკვეჩენტო – 1500- იან წლებს.

### ე

**ენკაუსტიკა** – ცხელ ცვილში გაზავებული საღებავებით ხატვა

**ესთეტიკა** – ფილოსოფიის დარგი, რომელიც შეისწავლის მშვენიერების რაობას.

### ვ

**ვიტრაჟი** – მონუმენტური მხატვრობის ქვედარგი, ფერადი მინით შესრულებული გამოსახულება

**ვედუტა** – ურბანული ანუ ქალაქური პეიზაჟის სახეობა. განსაკუთრებით პოპულარული იყო XVIII ს-ის ვენეციაში.

### ი

**იდეოლოგია** – ღირებულებათა, წარმოდგენათა ერთობლობა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანთა დამოკიდებულებას სინამდვილისა და ერთმანეთისადმი

**ინიციალი** – სახელისა და გვარის პირველი ასოები

**ინკვიზიცია** – შუა საუკუნეებში საეკლესიო სასამართლო, რომელიც ეკლესიის სწავლების მოწინააღმდეგეთა გამოვლენას და დასჯას ემსახურებოდა. განსაკუთრებით მძვინვარებდა ესპანეთში.

## კ

**კალიგრაფია** – ლამაზად წერის ხელოვნება

**კალიგრაფი** – წიგნის გადამწერი

**კარარა** – მარმარილოს ქვის სამტეხლო იტალიაში

**კარიკატურა** – განზრახ დამახინჯებულად, სასაცილოდ გამოსახვა.

**კარკასი** – ნაგებობის „ჩონჩხი“

**კაპელა** – მცირე სამლოცველო

**კლასიციზმი** – XVII XVIII ს-ის მიმდინარეობა საფრანგეთის ხელოვნებაში, ამკვიდრებს მოქალაქეობრივ იდეალებს და კლასიკის ხანის ხელოვნებას მიიჩნევს ეტალონად.

**კლასიციზმი** – XVII-XIX საუკუნეების დასაწყისის მიმდინარეობა ხელოვნებაში, რომელიც სრულყოფილების მისაღწევად ცნობს მხოლოდ წესრიგს, გონებრივ საწყისსა და მკაცრ ლოგიკას, ხელოვნების აღმზრდელობით დანიშნულებას, იყენებს ანტიკური ხელოვნების მხატვრულ კანონებსა და სიუჟეტებს.

**კოდექსი** – წიგნი

**კონდოტიერი** – დაქირავებული რაზმის წინამძღოლი

**კონტრაპოსტი** – ფეხზე მდგომი ფიგურის პოზა, როცა სიმძიმე ცალ ფეხზეა გადატანილი, მეორე კი მოდუნებულია. შესაბამისად, ცალი მხარი აწეულია, მეორე – დაშვებული.

**კონტრფორსი** – კედლისთვის სიმყარის მიმცემი საყრდენი მინაშენი

**კონქი** – ეკლესიის საკურთხევლის მეოთხედსფეროს ფორმის გადახურვა

**კორსეტი** – კაბის ქვეშ ჩასაცმელი, რკინის ფირფიტებით გამაგრებული განიერი ქამარი წელის დასავიწროებლად.

**კრინოლინი** – კაბის ქვეშ ჩასაცმელი, წრიული მავთულით გამაგრებული განიერი ქვედატანი.

## ლ

**ლოზუნგი** – მოწოდება; ლაკონიური, ადვილად დასამახსოვრებელი გამონათქვამი.

**ლუსტრი** – ჭიქურზე დადუღებული ლითონის ნაერთების უთხელესი აპკი, რომელიც თიხის ნაკეთობას ბზინვარებას ანიჭებს.

## მ

**მარინისტული პეიზაჟი** – იგივე „მარინა“, ზღვის ხედი.

**მავრიტანული სტილი** – ესპანეთსა და პორტუგალიაში გავრცელებული ისლამური არქიტექტურის სტილი.

**მინიატურა** – ხელნაწერი წიგნის ილუსტრაცია. (დღეს ტერმინი იხმარება ხელოვნების მცირე ზომის ნიმუშებთან მიმართებაში).

**მოდერნი** – იგივე არ ნუვო (Art Nouveau), ... XIX-XX ს-ის მიჯნაზე გავრცელებული სტილი, რომელიც ხასიათდება დეკორატიულობით, მცენარეული მოტივებისა და მრუდი დინამიური ხაზების სიუხვით

**მონოქრომული** – მონო - ერთი; ქრომა - ფერი (ბერძნ.) - ერთფეროვანი.

**მონუმენტური** – გრანდიოზული, დიდი ზომის

## პ

**პალიმფსესტი** – ერთმანეთზე რამდენიმე ფენად გადაწერილი ტექსტი

**პლაფონი** – ჭერი

**პოსტიმპრესიონიზმი** – XIX-XX სს-ის მიჯნაზე მხატვრული მიმდინარეობა ევროპაში.

**პორტალი** – დეკორატიულად გაფორმებული საზეიმო კარიბჭე

**პროპაგანდა** – საზოგადოების შეხედულებებზე სიტყვიერად, ლოზუნგით, სახვითი საშუალებებით იდეური ზეწოლა. პროპაგანდა საზოგადოებას აწვდის მხოლოდ პოლიტიკურად მომგებიან, არასრულ ინფორმაციას.

**პროფილი** – ადამიანის გამოსახულება გვერდხედით

## რ

**რეალიზმი** – მიმდინარეობა XIX ს-ის შუა ხანების ევროპულ ხელოვნებაში, რომელიც რეალობის შეულამაზებლად გადმოსცემს.

**რეფორმაცია** – გადაკეთება. XVI ს-ის დასავლეთ ევროპაში კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებული სოციალურ- პოლიტიკური მოძრაობა.

## ს

**საზედაო ასო** – აბზაცის პირველი, დიდი ზომის, ორნამენტებით გაფორმებული ასო

**საზეიმო პორტრეტი** – იგივე საპარადო, სადღესასწაულო, პიროვნების წარდგენითი ხასიათის პორტრეტი.

**საკათედრო** – ტაძარი, სადაც მხოლოდ უმაღლესი ხარისხის მღვდელმთავრები მსახურობენ.

**სატირა** – მანკიერი სინამდვილის დამცინავი ფორმით მხილება.

**სატრაპეზო** – მონასტრის სასადილო

**სკრიპტორიუმი** – გადამწერთა სახელოსნო

**სფუმატო** – (იტალ. ნისლი) ლეონარდო და ვინჩის მიერ შემოღებული მხატვრული ხერხი, რომლითაც ფერწერაში გამოსახულების კონტურები ბუნდოვნად გადმოიცემა. სფუმატო რბილი განათების ეფექტს გაგრძნობინებს.

## ტ

**ტემპერამენტი** – პიროვნების ხასიათის თვისებების ერთობლიობა

**ტონალური გრადაცია** – თანდათანობით გაღიავება-გამუქება

**ტორსი** – ადამიანის ტანი წელიდან კისრამდე, ხელების გამოკლებით

**ტრიპტიქონი** – სამნაწილიანი კარედი

## უ

**უტრირება** – გაზვიადება, გადაჭარბება.

## ფ

**ფაქტურა** – საგნის ზედაპირის მახასიათებლები– პრიალა, გლუვი, ხაოიანი, ძარღვიანი, ხავერდოვანი, უხეში და სხვ. სახვითი ხელოვნებისელემენტი, რომელიც საგნის ზედაპირის თავისებურებას ხელშესახებად ან ილუზორულად ასახავს.

**ფრესკა** – მონუმენტური მხატვრობის ტექნიკა. სველ ბათქაშზე შესრულებული ფერწერა.

## შ

**შეისრული** – წამახული წვერის მქონე.

**შპილი** – კოშკურის წამახული, კონუსური წვეტი.

## ხ

**ხაზოვანი პერსპექტივა** –სიბრტყეზე სივრცის სამი განზომილების ილუზიით გადმოცემის მხატვრული ხერხი. ხაზოვანი პერსპექტივის მეცნიერულად კვლევაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით რენესანსის ხანის არქიტექტორებს ფილიპო ბრუნელესკისა და ლეონ ბატისტა ალბერტის.

## ჰ

**ჰაეროვანი პერსპექტივა** – მხატვრული ხერხი, რომლითაც ფერწერაში სიღრმე გადმოიცემა. თუ წინა ხედზე გამოსახულებები მკაფიოა, მკვეთრი, დეტალიზებული, უკანა ხედზე ისინი ფერმკრთალდება, ბუნდოვანდება და უფრო განზოგადებულად, დეტალების გარეშე გადმოიცემა.

**ჰორელიეფი** – მაღალი რელიეფი.

**ჰუმანიზმი** – მიმდინარეობა და შეხედულებათა სისტემა XIV-XVI სს-ის იტალიაში, რომლის მიხედვით, ადამიანის ბუნების დახვეწა შესაძლებელია ანტიკური კულტურის შესწავლის გზით. ჰუმანისტები თანაბრად დაინტერესდნენ ადამიანის სულიერი და ხორციელი მოთხოვნილებებით.